ქოტე ჯავჯიშვილი

ეთეგი
და
ალპინეგი

გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1970

კრებულში მოთავსებულია ნარკვევები, რომლებშიც მხატვრულადაა აღწერილი ქართველი მთამსვლელების სახიფათო, მაგრამ წარმტაცი და მეტად საინტერესო მოგზაურობანი.

ასახულია არა მარტო სპორტული ასვლები („ნაკვალევი თოვლზე"), არამედ მოცემულია ცნობილი ქართველი მთამსვლელების დახასიათება, ნაჩვენებია მათი ღვაწლი კავკასიონის მთების შესწავლაში.

ვრცელი ნარკვევი მიძღვნილი აქვს ქართველი მთამსვლელების წვლილს მეორე სამამულო ომში. უკანასკნელ ორ ნარკვევში („კავკასიელი გამყოლები" და „პირველი ალპური კლუბი თბილისში") გაშუქებულია ალპინიზმის ისტორიის მეტად საგულისხმო ეპიზოდები.

ყელის ზეგანი

საქართველოს გეოლოგიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი გერმან აბიხი ყელის პლატოს „საქართველოს ოვერნს" უწოდებს. მართლაც. მდ. ქსნის სათავეში, თითქმის 3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ზეგანი, თავისი ლანდშაფტი, ვულკანებითა და ტბებით საფრანგეთის ოვერნს მოგვაგონებს.

„საქართველოს ოვერნის" შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ აბიხის მცირე ცნობები, აკადემიკოს ლევინსონ-ლესინგის საკმაოდ დეტალური პეტროგრაფიული აღწერილობა, ნ. დინიკის ყოველმხრივი, მაგრამ საკმაოდ წყალწყალა შრომა და კიდევ რამდენიმე ცნობა, აქა-იქ გაბნეული სხვადასხვა შრომასა და პერიოდულ გამოცემაში.

ყელის პლატო ერთ-ერთი უშესანიშნავესი ადგილია საქართველოში, საიდანაც სათავეს იღებს ქსანი, ლიახვი და ბთიულეთის არაგვი. სულ ასიოდე კვადრატული კილომეტრის ფართობზე გაბნეულია ოცდაათამდე ტბა. აქვეა რამდენიმე სულ ახალგაზრდა ვულკანი. ყელის პლატო წარმოადგენს საინიმუშო ადგილს მყინვარული მოვლენების შესასწავლად. შესანიშნავია თვით ყელის ტბაც — ერთ-ერთი ულამაზესთაგანი საქართველოს ტბებს შორის.

ჩვენი ექსპედიციის კარავი დავდგით პატარა ნახევარკუნძულზე იმ ადგილას, სადაც იბადება ქსანი. პირველ დღეებში (აქ ამოვედით 25 აგვისტოს) ძალიან ციოდა, საშინელი ქარი

კარავს გლეჯდა, ტბა ღელავდა, დილის თრთვილი მიდამოს ფარავდა.

დადგა სექტემბერი. ყველაფერი მიწყნარდა, დამშვიდდა, ქარი ჩადგა, ცამ ღრუბელი გადაიყარა და ყელის პლატომაც სახე იცვალა.

დილაადრიან ფოტოაპარატებით, ანეროიდებით, სამთო კომპასებითა და ჩაქუჩებით შეიარაღებულნი გავედით „სანადიროდ“. გვიან საღამოს კარავში დავბრუნდით „ნადავლით“— ქანების ნიმუშებით, შლიხებით, ჩანახატებით, ჩანახაზებითა და გადაღებული ფირფიტებით. ყელის პლატოს ტბები ჯერ არავის აუწერია. ზოგი ვულკანი კი აღნიშნულია რუკაზე.

ზეგანი ერთი შეხედვით უდაბურად მოგვეჩვენა. მისი დასავლეთი ნაწილის საძოვრები დაცარიელებული დაგვიხვდა. მხოლოდ ხანდახან, დილაადრიან, ლიახვის სათავეებიდან არავისაკენ ბილიკით მიმავალი მგზავრის შეძახილი გვაღვიძებდა.

ლიახვისა და ქსნის მცენარეულით მდიდარი სათავეები იქიდან არ ჩანს. სამაგიეროდ, ახვალთ თუ არა რომელიმე ამაღლებულ პუნქტზე, ჩრდილოეთით იშლება თოვლიანი მწვერვალებისა და მიუვალი ქედების სურათი, ხოლო სამხრეთით — ბურუსის ზღვაში ჩაძირული ქედებისა და მწვერვალების ხროვები.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც საკმაოდ გავიცანით ყელის პლატო, თავი იჩინეს მისმა მკვიდრმა „მცხოვრებლებმაც“. შევეჩეხეთ მგლებს, სველ ქვიშაზე წავაწყდით საკმაოდ დამაფიქრებელ ნაკვალევს, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია — დიდი კატის ნაკვალევს ჰგავდა და შესაძლებელია იგი აფთარსაც დაეტოვებინა. ერთხელ ჩვენს ჯგუფს ნარვან-ხოხზე ასვლის დროს შეხვდა ფსიტების (არჩვების) მთელი ჯოგი

(10—15 იქნებოდა). ყელის პლატო საკმაოდ „დასახლებული“ აღმოჩნდა.

ქედებისა და ვულკანური კონუსების კალთებზე აქა-იქ შარშანდელს აქეთ შერჩენილი იყო თოვლის ნაფლეთები. ერთ-ერთი ექსკურსიის დროს ქსნის სათავეში (ამ მიდამოს, ალბათ, მისი დაღვრემილი და ხრიოკი შესახედაობის გამო, ჟამურს უწოდებენ) შორიდან დავინახეთ მთის კალთებზე თოვლის ვარდისფერი ნაფლეთი; ახლო მისვლისას თოვლი ისეთი ვარ-დისფერი აღარ აღმოჩნდა. თოვლის წითლად და ყვითლად შე-ღებვა გამოწვეულია მიკროსკოპული წყალმცენარის „სფერე-ლა ხივალისის“ კოლონებით. ეს პატარა მცენარე ძალიან ჩქა-რა მრავლდება, ფარავს ათეულ კვადრატულ მეტრს და წით-ლად ღებავს თოვლს, ასე წარმოიშობა „წითელი თოვლი“.

ყელის პლატოს სრულ კონტრასტს წარმოადგენს ქსნისა და ლიახვის სათავეები, აქ მდიდარი მცენარეულობაა, განსა-კუთრებით საძოვრებია კარგი. ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის, ერმანისწყლის სათავეში, სოფ. ზედა ერმანთან, მოულოდნელად აღმოვაჩინეთ საინტერესო „მეზობელი“. ჯერ კიდევ შორი-დან, არხის ქედის უღელტეხილიდან ჩამოსვლისას ერმანის-წყლის მარცხენა ნაპირზე, არყის ტყესთან, მოჩანდა სამი თეთ-რი კარავი. ეს კარვები ეკუთვნოდა ცნობილ რუს ბოტანი-კოსს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნიკო-ლოზ ადოლფის ძე ბუშს.

ჩვენ მივუახლოვდით კავკასიის ფლორის გამოჩენილი მკვლევარის ბანაკს. ბანაკი შორიდან ცარიელი ჩანდა. ერთ-ერთი კარვიდან ახალგაზრდა ბალყარელი გამოგვეგება. იქვე კარვებს შორის, უბრალო ფიცრებისაგან შეკედილ მაგიდას უჯდა პატრიარქალური გარეგნობის მოხუცი. გავეცანით. მო-

ხუცი გულთბილად შეგვხვდა და უმალვე დაგვიწყო საუბარი ექსპედიციის მიზნებსა და მუშაობის შესახებ.

ექსპედიციის დანარჩენი წევრები სამუშაოდ იყვნენ წასულნი. ბანაკში მხოლოდ ბუში და ბალყარელი იუსუფი დარჩენილიყვნენ. ორმოც წელზე მეტია, რაც აკადემიკოსი ნიკოლოზ ბუში იკვლევს ცენტრალური კავკასიონის მცენარეულობას. მას იცნობენ ყაბარდო-ბალყარეთსა და წებელდაში, სვანეთსა და ხევსურეთში. უკანასკნელი ექვსი წელი ბუშმა მოანდომა სამხრეთ ოსეთის მცენარეული საფარის შესწავლას. მან უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა ოსეთის მცენარეებზე. ახლანდელი მისი მუშაობის მიზანია სამხრეთ ოსეთის საძოვრების შესწავლა. ამ მიზნით სოფ. ერმანთან შენდება სამთო-საველე სადგური, რომელიც ზამთარ-ზაფხულ დაკვირვებებს მოახდენს საძოვრების რეჟიმზე.

მალე აცივდება და ექსპედიცია ჩქარობს დაამთავროს სადგურის შენობა და შემოღობოს სანერგე. დღეს ყველა გასულია ამ სამუშაოზე.

სადილობისას ვეცნობით ექსპედიციის დანარჩენ წევრებს: ელისაბედ ბუშს, აკადემიკოსის მეუღლეს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მასთან ერთად მუშაობს, მათ ახალგაზრდა ასისტენტ ქალს და ლენინგრადის უნივერსიტეტის მეჩუთე კურსის ორ სტუდენტს. ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე — გიორგი კვარაცხელია აღმოჩნდა.

მეორე დილით დავტოვეთ სტუმართმოყვარე აკადემიკოსის ბანაკი და პირქუში ყელის პლატოს აღმართს შევუდექით. ზემო ერმანის თავზე შორიდან მოჩანს ყავისფრად შეღებილი მარცხენა ნაპირი, საიდანაც გამოედინება მინერალური წყალი. ეს წყალი გაზიანია და რკინას შეიცავს. წყალში ჩაგდებუ-

ლი მცენარე რამდენიმე დღეში იფარება ჟანგის სქელი შრით. ერმანის მინერალური წყალი ჯერჯერობით არ არის ცნობილი. აქ ყოფილა ქიმიკოსი კუპცისი, საქართველოს მინერალური წყაროების ცნობილი სპეციალისტი. ერმანის წყარო ერთ-ერთია ყელის პლატოს გარშემო არსებულ მინერალურ წყლებს შორის. ყელის პლატო ვულკანური წარმოშობისაა. დედამიწის სიღრმიდან ამოხეთქილმა ლავებმა გააჩინეს აქ პლატო და ვულკანური კონუსები. დიდი ხანია ვულკანები ჩაქრნენ, მაგრამ დედამიწის სიღრმეში ჯერ კიდევ ღვივის ვულკანური კერა და სწორედ ძლიერი ვულკანური აქტივობის შედეგია მინერალური წყლების რკალი, რომელიც გარს აკრავს ყელის ტბას.

მხოლოდ ოციოდე დღე დავყავით ყელის პლატოზე, ოციოდე დღე მოვანდომეთ მის გაცნობასა და აღწერას. ერთ მშიან დღეს ავედით მწვერვალ ლაზღწითზე. ეს მწვერვალი ყელის პლატოზე ასვლის პირველი დღიდანვე მოსვენებას არ გვაძლევდა, საიდანაც არ გაიხედავთ, მისი პირამიდა მოჩანს. მწვერვალი სულ 3800 მ სიმაღლისაა. ჩრდილოეთით მეტაც ლამაზი მყინვარები ჩაუდის, წვერზე კი დგას განსვენებული გიტო გიორგაძის მიერ აგებული ქვის ტური (პირამიდა). აქედან იშლება იშვიათი სანახაობა: ჩრდილოეთით — თოვლიანი კონუსები: მყინვარწვერი, ჯიმარაი-ხოხი და სუათისი-ხოხი. ჩრდილო-დასავლეთით — ადაი-ხოხის ჯგუფი, ნეის მყინვარი და უფრო შორს, ბურუსში, სვანეთის მწვერვალები და ქედები; სამხრეთით მთების ზღვა, რომლიდანაც სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ამოწვდილია იშვიათი სილამაზის ტებულო და ამუღო (ესენი უკვე ხევსურეთში არიან). გარშემო ქედების, მწკერვალებისა და მყინვარების დაუსრულებელი ზღვაა. მათ

შორის ყელის პლატო პატარა ნაწილაკია, შეუმჩნეველი და უმნიშვნელო.

საკმარისი არ აღმოჩნდა იქ გატარებული ოცდოდე დღე ამ „უმნიშვნელო ნაწილაკის“ ყველა „საიდუმლოების“ ამოსაცნობად. ვბრუნდებოდით მწვერვალიდან და ვფიქრობდით— რამდენად მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა, რამდენ შრომასა და ენერგიას მოითხოვს მისი შესწავლა.

წელს ათეული ჩვენისთანა ჯგუფი იყო წასული მთებში სამუშაოდ, ყველა მათგანი ჩამოიტანს ქალაქში რაიმე ახალს, ჯერ კიდევ უცნობს და ასე თანდათან შეიქმნება კონტურები საქართველოს გეოლოგიური რუკისა, ასე თანდათანობით ასეული ადამიანის შრომით გასაგები გახდება ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი წიაღის საიდუმლოებანი[1].

---

[1] ნარკვევი ეხება ყოფ. პტკ'ის სამთო სექციისა და იშვიათ ლითონთა ამიერკავკასიის საძიებო ტრესტის მიერ მოწყობილ მთიულეთის მაღალმთიანი საძიებო ექსპედიციის მუშაობას. ექსპედიციაში ავტორის გარდა მონაწილეობდნენ: ლევან მარუაშვილი, იოსებ გოგიტიძე, გიორგი ეაჩნაძე, შიო ბურდული.

მეტეოსადგურში

ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში, ოთხი ათასი მეტრის სიმაღლეზე, სოფ. ყაზბეგიდან ოცდაოდე კილომეტრის დაშორებით, თოვლში ჩამალულ და ნახევრად დანგრეულ ქოხში შევხვდით ერთმანეთს:

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ ბლეკეტის ასისტენტი ფიზიკოსი ხუ-ჩინ-შანი;

თბილისის უნივერსიტეტის კოსმოსურ სხივთა ლაბორატორიის ხელმძღვანელი ბორის ყიზილბაში;

მისი თანამშრომელი დათიკო კეთილაძე:

ავსტრიელი ინჟინერ-ელექტრიკოსი ერიხ ჰესსე:

და ჩვენ, ახლად ამოსულები, მთიულეთის მაღალმთიანი ექსპედიციის სამი წევრი.

ჩვენ გარდა ქოხში იყვნენ რადისტი საშა პაროვი და ჩვენი ყაზბეგელი გამყოლი ნიკო ქირიკაშვილი. სადგურის უფროსი იქ არ დაგვხვედრია.

ჩვენი ამოსვლის დღეს დაიწყო ქარი და ნამქერი, რომელიც არ შეჩერებულა, სანამ არაქათგამოცლილსა და მიბნედილს არ გამოელია უკანასკნელი ძალ-ღონე. ეს მოხდა მესამე დღეს — დღიდან ჩვენი ამოსვლისა. მიუხედავად ამისა, დღის რეჟიმს კეთილსინდისიერად ვასრულებდით.

ხუ-ჩინ-შანი დილით ადრე იღვიძებდა და უმალვე ლოგინთან მდგარ აპარატებს მიაშურებდა. ეს ოცდარვა წლის ჩინე-

ლი დილიდან საღამომდე უძრავად უჯდა თავის აპარატებს. იშვიათად თუ ადგებოდა, გაივლიდა ოთახში, ოდნავ გაიღიმებდა და კვლავ თავის აპარატებს უბრუნდებოდა. მასთან ერთად მუშაობდა ბორის ყიზილბაშიც.

მათი მიზანი იყო გამოეკვლიათ კოსმოსური სხივების გავლენა სხვადასხვა საგნებზე.

კოსმოსური სხივების მოქმედების საკითხი ჯერ კიდევ საიდუმლოებას წარმოადგენს თანამედროვე ფიზიკაში; მათ შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი, მაგრამ ცოტა რამაა ცნობილი. ხუ-ჩინ-შანს წაკითხული აქვს თითქმის მთელი ლიტერატურა კოსმოსური სხივების შესახებ. პეკინის უნივერსიტეტმა მიავლინა იგი საკითხების გასარკვევად ერთ-ერთ უდიდეს თანამედროვე ფიზიკოსთან — ბლეკეტთან. ამჟამად კემბრიჯის უნივერსიტეტის კოსმოსურ სხივთა ლაბორატორიას კავშირი აქვს თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან. ბორის ყიზილბაში გვიამბობს, რომ პროფ. ბლეკეტის ლაბორატორიის წლიური ბიუჯეტი არ აღემატება ცხრაასიოდე გირვანქა სტერლინგს. აპარატებისა და რთული დანადგარების მოსაწყობად საჭირო თანხების გამოსაძებნად იძულებულია მიმართოს სხვადასხვა საზოგადოებას, ფონდებსა და კერძო ქველმოქმედებას.

მესამე წევრი ამ ექსპედიციისა (ჩვენმა ბიჭებმა მათ სხივებზე „მონადირეები“ დაარქვეს) დათიკო კეთილაძე ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტია.

პატარა საკუჭნაოს მსგავს ოთახს (იგი კლუბის მოვალეობასაც ასრულებს), სადაც გამუდმებით ანთია ღუმელი. კარზე აწერია: „კოსმოსური სხივების ლაბორატორია“.

ერიხ ჰესსე, ავსტრიელი ინჟინერი, მუშაობს მოსკოვის „მეტროპროექტში“. იგი ფეხით მოვიდა კავკავიდან ყაზბეგ-ძი,

აპირებს მყინვარწვერზე ასვლას. მაგრამ ამინდი ხელს არ უწყობს, ამიტომ ერიხი ცუდ გუნებაზეა. უსაქმობას მიუჩვეველი ინჟინერი დილიდანვე იწყებს საქმიანობას — რეცხავს ქვაბებს, ხეხავს ჭურჭელს და, როცა პატარა კოლონიის მეურნეობა წესრიგშია და მეტი გასაკეთებელი აღარაფერია — ერიხი მიდის ბაროგრაფთან. თუ ბაროგრაფის ხაზი დაბლა მიიწევს — ეს ნიშნავს ცუდ ამინდს — ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ახლო მომავალში მყინვარწვერზე ასვლა შეუძლებელია, რაც ყველაზე მეტად აღელვებს ინჟინერ ჰესსეს.

გარეთ კი ქარი, ქარბუქი, თოვლი და ნამქერია. გუნებამოშხამული ინჟინერი იღებს ჯიბიდან განუყრელ მეგობარს — პირის პატარა გარმონს და უკრავს ნაღვლიან მოტივებს.

ერიხ ჰესსემ თავის სამშობლოში ორიოდე წელი უმუშევრად იხეტიალა. ეძინა ტყეში და სახლის ნანგრევებში. ათ წლის პრაქტიკის მქონე ელექტრიკოსი ულუკმაპუროდ დადიოდა და მისი განუყრელი მეგობარი მხოლოდ ეს პატარა გარმონი იყო. შემდეგ ინჟინერი ჰესსე მოიწვიეს საბჭოთა კავშირში, სადაც „მეტრომშენში“ დაიწყო მუშაობა. ეს კი ინჟინერ ჰესსესათვის ყველაფერს ნიშნავდა. მაგრამ ავსტრიაში მას დარჩა მოხუცი დედა და ყველაზე ძვირფასი, მაგრამ ამჟამად მისთვის უცხო ქვეყანა.

ამიტომაა ასეთი ნაღვლიანი მისი მოტივები — იგი უკრავს ჰაინეს „ლორელეის“ და რევოლუციურ სიმღერებს.

ღუმელში თანდათან ნელდება ცეცხლი. ქარი ზუზუნებს. გარედან შემოსულ რადისტს შემოაქვს თოვლი და სიცივე.

რადისტი უკავშირდება თბილისს და შორეულ, თოვლში ჩაფლული ქოხიდან დედაქალაქში მიქრის დეპეშა —

ქარის სიჩქარე, ტემპერატურა, ნალექები. მეორე დღეს კი საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული ცნობებისაგან შედგება მეტეოროლოგიური რუკა და სინოპტიკოსები თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიიდან ახლობელი დღეების ამინდს მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიას აცნობებენ.

რადისტი ყოველდღე, დღეში სამჯერ ამინდის პროგნოზს გადასცემს თბილისს. სამჯერ აუცილებლად. მაგრამ თუ მოსალოდნელია თვითმფრინავის ფრენა (ამინდის ყოველგვარ ცვალებადობას გავლენა აქვს საჰაერო ტრასის რეჟიმზე) — უფრო მეტჯერაც. თოვას თანდათან უმატებს და ჩვენც ვღელავთ, განსაკუთრებით ჩვენ სამნი და ჰესსე. შეიძლება ისე მოთოვოს, რომ გზებიც კი შეიკრას.

შეუმჩნევლად საღამოვდება, რადისტი რთავს რადიოს და დიქტორის ნაცნობი ხმა თბილისს გვაახლოებს. გადმოცემდნენ „დაისს". ყველანი სადგურის უფროსის ოთახში შევიკრიბეთ. ხუ-ჩინ-შანმაც კი მიატოვა თავისი ადგილი და ჩვენ შემოგვიერთდა. თოვლსა და ქარბუქში უფრო თბილი და მშობლიური გვეჩვენა ნაცნობი ჰანგები.

პირველი მოქმედების დამთავრების შემდეგ რადისტმა გამორთო ხმამაღლა მოლაპარაკე და დაიწყო ამინდის პროგნოზის გადაცემა. ოთახში მხოლოდ ქარის ზუილი ისმოდა. ყველა დუმდა, კვლავ ჩავრთეთ თბილისი, დაიწყო „დაისის" მეორე მოქმედება, ისევ აჟღერდა მგზნებარე მუსიკა. როცა დაუკრეს ლეკური და ჩვენგან ასეული კილომეტრით დაშორებულ დარბაზში იგრიალა ტაშმა, ვიგრძენით, რომ ჩვენც — დაშორებულნი ასეული კილომეტრებით იმ დარბაზს — ვუერთდებით მათ, რადგან იქაც — დიდ ქალაქში და აქაც —

პატარა, თოვლში ჩამალულ ქოხში, ერთი მაჯა სცემს. ყველა ჩვენგანი ერთსა და იმავე მიზანს ვემსახურებით.

მესამე დღეს, როგორც იქნა, ქარი მიწყნარდა, მზემ გაანათა შორეული ყურო და საზღაპრო ჭიუხის მწვერვალები, თეთრად აქათქათდა ფირნის ველი და ჩვენც დავიძარით მყინვარწვერისაკენ.

1936 წ.

აღმოსავლეთ კავკასიონის თოვლეთში

(დღიურიდან)

თბილისში უკვე გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, ჩვენ კი კვლავ ვუბრუნდებოდით ზამთარს.

18 მარტს ღამის მატარებელმა თელავში ჩაგვიყვანა. ზურგჩანთებითა და თხილამურებით დატვირთულნი შევედით ქალაქში. მზიანი დღე იყო, მაგრამ ციოდა, შორეული დათოვლილი მთები ცივად და მიუკარებლად გამოიყურებოდა. თელავში ჩვენს გეგმას სკეპტიკურად შეხვდნენ — ვისაც არ მივმართეთ, ყველამ გვიპასუხა: ჯერ არავის ახსოვს ზამთარში და გაზაფხულზე. სანამ თოვლი არ ჩამოდნება, ვინმე გადასულიყოს საყინოს-ღელის უღელტეხილზეო.

აღმასკომის თავმჯდომარე გულთბილად შეგვხვდა. სოფ. ჯოყოლომდე მანქანაც კი გვათხოვა და თან ათიოდე ადგილობრივი ფიზკულტურელი — ფიზკულტურის ინსტრუქტორი და მოსწავლე გამოგვაყოლა, რომ ენახათ როგორ დავდიოდით თხილამურებით. აქაური ახალგაზრდობა ძალიან დაინტერესებული ყოფილა თხილამურებით და ამ ზამთარს კიდევაც უშოვნიათ ერთი წყვილი, მოუწყვიათ გასვლა ცივის მთაზე, სადაც 20 კაცი ერთი წყვილი თხილამურით ვარჯიშობდა.

თელავიდან 11½ საათზე დავიძარით. მანქანა მიქრის კახეთის ბარაქიან ველებზე — ახმეტისაკენ. ახმეტიდან კი ჩვენი

გზა უხვევს ჩრდილოეთისაკენ პანკისის ხეობით ალაზნის სათავეებისაკენ.

გავიარეთ იყალთო, მთის ფერდობზე დავინახეთ თეთრი შენობა—იყალთოს აკადემია, სადაც, გადმოცემით, უსწავლია დიდ შოთას. სოფლები ერთიმეორის მიყოლებით არიან განლაგებულნი — აწყური, ზემო ხოდაშენი, ქისტაური... შორს, ალაზნის ველზე გამოჩნდა თეთრი, გოლიათივით აღმართული ალავერდის ტაძარი, აგერ ახმეტაც. აქედან იწყება პანკისის ხეობა ფართო და გაშლილი ველი თანდათან ვიწროვდება, მთები ახლოვდება და მალე ჯოყოლოშიც ჩავდივართ, სადაც 20—30 სანტიმეტრი სისქის თოვლი დაგვხვდა ირგვლივ დათოვლილი ფერდობებით. ჩვენ წინ აღიმართა ნაქერალას ქედი, რომელზედაც უნდა ავიდეთ მდინარე ჩხათანისწყლის ხეობის ჩრდილოეთის მხრიდან.

მოვირგეთ თხილამურები და იქვე მახლობელ ფერდობზე გამოვცადეთ თოვლი, თანაც ჩვენთან ერთად ჩამოსულ ფიზკულტურელებს ვუჩვენეთ თხილამურების ხმარების ტექნიკა.

რადგან საღამომდე კიდევ კარგა ხანი იყო დარჩენილი, გავუდექით გზას. თავდაპირველად ალაზნის მარჯვენა მხარეს მივყვებოდით, შემდეგ კი მარცხენა მხარეზე იყო საჭირო გადასვლა. დავიქირავეთ ურემი და საღამოს ექვსი საათისათვის ავედით ქისტების სოფ. ქორთა-ბუდეში. ჩვენმა მისვლამ დიდი სენსაცია გამოიწვია. ღამე იქვე, სათიაშვილის სახლში გავატარეთ, მეორე დღეს კი, 19 მარტს, ავიკიდეთ ზურგჩანთები, შევდექით თხილამურებზე და გავუდექით გზას.

თოვლი მოყინული იყო და თხილამურები ზედა ქერქს ვერ კვეთდა. მივყვებოდით ალაზნის ნაპირს. გზა არ ჩანდა, რადგან დიდი თოვლის გამო მიმოსვლა სოფლებს შორის შეწყვეტილი-

ყო. მხოლოდ ერთი კვალი მიდიოდა ალაზნის გასწვრივ და ჩვენც მას გავყევით. კვალი ხან ციცაბო კალთებზე ადიოდა, ხან მდინარის ნაპირს მისდევდა, ასე რომ, ალაგ-ალაგ თხილამურების მოხსნა გვიხდებოდა. ალაზნის ორივე ნაპირი მაღალი ტყითაა დაფარული, კალთები ძალიან ციცაბოა.

ჩხათანისწყლისა და ალაზნის შესართავთან მცირეოდენი შესვენების შემდეგ ჩხათანის ხეობას ავყევით, ამჟამად ნაქერალას ქედს ჩრდილოეთით მოვექეცით და მის კალთას გავყევით. თოვლის სიმაღლე მატულობდა. რამდენჯერმე წამოთოვა კიდეც. ჩვენი გზა მდინარის ხან ერთ, ხან მეორე ნაპირს მისდევდა და წამდაუწუმ წყალზე გადასვლა გვიხდებოდა. საღამოს 6 საათისათვის მივაღწიეთ სოფელ ხონჯოს, დავბინავდით ვისერგი ქუშტანაშვილის სახლში და დავიწყეთ სახვალიო სამზადისი. რამდენიმე ბიჭმა თავი გამოიდო, ტყის საზღვრამდე გამოგყვებითო. ყველა დაინტერესდა ჩვენი განზრახვით, თუმცა შეუძლებლად კი მიაჩნდათ. აქაურების რჩევით, ჩვენს მარშრუტში ცვლილება შევიტანეთ, მთავარ ქედზე ჩხათანის სერით კი აღარ წავედით, არამედ პირდაპირ ავუყევით პატარა სერს, რომელსაც ჭიქურს უწოდებენ. ეს მნიშვნელოვნად ამოკლებდა გზას.

20 მარტს ბურუსიანი დილა გათენდა. დავიძარით დილის 11 საათზე. ადგილობრივმა ბიჭებმა გაიკეთეს დაწნული თხილამურები და ისე გამოგვყვნენ. გავცდით სოფ. ხორჯოს, პირი ჩრდილოეთისაკენ ვიბრუნეთ. პირდაპირ ქედს მივადექით, სადაც თოვლი ალაგ-ალაგ მოყინული იყო და იმ ადგილებში შედარებით ადვილად მივდიოდით. მალე თხილამურებით სიარული შეუძლებელი გახდა. მე გავჯიუტდი და არ ვიხსნიდი, მაგრამ, როცა ჩამოვრჩი, იძულებული გავხდი თხილამუ-

რები მხარზე გამედო და სხვების ნაკვალევს გავყოლოდი. გავცდით ტყეს და დაასლოებით 2400 მ სიმაღლეზე დავდგით კარავი. გამოვეშვიდობეთ ჩვენს გამყოლ ბიჭებს. ისინი ქვეცით დაეშვნენ, ჩვენ კი ჩავკეტეთ კარვის კარები, ავანთეთ ჩვენი „მეტა“ (მშრალი სპირტის ღუმელი) და შევძვერით საძილე ტომრებში.

21 მარტს მზემ გამოანათა. თბილოდა. ღამე კარგად გაკატარეთ. საჭაროდ ავშალეთ ბანაკი და ქედს შევუდექით. მივყვებოდით სერს. მარჯვნივ და მარცხნივ ეშვება ციცაბო კალთები, ალაგ-ალაგ ამოშვერილი შავი კლდეებით წინ აღმართულია ქედი. უკვე რამდენიმე საათია რაც მივდივართ თოვლში, გზას კი დასასრული არ უჩანს. მზემ დაიცხუნა და დაიძრნენ ზვავები. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გაისმის ხმაური და ფერდობიდან ხეობისაკენ მიექანება თოვლის ნიაღვარი... მოსაღამოვდა, ქედის თავი ჯერ კიდევ შორს იყო. ციცაბო კალთაზე გავაკეთეთ პატარა მოედანი და გავშალეთ კარავი.

22 მარტს გზა თავიდანვე გაძნელდა, ფერდობი უფრო ციცაბო გახდა. თოვლი ზედ აღარ იდო, კლდეები გაშიშვლებულიყვნენ, სველ ციცაბო კლდეებზე სიარული სახიფათო იყო. ამოვიღეთ თოკი და ფრთხილად შევუდექით კლდეებზე ასვლას. რამდენჯერმე წამოთოვა და ჩამოწვა ნისლი. ის იყო ერთი დიდი კლდის ძირას ბანაკის გაშლას ვაპირებდით, როცა ოტა გამოიდარა და წინ წასულებმა დავინახეთ ქედის თავიდე მხოლოდ ასიოდე მეტრიღა დარჩენილიყო. ეს მანძილიც გავიარეთ და ქედის თავზე გავშალეთ კარავი.

23 მარტი. გუშინდელი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. დილით ისეთი ბურუსი ჩამოწვა, რომ კარვიდან არაფერი ჩან-

და, მხოლოდ საღამოხანს გამოიდარა. გავიკეთეთ თხილამურები და წავედით დასაზვერავად. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

24 მარტი. დილით ისეთი ქარი იყო, რომ მხოლოდ 12½ საათისათვის მოვახერხეთ ადგილიდან დაძვრა. ჯერ გადავიარეთ ჩვენ წინ აღმართული პატარა სერი, შემდეგ დავეშვით დაღმართზე, სადაც 80—100 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი იდო. გადავიარეთ პატარა ტაფობი (მდინარის სათავის ცირკი) და მივადექით ქედს. შეიძლებოდა ამ ქედის ირგვლივ შემოვლაც, მაგრამ, დროის დაზოგვის მიზნით, გადავწყვიტეთ პირდაპირ გადაგვეველო ქედზე. ამან საკმაო დრო წაგვართვა. ქედის თავზე ვნახეთ მაღალი ქვებისაგან აგებული ნიში. ასეთივე ნიშები იდგა მახლობელ ქედებზეც, რაც, ჩვენი აზრით, უღელტეხილისაკენ მიმავალი გზის მიმართულებას აჩვენებდა. ქედიდან ისევ ხეობაში დავეშვით. როდესაც ხეობის მეორე მხარეს გადავედით, უკან მოვიხედე, ჩვენი თხილამურებისაგან მოხაზული კვალი შავად მოჩანდა თეთრ კალთაზე და ვიფიქრე, რომ ეს აღმოსავლეთ კავკასიონის მთებზე პირველი კვალი იყო. უღელტეხილთან მივედით. ახლად მოსული თოვლი ალაგ-ალაგ ბევრი დაგროვილიყო და ერთ ადგილზე წინ მიმავალმა გოგი ბაქრაძემ პატარა ზვავიც კი გამოიწვია, თვითონაც თან გაჰყვა, მაგრამ თავი ადვილად შეიკავა.

25 მარტი. დილით ბურუსი ჩამოწოლილიყო, გვიან დავიძარით ბანაკიდან და ავედით ქედზე. ეს კი ნამდვილად წყალგამყოფი ხაზი, ე. ი. კავკასიონის მთავარი ქედი იყო. ხეობები ეშვებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ, ე. ი. სამხრეთით კახეთში და ჩრდილოეთით, პირიქით, ალაზნის ხეობისაკენ — მთათუშეთისაკენ. ბურუსი კიდევ უფრო გახშირდა და იძულე-

ბულნი ვაკსდით ადგილზე გაკჩერებულიყავით. 10- 15 ℃ მანძილზე თითქოს გამოდარება დაიწყო. ჩრდილოეთიდან მობერილი ქარი ზოგჯერ ფანტავდა ბურუსს და რამდენიმე ასეულ მეტრზე ახლობელ მწვერვალებს ვხედავდით. გავიარეთ ოთხასამდე მეტრი და დავდგით კარავი. გამოდარება დაიწყო. მალე ბურუსი სრულიად გაიფანტა და ირგვლივ ზღაპრული სანახაობა გადაიშალა. ჩვენ წინ თოვლის საბურველით დაფარული აღმოსავლეთ კავკასიონის ბუმბერაზები იდგნენ. დიდხანს გავცქეროდით ჩრდილოეთით ფერიულ სანახაობას. ნისლისაგან სრულიად განწმენდილნი იდგნენ პირიქითი ქედის გოლიათი ვაჟკაცები — კომოტო, დონო, პატარა ქაჩუ, პირჩიტის-გორი. დასავლეთით ჯერ კიდევ ნისლი იყო, მაგრამ ისიც თანდათან დაბლა ეშვებოდა. მალე ღრუბლების ზღვაში გამოჩნდა ამუღო და ტებულოს მთის კონუსი.

ჩვენ საყინოს-ღელის გადასავალზე ვიყავით. გვერდით აღიმართნენ მწვერვალები დიდი-გვერდი და შავი-კლდე. დიდხანს ვერ მოვაშორეთ თვალი ამ ზღაპრულ სანახაობას.

როგორც იქნა, სანატრელ გადასავალს მივაღწიეთ. თბილისში ყველაფერი შედარებით ადვილი და იოლი ჩანდა. აქ ამოსვლას ორ დღეში ვაპირებდით, მაგრამ, აი, უკვე მეექვსე ღამეს ვატარებთ აღმოსავლეთ კავკასიონის თოვლეთში და მხოლოდ საყინოს-ყელის უღელტეხილამდე მივედით. მშრალი სპირტი გუშინ გაგვითავდა, ასე რომ, უწყლოდ დავრჩით. თოვლის გასადნობი ცეცხლიც აღარ გვქონდა. გალატებით ვივახშმეთ.

26 მარტი. დავტოვეთ ჩვენი ადგილსამყოფელი და დაბლა დავეშვით, მაგრამ მალე კომპასის მიერ ნაჩვენები მიმართულება საეჭვო მოგვეჩვენა. სამხრეთისაკენ უხვევდა, ე. ი

ჩვენ ქედის ჩრდილოეთით კი აარა, ისევ სამხრეთით ვეშვებოდით. დიდხანს ვუსხედით რუკას, მაგრამ რუკაზე ასეთი პატარა ხეობები აღნიშნული არ იყო. დაღმართი საკმაოდ დამქანცველი იყო. ციცაბო და მოყინული თოვლით დაფარულ კალთებზე თხილამურები დიდი სიჩქარით მოცურავენ. მთის ფერდობი წამდაუწუმ იცვლება, თვალს ვერ აშორებ გზას. უსათვალოდ თოვლი თვალს ჭრის. სათვალით კი უსწორმასწორო ადგილები კარგად არ ჩანს, შუშებიც აღვილად იორთქლება, ხშირად გვიხდება გაჩერება და მათი გაწმენდა, მაგრამ ყველაზე მეტად ზურგჩანთა მაწუხებს, რომელიც აქეთ-იქით მოძრაობს და დაბლისაკენ მეწევა. ორივე ჯოხი ერთ მხარეს, ფერდობისაკენ, მიჭირავს. მაგრად ვაწვებოდა ფრთხილად ჩავდივარ. ტანიც ამ მხარეს მაქვს გადახრილი და ზურგჩანთაც აქეთკენ მძლევს. რამდენიმე საათის განმავლობაში ისე ვიყავი დაძაბული, რომ გარშემოც არ გამიხედავს. მაგრამ, აი, უკვე ხეობის ფსკერზე ვართ. ორივე მხარეს ისევ აღიმართა ქედების ფერდობები და ხანმოკლე შესვენების შემდეგ გავყევით ხეობას.

სიარული გაადვილდა და ამ მგზავრობის დროს პირველად ვიგრძენი ნამდვილი სიამოვნება თხილამურებით სიარულისაგან. ხეობის ორივე კალთიდან ბლომად იყო ჩამოწოლილი ზვავები. მალე დაბლა ხეობაში გამოჩნდა ტყე. დავწინაურდი. ტყის მოახლოებასთან ერთად თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ ხეობა სამხრეთისაკენ უხვევდა. სხვა გზა არ იყო, ტყეში უნდა ჩავსულიყავით და ბანაკი იქ გაგვემართა. ხეობა ძალიან შევიწროვდა. ნაზვავებს გზა გადაეღობა, შორიდან ისმოდა მდინარის შხუილი. მალე მივადექით ადგილს, სადაც ჩვენი ხეობა უერთდებოდა სხვა უფრო დიდ ხევს, რომელშიც წყა-

ლი მოჩუხჩუხებდა. აქ, პატარა ველზე, არყის ხეების ძირში გავმართეთ კარავი და ცეცხლი ავაგუგუნეთ, მოვხარშეთ საჭმელი და ცოტა მოვსულიერდით. გაღავწყვიტეთ, ხვალ ისევ გავყოლოდით ხეობას და საბოლოოდ გამოგვერკვია, შეცდომით მივდიოდით თუ არა და ისევ უღელტეხილზე დავბრუნებულიყავით.

27 მარტი. დავყევით ხეობას. ზვავისაგან გზა ათას ალაგას იყო გადაღობილი. შორს ჩანდა, რომ ჩვენი ხეობა უერთდებოდა სხვა დიდ ხეობას, მაგრამ რომელ მხარეს მიდიოდა, სამხრეთისაკენ თუ ჩრდილოეთისაკენ, ვერ გამოგვერკვია. როგორც იქნა საბოლოოდ დავადგინეთ, რომ ხეობა სამხრეთისაკენ მიდიოდა და კარგ ხასიათზე დავდექით. სხვა გზა არ იყო, უკან დავბრუნდით. გუშინ ასეთი სტუმართმოყვარე და მყუდრო ადგილი ახლა უცხოდ მეჩვენა. ჩვენი მდგომარეობა რთულდებოდა, რადგან, რაც დრო გადიოდა, მთათუშეთში გადასვლა სახიფათო ხდებოდა. მალე დაიწყებოდა გაზაფხულის ზვავები და შეიძლება 1—2 თვით ჩავკეტილიყავით მთათუშეთში. რჩებოდა კიდევ ერთი გამოსავალი, შედარებით ადვილად შეიძლებოდა ქალაქ გროზნოში გადასვლა, მაგრამ ესეც საკმაოდ მეტ დროს წაგვართმევდა და რასაკვირველია, ჩვენს საკონტროლო ვადას გადასცდებოდა (ჩვენი მარშრუტი 20 დღით იყო განზრახული და 7 აპრილისათვის უკვე თბილისში უნდა ვყოფილიყავით).

28 მარტი. დილით ბურუსი იყო, მაგრამ მაინც დავიძარით. გავცდით ტყის ზონას. დაიწყო ქარბუქი, სამასიოდე მეტრი კიდევ გავიარეთ და იძულებული გავხდით კარავი გაგვეშალა. ნამქერი სახეში გვეყრებოდა და კარვის დადგმა გვიძნელდებოდა. ერთი კლდის ძირში ვიპოვეთ შედარებით მყუდ-

რო ადგილი. ძალიან გავითოშეთ და საძილე ტომრებშიც კი დიდხანს ვერ დავიძინეთ.

29 მარტი. მთელი დღე კარავში ვიწექით. გარეთ ქარბუქია, ჩვენი კარავი თითქოს მთლიანად თოვლში ჩაიმარხა. გარეთ თოვს და თოვს. ქარბუქი ხან ძლიერდება, ხან წყდება და იმედი გვეძლევა, იქნებ ხვალისათვის გამოიداროს, მაგრამ ამის თქმაც ვერ მოვასწარით, რომ ქარი გაათკეცებული ძალით ეძგერა კარავს. თავის შესაქცევად ვაკერებდი ჩემს საძილე ტომარას, ვწერდი დღიურს. უბის წიგნაკში შემთხვევით აღმოჩნდა საავიაციო რეკორდების ცხრილი, რომელმაც ისე გაგვართო, რომ დრო შეუმჩნევლად გავიდა. დილით ვცადე ეზის დასაზვერავად წასვლა. ვაივაგლახით ჩავიცვი. გამოვედი გარეთ და უმალვე თოვლში ჩავიფალი, გავიარე რამდენიმე ათეული მეტრი და ორ ადგილას თოვლი ჩამოვაზვავე. იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავი.

30 მარტი. მთელი ღამე ქარბუქი ბობოქრობდა. ისმოდა ქუხილი. ქარბუქი დილითაც გრძელდებოდა. გარეთ გაძოსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მთელი დღე ვიწექით ტომრებში.

31 მარტი. დილით კვლავ ცუდი ამინდია. აქ დარჩენა შეუძლებელია, დრო მიდის, მთათუშეთში გადასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საჭიროა უკან დაბრუნება, მავრამ უკან დასაბრუნებელი გზაც საკმაოდ ძნელია და ბევრ დროს წაგვართმევს. თბილისში კი 7 აპრილისათვის აუცილებლად უნდა იცოდნენ ჩვენი ამბავი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოეწყობა საძიებო ექსპედიცია... მოკლედ, საჭიროა ადგილიდან დაძვრა. დიდი გაჭირვებით ვკეცავთ გაყინულ კარავს. სანამ კარავი დავკეცეთ და ზურგჩანთა მოვიკიდეთ, საკმაოდ გავითოშეთ.

ავდივართ ზევით, თითქოს ნაცნობი ადგილებია, მაგრამ რას გაარჩევ, ბურუსი ხან იფანტება და ირგვლივ რამდენიმე ას მეტრზე მოჩანს ფერდობი, ხან კვლავ ბურუსში გვხვევს. ბოლოს, სიარული იმდენად გაძნელდა, გადავწყვიტეთ კარვის გაშლა. სანამ დათა და ვოგი კარვისთვის ადგილს ამზადებდნენ. მე უჩანთოდ ავიარე პატარა ქედი. ამ დროს ბურუსი გაიფანტა და ჩემ წინ გამოჩნდა ნაცნობი ტაფობი და სერი, სადაც ღამე გავატარეთ ამ რამდენიმე დღის წინ. გახარებულ: დავეშვი ამხანაგებისაკენ. ნისლი კვლავ ჩამოწვა. ბურუსმა მოიცვა მიდამო, მაგრამ რადგან გზა გაკვალული იყო, ადვილად ვიკვლევდით მიმართულებას. საღამომდე ვიარეთ ბურუსში. როგორც იქნა, სერი გადავიარეთ და ისევ იმ ადგილს მივაღწიეთ, სადაც პირველი ღამე გავატარეთ — მაღლა სერზე. გაყინული კარავი ძლივს გავშალეთ, სველი და გაყინული საძილე ტომრებიც ცუდ ღამეს გვიქადდნენ, მაგრამ რას იზამ. ხვალ თუ კარგი ამინდი იქნება, შეიძლება ერთ დღეში ჩავიაროთ ქედი და საღამოთი უკვე ჩვენს ნაცნობ ხორჯოში ჩავიდეთ.

1 ა პ რ ი ლ ი. გამოდარებას საშველი არ დაადგა. დიდი გაჭირვებით ჩავიცვით გაყინული ფეხსაცმელები, დავკეცეთ გაქვავებული კარავი და დავეშვით ხორჯოსაკენ. ისეთი სიცივე იყო, მთელი ღამე არ მძინებია. კარავში გატარებული უკანასკნელი, მეთორმეტე ღამე, ალბათ, სამივეს დიდხანს დაგვრჩება მეხსიერებაში.

ზურგჩანთა ძალიან დამძიმდა. შიგ ყველაფერი სველი და გაყინულია. თანაც დაღმართზე თხილამურით სიარული შეუძლებელია, ციცაბო კალთებზე ახლად დაუთოვია. თხილამურიც ზურგჩანთაზე დავაკარი და ფრთხილად გავუდექი გზას.

ქედ-ქედ ამოვედით. მაგრამ დაღმართზე ქედ-ქედ სიარული სახიფათო იყო. ახლად მოსული თოვლი ადვილად ზვავდებოდა. გადავწყვიტე ჩავსულიყავი ქედის მეზობელ საკმაოდ ღრმა ხევში და მისი გაყოლებით მევლო. მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. თანამგზავრები უკან მოვიტოვე. დავყევი საკმაოდ ციცაბო ღარს, რომელიც მალე დავიწროვდა და ისეთი ციცაბო გახდა, რომ სათხილამურო ფეხსაცმელებით (უტრიკონებით) სიარული სახიფათო იყო. ზევიდანვე შევნიშნე, რომ ეს ღარი ქვევით უერთდებოდა მეორე უფრო დამრეც ღარს, რომელსაც ერთი კლდე მაშორებდა. გადავწყვიტე იქით გადაბრომა. სულ რამდენიმე ნაბიჯი მქონდა გადადგმული, როდესაც ზურგჩანთაზე დაკრული თხილამურები წამოედო კლდეს, ფეხი დამისხლტდა და ქვევით დავეშვი.

ვცდილობდი თავი როგორმე შემეკავებინა, მაგრამ მაინც გადმოვვარდი კლდიდან, დავეცი თოვლში და თანდათან უფრო მეტი სიჩქარით დავეშვი ქვევით. თხილამურები გზაში დავკარგე. ცოტა ქვევით ზურგჩანთით კლდეს წამოვედე, ზურგჩანთა მომძვრა. რამდენჯერმე გადავტრიალდი ყირამალა, ხელები თავზე დავიფარე და ქვევით დავეშვი. უცებ ვიგრძენი, სიჩქარემ იკლო, მოვიშორე ხელები თავიდან, გავახილე თვალები— ფართო და დამრეც ხევში ღრმა თოვლში ვიწექი. ზევით ავიხედე და დავინახე, რომ ზურგჩანთა დაახლოებით ჩემგან ას მეტრზე გაჩხერილიყო, მის ზევით კი მოჩანდა ორი ღარის შეერთების ადგილი და კლდე, რომლიდანაც გადმოვვარდი. ავფორთხდი ზევით, შევკრიბე გაბნეული ნივთები. შემეშინდა, ვაითუ თანამგზავრები გამოყვნენ ჩემს კვალს და იგივე დაემართოთ-მეთქი. კარგი, მე გადავრჩი, მაგრამ ხომ შეიძლება, რომელიმე მათგანს ხიფათი შეემთხვას. სწორედ ამ

დროს ბურუსი ჩამოწვა. ავდიოდი ზევით და თან ვყვიროდი. მალე ზევიდან საპასუხო ხმები ჩემომესმა. როგორც იქნა, შევუერთდი მათ. ისინი ჩამოყოლიან ჩემს კვალს და იმ ადგილას, სადაც ნაფეხურები წყდებოდა, გადაეწყვიტათ ჩემი მოცდა. შევიბი თოკი, გავიკეთე წრიაპები, ჩავარჭე წერაყინი და ყველა ალპინისტური წესების დაცვით დავიწყე თოკით ჩასვლა დაწყეულილ ღარში. გავდიე მას.

თავგადასავალმა, რომელიც, საბედნიეროდ, კარგად დასრულდა, ცოტა დაგვაყოვნა, საჭირო იყო დროის მოგება და ჩვენც აჩქარებული ნაბიჯით დავყევით ხევს. ღრმა თოვლში სიარული გვიძნელდებოდა, თანაც ხევში გახშირდა ჩანჩქერები და მათი შემოვლა, ან კლდეებზე ჩასვლა, საკმაო დროს გვართმევდა. წამოთოვა, მაგრამ ჩვენ უკვე ტყეში ვიყავით შესული. რამდენიმე ადგილას დავინახე გადაკაფული ხე. უფრო ქვევით წავაწყდით მიტოვებულ ჩარხს. ცხადია. სოფელი ახლო უნდა ყოფილიყო. ბინდდებოდა, როცა ჩხათანისწყლის ხეობაში გავედით. ფერდობებზე თოვლი ჩამომდნარიყო და ტყე შავად გამოიყურებოდა. მიდამოს სახე ეცვალა და უცნობად მეჩვენა. მალე გადავიარეთ პატარა ხევი და ხორჯოს მივუახლოვდით.

ხორჯოში დავბინავდით ჩვენი ძველი მასპინძლის ვისერგი ქუშტანაშვილის სახლში. სანამ სველი ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და ცეცხლთან ვთბებოდით, თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა. ჩვენს ამბავს სულგანაბული ისმენდნენ. ბავშვებმა დაიტაცეს და გასაშრობად წაიღეს ჩვენი ტანსაცმელი.

2 ა პ რ ი ლ ს ჩავედით ჯოყოლოში, ღამე დუის-სოფელში გავათიეთ.

პანკისის ხეობაში უკვე ყვაოდა შინდი.

დასრულდა ჩვენი მოგზაურობა აღმოსავლეთ კავკასიონის თოვლეთში. ზამთარი, თოვლი, სიცივე უკან დარჩა.

3 აპრილს ღამით მატარებელი უკვე მოგვაქროლებდა თბილისისაკენ, გაზაფხულისაკენ[1].

---

[1] ექსპედიციაში მონაწილეობდნენ გიორგი ბაქრაძე, დავით ფურცელაძე და ავტორი.

წაკვალევი თოვლზე

„კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოეთ უძეს კავკასი, შაეი ზღვიდან ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სისქე ყინულისა არის 20, 30 მხარი და ქამსა ზაფხულისასა განსქდების, და თუ შთაუ[illegible] კაცი, მცირე ქამს ვერ ძალუძს დათმენად სიცივისა და ქვეშე მისსა დის მდინარენი, და არს ყინული მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე სიძველისა გამო, ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მავალნი“.

ვახუშტი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

წვიმა და ზღაპარი

ნისლი მოსდებია მთებს.

ასეთივე ნისლიანი და დაბურული იყო ამ ზაფხულის მთელი მოგზაურობა.

ახლაც ნისლი შემოხვევია მწვერვალებს. სისხამი დილაა. შეიძლება გამოიდაროს, ჩვენც სხვა არაფერი გვინდა რა — მხოლოდ დარი, კარგი დარი და კარგი ამინდი.

ღებში ვუცდიდით ალიოშას.

ლურჯაიენიანი სახლიდან მთელი ღები ჩანს — გაღმა და გამოღმა.

გაღმა — შოდა და მთელი შოდა-კედელას ქედი მთავარი კავკასიონის პარალელურადაა გაწოლილი და ბუბის ქედით მთაგრეხილს უერთდება.

ჩვენი გზა რიონს მიყვება სათავისაკენ; სათავესთან გადავივლით რიონისა და ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედს და გადავალთ ლაფურში, აქედან ავალთ მაჩხაფარის უღელტეხილზე: შემდეგ... მაგრამ შარშან ჩვენი მოგზაურობა სწორედ აქ დამთავრდა. თოვლმა, ქარბუქმა, ნამქერმა ოთხი დღით მიგვაჯაჭვა მაჩხაფარის უღელტეხილს, შემდეგ კი გამოგვაბრუნა უკან და იმავე გზით გავსწიეთ თბილისისაკენ.

არ შევეპუეთ. წელს კვლავ მივყვებით ნაცნობ ბილიკებს და კვლავ ვესწრაფით საწადელის შესრულებას.

ლურჯაივნიანი სახლიდან მოჩანს შოდას თოვლიანი მწვერვალი, მაგრამ მწვერვალზე აღარ ვფიქრობ — წინ ხომ იმდენია, თან როგორი მწვერვალები!

მთამსვლელობა სპორტთან და მთაში პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ერთგვარი ავადმყოფობაა, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. აბა, ელაპარაკეთ რომელიმე ალპინისტს მწვერვალების შესახებ, შეეცილეთ ოდნავ და ჩემი ეს მტკიცება თქვენთვის უდავო გახდება.

წვიმიან დღეს გავედით ღებიდან. წინწკლავდა. დელგმამაკ დიდხანს არ გვალოდინა. კოკისპირულად დასცხო. ალექსანდრამ თავზე „გაზგოლდენის" ვერცხლისფერი კარავი გადიფარა. ცხენიანად გაეხვია შიგ. ომში მიმავალ ჯვაროსანს დაემსგავსა. ალიოშა კი ნაომარ ჯვაროსანს წააგავდა. ამ შედარებებმა გამიყოლია, ოდნავ დამავიწყა უამინდობა, მაგრამ მალე ჩემმა უბადრუკმა მდგომარეობამ გადამავიწყა ყველაფერი.

ლევანი წინ წავიდა. ქვეითად გაჰყვა „ჯორუკებს". ეს მისი

სურვილი იყო. იმ წუთში იგი სრულიად უმართებულოდ შეშებრალა. უმართებულოდ, რადგან ჩვენ, ცხენოსნები, უფრო საბრალონი ვიყავით — ის სიარულში მაინც თბებოდა.

წვიმა გამუდმებით, დაჟინებით, რაღაც უცნაურად და ახირებულად იცვლიდა ნირს: ხან მოუხშირებდა, ხან ცოტას შეეკასვენებდა: ბოლოს, ისე დაუშვა, რომ გამოდარების იმედი დავკარგეთ.

სწორედ მაშინ, როდესაც გადავწყვიტე არასოდეს გადაღებს-მეთქი, სრულიად მოულოდნელად გამოიდარა და ცაში რაღაც აურზაური და ჩოჩქოლი ატყდა. „ცამ გადიბანა პირიდან მური ნაცხები ღრუბლისა“. შავი მოღუშული ღრუბლები აქეთ-იქით გაიფანტა და მალე პირდაბანილი, საზეიმოდ მორთული ცა თავს დაგვადგა. მართლაცდა ღირდა პირის დაბანა!

ირგვლივ შემოდგომის ტყე იყო. ის ტყე კი არა შემოდგომის ათას დაბინდულ, მქრქალ, მწუხრის ფერებით რომ არის შეღებილი. არა, ზაფხულის მიწურულის, ოდნავ შემოდგომის ფერები რომ შეჰპარვია, მაგრამ ჯერ მაინც არ კარგავს თავის ახალგაზრდულ იერსა და ფერებს.

ჩვენ წინ იყო ზაფხულის მიწურულის ტყე, მოკრიალებული, საზეიმოდ მორთული ცა და საზეიმოდ მიყუჩებული და განათებული ბუნება.

ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. თითქოს ქვესკნელიდან ისევ წამოიშალნენ ღრუბლები, ცა მოიღუშა და დაკვიდრდა ღრუბლიანი დღის მწუხრის დარბაისლური სიჩუმე, წვიმის მოლოდინს რომ ბადებს ადამიანში. თუმცა ადამიანებზე უფრო ჩვენს ცხენებსა და „ჯორუკებს“ აწუხებდა ეს მოლოდინი და მათაც მოუჩქარეს.

რიონი ჩვენს გვერდზეა — მარცხნივ, მაგრამ იგი არ ბორ-

გავს და არ ღრიალებს, არც ნაპირებს ებრძვის; სათავის ახლო ანცსა და მოუსვენარ ტალღებს ათამაშებს და ნაპირებს მხიარულად ეტყლაშუნება. რიონის მარჯვენა ნაპირი, რომელსაც ჩვენ მივყვებით, სათავესთან ივაკებს და იშლება. საკვირველად გავაკებულ გორაკებზე სამი შენობაა. ირგვლივ არც ეოთი სწორი ხაზი — მთები, ტყე, რიონი, გორაკები, უსწორმასწორო, ტეხილი და უკანონზომიერო ხაზებითა და სიბრტყეებითაა აგებული და უცებ—გეომეტრიულად სწორი ნაკვთები მეცხოველეობის ფერმის ქვის კორპუსებისა.

თუმცა ქოხში, რომელსაც ჩვენ შევაფარეთ თავი, არაფერი იყო სწორი და გეომეტრიული.

შემოდგომაა. დღეს ხომ სექტემბრის თერამეტია, მაგრამ ფერმის მცხოვრებნი — ღების კოლმეურნეობის მეცხოველეები — ჯერ კიდევ საზაფხულო სადგომებში, მთაში, არიან გახიზნულნი.

ბებერ დარაჯს მასპინძლობა არავინ დააცალა. ჩვენი მხლებელნი, „ჯორუკების“ პატრონები — ალექსი ლობჟანიძე და ნესტორ გავაშელი, თითქოს საკუთარ სახლში დაბრუნდნენო, ისე მოირთხეს ფეხი და შინაურულად განლაგდნენ გაჭვარტლულ და გაბოლილ ფიცრულში.

გარეთ წვიმს. ნისლია. მოგიზგიზე ცეცხლის პირას ალექსი გემრიელად აბოლებს ჩიბუხს.

ვიშრობ სველ ტანსაცმელს და ვფიქრობ: ასეთ განწყობილებასა და გარემოში ზღაპარი უნდა დაიბადოს.

ალექსიმაც დიდხანს არ გვალოდინა—„თამარიანის“ სტრიქონები, წიგნში რომ წამიკითხავს, თურმე სულ არ მცოდნია. იქ, წიგნში ტაეპებად დალაგებული, მწყობრი, გასაგები, ლაზათიანი ლექსი, საინტერესო და გულისხმიერი ამბავი იყო

მაგრამ „თამარიანი“ სულ სხვა ყოფილა. ალექსის ოდნავ ჩახრინწულ ხმაში ზღაპრის მთქმელისა და ხალხური სიტყვის ნაბდვილი მესაიდუმლის ინტონაცია ჟღერდა. აუჩქარებლად და ნარნარად მოშხუის, მოჩხრიალებს ამბად ქცეული ლექსი. ალექსი ლექსს კი არ ამბობს, სურათებს გვიხატავს თვალწინ.

კვამლით სავსე ფიცრულში, წვიმის აკომპანიმენტზე კითხულობს ალექსი „თამარიანს“ და აუჩქარებლად ყვება ამბებს.

ზოგჯერ დასტურისათვის ნესტორს მიმართავს (ნესტორი ღებული ფართოკიდეებიანი ქუდით, ჩამოშვებული ულვაშებითა და ეშმაკური ღიმილით მექსიკელს მაგონებს).

უცნაურია — ყველას გვჯერა, არავის ეჭვი არ ებადება, მაგრამ ალექსი წყვეტს ამბავს და შეხედავს ნესტორს — ნესტორი კვერს უკრავს:

— ასე იყო სწორედ, სწორეა...

და ყველას გვჯერა, რომ საჭირო იყო დასტური.

ალექსი გვიამბობს უბრალო, მარტივ ამბავს — რაჭველი გლეხის ბედის დახლართულ და უკუღმართ გზაზე, ეს გზა მათ ორივემ ერთად გაიარა. იგი დაიწყო ოცდახუთი წლის წინათ გაპარტახებულ რაჭულ სოფელში. ბედისა და ლუკმაპურის საშოვად ამერიკაში ამოჰყვეს თავი. ზღაპარივით გაიარა მათ თვალწინ უცხო და გაუგებარმა ცხოვრებამ.

ჩიკაგო, ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, შორეული ოკეანეები, იაპონია — მხოლოდ ახლაა ზღაპრული მოგონება: იგივე შრომა, დღეების უფერული ცვლა და მხოლოდ უცნაურ ამბებადაა ჩაქსოვილი შიგ უცხო სანახაობანი.

— ბევრი ქალაქი ვნახე, მარა ჩიკაგოსთანა ლამაზი, იშვიათია.

— თბილისი? — ვეკითხები, — თბილისი?

— თბილისი ჯერ არ მინახავს.

უცნაურ დისონანსად ისმის რიონის სათავეში ხნიერი რაჭველი გლეხის პირით წარმოთქმული ინგლისური სიტყვები. უცნაურად მეჩვენება მისი ნაამბობი შორეული ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებიდან. ალბათ, ასე უცნაურადვე დაამახსოვრდება ყველა ჩვენგანს ეს წვიმიანი ღამე რიონის სათავეში.

ცხენისწყლის სათავეში

ნელ-ნელა აიხადა ნისლის ფარდა. დღე მრავალ სურათადაა დაყოფილი. ხან ჟინჟღლავს, ხან იდარებს. იცვლება ფერები, განათება, თვით გარემოც ხან მხიარულად შემოგვცინის, ხან გვეღუშება და ხალისს გვიკარგავს.

აღმართი ვაციწვერის გადასავალისაკენ. გამოხშირული ტყე, სათიბები, ზევით მიმავალი ბილიკი-გზა. გზა მთაში. ყველაფერი ეს ბარის კაცისათვის მეტისმეტად მიმზიდველია და მასში იწვევს განცვიფრებისა და სიხარულის გრძნობას. ხშირად მთის ხრიოკებში მავალი რომ წააწყდები ოდნავ დამჩნეულ ბილიკს, იგრძნობ რაღაც გაურკვეველ სიამოვნებას. იცი აქ ვიღაცას გაუვლია, ამოსულა ნისლით დაფარული ხეობიდან და კვლავ სადღაც გადაკარგულა ამ გზით.

სულ სხვაა ბარის შარაგზები, სადაც ათასობით ადამიანი მიდი-მოდის ყოველდღე და სულ სხვაა ეს წაშლილი და ალაგ-ალაგ ბექობებზე ქვაზვინებით დამჩნეული გზა-ბილიკი.

ათასი ადამიანის ხელით მოასფალტებული შარაგზებისაგან განსხვავებით, აქ ჩანს სიყვარული და ყურადღება, სხვა

მგზავრზე ფიქრი და ზრუნვა. ოდესღაც ვიღაცას გადაუვლია ეს უცნობი ქედები, უფიქრია სხვებზე, აღუმართავს ქედებ'ზე ქვის სვეტები. უნებლიეთ შენც მიიტან რამდენიმე ქვას დანგრეული ნიშის შესაკეთებლად. ზოგან არც გზა ჩანს, არც ნაკვალევი, მაგრამ გზის გაკვლევის უცნაური ალღო უჩნდება მთაში მავალს. მზრუნველი ხელით ნაგებმა ნიშებმა ბევრჯერ გამიყვანა სამშვიდობოს.

ახლაც მივდივართ ზევით, უღელტეხილისაკენ. ჩვენ სამნი ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები და მე შარშან ვიყავით აქ, სწორედ ასე გავცქეროდით ლაფურ-ცხენისწყლის სათავეს: იქ, ქვევით, გადმოსჩქეფს ცხენისწყალი ყინულად ქცეული მაჩხაფარის მყინვარიდან. მაგრამ ლაფური სულ სხვაა წელს. შარშან თითქმის ერთი თვით უფრო გვიან ვიყავით. დაუვიწყარია შარშანდელი შემოდგომის ფერთა სიმფონია. ჩაღი და ჟღალი წითელი, ყვითელი და მწვანე ფერების სხვადასხვა ელფერი. მოშავო-მწვანე დეკას ჩარჩოებში სისხლისფერი წითელი და ნარინჯისფერი უცნაური მოხაზულობის ლაქები. მიმქრალი შემოდგომის ყვითელ ფერდობზე მოულოდნელი და გაბედული წითელი ქსოვილები. შემოდგომის ბუნების უკანასკნელი აფერადების აჟღერებული და გაცოცხლებული სიმფონია.

ახლა კი ლაფურში ადრინდელი შემოდგომაა და ოდნავ შეპარვია სიმწვანეს სიყვითლე.

მე სხვა დროსაც მინახავს ცხენისწყლის სათავე, როცა ოთვლს დაეფარა ყველაფერი და ნაცნობი გარემო უცხო, ცივი და მიუკარებელი გამხდარა. ახლა კი ჩვენ წინ მწვანე ველები იშლება, მიისწრაფვის ქვევით ვერცხლისფერი შფოთიანი ცხენისწყალი, მიისწრაფვის ქვევით, სადადიანო სვანეთისაკენ,

რათა გაევაკნა. გაშლილიყო, რაც შეიძლება მალე გაყროდა სათავესთან განშორებულ რიონს და შორს, ორპირთან კვლავ ჩახუტებოდა ამდენი ხნის უნახავსა და განშორებულს, ერთად ქცეულიყო.

რიონისა და ცხენისწყლის სათავეში ვიდექით. ეს სათავე ჩვენი გზის დასაწყისიც იყო, შარშანაც აქედან გვინდოდა დაგვეწყო სვლა, გზა ქედის წვერიწვერ, კავკასიონის ქედის ბუმბერაზთა კალთებისაკენ.

ისევ დავუბრუნდით ამ ადგილებს. გავცქერით და ყველა თავისთვის ფიქრობს. ალიოშა ჯიუტად და უნდობლად შესცქერის ფასის მთის ფერდობს. სიჯიუტეც და უნდობლობაც ალიოშას ხასიათის ყველა ხაზის სათავეა. სიჯიუტისა და უნდობლობის გარეშე წარმოუდგენელია მისი ყოველი საქციელი. მაგრამ სიჯიუტე სძლევს უნდობლობას და თუ ალიოშა ენდო რამეს — მაშინ მხოლოდ სიჯიუტე რჩება.

ნისლის ფარდა კიდევ ერთხელ აიხადა (კიდევ ერთხელ, ისევე როგორც ბევრჯერ იმ დღის განმავლობაში) და „ჯორუკების“ პატრონების ყვირილთან და შეძახილებთან ერთად გაჩნდა ლევანიც.

ყოველთვის მაოცებს მისი მთამსელელობა. შევხედავ ამ უშველებელ კაცს და მიკვირს: არც ისე დიდი და უშველებელია, მაგრამ შთაბეჭდილება ძალიან დიდი, ჯანსაღი და ძალამოჭარბებული ადამიანისა გრჩება. ხალისიანად იყურება და ხელს ისვამს გაწკიპულ და მისთვის სრულიად უჩვეულო, ნამდვილ იმერულ ულვაშებზე.

წინ დაღმართია. ცხენებს უკან ვაბრუნებთ. ჩვენ კი ვეშვებით ლაფურისაკენ და ცხენისწყლის პირას ვშლით კარვებს.

მე და ალექსი მივდივართ ზევით, ფერდობზე შეფენილი

ცხვრის ფარისაკენ. ძაღლების გაშმაგებულ ყეფაზე გამოდის ბალყარელი, აუჩქარებელი და დარბაისელი. საუბარს ალექსი წარმართავს. ბალყარული ენის კარგი მცოდნე. საქმე, რომელიც უბრალო და ადვილი მოსაგვარებელი მეგონა, მეტად რთული აღმოჩნდა. ჩემს დაჩქარებაზე ალექსისაგან მხოლოდ მწყრალი შემოხედვა მერგო. გავწიეთ ტოტებით მორაგული ფაცხისაკენ, შემოვუსხედით ჩამქრალ კერას და ბალყარული ურთიერთობის და ყოველგვარი საუბრის საწყისიდან დავიწყეთ: მასპინძელმა ჩამოგვისხა ხის კათხებში აირანი, შევსვით და ერთმანეთი მოვიკითხეთ, ლოყმანის ძახილზე (ასე ერქვა ბალყარელს) ბებერმა ბალყარელმაც მიიღო საუბარში მონაწილეობა. ალექსის მჭევრმეტყველებას ბოლო აღარ უჩანდა. კარგა ხანი გავიდა, სანამ ფარასა და ცხვარზე ჩამოვაგდეთ სიტყვა და ჩვენი აქ მოსვლის მიზეზს დავუახლოვდით. ჩემმა ჩარევამ დააჩქარა გადამწყვეტი მომენტის მოახლოება. ყველანი გარეთ გავედით და ფარას შევერიეთ. ლოყმანი იჭერდა ცხვრებს, უკანა ფეხით მოათრევდა ჩვენკენ; ალექსი დიდხანს და მცოდნესავით სინჯავდა, აიყვანდა ხელში წონის გასაგებად, ისევ დაუშვებდა. რამდენიმე ცხვრის გასინჯვის შემდეგ შეევაჭრა, თანაც დაავლო ხელი იქვე მდგომ ჭედილას, რომელიც მანამდე არც დაუნახავს. ყოველივე ეს ისე მოხეოხებულად და სერიოზულად გააკეთა, ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ამ ჭედილას ყიდვა საჭირო და აუცილებელი იყო. სულ ოციოდე წუთში მოთავდა ვაჭრობაც. ამ ხნის განმავლობაში ალექსის განკარგულებით ორჯერ გამოვხატე სახეზე უკმაყოფილება და დავეშვი ქვევით. ორჯერვე მისმა შეძახილმა შემაჩერა. ბოლოს, მისივე განკარგულებით ჩავუთვალე ლოყმანს ცამეტი თუმანი. ალექსი უმოწყალოდ მოათრევდა ქვევით სა-

ცოდავ ჭედილას, რომელიც ბარდსა და ბუჩქებს ედებოდა დ. ჯიუტობდა.

ბანაკში დაბინდებისას ჩავედით. ჩვენებს უკვე ცეცხლი გაეჩაღებიხათ. მალე მთლად ჩამოღამდა. მოვიდა ბებერი ბალყარელი და მოგვიტანა ცხვრის დასამზადებლად საჭირო ხელსაწყო. თვითონ ისევ სიბნელეს შეერია.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, როდესაც კარვებში მივძვრებოდით, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ ღილით კარგი ამინდი იქნებოდა.

კარვის ქსოვილში ატანდა ვარსკვლავების ციალი. მოწყვეტილმა ვარსკვლავმა გადასერა ცა. შორს აყეფებულმა ლოგმანის ძაღლებმა გვამცნეს ადამიანების სიახლოვე. ცხენისწყლის ხმაურს მოეცვა ყოველივე, მაგრამ მას ისე შეეჩვია ყური, იმდენად საჭირო, ჰარმონიული და შეხამებული იყო იგი გარემოსთან, რომ აღარც კი გვესმოდა. ამიტომ ხშირად მთის სურათი მისთვის, ვისაც არასოდეს უნახავს იგი, მკვდარია და მოკლებული ყოველგვარ შინაარსს. აქ სურათს მარტო თვალები კი არ აღიქვამენ: მდინარის ხმაური ახალ საღებავებს მატებს ფერებით დახატულ ფერდობებს და თვით ჰაერიც ისე შემოტმასნია ირგვლივ, თითქოს ისიც ცოცხალია და ფრთებს ასხამს ამ წარმტაც და განუმეორებელ სანახაობას.

მარილი მაჩხაფარის უღელტეხილზე

„იჟიჟრიბანდა ცისკარმა, ბინდი დგებოდა დილისა“ და დღეს, ისევე როგორც ერთი თვის წინათ, ჩვენ ისევ ვიწყებთ დახლართული და თითქმის მოშლილი ბილიკით მაჩხაფარის ანუ შარი-ვცეკის უღელტეხილისაკენ მსვლელობას. აქედან

უნდა დაწყებულიყო შარშან ჩვენი მოგზაურობა დასავლეთი-საკენ, კავკასიონის ბუმბერაზთა წვერიწვერ, მაგრამ სუსხიანმა და სტუმართმოძულე უღელტეხილმა სამი დღით შეგვიკრა გზა ქარბუქითა და ბურუსით და მეოთხე დღეს უკან გამოგვისტუმრა.

დღეს, ერთი წლის შემდეგ, ისევ შევეცადეთ ამ „წყეული ალაგის“ გადალახვას.

ნათელმა და მზიანმა დილამ გაგვახალისა. ძალაშემატებულნი შევუდექით აღმართს, მაგრამ რაც უფრო მაღლა აღდიოდით, მით უფრო იჭმუხნიდა ცა ღრუბლებს, ნელ-ნელა აიშალა ხეობიდან ნისლი — მრუში და უიმედო. უღელტეხილთან მიახლოებისას პირქუში და ბოროტი ქარი მოურიდებლად გამოვარდა ქედგადაღმიდან, აიტაცა თოვლის კორიანტელი და მას აქეთ აღარ ჩამდგარა, სული არ მოუთქვამს. ქროდა გამუდმებით და შეუსვენებლივ. ზოგჯერ თითქოს წყნარდებოდა, მაგრამ კვლავ ისეთი გააფთრებული და გაბოროტებული მოედებოდა მიდამოს, გეგონებოდათ მთელი ქვეყნის დაქცევას ლამობსო. წამოვიდა თოვლ-ჭყაპი, ქარისაგან ატაცებულმა თოვლის ფანტელებმა შებურეს მიდამო. გადავიარეთ ქედი და გავუსწორდით იმ ადგილს, სადაც შარშან კარვები გვედგა. აი, პატარა ზეკარიც, რომლის გადავლას ქარის გამეხებული იერიშები მოსდევს. აქ კი, პატარა უღელტეხილის გადაღმა, თოვლით დაფარულ მყინვარსა და უთოვლო ფერდობს შუა შედარებით სიწყნარე სუფევდა. გაწამებულმა „ჯორუკებმა“ ძლივს იგრძნეს შვება, პატრონებმა საჩქაროდ გადმოიღეს ჩვენი ჩანთები და ისევ ლაფურისაკენ დაეშვნენ. ოთხნი დავრჩით მძვინვარე ქარბუქში. იქვე, რამდენიმე მეტრით ზევით, მოვნახეთ მყუდრო ადგილი და გავშალეთ ჩვენი კარვები. ალიოშამ და ალექ-

სანდრამ — ჰიმალაის კარავი, მე და ლევანმა — „შუსტერის ტიპის“ კარავი. არ ვიცი, ვინ იყო ეს შუსტერი, მაგრამ იმ საღამოს და ღამეს, სანამ დაღლილებს ძილი მოგვერეოდა, ამ კარვის გამომგონებელს მრავალი წყევლა-კრულვა გავუგზავნეთ — კარავში უსაშველოდ ჩამოდიოდა წყალი. ასე გავატარეთ ოცი სექტემბერი და დაიწყო ჩვენი ხაძალადევი სტუმრობა მაჩხაფარის უღელტეხილზე.

ვერც მეორე დღეს და ვერც იმ კვირას ვერ გავცდი, უღელტეხილს.

ვერ გავიგე როდის გათენდა — მთელ დღეს ქროდა ქარი, თოვდა. ამ უნიათო ამინდმა მთლად მოგვისპო გამოდარების იმედი. მთელი დღე კარავში ვიწექით და ბედს ვემდუროდით... მესამე დილით, როდესაც თითქმის საიმედოდ გამოანათა და ნამდვილად გამოდარებას აპირებდა, ავყევით დასავლეთისაკენ გაჭიმულ ქედს და მწვერვალ მაჩხაფარს მოვექეცით თავზე. პირველად აქედან დავინახეთ გზა, რომლის გავლასაც მეორე წელია ვლამობდით. ყინულეთის ველები გაიშალა ჩვენ წინ - ჩრდილოეთისაკენ დაქანებული. ეს აღაშთანის მყინვარის აუზი იყო, სამხრეთიდან მწვერვალებით გარშემოზღუდული. მწვერვალთა რიგი (რუკაზე — წერტილების მცირე ხაზი) გამწკრივებულიყო დასავლეთისაკენ და არც ერთ მათგანს არ ჰქონდა სახელი. ხოლო დასავლეთით ელავდა წურუნგალა, აილამის კონტურს იქით თეთრ კედლად იდგა შხარა. მარჯვნივ, ბალყარეთისაკენ, ცის დასალიერზე მოჩვენებითად კიაფობდნენ შორეული დიხ-თაუ, მიჟირგი და ყოშთან-თაუ; ხოლო სულ ახლოს ჩვენგან კოშკებივით აღმართულიყვნენ გიულჩი და სუგანი. თითქოსდა საალლუმოდ დაწყობილიყვნენ მწვერვალები ჩვენ წინაშე. მაგრამ აღლუმი მალე გათავდა, ნისლის

ფარდამ დაფარა ეს თვალწარმტაცი სანახაობა და ჩვენც, რო-
გორც სპექტაკლის შემდეგ, დავტოვეთ მწვერვალი და ბანაკ-
საკენ დავეშვით. ბანაკში ჩასვლა და ნისლის გადაყრა ერთ-
იყო. დაღამებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო და ჩვენც იქვე-
ცხენისწყლის სათავეში აღმართულ ორი პატარა მწვერვალისა-
კენ გავეშურეთ, გადავლახეთ ისინი და გამხნევებულნი კვლავ
მწვერვალ მაჩხაფარის აღმართს შევუდექით.

რამდენიმე ხნის წინ დაწყებული სანასაობის მხოლოდ უკა-
ნასკნელ მოქმედებას მოვუსწარით. მზე ჩადიოდა, ვარდისფერ,
ყვითელ და წითელ ფერთა ციალი დათამაშობდა მწვერვალთა
კენწეროებს. ყოველ წუთს იცვლებოდა ეს ზღაპრული სანახა-
ობა, თანდათან უფრო შესანიშნავი და ზღაპრული ხდებოდა.

ამბობენ, შორეული ჩინეთის ველებიდან ჩანს ტიან-შან-ს
მწვერვალი ხან-თენგრი. როდესაც დაბლობში მზე ჩაესვენება,
დაბნელებულ ცაში ჯერ კიდევ დიდხანს წითლად ღვივის და
ლალივით ელავსო ტიან-შანის ზღაპრული ბუმბერაზი.

სინ-ძიანელი ჩინელები აღმერთებენ ამ მწვერვალს. მართ-
ლაც, საოცარია მზის ჩასვლა თოვლიან მთებში. მაგრამ უკა-
ნასკნელი მწვერვალის საზღაპრო აელვარებასთან ერთად ცივ-
მა ქარმა წამოგვიბერა და საჩქაროდ დავეშვით დაბლა. სახ-
ვალიოდ ამინდს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ გზის გაგრძელე-
ბა მაინც ვერ გადავწყვიტეთ. სამაგიეროდ გადავწყვიტეთ შე-
მოგვევლო ჩრდილოეთით აღმართული ფასის მთა, კლდოვან
მწვერვალთა რიგი, რომელიც რკალად ერტყმის მაჩხაფარის
მყინვარს, და კეკლუცი და კოხტა შარი-თაუ. ამინდმა ფასის
მთის მწვერვალზე ისევ გვიმტყუნა. მთელი დღე გვჯიჯგნიდა
და გვწეწდა ქარი; შარი-თაუს მწვერვალიდან ღამე დავეშვით
და როდესაც თავი სამშვიდობოს გვეგონა, ზედ უღელტეხილ-

თან. თოვლის ველზე დავკარგეთ გზა-კვალი. გათენებამ თოვლის ველზე მოგვისწრო, მეასედ თუ მეათასედ! ერთმანეთს ვუმტკიცებდით, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით იყო საჭირო წასვლა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ეს მიმართულებაც მცდარი იყო. დილით ნისლი გადაიყარა და გუშინდელმა ნაკვალევმა თხუთმეტიოდე წუთში მიგვიყვანა ბანაკში. რომელსაც მთელი ღამე ვეძებდით.

კარვებამდე სულ ასიოდე ნაბიჯი იყო დარჩენილი, როდესაც სხვებმა გამისწრეს, მე კი თოვლს ასახვევად დავრჩი სველი და გათოშილი. როდესაც ბანაკს მივუახლოვდი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი დაღლილობა და ჰალუცინაცია დამეწყო. სამი ამხანაგი ოთხად მომეჩვენა, ამასთანავე ოთხივენი ერთმანეთში ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ; მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი, ვრწმუნდებოდი, რომ მეოთხე მოჩვენება კი არა, რეალური და თვალხილული არსება იყო, რომელსაც ვანო გალუსტოვად ვიცნობდი. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მაჩხაფარის უღელტეხილი, მართლაც, უცნაური ადგილია. ვანო ქალაქში ჩამორჩა ექსპედიციას და აქ წამოგვეწია. ამოსულა მაჩხაფარის გადასავალზე, დაუნახავს ჩვენი კარვები, კვალდაკვალ მოგვყოლია ფასის მთაზე და, როგორც იქნა, მოგვაგნო.

ამით არ დამთავრებულა ამ „მოჯადოებული ადგილის“ თავისებურება. ხან ქარი ქროდა, ხან იღრუბლებოდა, წამოთოვა კიდეც, თუმცა მეორე დღისთვის კარგ ამინდს ვვარაუდობდით (ალექსანდრას, როგორც მეტეოროლოგს, ბევრი რამ ეჩვენებოდა საიმედოდ), მაგრამ მთელი ღამის განმავლობაში უთოვია და დილამ ნახევრად თოვლში ჩამარხულებს მოგვისწრო. გარედან ლაპარაკი შეშოგვესმა და რამდენიმე წუთის

შემდეგ ნისლით შემოფარგლული ჩვენი კარვების მცირე წრეში, ნისლის ფარდიდან დაიწყეს გამოსვლა თავზე ყაბალახწაჩვეულმა, გრძელკომბლიანმა ბალყარელებმა. მალე ჩუთა კაცმა მოიყარა თავი. შემოუსხდნენ ჩვენს კარვებს ირგვლივ და სანამ ჩაის ავადუღებდით მოულოდნელი სტუმრებისათვის, ახი ბეზუევმა, ქვემო ბალყარეთის სოფ. ზილნას ნასტუმრევის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, მოკლედ გავვაცნო საქმის ვითარება.

ცხენისწყლის სათავეში ლაფურსა და მეზობელ ზესხის ხეობაში ზაფხულობით ძოვს მთელი ბალყარეთის ცხვარი. ნისლმა და ქარბუქმა შეკრა უღელტეხილი და დაგვიანებიათ ცხვრის გადარეკვა; ქვევით, ლაფურშიც. ჩამოუთოვია, ბალახი დაუფარავს; საჭიროა ცხვარი საჩქაროდ გადაირეკოს მაჩხაფარის უღელტეხილზე ჩრდილოეთისაკენ, მშობლიურ ბალყარეთში და, აი, სარქლები გზის გასაკვლევად ამოსულან უღელტეხილზე. მოვიკითხეთ ჩვენც და როცა ჩაი ადუღდა, კარვების წინ თოვლზე 3000 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან იმპროვიზებული სუფრა გავშალეთ.

დარბაისლურად, მოფიქრებულად მსჯელობდა სარქალი ახი, სხვები კვერს უკრავდნენ. ჩვენც აღვუთქვით დახმარება და გადავწყვიტეთ დღეს გვეცლია, ხოლო ხვალ, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, დაგვეწყო ფარის გადარეკვა ბალყარეთში.

იმ დღეს მე და ვანო ისევ ჩავბრუნდით ლაფურში და ცხენისწყლის სათავე ვეღარ ვიცანით — მიდამო თოვლით იყო დაფარული, ხოლო თოვლზე გაშლილიყო შავი და რუხი ბალყარული ცხვარი. მალე დაღამდა და ხეობაში აქა-იქ აინთო ცეცხლი. მთელი ხეობა გადაიპენტა ცეცხლის ყაყაჩოებით. ყო-

ველ ყოშს თავისი ცეცხლი ენთო და მორიგე ვახშმის თადარიგს შედგომოდა. ახის ყოშთან შეიკრიბნენ სარქლები და კიდევ ერთხელ მოითათბირეს. დაიწყო თოვა. ნაბდებში გახვეულებს მოგვიტანეს ბატკნის მწვადი, დაგვიგეს რუხი ბალყარული ნაბდები; ბურანში ვიგრძენი, როგორ გადამაფარა ვიღაცამ კიდევ ერთი ნაბადი. გათენებისას წამოვყავი თავი: ნაბადზე ორი მტკაველი თოვლი იდო, შეცივებული ცხვრები ერთმანეთს ეკვროდნენ. ჩვენი ყოშის ირგვლივ ისევ იკრიბებოდნენ სარქლები.

მწყემსებმა ყაბალახში გამოხვიეს გომიჯები, დატვირთეს სახედრები და მოწინავე ფარა თხების წინამძღოლობით დაიძრა უღელტეხილისაკენ.

თოვლიან ფერდობზე, ათასგზის დაკლაკნილ ბილიკზე გაიჭიმა შავი და რუხი ბალყარული ცხვრის ლაშქარი.

განუწყვეტელ ნაკადად მიდიოდა ფარა, რომელსაც წინ მიუძღოდა სარქალი, მარჯვენა ხელი მთესველივით განზე გაეშალა და ცხვარს უხმობდა, თანაც ლმობიერი და დამაჯერებელი ხმით რაღაცას ელაპარაკებოდა ელქაჯს — მეწინავე ვაცს. ჩაწითლებული, გახელებული თვალებით ამაყად და შეუპოვრად მიუძღოდა ელქაჯი თავის რაზმს; მოკრძალებით და მიწამდე დასული ბეწვის რხევით გუნდად მიდიოდნენ ნეზვები, ჩვილი თიკნები კიკინით ეწეოდნენ ერთმანეთს.

რქაგადაგრეხილი უშველებელი ელქაჯი წვერის ცანცარით მიყვებოდა მწყემსს უკან. თხების რაზმეულიდან ათი-თხუთმეტი ნაბიჯის დაშორებით კი არ მიდიოდა — მიედინებოდა ცხვრის რუხი ფარა. ისე გუნდად, ერთმანეთზე მიკრული დიოდა ფარა, რამდენიმე კისერმოღერებული ვერძის გარდა ამ ნაკადში ძნელად გამოარჩევდით ცალკე ნერბსა თუ შიშაგს.

ოღონდ ბოლოში რამდენიმე ფეხნატკენი, ავადმყოფი ბატკანი მიჩანჩალებდა საწყლად. სულ ბოლოს მიდიოდნენ დატვირთული ვირები. მოხუც მწყემსს კისერზე წამოეგდო პატარა, სათნოთვალებიანი ბუწი და რაღაცას ეჩიჩინებოდა.

ჩვენ ძალე გავუსწარით მათ და მეწინავე რაზმთან ერთად ავედით უღელტეხილზე. იქ, სადაც იწყებოდა მყინვარი და ნაპრალებს შორის ვიწრო გასასვლელი იყო დარჩენილი, მეწინავე ელქაჯი შედგა, უკან მოიხედა. სარქალმა რაღაც ანიშნა ხელით. მაშინ ელქაჯმა გაბედულად შედგა ფეხი ყინულზე, მას მიჰყვა თხების რაზმი და ცხვრის ფარაც ანვარიშმიუცემლად, დაფეთებულად დაიძრა ადგილიდან.

ნაპრალოვანი მყინვარის ფერდობზე რუხი ზოლი ამოძრავდა. ყინულის ბორცვზე გაიშალა რუხი სარტყელი, გადაუარა ბორცვს და ნისლში მიიმალა, დაიძრა შემდეგი ფარაც. ჩვენ ისევ წამოვეწიეთ მეწინავე რაზმს, წინ წავუძეხით ყინულიან ველზე. ცხენისწყლის სათავიდან შარი-ვცეკის ყინულებზე გაიბა უწყვეტი ძაფი.

შარი-თაუს დასავლეთით, იქ, სადაც უღელტეხილის უმაღლესი წერტილია, ჩვენ ქვემოთ დავინახეთ სამხრეთიდან მომდინარე კიდევ ერთი უწყვეტი ზოლი. იგი მოიჭიმებოდა მდინარე ზესხოს სათავიდან და მარცხნისაკენ უხვევდა. შეძახილებზე და ყვირილზე ზესხოდან მომავალმა მწყემსებმა ჩვენკენ გამოაბრუნეს ცხვარი და მალე მათი ფარებიც კოლონის გასწვრივ დაიძრა. შარი-თაუ მარჯვნივ დარჩა და დანაპრალებული აღაშთანის მყინვარით დაიწყო დაღმართი მდ. ყარა-სუსაკენ, ბალყარეთისაკენ.

ნაპრალებს შორის გზის გაკვლევამ და მათზე თოვლის ბოგირების ძებნამ დაგვაყოვნა. დაღლილები მივადექით გადა-

სასვლელის უმაღლეს წერტილს. აღმართში დაღლილი ცხვარი ლაღობდა, ხეობიდან მონაბერ ქარს თან მოჰქონდა მდინარისა და მიწის სურნელი. ცხვარი აჩქარდა, დაღმართზე კუნტრუშით დაეშვა. დუმადამძიმებულ ცხვრებს დიდ დაღმართზე უჭირდათ სირბილი, ერთმანეთს ასწრებდნენ, ზურგზე ახტებოდნენ; ფერდობზე დაქანებულებს დუმა აყირავებდა და ძირს ეცემოდნენ. ნაპრალებთან გუშაგები დავაყენეთ, ცხვრების მოძრაობა თოვლის ბოგირისაკენ რომ წარემართათ. დიდ ნაპრალთან ერთმა ცხვარმა მაინც უგვერდა და გაუსხლტა მწყემსს, მას მაშინვე ოციოდე სხვაც მიჰყვა და კისრისტეხით გადაეშვენ ჩაშავებულ ნაპრალში. შეიკრიბნენ მწყემსები, გადააბეს საბელები და ახალგაზრდა მწყემსი იახია დაეშვა ნაპრალში. თხუთმეტ მეტრზე ღრმა აღმოჩნდა ყინულის ეხი. შორიდან ყრუდ ისმოდა იახიას ხმა. ბებერი სარქალი მიწაზე გულდამხობილი უსმენდა, თუ ხმა შეწყდებოდა, გამყინავს უხმობდა: „იახია, ჰაი, იახია“!. მწყემსები სულგანაბულნი იდგნენ ირგვლივ და როცა თოკის ამოწევა დაიწყეს, გაკვირვებულებმა დავინახეთ თოკის ბოლოზე რქებით დაკიდებული ციცხალი ცხვარი: შეშინებული სათნო თვალებს აპარპალებდა და მთელი სხეულით თრთოდა. მას მალე მეორე მოჰყვა, სულ ცხრამეტი სული ამოიყვანა იახიამ. თერთმეტი მკვდარი აღმოჩნდა. მათ, როგორც უსულადო საქონელს, დასჭრეს დუმები და ისევ ყინულის ეხში გადაყარეს.

კიდევ ხუთასი მეტრი გავიარეთ და გამოჩნდა ყარა-სუს ჩაშავებული ხეობა. აქ, მყინვარის დასასრულთან ვემშვიდობებით ბალყარელ მწყემსებს, ჩვენ წინ დიოდნენ ფარები, მწუხრისას გაიარა სარქალმა ახიმ, ბებერმა ბალყარელმა დაგვილოცა გზა და გვისურვა ბედნიერი ცხოვრება.

ქარბუქი კვლავ ანიავებდა თოვლს და ოცდაათი ათასი ცხვრის მიერ ერთი საათის წინათ შარასავით გაკვალული გზა ამ უდაბნო მყინვარზე თოვლს დაეფარა. დაქანცულებმა ძლივძლივობით გავიკვლიეთ გზა კარვებისაკენ. ათიათასამდე ცხვარი დარჩა კიდევ იმ დღეს ცხენისწყლის სათავეში მეორე დილამდე, მაგრამ დილისათვის ქარბუქი არ შემწყდარა და წინა დღით გაკვალული გზა კვლავ საძებარი და გასაკვალი გაგვიხდა. ჩვენი ბიჭები ისევ წაუძღვენ წინ ფარებს.

კარვების ზევით, კლდის ძირას ვიჯექი. ხნიერმა ბალყარელმა წუთით შეაჩერა დატვირთული ვირი, რაღაც გადმოიღო, წამოვიდა ჩემკენ, გადაწმინდა ქვა და დავინახე, ზედ დადო ქვამარილის დიდი ნატეხი, შემდეგ გადმოთოვლა კლდის ძირას. მივედი ახლოს, მწყემსმა თოვლში ჩაფლული ფიქალებისაგან აგებული პატარა ხულა გამოაჩინა. თოვლისაგან სათუთად დაცულ და მშრალ ხულაში რამდენიმე ნაჭერი მარილი იდო. მოტანილი მარილის ნატეხიც მიუმატა, ისევ მიაფარა ფიქალი და თოვლი წააყარა. ჩემს შეკითხვაზე გაეღიმა და ამიხსნა: ცუდ ამინდში მწყემსს რომ გაუჭირდეს, შეცივებულ საქონელს მარილს გაალოკინებს, გაამხნევებს, გზის განგრძობას შეაძლებინებსო...

ხშირად მთის ხრიოკებში წააწყდები ოდნავ დამჩნეულ ბილიკს, იგრძნობ რაღაც გაურკვეველს და იშვიათს; იცი, აქ ვიღაცას გაუვლია, ამოსულა ნისლით დაფარული ხეობიდან, გამოცდილი თვალით მოუხნავს საჭირო ადგილი და დაუხოხოლავებია ქვაზვინი, დაუდგამს ნიშანი, რომ სხვა, უცხო მგზავრს არ უმტყუნოს ალღომ, გზა არ შეეშალოს, არ დაკარგოს ორიენტაცია... და ახლა ეს მარილი მაჩხაფარის უღელტეხილზე.

მარილი მაჩხაფარის უღელტეხილზე!—ეს ხომ ქმობისა და მეგობრობის სიმბოლოა!

ნაკვალევი თოვლზე

ის დღეც მიიწურა. მეცხრე დილა გაგვითენდა თოვლით შებორკილი, ნისლიანი მაჩხაფარის უღელტეხილზე. დღისით მზეზე გავაშრეთ ჩვენი საძილე ტომრები და შევუდექით საბზადისს გზის გასაგრძელებლად. გადაწყვეტილება მტკიცე იყო — ხვალ ან წინ ან უკან — ამინდის მიუხედავად. მეტი დაყოვნება შეუძლებელი იყო. ამ გადაწყვეტილებით აღვნუსხეთ დარჩენილი სანოვაგე, შევამოწმეთ საჭურველი და კარვებში შევძვერით.

ნისლიანმა დილამ (ისევ ნისლიანმა!) უფერული სინათლე შემოგვანათა. კარვები ზურგჩანთებს დავაკარით და მაჩხაფარის აღმართზე მიმავალი მძიმედ დატვირთული ხუთი ადამიანის სილუეტი აისახა.

დათოვლილ კლდეებზე ძნელი იყო საიმედო საყრდენის გამონახვა. ხან რკინით მოჭედილი სამაღალმთო ფეხსაცმლის ბრჭყალები კაწრავდნენ მოლიპულ ქვებს, ხან ფეხი ღრმად ეფლობოდა თოვლის ნამქერში... და ასე, თავაუღებლივ დავიწყეთ ასვლა მაჩხაფარზე. ეს მესამედ ვტრიალებთ ამ გარემოში.

მაჩხაფარს ვცილდებით და ვეშვებით ზესხოს სათავეებისაკენ — იქ, სადაც გზა ზესხრულიდან ამოდის მაჩხაფარის უღელტეხილზე. შემდეგ იწყება უვალი გზა, უცნობი თოვლეთი და ჯერ კიდევ უცნობი, უხილავი მწვერვალები.

მაჩხაფარის მწვერვალამდე ვასვლა გაგვიძნელდა: ძნელია

სვლა, სანამ სხეული არ ჩაებმება მუშაობაში, არ შეეგუება ტემპს, სანამ სუნთქვა და გულისცემა არ შეეგუება ახალ პირობებს. ცივა, მაგრამ ოფლის ხვითქი გადმოგვდის, მალ-მალე ვისვენებთ; გული თანდათან დგება კალაპოტში, სუნთქვა ნორმალური ხდება და ჩვენც ერთ-ორ სიტყვას გადავუგდებთ ხოლმე ერთმანეთს. მწვერვალზე შევჩერდით, დავწერეთ ბარათი ჩვენი საქმიანობის შესახებ, ჩავდევით რკინის ყუთში და ჩავეშვით დაღმართზე მყინვარული ცირკის კიდის გაყოლებით.

რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ ქვევით გამოჩნდა ზესხოს ხეობა. ხეობიდან გამოვარდა ქარი და აწივლდა კლდეებში. ღამის სათევად დადგომა იყო საჭირო. უღელტეხილიდან ოდნავ ქვევით დავიწიეთ და წერაყინებით ამოვთხარეთ ჯერ თოვლში და მერე ნიადაგში ქვაბულები კარვების დასადგმელად. მუშაობამ გაგვათბო. როცა კარვებში მივძვრებოდით, სავსებით ჩამოღამდა. გათოშილი ხელებით გაყინული ფეხსაცმელი გავიძვრეთ და ფეხები საძილე ტომარში ჩავითბუნეთ. ავანთეთ სანთელი და თხელი ბრეზენტისაგან შეკერილი კარავი გადაიქცა „სახლად“ და „მკვიდრ თავშესაფარებლად“. ალაპლაპდა მშრალი სპირტის ლურჯი ალი და სამგზავრო ღუმელ „მეტაში“ ათუხთუხდა კაკაო. მე და ლევანმა ამოვიღეთ საგზავრო დღიურები, ვანო კი ბურდღუნით შეუდგა მზარეულობას: ბალყარელებისაგან გამორთმეული დუმა დაჭრა ტაფაზე, გაფცქვნა ნიორი და კარავში ხაშის სუნი დატრიალდა. მეორე კარავში ალიოშამ ამოიღო ჯიბის „ვეფხისტყაოსანი“ და დიდი გატაცებით კითხულობდა ნაწყვეტებს. ალექსანდრამ რაღაც თქვა ამინდის შესახებ, მაგრამ ჩვენი

კარვიდან ისეთი სიცილ-ხარხარი დაეაყარეთ, რომ წამსვე გავაჩუმეთ.

კარვებში შემოგვანათა იმედიანმა დილამ. თავები გამოვყავით თუ არა, შესანიშნავი სანახაობა გადაიშალა ჩვენ თვალწინ (უკეთ, ჩვენ ზევით). მზით გაბრწყინებული, დათოვლილი კლდოვანი მწვერვალები თავზე დაგვყურებდა. ერთი ჩვენს კარავს გადმოხუროდა. მისი ფრიალო კლდეები ზესხოს ხეობაში ეშვებოდა. ახალი თოვლი იდო მის კალთებზე, ზვავებისაგან დაუსერავი და უბიწო. მწვერვალს თავს დადგომოდა მუქი ლურჯი, წყაროს წყალივით წმინდა და კრიალა, მსუბუქი და ლაღი ცა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა, დილის სიცივემ დაგვსუსხა და სპეტაკმა თოვლმა თვალი მოგვჭრა. ისევ შევყავით თავები კარვებში და საჩქაროდ შევუდექით სამგზავრო სამზადისს. კარვები ავუშვით და ჯერ აკეცილიც არ გვქონდა ხეირიანად, როდესაც ხეობიდან ნისლი დაიძრა, შემოგვეპარა, გარშემოგვერტყა და დაფარა მიდამო. ავიკიდეთ ზურგჩანთები და ნელ-ნელა შევყევით ალმართს.

თითქოს ჩვენ გასაღიზიანებლად, ცა წუთით გადაიყრიდა ღრუბელს და მაშინღა მოვკრავდით თვალს მწვერვალის პატარა ნაწილებს, ასე ვიარეთ ნისლში ალმართ-ალმართ, სანამ ალმართმა პატარა მწვერვალზე არ მიგვიყვანა. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ აქვე დავსახეთ ჩვენი სვლის გეზი და დავეშვით დალმართზე. ლოდებს შორის გვიხდებოდა სიარული და ძალიან დავიქანცეთ. მომხიბლავად გვეკეკლუცებოდა და გვეთამაშებოდა უცხო მწვერვალი. მალე მის ძირამდე მივედით. დიდ ქვებს შუა მყუდრო ადგილი გამოვნახეთ და გადავწყვიტეთ, უსათუოდ აგვეღო მწვერვალი. ის იყო კარვების დადგმა დავამთავრეთ, როცა დაბალმა ნისლმა გადაიყარა და მისი

ფთილები მხოლოდ მაღლა, ჩრდილოეთისაკენ გარბოდნენ. გამოჩნდა შორეული მწვერვალები, ერთი მხრიდან ჩამავალი მზის მოწითალო სპილენძის ფერებით განათებული, დაჩრდილული მხრიდან კი უკვე მუქი და დაბნელებული. ყოველივე ეს ღამისპირული წყვდიადის ფონზე სათეატრო დეკორაციასავით მოჩანდა, სწორედ ისევე, როგორც თეატრში, წითელი შუქი უცებ გამოირთო და მხოლოდ მუქი და გაურკვეველი კონტურები აკიაფდნენ შორეული ცის დასალიერზე. დიდხანს ვიდექით გარეთ და შევცქეროდით უცნობ მწვერვალს. ჯერ არც ერთი სულიერის ფეხი არ შემდგარა მასზე, არავის გადმოუხედავს მისი ქიმიდან და არ მოუვლია თვალი გარემოსათვის. მხოლოდ მთამსვლელი თუ განიცდის მოუთმენლობისა და დაპყრობის სურვილის ისეთ გრძნობას, რომელმაც იმ ღამეს გვიანობამდე არ დაგვაძინა და ალიონზე აღრე წარმოგვყარა ფეხზე.

ბანაკიდან მარცხნივ, მყინვარის მორენას გავყევით და თხემს ავყევით. მწვერვალი ორთავა იყო, შუაში დაჩეხილი მყინვარი ეკიდა. ჩვენ მყინვარის მარჯვენა ნაპირს ავყევით, შემდეგ კი კლდეებზე გადავედით. წინა დღეებში ბლომად ჩამოეთოვა. ზაფხულში უთოვლო კლდეები ახლა თოვლში ჩაფლულიყვნენ, ხოლო ოდნავ დაქანებულ ფერდობებზე ფიფქი თოვლი მკერდამდე გვწვდებოდა.

იერიში გაცხარებულ ბრძოლად გადაგვექცა. ვებრძოდით თოვლს და, ზურგჩანთებით დამძიმებულნი, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც, წინ მივიწევდით.

„წინ და მაღლა“ — ასეთია ყველა მთამსვლელის დევიზი ალპინიზმის დასაბამიდან. ვებრძოლოთ თოვლს, კლდეებსა და სიცივეს, გავწიოთ წინ და მაღლა!

ალბათ, სპორტის არც ერთი სახე ადამიანში ისე არ ბადებს ბრძოლისა და გამარჯვების სურვილს, როგორც მთამსვლელობა. სწორედ ამიტომაა, რომ საბჭოთა ალპინისტებმა თავის ლოზუნგად აქციეს გასული საუკუნის კავკასიის გამოჩენილი მკვლევარის აკადემიკოს ჰერმან აბახის სიტყვები: „ვინც არ დაიბნევა თოვლიან მთებში, ის არც ომში შედრკება“.

მწვერვალამდე ასიოდე მეტრი გვაკლდა, როცა ამინდი მთლად გაცოფდა. დროგამოშვებით ქარი ისე ძლიერად უბერავდა, გვეგონა, საცაა აგვიტაცებს ჰაერში და სადმე კლდეებში გადაგვჩეხავს-თქო.

ზედ მწვერვალთან ცოტა გავაკდა და ხუთი საათის იერიშის შემდეგ ფეხი შევდგით უცნობ მწვერვალზე.

მწვერვალზე ვიდექით, მაგრამ ვერ ვჭვრეტდით შორეულ სივრცეებს, ირგვლივ ნისლი იდგა და ზოგჯერ თუ გამოჩნდებოდა ცალკეული მწვერვალების შორეული ლანდები.

ალპინისტური რიტუალის უკანასკნელი ცერემონიალი უნდა შეგვესრულებინა. დიდი ვაი-ვაგლახით მოვნახეთ რამდენიმე ქვა თოვლში, დავახოხოლავეთ, დავდგით ნიში, დავწერეთ ბარათი ჩვენი აქ მოსვლის შესახებ, ჩავდევით რკინის ყუთში და როცა ჯერი სახელის არჩევანზე მიდგა, ყველას ვანოს წინადადება მოგვეწონა. მართლაც ღირსი იყო ეს მწვერვალი დარქმეოდა სახელი იმ ცნობილი ქართველი რეჟისორისა, რომელმაც ახალი ბრწყინვალე საღებავებით ააფერადა ნისლგადაკრული ქართული სცენა; მასაც ხომ უყვარდა უცხო ფერების ფანტასტიკური ათამაშება და, ალბათ, სავსებით მოიწონებდა ჩვენ წინაშე ცენტრალურ კავკასიონზე, აღაშთანის მყინვარის სათავეში ბუნების მიერ „დადგმულ“ მრავალ ზღაპრულ სურათებად დაყოფილ დიდებულ სანახაო-

ბას, რომლის პრემიერის აღტაცებული მაყურებელნი მხოლოდ ჩვენ ხუთნი ვიყავით. ასე ვუწოდეთ მწვერვალს კოტე მარჯანიშვილის ქიმი, 1938 წლის 1 ოქტომბერს პირველამსვლელთა შეუზღუდავი უფლებით. ეს აღვნიშნეთ ბარათში და რკინის ყუთი ჩავდეთ ქვის ხოხოლაში. მწვერვალიდან ჩასვლა უცნობი, საწინააღმდეგო მიმართულებით გვიწევდა. დავყევით პატარა ქედს, წინ არაფერი ჩანდა, დაკბილული დანის პირივით შეჭრილიყო ქედი ნისლში, აქეთ-იქით უფსკრულებიდან უბერავდა ქარი. გავყევით ამ თხემს, მაგრამ შვეულ, მოსიპულ კლდეებზე ცოცვა შეუძლებელი იყო. უკან დავიხიეთ და გაურკვეველ, უცნობ სიღრმეში თითქმის შვეულად ჩაკიდებულ თოვლით ამოვსებულ ღარს ჩავყევით; ასიოდე მეტრი მხრებამდე თოვლში ჩაფლულნი კი არ მოვდიოდით — მივცურავდით. ცოტა ინათა და მარჯვნივ გამოჩნდა თოვლიანი ფერდობი, მის ზევით კი — ის უკმური ქედი, რომელზე გადასვლასაც დროულად მოვერიდეთ.

ესეც ხელოვნებაა მთამსვლელობაში — დროზე დაიხიო უკან და თავზეხელაღებული არ ეკვეთო სიძნელეს.

ცალ ხელში წერაყინმომარჯვებულებმა გადავსერეთ ფერდობი ქედის გაყოლებით, მალე მივაღწიეთ მოლიპულ ცაში აზიდულ სალი კლდის ძირს და შედარებით მყუდრო ადგილას დავისადგურეთ.

სანამ სხვები კარვებს შლიდნენ, მე კლდეზე აბზინებულ მადანს დავუწყე ჩხრეკა. კვარცის პატარა ძარღვში ვოლფრამის ნიშნები ჩანდა. არც იყო გასაკვირი: ჩვენ გამადნების ზოლში ვიყავით, 3000—3500 მეტრის სიმაღლეზე რომ მიჰყვება კავკასიონის ქედს და რომელთანაც დაკავშირებულია საქართველოს იშვიათი ლითონების ყველა საბადო.

გავხედე ჩვენ მიერ გავლილ გზას. თოვლს მძიმედ დატვირთული, აუჩქარებლად მიმავალი ხუთი ადამიანის ნაკვალევი ემჩნეოდა.

კარვები საიმედოდ იყო დაჭიმული. მეც დიდხანს არ დამიყოვნებია და კარავს მივაშურე. წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვედო.

დილით (უკვე 2 ოქტომბერი იყო) მალე ჩამოვათავეთ მცირე დაღმართი. ჩვენ უკან კოხტად აღმართულიყო მარჯანიშვილის სახელობის მწვერვალის სამწახნაგოვანი ქიმი. წინ კი ხრიოკი და ძნელი გზა გვედო უსახელო მწვერვალისაკენ.

თითქოს ერთფეროვანი და ერთგვარია ყველა მწვერვალი, მაგრამ ისე განსხვავებული და თავისებურია თითოეული, იმდენად მრავალფეროვანი, რომ არასოდეს მოგწყინდება მწვერვალებზე სიარული. ადამიანისათვის, რომელიც მწვერვალზე არ ყოფილა, ძნელად გასაგებია ეს გრძნობა. ამიტომაა, რომ გატაცებული მთამსვლელი ხდება ის, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მთაში. მთებისაგან მოჯადოებული, მათკენ მიიწევს, ან (რაც იშვიათია) არასოდეს გაეკარება მთებს. აი, ახლაც მიეცოცავთ დაკბილულ, კლდოვან ქედზე. თითქოს უკვე ასჯერ გამივლია ამგვარი ქედი, სწორედ ასევე მარჯვენა ფეხით მომისინჯავს მერყევი ქვა და ორივე ხელით ჩავჭიდებივარ კლდის პირს, რომ მთელი სხეულის ყველა კუნთის დაჭიმვით ზევით ავზიდო ზურგჩანთით დამძიმებული ტანი, ავიტანო მარცხენა ფეხი კლდის ნაპირამდე და გავიმართო, ფეხი მოვიმაგრო, მივაბჯინო კლდეს, გადავიგდო თოკი მხრებზე, მარცხენა ხელით მაგრად მივიბა ბარძაყზე, გადავწვე უკან და მარჯვენა ხელით გადავუგდო ქვევით ამხანაგებს. ვერც ერთ მათგანს ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, აი, ეს ალექსანდრაა თოკს რომ ჩაავლო

ხელი და ოდნავ ეშიდება. უფრო კლდეს მოჰყვება. მართლაც გამოჩნდა ალექსანდრას სახე და მალე ჩემ გვერდით მოკალათდა. აი, მძიმედ დაიჭიმა თოკი და წელში მომხარა, ეს ლევანია, აუჩქარებლად მოჰყვება თოკს. ორჯერ-სამჯერ რომ მოსინჯავს ქვევიდან ამომძახის: „მაგრად გიჭირავსო“? ფრთხილი ვანოა. მერე კი მოკლე ბიძგი და წუთის შემდეგ კლდის პირიდან ალიოშას გაბრწყინებული სახე ვამოჩნდა „აპა, ჰე, ხომ მაგრად ხარ. რას გაჩერებულხართ!“.

ყოველივე ეს თითქოს ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ თითქოს... აი, ახლაც მივადექით სახიფათო ადგილს. მარცხნივ შეეულად ეშვება უფსკრული, მარჯვნივ, კლდეების იქით დაქახებული თოვლის ფერდობია — იქ გადასვლა საშიშია, შეიძლება თოვლი ჩამოზვავდეს. წინ, კლდის კუთხეში პატარა ღარია ჩაჭრილი. ამ ღარს უნდა ავყვეთ. თოკი საიმედოდ გვაქვს ყველას გამობმული. ჩემი ჯერია, პირველი მივდივარ, ფრთხილად მივცოცავ ღარში, ვიცი, თოკზე აკინძული უკან მომყვება ოთხივე. აქედან დაგორებულმა პატარა კენჭმაც კი შეიძლება მარცხი გამოიწვიოს. ღარი ვიწროვდება, შვეული ხდება, მალე მოთავდება კიდეც და კლდის თავზე გავალთ. წინ, ღარის კლდეებს შორის, ლოდი გაჭედილა. მოვსინჯე ხელით — საიმედოა. ფეხებით მოვსინჯე ღარის მოპირდაპირე კედლები და ხელებს ზევით ვაფათურებ — მკვიდრ საჭიდს ვეძებ. ლოდის ზევით ვერაფერს ვხედავ, ეს აძნელებს საქმეს. ნელ-ნელა ვბრუნდები ღარში, ცალ ფეხს ვღუნავ, ვადუნებ, მეორეს კი უფრო მაგრად ვაბჯენ კედელს. აი, ზურგით ღარის ცალი კედლისაკენ ვარ. ზურგჩანთა მიებჯინა კედელს და სწორედ იმ დროს, როდესაც მარცხენა ხელის თითებით მოვსინჯე ზევით

საიმედო ჩასაჭიდი, რაღაც დამაწვა ზევიდან, კისერსა და ზურგჩანთას შუა გამეჭედა.

შემდეგ მოვისაზრე რაშიც იყო საქმე: იმ ლოდის გვერდით, რომლის ქვეშაც მივხოხავდი, კარგა მოზრდილი გრძელი ქვა იყო აყუდებული. ზურგჩანთამ დაარღვია მისი წონასწორობა, ნელ-ნელა ჩამოხოხდა და მაგრად გაიჭედა ზურგჩანთასა და მხრებს შუა. გონებაში გამირბინა ათასმა სურათმა და ფიქრმა. ცხადი იყო, ქვა რომ ქვევით ჩავარდნილიყო, ყველას დაიტანდა. ალიოშას ხმა მესმის, რაღაცას მირჩევს, მხოლოდ ის გავიგე, ყველანი ღარის კედელზე გაკვრას და მისი ფსკერიდან ოდნავ დაშორებას ცდილობდნენ. მარჯვენა ფეხმა კანკალი დამიწყო — ვერ გაძლო ამდენ ხანს დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნა; ოდნავ მოვუშვი, ორივე ხელით ვეძებ საყრდენს, მაგრამ მარტო საყრდენი რას მიშველის? — ქვის მოშორებაა საჭირო, დრო ნელა მიიზლაზნება. ოდნავ გადავცოცდი მარცხნივ, იქით, სადაც ღარის კიდე კუთხედ იქცევა და უფსკრულს გადასცქერის. ვიჩეჩავ მარჯვენა მხარს, მთლად მარცხნივ გადავიხარე და ვგრძნობ, რომ, აი, ახლა, ამ წუთში, ქვა ამოძრავდება, რამდენიმე სანტიმეტრი მარჯვნივ და ღარში ჩაეშვება, მარცხნივ და უფსკრულისაკენ გადაქანდება. კიდევ უფრო მოვიღუნე წელში, დავუშვი მხარი და დავიხარე. შვება ვიგრძენი, სიმძიმე ჩამომშორდა. ცოტა ხნის შემდეგ ქვევიდან მოისმა ხრიალი და ქვაზვავის ხმა შორეულ კლდეებში; სწრაფად მოვნახე ხელის საჭიდი, მსუბუქად ავიტანე ტანი ღარში გაჭედილ ლოდზე; კლდეს თავზე მოვექეცი და გადავიტანე თოკი მარჯვნივ, თოვლიანი ფერდობისაკენ, საიმედოდ გავამაგრე, ამხანაგებს ღარში უკან დაბრუნება და თოვლის საზვავე ფერდობით ამოსვლა ვურჩიე (საშიში აღარ იყო თო-

კის მეშვეობით). როდესაც ვანო ამოცოცდა, ჩემ გვერდით დაჯდა და თოკი გადავეცი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როგორ დავიღალე და როგორ მითრთოდა დაძაბულობისაგან მარჯვენა ფეხი. სიცივემ მაგრძნობინა, რომ ცივი ოფლით ვიყავი სველი. ამჟამად წინ ვანო წავიდა, მიჰყვება თოვლიან ფერდობს, ღრმა და დამძიმებულ თოვლს მიარღვევს მთელი სხეულით.

მწვერვალზე ასვლა ვერა და ვერ გვეღირსა. კლდეებს თოვლი ცვლიდა, თოვლს — კლდეები, ბოლოს ქედმა ცოტა გაივაკა და ოდნავ მოსწორებული თხემის შემდეგ დაღმართი დაიწყო ეს მწვერვალი ყოფილა. სანამ თოვლის ჭრაში ვიყავი გართული და კლდეებზე გზას ვარჩევდი, ლევანს ორბი შეუნიშნავს, რომელიც კლდეებს შორის კამარას კრავდა და თითქოს ჩვენ გვითვალთვალებდა. მე ორბი არ დამინახავს, მაგრამ ლევანის წინადადებას, ამ მწვერვალისათვის სულხან-საბა ორბელიანის ქიმი დაგვერქმია, მაშინვე დავეთანხმე. დიდი ლექსიკოგრაფი, მწერალი, დიპლომატი და გაბედული მოგზაური ღირსია, რომ საქართველოს ერთ-ერთ მწვერვალს მისი სახელი ერქვას.

დაბლა ჩასვლა აღარ მოხერხდებოდა, საკმაოდ დაგვიანდებოდა. იქვე, ნაბუქებს შორის, ქარს თოვლი აეხვეტა და ბზინავდა ყინულის ხიანი (შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა გადავშალე საბას ლექსიკონი დავიწყებული სიტყვების მოსაგონებლად, და გავიკვირვე, როგორც ყოველთვის ამ ლექსიკონის ნახვისას, აქ ხომ თოვლის ყველა სახეობათა და სახეცვლათა დასახელებაა ჩამოთვლილი. არაფერი გამოჰპარვია ქართული სიტყვის დაკვირვებულ შემკრებელს).

გადავწყვიტეთ, ღამე აქვე გაგვეთია. ქვევით ზვავები ხრიალებდნენ, რამაც საბას სიტყვები მომაგონა:—„თუმცა თოვლის

სიმრავლე მთამ ვეღარ იტვირთა და ჩამოიზულა, იგი არს შვავი“. ამ ღამეს ბევრჯერ „ვერ იტვირთა“ მთამ თოვლის სიმრავლე და ქვევით შხუოდნენ და შორეულ გრგვინვასავით გუგუნებდნენ ზვავები.

ეს ღამეც გავიდა. საკმაოდ დიდხანს მოგვიხდა ქედზე ფორთხვა და მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დავაღწიეთ მაზ თავი. ქედი დადაბლდა, მაგრამ იმდენად დაკბილული და უქმური გახდა, რომ ვარჩიეთ მარჯვნივ გადავსულიყავით, აღაშთანის მყინვარის კიდეს გავყოლოდით.

ქედიდან მყინვარზე გადავედით, მოვეფარეთ თუ არა ქედს, წამსვე ჩადგა ქარი, ღრუბლები გაიფანტა და აელვარებულ მყინვარზე აციალდა მზის სხივები. მზისგან თვალები აგვეწვა. კლდეების ძირში მივყვებოდით მყინვარის კიდეს. მთის მზე მცხუნვარეა და სწრაფმოქმედი: პატარა ყინულის ვაკობზე გაძგიფული ტბა იყო ჩამდგარი, წერაყინით ჩავტეხეთ თხელი ყინული და უხვად ვსრუტავდით მრავალი დღის უნახავ ესოდენ უხვ წყალს. მთელი ამ ხნის განმავლობაში „მეტაში“ გაძლღვალი თოვლი ძლივს გვიკლავდა წყურვილს; ბედნიერი დღე გაგვითენდა. კვლავ დავადექით გზას და ისევ მოგვიხდა კლდოვან ქიმთან შებმა. მწვერვალის მონათვლა ამჯერად ალიოშას დავავალეთ. მანაც დიდხანს არ დაგვაყოვნა და გურული გლეხის ჭირ-ვარამის მემატიანის, დიდი ქართველი მწერლის--- ეგნატე ნინოშვილის სახელი შემოგვთავაზა. ყველანი დავყაბულდით და ნათლობაც შედგა. მივატოვეთ ნინოშვილის მწვერვალი, ისევ ჩავედით მყინვარზე და ქედის გასწვრივ ყინულის ველების გადასერვა დავიწყეთ.

მთავარ ქედზე, მარცხნივ აღმართულიყო ორთავა, იშვიათი სილამაზის მწვერვალი, მაგრამ ჩვენ დასავლეთისაკენ მი-

ვისწრაფოდით, იქით, სადაც მთავარ ქედს ჩრდილოეთიდან ერთვის აილამისა და აღაშთანის მყინვართა წყალგამყოფი ქედი, რომელიც მწვერვალ ფიტნარგინით იწყება, ხოლო სამხრეთით უცხოელ მთამსვლელთა მიერ „თეთრ უცნობად“ და „შავ უცნობად“ შერქმეული ორი მწვერვალით მთავრდება. გადავწყვიტეთ ამ მწვერვალების ძირში ჩაგვეტანა მძიმე ზურგჩანთები, ხოლო ხვალ უჩანთოებოდ დავბრუნებოდით ამ ლამაზ მწვერვალს და დაგვეპყრო იგი. გადავკვეთეთ გაშლილი და უნაპრალო მყინვარის სათავე, ხელმარჯვნივ დაგვრჩა ბუმბერაზი და ფრიალო კლდეები — ე. წ. „უცნობი მწვერვალის“ ძირი. თავზე დავადექით უხიაგ და უღრმეს ხევს, რომელსაც დასავლეთიდან დიდი მწვერვალები მიბჯენია. აქ, პატარა ბექობზე მოფარებით, დავდგით კარვები და შევუდექით ღამის გასათევ სამზადისს. ვიღაცამ „სალი კლდე“ ახსენა, მე კვლავ საბა მომაგონდა — „სალი არის კლდე ვრცელი, მაღალი, ნიამორთაგან ძნელად სავალი, თხათაგანაც უვალი“. ეს დახასიათება საკმაო სიზუსტით უდგებოდა ჩვენ ზემოთ აღმართულ პიტალო კლდეს. კარვები მაღლობზე დავდგით. შორს ჩანდა ჩვენი ნაკვალევი.

მეოთხე კატეგორია

იმ ღამეს დიდხანს არ დაგვძინებია. გასული დღე შედარებით მშვიდი იყო. ვადგენდით მომავლის გეგმებს, ვაჯამებდით გავლილ გზას. ალიოშა რუკას ჩაკირკიტებდა, მე და ლევანი დღიურებში შენიშვნებს ვიწერდით.

— ერთი ეს მითხარით,—დაიწყო ვანომ თავისი ჩვეულებრივი შეკითხვა, — დღეს რომ გავიარეთ, ეგ რომელი კატეგორია იყო?

ვანო შეყვარებულია მწვერვალების კატეგორიებზე, წარამარა გვეკითხებოდა:

— ეს მწვერვალი რომელი კატეგორიისა?

ლევანი ცხარობს:

— კატეგორიას რა მნიშვნელობა აქვს!

ვანოს თვალებში გაკვირვებაც და საყვედურიც იხატება.

კითხეთ რომელიმე ალპინისტს, რა არის კატეგორია და გაიგებთ, რომ მთამსვლელები მწვერვალებს სიძნელის მიხედვით, კატეგორიებად ყოფენ: პირველიდან მეხუთემდე.

ღიმილით, ოდნავ ირონიით იგონებს მრავალ მწვერვალთან ბრძოლაგადახდილი ალპინისტი (ყველა ალპინისტს ხომ თავი მრავალბრძოლაგადახდილი ჰგონია) თავის პირველ ასვლებს პირველი კატეგორიის მწვერვალებზე.

არც მეორე კატეგორიის მწვერვალები იწვევენ მასში მოგონებებს. სერიოზული ტონით, სახიფათო მომენტების გადმოცემით, დაწვრილებით მოგითხრობთ, როგორ „აიღო“ და „დაიპყრო“ ესა თუ ის მესამე კატეგორიის მწვერვალი. შეკავებული აღტაცებით, გაკვრით, სხვათა შორის ახსენებს მეოთხე კატეგორიის „ასმეტრიან კედლებს“, საათობით ყინულის საფეხურების ჭრას და როდესაც თქვენთვის გაუგებარი ტექნიკური ტერმინებით საბოლოოდ დაგარწმუნებთ, რომ მეოთხე კატეგორიის მწვერვალებზე მხოლოდ ზეკაცები ადიან და არწივები ფრენენ, თავმდაბლად და დარცხვენილი გეტყვით, რომ ისიც ასულა ერთ ასეთ მწვერვალზე, რაც სრულიად ადვილი და ჩვეულებრივი ამბავია (საკმაოდ მოულოდნელი დასკვნა თავმდაბლობითაა გამოწვეული). მაგრამ არიან ისეთი მთამსვლელები (აქ მთხრობელი აღტაცებას ვერ მალავს),

რომლებიც რამდენიმე მეოთხე კატეგორიის მწვერვალზე არიან ნამყოფი. რაც შეეხება მეხუთე კატეგორიას...

თუ ნერვები არ გღალატობთ და არ გეკვრებათ სუნთქვა ამ თავგამოდებული ადამიანების გმირობისა და გამბედაობისაგან, გაიგებთ, რომ მეხუთე კატეგორიის მწვერვალებზედაც ადიან (მოსაუბრის ხმაში შეყვარებული რაინდისა და მეოცნების მორიდებული სიყვარული და აღტაცება ჟღერს). უძნელესი ქედების წვერიდან წვერზე გადადიან. გაიგონებთ ბეზინგის კედლისა და დასავლეთ მიჟირგის სახელებს, გაიგებთ შორეული ჰიმალაის მწვერვალების უცნაურ დასახელებებს — ნანგაპარბატსა და კანჩენჯანგას, კამეტისა და ჩოგორის ბოლოს ნახსენები იქნება ევერესტის სახელი.

ევერესტი, ჰაურიზანკარი, ჯომოლუნგმა... მრავალი სახელი აქვს ამ მწვერვალს. თუ გექნებათ მოსმენის სურვილი, დაწერილებით გაიგებთ გულდასმით მოყოლილ ამბავს (მთხრობელს ამ საკითხზე ლიტერატურა ზედმიწევნით ამომწურავად და ხარბად აქვს შესწავლილი) — ჯიუტი ადამიანების ბრძოლას ჯიუტ ბუნებასთან ჭეშმარიტი გმირობისა და თავგანწირვის ამბავს.

დაძინებისას, ბურანში წასულს, ხშირად მესმის ვანოს ბურდღუნი: — „ეს მესამე კატეგორია თუ იყო, ახლა მეოთხეც მივაყოლოთ“, ან მოულოდნელად მკითხავს: — „ეს მეოთხეთ ჩაგვეთვლება?“ — „ალბათ, ჩაგვეთვლება“, — ვამედებ.

დღეს ჩვეულებრივზე მეტი იყო ლაპარაკი „მეოთხე კატეგორიის“ შესახებ. მწვერვალი, რომლის ძირშიც გავჩერდით, საკმაო სიძნელეებს შეიცავდა და ნამდვილად მეოთხე კატეგორიას ეკუთვნოდა.

სადღესასწაულო დილა გაგვითენდა. ჩახჩახა მზე. სიო არ იძროდა, თოვლის ზედაპირი მოყინულია და არხლი საიმედოდ იჭერს სიმძიმეს, ფეხი ღრმად არ ეფლობა თოვლში. ხალისიანად მივისწრაფვით გუშინ მიტოვებული მწვერვალისაკენ. გუშინდელი ნაკვალევით სიარული ადვილია და სახალისოც. ზურგს არ გვიმძიმებს მძიმე ჩანთები. აი, უკვე მწვერვალის ძირში ვართ. დაქანებულ თოვლიან ფერდობს შევყევით. სულ ზევით და ზევით ჰაერი გამჭვირვალეა და მსუბუქი. ფილტვების ტევადობა თითქოს ერთიორად გაიზარდა. ღრმად ვისუნთქავთ მთის სუფთა ჰაერს. ქვევით მზეზე გავშალეთ დასველებული ტანსაცმელი და კარვები. ჩვენ ჩამოსვლამდე ყველაფერი გაშრება და გამსუბუქდება. აი, უკვე მწვერვალის თავზე ვართ. ეს ხომ „პირველი კატეგორიაა?“ ჩვენ წინ თხემია, გადაკიდებული თოვლის ლავგარდანებით. იქით, აღმოსავლეთისაკენ — მეორე, უფრო მაღალი წვერი მწვერვალისა, რომლის თეთრ ფონზე შავად მოჩანს ქვებისაგან აგებული ნიში. ეტყობა, აქ ვიღაც ყოფილა.

სწრაფად ვფარავთ მანძილს და ვჩხრეკავთ ნიშს. აი წერილიც. შარშან ზესხოს ხეობიდან ამოსულან გეოლოგი აბესაძე, სვანი მონადირე ნიჟარაძე და ეს წერილი დაუტოვებიათ. ალბათ, მუშაობის დროს შეჰყვნენ ქედს და თავზე მოექცნენ მწვერვალს. ახლა ამაზე ფიქრის დრო არ არის. საჩქაროდ უნდა დავუბრუნდეთ მიტოვებულ ბანაკს და სანამ კარგი ამინდია, დავიწყოთ ასვლა „იმ მწვერვალზე“.

ბანაკში ყველაფერი რიგზე დაგვიხვდა. საძილე ტომრები და სველი ტანსაცმელი შემშრალიყო. ზურგჩანთები გვემსუბუქა. დავტოვეთ ბანაკი და ნელი ნაბიჯით შევუდექით თოვლიან აღმართს პირველ ღარამდე.

სამი ღრმა ღარით გახაზული კლდოვანი ბუმბერაზი აღმართულიყო უდრეკ და შეუვალ ციხე-სიმაგრედ. რუხი დათოვლილი კლდეები მზის ბრწყინვალებაშიც კი კუშტად გამოიყურებოდნენ, ცის ლაჟვარდში აჭრილიყვნენ და უსასრულოდ მაღალი ჩანდნენ. ამ კლდეების ძირში, თოვლის ნაბუქთა შორის მიხოხავს ხუთი შავი წერტილი. ხუთი ჭიანჭველა დახლართულ კვალს ტოვებს ნამქერმიყრილ თოვლის ბორცვებს შორის და ძირისწრაფვის იმ ადგილისაკენ, სადაც კლდე გაპობილია და ნაპრალი, ზაფხულში ქვითა და ღორღით, ხოლო ახლა თოვლით ამოვსებული, საიმედო მისასვლელად ეჩვენება. აღმართი დამრეცია და ციცაბო. წინმავალის ფეხები მომდევნოს სახის გასწვრივაა და თოვლში კეთდება კიბე, საიმედოდ გაბმული თოკი კი მყარი მოაჯირის მაგივრობას წევს. გადის წუთები, საათები იწურება და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში თუ ამოიღებს ვინმე ხმას. აი, უკვე მოთავდა თოვლის ღარი და წინ გადაგვეღობა კლდე. გასავალი და გასაძრომი არსად ჩანს, მაგრამ ალიოშას გამოცდილ თვალს არაფერი გამოეპარება. კლდეზე ვიწრო თარო შეამჩნია, რომლის კიდესთან იწყება ისევ მოკლე ღარი. ღარს ზემოთ კიდევ თაროა, უფრო ფართო. მის მარჯვნივ მგონი ისევ ღარი უნდა იყოს. ფრთხილად, ყოველი ქვის წინასწარი მოსინჯვით მივიწევთ მარჯვნივ. თარო ზევიდან ჩამოყრილი ღორღითა და თოვლითაა ამოვსებული. ეს კი მეტად არასაიმედო საყრდენია. არასაიმედო და ხშირად მაცდურიც. ფეხქვეშ გაისმის ხრიალი და ქვაზვავი დიდხანს ხრიგინებს უსასრულო და დახლართულ ღარებში.

თოკი საიმედოდ გვაქვს ყველას მომარჯვებული. ოთხივე კიდური, დაჭედილი ფეხსაცმელი, წერაყინი, თოკი, მთელი

ყურადღება და გულისყური, გამოცდილება, სიფრთხილე, თვალის სიზუსტე და გამჭრიახობა, თავის შენარჩუნების ინსტიქტი, გამარჯვების სურვილი და ნებისყოფა, მთელი ჩვენი გრძნობები და აზრები მიმართულია იქით, რომ დროზე ავუღოთ ალღო შექმნილ მდგომარეობას, სწორად ავიღოთ გეზი, უშედეგოდ არ დავხარჯოთ არც ერთი წუთი, რომ მცდარ ნაბიჯს არ მოჰყვეს სახიფათო მომენტი. მთელი სხეული დაძაბულია და ჩახმახივით შემართული, თითქოს მექანიკურად ასრულებს ყოველივეს. ვულისყური მიმართულია წინმავალი ამხანაგისაკენ, მასზეა დამოკიდებული ყოველივე. ალბათ, არსად, არც ერთი სხვა სახის სპორტსა და საქმიანობაში არ არის დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე იმდენად ამხანაგზე, როგორც ალპინიზმში (უკვე შემდეგ, თბილისში, არქტიკის მკვლევარის პეტერ ფრეიხენის წიგნში: „თავგადასავალი არქტიკაში“ ამოვიკითხე: „არქტიკაში მუშაობა მიმდინარეობს განუწყვეტელი არსებობისათვის ბრძოლის პირობებში და ბევრი რამ დამოკიდებულია თვით ადამიანზე. თუ იგი არ აძლევს ყველაფერ საუკეთესოს, რაც მასში არის, დაღუპულია, ხოლო მისი მარცხი შეიძლება დამღუპველი იყოს მისი ამხანაგებისათვისაც“. ეს სიტყვები შეიძლება ალპინიზმისათვის გამოვიყენოთ. არსად ისე არ მჟღავნდება ადამიანის ხასიათის ყველა საუკეთესო და ცუდი მხარე, როგორც ალპინიზმში...

ეს ღარიც გათავდა და შედარებით მცირედაქანებული ნაშალის ბოლოში ვდგავართ. მის ზევით იწყება ციცაბო ღარი. აქ შეიძლება კაცმა სული მოითქვას. დავსხედით. ჩვენ ქვევით, დაბლა, ბრწყინავს აღაშთანის მყინვარული ველები და ოდნავ შესამჩნევად გაჭიმული ხაზი აღმოსავლეთისაკენ — შარი-ვცეკის უღელტეხილისაკენ. ორიოდე კილომეტრის მანძილზეა

დამჩნეული თოვლის ზედაპირზე ჩვენი ნაკვალევის პუნქტირი, მერე კი იკარგება. მაგრამ არ წყდება. არც არასოდეს წაიშლება ეს მძიმედ დატვირთული, აუჩქარებლად მიმავალი ხუთი ადამიანის ფეხის ნაკვალევი. იგი დარჩება საგზაო დღიურებში და ერთვერსიანი რუკის პლანშეტზე, დარჩება სამუდამოდ ხუთივეს მეხსიერებაში და მერე წიგნებში აღწერილი და რუკებზე გადატანილი ცნობილი გახდება მრავალთათვის, ვინც ამ წიგნებს გადაშლის ან რუკას გადაავლებს თვალს...

ისევ აღმართი იწყება. ნაშალის დასასრულს ვიწრო თარეზე შევდექით, რომელმაც გამოგვიყვანა კლდოვან აივანზე ცალკე ეშვივით რომ გამოყოფოდა კლდეს. ჩანთები მოვიხსენით და გავედით ეშვის წვერზე გადასახედად. კლდის ფრიალო კედელი სწორედ ჩვენი ბანაკის თავზე ეშვებოდა. ეს ისალი კლდე იყო ქვემოდან რომ შემოვცქეროდით. დავტოვეთ ბარათი და გამოვბრუნდით. ახლა უფრო დანაწევრებულ და დახეთქილ კლდეებს შორის დავიწყეთ ცოცვა. შეუმჩნევლად გავიდა საათები, ქარისთვისაც არ მიგვიქცევია ყურადღება. თანდათან ზევით მივიწევდით. არაფრისთვის და არავისთვის გვეცალა, რადგან ჩვენ წინ წამოიჭიმა კლდე, რომელსაც უმნიშვნელო, ოდნავ შესამჩნევი და მხოლოდ თითის წვერების ჰოსავლები მცირე ნაშვერები აქვს. რკინის ტრიკონები და თითის წვერები თითქმის ეჭდობიან კლდეში. თითქოს სხეულიც ზედ გაკვრას ცდილობს. ქვაზე საიმედოდ მოდებული თოკი აადვილებს ზევით ასვლას, ზურგჩანთა მძიმდება და უკან გვეწევა; ხელებს გვიყინავს ქარი, მაგრამ რადგან ხელთათმნიანი ხელი ვერ გრძნობს კლდის ყველა უსწორობას, ხელთათმანს ვიხდით — ასე ჯობსო. თოვლისაგან დასველებული ტანსაცმელი იყინება და ყინულის აბჯარი აბრკოლებს მოძ-

რაობას. კიდევ ცოტა და, აი, მოჩანს მწვერვალისწინა კლდეები. შემდეგ თოვლიანი აღმართი „შავი უცნობის“ წვერისაკენ.

ბინდი ედება ყინულის გარსით დაფარულსა და მოლიპულ კლდეებს. თოვლში ჩაფლული ფეხი საიმედოდ ეყრდნობა ქვეყდა შრეს და დაღლილები, მაგრამ სამშვიდობოს გასულები, უკანასკნელ ძალ-ღონეს ამ თოვლის ვაკვალვას ვანდომებთ. ესეც მწვერვალი — იქით ბალყარეთია. ბინდში ჯერ კიდევ მოჩანს მწვერვალების სილუეტი და ქვევით უცნობი სივრცე, ცივი და ყინულოვანი ქარის მშობელი. ქარი ისე სუსხავს სახეს, ლევანის თქმისა არ იყოს, გვევონება დაკეპილ ხანჯალს გაყრიან პირისახეში.

თოვლის ნაბუქებს შორის სასწრაფოდ ვიწყებთ კარვებისათვის ქვაბულების თხრას. ქვა ვერსად ვიპოვეთ. კარვების გასამაგრებლად ღრმად ჩავფალით თოვლში წრიაპები და საჩქაროდ დავემალეთ ქვევიდან მოვარდნილ ქარსა და ყინვას. ხვალ ჩასვლა გველის, ჩასვლა კი ხშირად ასვლაზე უფრო სახიფათოა. ვარსკვლავებით მოჭედილი, მიუწვდომელი ცა გვადგას თავზე. ჩვენი მოედანი რამდენიმე კვადრატული მეტრითაა შემოფარგლული და ასე „ცასა და მიწას შორის დაკიდულებს“ გვეძინება.

დილით ჩვენ წინაშე აღიმართნენ შორეული მწვერვალები. ქვევით კი—ნისლში გარშემობურვილი აილამის მყინვარი. ნისლი რძესავით ჩაქცეულა ხეობებსა და მის ნაოჭებში. ხან ზევით იწევს, ხან დაბლა ეშვება, მაგრამ არ შორდება აჩემებულ ადგილებს.

მწვერვალიდან სამხრეთისაკენ მივყვებით თოვლის ზვავებით დაფარულ ფერდობს. ჩვენ წინ დაკიდებული თოვლით დაფარული ყინულის კედელია, საიდანაც ორი-სამი კლდე

ამოშვერილა შავ კუნძულებად. მაგრამ კლდეები შორსაა და გაცილებით დაბლა, ვიდრე ჩვენ ვდგავართ. გეზს ვიღებთ იმ კლდეებისაკენ და მარცხენა ხელით თოკს მოჭიდებული, წინმავალი მარჯვენა ხელით ჭრის საფეხურებს. ნაჟონი წყლისაგან გაჩენილი ყინული ფოლადივით მაგარია და შუშასავით იმსხვრევა. რამდენიმე ძლიერი დაკვრით გამოჭრილი საფეხური წერაყინის ოდნავი დაკარებისაგან ტყდება და იქცევა, ხელახლა საჭიროა ახალი საფეხურის გაჭრა. ორი თოკია გადაბმული ერთმანეთზე. სამოცდაათი მეტრით წინ გასული მეწინავე ასობს ყინულში გრძელჭდეებიანი ყინულის პალოს და სხვებიც, რომლებიც აქამდე ზევით იცდიდენ, ფრთხილად ჩამოდიან ამ ადგილამდე. მხოლოდ ერთი რჩება ზევით. როდესაც ყველანი ქვევით შეგროვდებიან, დარჩენილიც, წელში თოკგამობმული, ხსნის უკანასკნელ პალოს და ეშვება ქვევით. რამდენჯერმე მეორდება ასეთი წესით გავლა. ასე ირიბი სვლით თითქოს გადავკვეთეთ ეს ფართო ყინულის კალთა და ჩავიქვეითეთ ორასიოდე მეტრით. ახლა მარჯვნივ, მოთეთრო კლდეებისაკენაა საჭირო გადასვლა, თოკის გამაგრება და შემდეგ კლდოვანი ბექობის ნაპირ-ნაპირ ქვევით ჩაყოლა.

შეუმჩნევლად გავიდა დღე. დაბინდდა. მზის თვალისმომჭრელი სინათლისაგან დასაცავად გაკეთებული მუქი სათვალე აღარ არის საჭირო. ვიხსნით სათვალეს და თითქმის თენდება. ბინდი ნათელ დღედ გვეჩვენება წუთით. მაგრამ თვალი მალე ეგუება განათებას. კლდის ძირას ვისვენებთ და ყოველი განვლილი წვრილმანი გვიდგება თვალწინ. როგორ დაქანდა ერთ-ერთი ჩვენთაგანი თოკის დამაგრების დროს და 70 მეტრის სიგრძეზე ჩაეკიდა ქვევით; როგორ შრიალებდა ფერდობებზე საყრდენგამოცლილი საზვავე თოვლი; როგორ

კვესდა და იღუნებოდა წრიაპის ფოლადი ფოლადისებურ ყინულზე. ღამდება, პირსავსე მთვარე ამოდის სადღაც ჩვენ უკან, ჩვენ წინ, გალმა ჩაქცეული მყინვარის აუზი ნათდება. მთვარის სინათლე თანდათან ჩვენკენ მოიწევს, მაგრამ ჯერ შორსაა, ჩაბნელებულ კალთაზე კლდის ძირას ვაბამთ თოკს. ლევანი დაბლა ეშვება — კარვის გასამართი ადგილის საძებრად. სამოცდაათმეტრიანი თოკი მთლიანადაა გაშლილი, ლევანი საიმედო ადგილას დგას, ყინულის ღაღმართს ბოლო არ უჩანს. დასველებულ ფეხსაცმელს სალტესავით უჭერს ფეხზე ასხმული წრიაპის თასმები. თითები ბუჟდება და უგრძნობელი ხდება. მინდა ოდნავ დავასუსტო თასმა, გავხსენი კვანძი და თითებში მოწოლილი სისხლი და სითბო ვიგრძენი. წკრიალით დაეშვა ცალი წრიაპი ყინულის ფერდობზე და ქვევით, ნაპრალში გადაეშვა, მაგრამ ვინ აქცევს ამას ყურადღებას! ფრთხილად მივცოცავთ დაბლა, ყინულის კალთებზე. ლევანის გვერდით ვდგავარ. ქვევით ისევ ღაღმართია. იქით კი, მყინვარზე მთვარის შუქით განათებული არე და ფართო მოედანი მოჩანს. ლევანი ისევ მიჰყვება თოკს, იგი უკვე მთვარით განათებულ და დაჩრდილულ არეთა საზღვარზეა. აი, მთვარის შუქზე მოჩვენებასავით აკიაფდა მისი თეთრი ოსური ქუდი. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი წინ და გვესმის ლევანის ხმა — „აქ ნაპრალია. გზა არ არის“. ვეშვებით იმ ადგილამდე, მართლაც ნაპრალია — ბოლო არ უჩანს. მთვარის შუქი მაცდურია, ნამდვილი მანძილის გაგება შეუძლებელია.

ნელ-ნელა მივიწევთ ნაპრალის გაყოლებით, მგონი ახლოსაა ნაპრალის ქვედა კიდე. თოკით ჩავუშვით ზურგჩანთა. მალე წინააღმდეგობას წავაწყდით. ისევ ვასობთ ყინულში პალოებს და ახლა უკვე შეეულად ჩაკიდებული თოკით ვუშ-

ვებთ ჯერ ერთს, მერე მეორეს, შემდეგ ცალ-ცალკე ზურგჩანთას, ბოლოს ყინულში ჩატოვებულ პალოში გაყრილი ორმაგი თოკით ჩადის ალიოშა და თოკის ცალ ბოლოს აძრობს პალოდან. ზევით ოთხმეტრიანი ყინულის კედელია. დაქანებული ფერდობის თოვლიანი კალთა ნაპრალითაა გაპობილი, ქვევით, მთვარის შარმაშში ვაკე ადგილი ჩანს. დავიძარით, ღრმა თოვლში ვეფლობით, რაც უფრო დაბლა ჩავდივართ, მით უფრო შორსაა ვაკობი. ჩვენ კი ისევ დაქანებულ ფერდობზე ვდგავართ. ასე არ ვარგა, მარჯვნივ წავიდეთ. მივდივართ მარჯვნივ, მაგრამ მთვარის შუქი მაცდურია. დაღლილობას ვგრძნობთ და სიცივეც თანდათან გვიჭერს. ისევ ზევით მივცოცავთ და კარვებს ყინულის ნაპრალში ვმართავთ. ვარღვევთ ღრმა ნაბუქებს და ნაპრალის ზემო კიდიდან ჩამოკიდებულ ყინულის ლოლუებს შორის ვჭრით შესავალს. ნაპრალი ფართოა და საიმედო. თოვლით ამოვსებული ძირი რბილია და ადვილად სწორდება. ნაპრალის კედლებში ჩაჭედილ პალოებზე კარვების სამაგრი თოკები კარგად იჭიმება. ვანთებთ სანთლებს და ყინულის ეხი საზღაპრო სასახლესავით ელვარებს. ალექსანდრა „მეტას“ დასტრიალებს. ლევანი და ვანო კარვის კიდეზე სხედან და ფეხსაცმლის გახდაზე წვალობენ. გაყინული ფეხსაცმელი გაყინულსავე წინდას მიკვრია. როგორც იქნა, გაიხადეს. ორივეს ფეხები გათოშილი აქვთ, რაც მოყინვის ნიშანია. ყინულის ეხში გარიჟრაჟი იჭრება და მეც მივძვრები საძილე ტომარაში. ოთხი თუ ხუთი საათი უცებ გადის. დაღლილ სხეულს თითქოს არც დაუსვენია. მცირე თათბირი. დადგენილება ერთხმა და მტკიცეა: აილამის მყინვარით—დიხ-კოტიუ-ბუღოი-სუს მყინვარზე და შემდეგ ბალყარული ჩერეკის ხეობაში, ყინულის ეხიდან გავცქერით ჩვენს გზას — წინ ნაპრალებით გადარაზული გრან-

დიოზული აილამის მყინვარია, მის გარშემო თოვლით შეჯავშნული წურუნგალა, აილამა და ნამყვამი — ცენტრალური კავკასიონის დევგმირები.

პირდაპირ აილამის ყინვარდნილზე უნდა ჩავეშვათ. ვტოვებთ მყუდრო ეხს და რამდენიმე ასეული მეტრის საიმედო გზის შემდეგ შევდივართ იმ უცნაურ და დახლართულ ლაბირინთში ნაპრალთა შორის, რომელიც ერთადერთი გზაა ქვევით ჩასასვლელი. მთიდან ჩამოშვებული ყინული დამსკდარა და ფართო ნაპრალები გაჩენილა. მისი ნაპირები ხშირად ოც მეტრზე მეტადაა დაშორებული ერთიმეორისაგან. ორ ნაპრალს შორის ვიწრო ფართობს მივყვებით. ვეძებთ თოვლის ბოგირს ან ნაპრალზე ვიწრო გადასასვლელს. სულ ცოტა მანძილია გასავლელი, ერთი კილომეტრიც არ იქნება, მაგრამ ამ გზაზე ათასი ხახადაღებული ნაპრალი გვდარაჯობს.

წერაყინი ჩასობილია თოვლში, რომელსაც სხეულის სიმძიმით ვაწვები. წერაყინზე გადაგდებულია თოკი, ბოლო კი ალიოშას აქვს მობმული წელზე. ალიოშა ფრთხილად მიცოცავს თოვლის ბოგირზე, თან ცალი ხელით წერაყინს არჭობს — სინჯავს ბოგირის სისქესა და გამძლეობას.

ნელ-ნელა ვუშვებ თოკს. იგი ყოველ წამს დაჭიმული და უკან გამოსაწევად გამზადებული უნდა იყოს.

ალიოშა უკვე საიმედოზეა. ახლა იგი ამაგრებს წერაყინზე თოკს. ჩვენ გადავდივართ გასინჯულ და შემოწმებულ ხიდზე. ისევ ორ ნაპრალს შუა ვართ, ისინი დიდ მანძილზე მიჰყვებიან ერთმანეთს და არსად ჩანს გასავლელი ადგილი. უსასრულოა ნაპრალთა ლაბირინთი. ბინდდება. ნაპრალები თანდათან ისე ვიწროვდება, რომ ზედ გადახტომასაც ვბედავთ. მყინვარი ვაკდება. ჩვენ უკან დარჩენილ, ჩაშავებულ, ხახა-

დაღებულ აილაქ-ს ყინვარდნილიდან ჩაშვავებული ყინულის რახარუხი ისმის. ვჩქარობთ დღისულ გავიდეთ ნაპირზე და სანაპირო მორეწაზე ქვებს შორის გავმართოთ კარვები. ბავშვივით გვახარებს ქვებს შორის მორაკრაკე ნადნობი წყლის ნაკადული. მწვერვალები მთვარის შუქზე წარმტაცად გამოიყურებოდნენ. თითქოს დათბა კიდეც. ირგვლივ სიწყნარემ დაისადგურა. სიო არ იძვრის. ხეობა ახლოს უნდა იყოს. ბანაკში ღამე მკვიდრდება.

ბალყარული ღამე

ეს იყო ჩვენი პირველი ღამე ბალყარეთში. ღამე მთვარიანი და წარმტაცი, ისეთი, როგორიც მხოლოდ მაღალ ადგილებში იცის. კიდევ უფრო წარმტაცი იყო დილა. წყნარი და მსიანწინ თავის სახელივით გრძელი და გაჭიმული ყაზბეგიანი უგრძესი მყინვარი გვედო გასავლელად — ლიხ-ეკიეიუ-ბუღოი-სუ. სწორედ მის სათავესთან იდგა ჩვენი კარვები. მყინვარის მარჯვენა მხარეს გავყევით და მალე წინ გადაგვეღობა ყინვარდნილი. ლევანმა თვალი მოჰკრა ჯიხვის ნაკვალევს, რომელმაც საიმედო გზაზე დაგვაყენა და ყინვარდნილიდან ვაკეზე გადმოგვიყვანა.

უკან მოვიხედეთ და ჩვენი მეგზური ჯიხვი დავლოცეთ: მარცხნივ ყინვარდნილი გაუვალად გვეჩვენა. მარჯვნიდან მყინვარს შეუერთდა ფიტნარგინიდან დაშვებული მცირე ყინვარდნილი. მყინვარი თანდათან დაბლა ეშვებოდა, ვიწროვდებოდა. ხეობაში მომწყვდეულ, უსწორმასწორო და დახეთქილ მყინვარზე მოძრაობა შეუძლებელი გახდა. მარჯვნივ კლდეებზე გადავედით და მყინვარს ორმოცდაათიოდე მეტრით და-

ცილდით. კლდეებზე რაღაც გზის მაგვარი შევნიშნეთ. მალე დახვავებულმა ქვებმა გვამცნეს, რომ აქ ვიღაცას გაეევლო, უფიქრია სხვებზე, ქვები დაუდგამს უცნობი მგზავრისათვის გზის მაჩვენებლად.

ხან კლდეზე დამჩნეულ ბილიკს მივყვებოდით, ხან ქვებს შორის ძლივს მივიკვლევდით გზას, უფრო კი ალღოთი ვგრძნობდით, რომ საიმედო მიმართულებას არ ავცდენივართ. ღამე წამოგვეპარა, დაბნელდა, დასავლეთით მთვარის შუქზე აკიაფდნენ თოვლიანი მწვერვალები. ისევ მოცოცავდა ჩვენკენ მთვარე და მოადგა კიდეც ჩვენ ქვევით აკრიალებულ მყინვარის ზოლს. შეუჩერებლივ ვიარეთ აქამდე. თბილოდა, თუ სიცივეს შეჩვეულებს გვეჩვენებოდა, არ ვიცი. დასასვენებლად გამხმარ ბალახზე ჩამოვჯექით.

ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მაღალმთიანეთის ხმები თუ არღვევდა ზოგჯერ ამ მშვიდობისა და მდუმარების სამყაროს. მთვარის თანაბარი შუქი უცნაურსა და ზღაპრულს ხდიდა ყოველივეს. ხეობაში გამლღვალი ვერცხლის მდინარე თუ ნაოჭებში მწვანეჟანგჩამდგარი ვერცხლის გველეშაპი ჩაწოლილიყო.

სიჩუმეში საზარელ ხმას გამოცემდა დაგორებული ქვის ხრიალი, რომელსაც ბანს აძლევდა ხევის გამოძახილი. ცოცხალივით სუნთქავდა მყინვარი, ვერ ეტეოდა თავის კალაპოტში. გახეთქილი ყინულის ტკაცუნი ვიწრო და დახურულ ხეობაში უცნაურ, ჯერ არგაგონილ ბგერებად იქცეოდა.

მაღალმთიანეთის ღამის მშვენებამ მოგვაჯადოვა, ბურანში გაგვხვია და დაგვეუფლა. ამჟამად ჩვენც ხომ მისი განუყოფელი ნაწილი ვიყავით. ამ ღამესაც ჰყავდა თავისი დედოფალი. ვერცხლის მდინარე დიოდა უცნაურ გრაგნილად. ზღაპრული

ცხოველივით ფაფარაყრილი შხარის თეთრი კონტური ისახებოდა ცის კიდურზე. თითქოს რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებდა მას. იდგა მიმზიდველი და მშობლიური, ამავე დროს ცივი და მიუკარებელი, შორეული და უგულო, ლამაზი და ამპარტავანი. შორეული შხარის სილამაზე ჩემში უცნაურ და გაბედულ ოცნებებს ბადებდა.

საოცნებო ღამით მოჯადოებულნი გავცქეროდით ღამის მთავარ ჯადოქარს — შხარას, რომელიც თითქოს გვეძახდა და თავისკენ გვიხმობდა... სიზმარივით გაფანტა ამ მოარული ღამის ფიქრები ალიოშას ხმამ: „აბა, დავიძრათ!“

დაქანებულ კლდეებს შორის დეკას მოეკიდა ფეხი, დანამული ბალახი ნაპრალებიდან ამოქოჩრილიყო. ძნელი იყო ამ ფერდობზე ჩასვლა. დაგორებული ქვები რახრახით მიგორავდნენ მყინვარისაკენ და მათ ნაკვალევზე ჩვენც ვიკაფავდით გზას.

მალე გავედით მოვაკებულ მყინვარზე. მთვარის შუქზე შორს, ხეობისაკენ მიმავალი მყინვარი შარას ჰგავდა. დიდ ლოდთან ვიდექით, დაღლილნი ზურგით მივეყრდენით და ლოდზე დავაწყვეთ ზურგჩანთები. სასიამოვნო იყო სწორი ფართობის დანახვა. დაბრკოლებათა გადალახვამ დაგვავიწყა შიმშილი და დაღლილობა. შიმშილმა მხოლოდ ახლა მოიყვანა ვანო ფილოსოფოსობის გუნებაზე:

„— ვაჰ, რომელ კანონში წერია კაცი მშიერი იყოსო!“ (ვანოზე ადრე ასეთივე აზრი გამოთქვა ამერიკელმა მწერალმა ერნსტ ჰემინგუეიმაც — „მე არ ვიცი ვინ იგონებს კანონებს, მაგრამ ვიცი, რომ არ არის ასეთი კანონი, რომ კაცმა იშიმშილოს“).

ჩვენც დავეთანხმეთ. რომ ასეთი კანონი მართლაც არ უნდა არსებობდეს-თქო და იქვე გავმართეთ ღამის სერობა.

მხოლოდ გამთენიისას მივაღწიეთ მყინვარის ენას. კიდეე ერთხელ შეგვებრძოლა მყინვარი და დაგვისშო გზები. მყინვარის ენა დანაპრალებული და ქვებით მოხერგილი იყო, მაგრამ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით: ახლოს შსუოდა მდინარე, მთაზე მოჩანდა არყის ტყე. მყინვარის წინ ფართო რიყეზე თეთრი, რბილი და თბილი ქვიშა იყო მოფენილი. თბილოდა, სხეულში გასული დღეების დაძაბულობის შედეგად სისუსტე ვიგრძენით. საამო ნიავს ხეობიდან მიწის სურნელი მოჰქონდა.

მცხუნვარე მზემ გამოგვაღვიძა, კილომეტრსასევრის გავლის შემდეგ ბალყარელ მწყემსთა ყოშს მივადექით მოულოდნელი სტუმრები. სანამ კვლავ მხნე და ენერგიადაუშრეტელი ალიოშა ქვევით ხეობაში ცხენების საშოვნელად დაეშვა, ჩვენ სოფელ საუთუს მწყემსების ყოშში ვისხედით.

ტოტებით შემორაგულ ფაცხაში დიდი და ძლიერი ცეცხლი ენთო. ქვაბში თიკანი იხარშებოდა. ბალყარული აირანი მადლიანი სარქალის, მაზან ტემირზაევის ხელით ხის კათხით მოწოდებული დედის რძესავით შესარგები და საამო იყო. ბალყარულ მწყემსთა დარბაისლური საუბარი და ძმური ღიმილიც საამო იყო.

ღამე იყო, როცა მთელი დღის განმავლობაში ცხენით ნასიარულები და დაქანცულები ყაჩაღებივით მოულოდნელად თავს წავადექით ზემო ბალყარეთის მიძინებულ სოფელს. მთვარის შუქზე გაღმა მთაზე აშვერილი კოშკი ვერცხლისფრად ელვარებდა. მთვარით განათებულ თურახავლას შუკებში ჩვენი ცხენების ფეხის თქარათქური არღვევდა სიჩუმეს. გაღ-

მა სოფლებში აქა-იქ ბეუტავდა სინათლე. დამწვარი ნაკელის სუნი მოჰქონდა სიოს. მთვარით განათებულ ზღაპრულ ქალაქში შევედით. ეს იყო ჩვენი მოგზაურობის დასასრული.

მეგობრობის სადღეგრძელო

მიდის დრო, წლები, საუკუნეები. უდრეკად აღმართულან „მთანი დიდროვანნი — კავკასი — შავი ზღვიდან ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე იდღე ერთისა სავალი და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა". მაგრამ აღარ აშინებს ადამიანს გზის სიძნელე, მყინვარები და „თუ შთაუტეს კაცი", — აღარ აშინებს მას დაღუპვა.

ყოველი მხრიდან მოვლენ ბალყარნი და სვანნი, ღლიღვნი და ხევსურნი, ფშავნი და ყაბარდონი, ჩერქეზნი და დიდონი, ყარაჩაველნი და თუშნი, ყოველი მხრიდან წამოვლენ მოსაშველებლად. და აღარ აშინებს ადამიანს სიცივე და ყინვა. მას „ძალუძს დათმენა სიცივისა", მას ძალუძს გადალახვა გაუვალი ქედებისა და მიუვალი მწვერვალებისა. ცნობისმოყვარე და ხალისიანი, გამბედავი და უდრეკი საბჭოთა ადამიანისათვის არ არსებობს „გარდაუვალი" და „შეუძლებელი".

კვლავინდებურად დიან „მთისსა მისგან მდინარენი, ამიერ და იმიერ მავალნი".

ამიერმავალ მდინარეთა ხეობებიდან, რიონის შუაწელის ინდუსტრიული იმერეთიდან, რიონჰესისა და ბარიტის, რიცეულჰესის შუქით გაჩირაღდნებული სოფლებიდან ჩვენი გზა საკოლმეურნეო ფარების ქარავანთან ერთად ავიდა ქედზე. ბალყარელ კოლმეურნე მწყემსთა და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობით გამთბარი იყო შემოდგომის მიწურულის

დღეები შარი-ვცეკის სუსხიან უღელტეხილზე. ჩვენი მოგზაურობა დამთავრდა, მაგრამ უვალ ქედებზე, დათოვლილ ფერდობებზე, უბიწო ფირნსა და მყინვარებზე დარჩა ჩვენი ნაკვალევი, მძიმედ დატვირთული აუჩქარებლად მიმავალი ხუთი ადამიანის ნაკვალევი, ნაკვალევი კავკასიონის უბიწო თოვლის ზედაპირზე.

უკანასკნელი მწვერვალიდან, აილამის მყინვარის სათავეში, შორს ჩანდა ჩვენი ნაკვალევის პუნქტირი, იგი მიემართებოდა მაჩხაფარის უღელტეხილსა და ფასის მთის ძირისაკენ...

ჩვენ ჩავყავართ იმიერმავალ მყინვარს. გათენებისას დიხ-კოტიუ-ბუღოი-სუს მყინვარზე გამოჩნდა დიხ-სუს უღელტეხილიდან მომავალი ბილიკის კვალი. შორიდან მოისმა მდინარის შხუილი, შხუოდა იმიერმავალი მდინარე — ბალყარული ჩერეკი, რომელიც შემდეგ იშლება, ძლიერდება, იერთებს სხვა იმიერმავალ მდინარეებს და დარბაისელ და ფართო ურვანად იქცევა.

იმიერმავალმა მდინარემ ჩაგვიყვანა ყაბარდოს სიყვარულითა და მზრუნველობით მოვლილ გზებზე, რომელსაც ათეულ კილომეტრზე მისდევენ ახლად დარგული ჭადრის ხეები...

მეგობრები, ახლობელი ადამიანები გვაცილებდნენ ამიერმავალ მდინარეთა ხეობებიდან, ახლობელი მეგობრები და მზრუნველი ადამიანები დაგვხვდნენ იმიერმავალ მდინარეთა სათავეში. გასული წლის მეგობრობის გახსენების აღსანიშნავად მინდა შევსვა მათი სადღეგრძელო.

სალამი და გამარჯვება თქვენ მუდამ მოღიმარნო, კეთილო და მზრუნველნო ბალყარელნო ჟიუნუზ ჯანაევ და ინალ მისიუროვ. სალამი შენ თავდაჭერილო და ბრძენო სარქალო მაზან

ტემირზაევ, სალამი შენ, საკოლმეურნეო ფარის ერთგულო გუშაგო — ახი ბეზუევ, თქვენ, მწყემსნო კეთილნო — ყარამაი ბეზუევ და მაზან ჯამურაზოვ, დალხატ ქუჩუკოვ და ყაპალაუ ბიმურზაევ.

სალამი და გამარჯვება ყველას თქვენ, სოციალისტური ყაბარდო-ბალყარეთის კოლმეურნენო!

გაგიმარჯოთ! იცოცხლეთ! ბედნიერად იცოცხლეთ და ბედნიერად იშრომეთ თქვენს შესანიშნავ სამშობლოში, იყავით ჯანსაღნი და ძლიერნი, მხიარულნი და ხალისიანნი!

დოვლათით აივსოს თქვენი ფარები და ველები!

დოვლათით აივსოს თქვენი ბაღები და ვენახები!

გაგიმარჯოთ, იცოცხლეთ!

მრავალჟამიერ!

მთის რაინდი

საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი აღექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე ეკუთვნოდა ქართველი საბჭოთა მთამსვლელების მეორე თაობას, იმ თაობას, რომლის წარმომადგენლებმა, როგორც თვით ალ. ჯაფარიძე წერდა, „თავისი ალპინისტური მოღვაწეობა დაიწყეს მაშინ, როცა ალპინისტური მოძრაობა საქართველოში ძირითადად უკვე ჩამოყალიბებული იყო“[1].

ალპინიზმის ადრინდელი ისტორია საქართველოში ჯერ კიდევ შეუსწავლელია, მაგრამ ცალკეული ფაქტები და უკანასკნელი წლების გამოკვლევები მოწმობენ, რომ ქართველ ტომებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ მთაში სიარულის, მთაში ბრძოლისა და, მაშასადამე, მთამსვლელობის მაღალი კულტურა და ოსტატობა.

XIX საუკუნის მანძილზე და განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან დაწყებული, როცა კავკასიონის მწვერვალებს უცხოელმა მთამსვლელებმა მოაშურეს, მთასვლურ მატიანეებში ხშირად შეხვდებით ცნობას „ადგილობრივ მცხოვრებთა“ შესახებ, რომლებიც თან ახლდნენ განთქმულ მოგზაურებს გამყოლებად და ტვირთის მზიდავებად. მაგრამ ძალიან ხშირად ასეთ მოგზაურთა ასვლების ბედ-იღბალი სწორედ ამ

---

[1] ალ. ჯაფარიძე, რჩეული ნაწერები, სახელგამი, 1940 წ., გვ. 143.

„ადგილობრივ მცხოვრებთა“ ალღოზე, გამოცდილებასა და მთის ცოდნაზე იყო დამოკიდებული.

ისტორიამ შემოგვინახა ზოგი მათგანის სახელი, ხოლო უცხოელთა ასვლების აღწერილობათა დაკვირვებული კვლევა ცხადყოფს, რომ მრავალი „უცნობი თანამგზავრი“ მაღალ მთასვლურ ხელოვნებას იყო დაუფლებული. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ შესანიშნავი მთამსვლელები: სვანი მურათბი კიბოლანი, მოხევეები — ახია ფიცხელაური, კოტე ფიცხელაური, გახა წიკლაური და იაგორა კაზალიკაშვილი, რაჭველი გიო ლობჟანიძე და სხვები.

უკანასკნელი წლების გამოკვლევები ადასტურებენ, რომ საქართველოს მაღალმთიანეთის ყველა კუთხეში იყვნენ შესანიშნავი მთამსვლელები. ხევს შეუძლია იამაყოს ალექსი ზაგაშვილით, ლალა ხუციშვილით, როსტომ, ალექსი და სოლომონ კობაიძეებით, რაჭამ — ალექსი ლობჟანიძით, სვანეთმა— ცხომარელი მიტო არყულიანით, ხოლო აფხაზეთმა — ეშერელი მაჯაღუათი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიონის მწვერვალთა დაპყრობის საქმეში.

ჩვენ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას ამ საკითხზე, რადგან XIX საუკუნის ქართველ მთამსვლელთა ამ ბრწყინვალე პლეადის საუკეთესო წარმომადგენლები გახა წიკლაური, იაგორა კაზალიკაშვილი და სხვები შემდგომში ქართველი საბჭოთა ალპინისტების პირველი თაობის მასწავლებლები გახდნენ და აზიარეს ისინი მთაში მოგზაურობის ოსტატობას.

ქართველი საბჭოთა მთამსვლელების პირველი თაობა, რომელიც სარბიელზე 1923 წელს გამოვიდა და საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმს, მართალია სარგებლობდა ევრო-

ველთა გამოცდილებითა და ტექნიკით, მაგრამ მთაში სიარულის პრაქტიკა შეითვისა უშუალოდ იმ ქართველი მთამსვლელებისაგან, რომელნიც საქართველოს მაღალმთიან კუთხეებში აღიზარდნენ და აღზურვილნი იყვნენ მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეძენილი მდიდარი გამოცდილებით. ასე დამყარდა გარკვეული კავშირი მრავალი საუკუნის მანძილზე შემუშავებული პრაქტიკით შეიარაღებულ ძველ და პირველ საბჭოთა მთამსვლელებს შორის, რომლებმაც მთამსვლელობაში შეიტანეს ახალი იდეური შინაარსი, გაამდიდრეს ის უახლესი ტექნიკითა და ცოდნით. დანერგეს და ააყვავეს ალპინიზმი, როგორც საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი შესანიშნავი დარგი და როგორც დიდი გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე საშუალება ჩვენი ქვეყნის შესასწავლად და მის თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

ქართველი საბჭოთა მთამსვლელების პირველმა თაობამ: გიორგი ნიკოლაძემ, შოთა მიქელაძემ, სიმონ ჯაფარიძემ, სოსო ასლანიშვილმა, ალექსანდრე ჯაფარიძემ და სხვებმა თავიანთი ფასდაუდებელი შრომით საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა მთასვლურ მოძრაობას.

ამ მოძრაობას საფუძვლად დაედო სამშობლოს დიდი სიყვარული და იმ მნიშვნელობის შეგნება, რომელიც მთამსვლელობას აქვს არა მარტო როგორც სპორტის სახეობას, არამედ როგორც კულტურის ერთ-ერთ ფაქტორს და მეცნიერული კვლევა-ძიების დამხმარე დარგს, საფუძვლად დაედო ის შინაარსი და იდეები, რომლებიც დღემდე რჩებიან ალპინიზმის მამოძრავებელ ძალად.

სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მთამსვლელობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში. პირველი მასობრივი

სამაღალმთო ტურისტული ლაშქრობებიდან, პირველი ასვლებიდან შედარებით ისეთ ადვილ მწვერვალებზე, როგორიცაა მყინვარწვერი და იალბუზი, საჭირო იყო გადასვლა უფრო ძნელი მწვერვალების დაპყრობასა და სპორტული კლასის ამაღლებაზე.

ჯერ კიდევ 1926—1927 წლებში სიმონ ჯაფარიძე, დევი და შოთა მიქელაძეები ახორციელებენ რამდენიმე ასვლას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ახალი გზების ძიება და მთამსვლელობის სპორტული და მეცნიერული შინაარსის ამაღლება. ეს ახალი მიდრეკილებანი გამომჟღავნდა თეთნულდზე ასვლის ცდაში (ვიორგი ნიკოლაძე, სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი 1929 წ.). ასეთივე იყო შოთა მიქელაძის სპორტული ასვლები კატინ-თაუზე, გესტოლაზე, ლაკუცა-ლარტყალზე 1931 წელს, სოსო ასლანიშვილის ასვლა უილფათაზე 1929 წელს და ა. შ. სწორედ ამ წლებში საქართველოს მთასვლურ მოძრაობაში ებმებიან ახალი ძალები. ასპარეზზე გამოდის საქართველოს საბჭოთა ალპინისტთა მეორე თაობა, რომლის წარმომადგენელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ: გოჯო ზურებიანი, გიო ნიგურიანი, ალმაცქირ კვიციანი, დავით წერეთელი, სანდრო გვალია, დავით ფურცელაძე, კაკო მარი, ლევან მარუაშვილი, მელენტი სანებლიძე, ნიკო ქირიკაშვილი, ვასო ხაიკაშვილი, შალვა მაყაშვილი და, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, ალიოშა ჯაფარიძე.

1930-დან 1945 წლამდე მთამსვლელობის განვითარება საქართველოში და თითქმის ყველა გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ალიოშა ჯაფარიძის სახელთან.

მან თექვსმეტი წელი იმოღვაწა და ამ ხნის განმავლობაში კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე შეასრულა ასზე

მეტი უძნელესი და რეკორდული ასვლა, რითაც საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სახელი მოიხვეჭა.

ალ. ჯაფარიძე იყო ინჟინერი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე, მაგრამ მისმა პიროვნებამ ალპინიზმში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, პოვა ყველაზე ნათელი გამოსახულება.

მთამსვლელობა მხოლოდ სპორტი როდია. იგი ამავე დროს ადამიანის მეცნიერულ, კულტურულ და სამხედრო საქმიანობასთანაც არის დაკავშირებული.

მაღალმთიანეთის შესწავლა და მის საწარმოო ძალთა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოყენება საფუძვლად უდევს ალ. ჯაფარიძის მთელ მუშაობას. იგი, როგორც ინჟინერი, მუშაობდა საქართველოს მთის მდინარეთა ენერგეტიკული რესურსების გამოკვლევასა და ჰიდროელექტროსადგურთა დაპროექტებაზე.

1930 წელს ალ. ჯაფარიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი და ამ წლიდან მოყოლებული მისი საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს მთიანი რაიონების ჰიდრომშენებლობასთან. 1930—1931 წლებიდან, როდესაც ის ყაზბეგის რაიონის მდინარეების — არშის, ჩხერის, შავნაბადასწყლის, შავი არაგვისა და ხდის გამოკვლევაზე მუშაობდა უკანასკნელ წლებამდე, როცა ხელმძღვანელობდა ჰიდროელსადგურთა კასკადისათვის კომპლექსურ საკვლევაძიებო მუშაობას მდ. ბახვისწყალსა და ნატანებზე, იგი დაუღალავად იკვლევს მთის მდინარეებს. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ელსადგურის მშენებლობის განხორციელება. 1930 წლი-

დანვე დაიწყო ალ. ჯაფარიძის მთასვლური მოღვაწეობაც და ამიერიდან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეს ორი დარგი წარმოადგენდა მის სასიცოცხლო ინტერესთა წარმართველ და განმსაზღვრელ ფაქტორებს.

მთამსვლელობა და მასთან დაკავშირებული საქართველოს მაღალმთიანეთის კუთხეებში მოგზაურობანი შესაძლებლობას აძლევდა უფრო ფართოდ და დაწვრილებით გასცნობოდა მთის ბდინარეებს, მთის ბუნების მრავალფეროვნებას და შეეხედა ამ რაიონების საჭიროებისათვის არა მხოლოდ ინჟინრის, ვიწრო სპეციალისტის თვალით და საკითხის ტექნიკური გადაწყვეტის მიზნით, არამედ საინჟინრო-საკვლევი მუშაობა მეტ შინაარსს აძლევდა და ამდიდრებდა მის მთასვლურ მოღვაწეობას.

ასე, მაგალითად, 1933 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციის მიზანი იყო არა მარტო მწვერვალებზე ასვლები, არამედ ჭალაათის, ლეღზირისა და ტვიბერის მყინვართა რაიონის ძირფესვიანად გამოკვლევა. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდა გლაციოლოგიური, ჰიდრომეტრული, მეტეოროლოგიური, ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური ჯგუფები, რომელთაც დიდძალი მასალა შეკრიბეს.

ალ. ჯაფარიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მთამსვლელობასთან არის დაკავშირებული. იგი იყო არა მარტო ალპინისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი და საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი ფუძემდებელი, არამედ ორგანიზატორი ისეთი ღონისძიებებისა, რომელთაც საერთო კულტურული, ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

ასეთ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოებული ხვამლისა და ორხვის გამოქვაბულების, აგრეთვე კაცხის სვეტის გამოკვლევა და მრავალი სხვა, რომელთა ჩატარება მაღალი ალპინისტური ტექნიკის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია, ხოლო თავიანთი მიზნითა და მნიშვნელობით ისინი სცილდებიან ტექნიკურად ძნელად გადასაჭრელი საკითხების ფარგლებს და საქართველოს ისტორიულ და არქეოლოგიურ გამოკვლევაში შეაქვთ წვლილი.

როგორც ლიტერატორი, იგი მთლიანად მთამსვლელობასთან არის დაკავშირებული. მას ამეტყველებდა მთა. კავკასიონისა და პამირის დიადმა ბუნებამ, ალპინიზმის სიყვარულმა დააწერინა „უშბა", „თეთნულდი", „პამირის მთებში" და სხვ.

მთამსვლელის მოღვაწეობის შესწავლა და შეფასება ადვილი როდია. ადამიანის მოღვაწეობის სხვა დარგების შესასწავლად გამომუშავებული გვაქვს გარკვეული ხერხები და მეთოდები, ხოლო შესაფასებლად — დადგენილი კრიტერიუმები.

ლიტერატურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას რომ თავი დავანებოთ, თვით სპორტის სხვა სახეშიც შეგვიძლია გარკვეული საზომი ავიღოთ. მაგალითად, მორბენალის შესაფასებლად საკმარისია დავასახელოთ დროის მონაკვეთში გარბენილი მანძილი, ტექნიკური ანალიზი გავუკეთოთ რბენის სტილს, შევაჯამოთ მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა და ეს ცნობები სავსებით დაახასიათებენ მას, როგორც სპორტსმენსა და მოქალაქეს.

მთამსვლელის მოღვაწეობის შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ტექნიკური შედეგებისა და რიცხვების თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ალპინიზმი მრავლად შეიცავს შემოქმედებიო

ელემენტებს, რომელთა აღსანუსხავად ჯერ კიდევ არ გვაქვს გამომუშავებული გარკვეული ხერხები და ბევრ შემთხვევაში ისინი ჩვენთვის მიუწვდომელიცაა. ამ მხრივ მთასვლური შემოქმედება ბევრ რამეში ჰგავს მუსიკოს-შემსრულებლების შემოქმედებას, რომელშიც ასევე მრავლადაა პიროვნული, ინდივიდუალური მომენტები, რომლებიც არ შეიძლება აღნუსხო, ჩაიწერო, დაასაბუთო.

ალპინისტის ტაქტიკურ ხელოვნებას ბევრი რამ აქვს საერთო სამხედრო ხელოვნებასთან (უმთავრესად მათი ფსიქოლოგიური მხარეების მსგავსების მხრივ), მაგრამ მნიშვნელოვნადაც განირჩევა მისგან, რადგან სამხედრო-ტაქტიკურ ხელოვნებას საქმე აქვს ორგანიზებულ და გარკვეული კანონებითა და წესებით მოქმედ მოწინააღმდეგესთან, ხოლო მთასვლურ ხელოვნებას — ბუნების, ასევე გარკვეული კანონებით მოქმედ, მაგრამ ხშირად ჩვენთვის უცნობ ბუმბერაზ და ძრისხანე ძალებთან, რომელთა დაძლევა წარმოადგენს მთამსვლელის ამოცანას.

მთასვლური შემოქმედების გარკვევის დროს საქმე გვაქვს აგრეთვე მორალურ-ფსიქოლოგიური დარგის საკითხებთანაც.

მაღალმთიანეთში მუშაობას ბევრი რამ აქვს საერთო პოლარეთში მუშაობასთან, განსაკუთრებით იმ მორალური მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, რომელთაც მთამსვლელსა და პოლარელს უყენებს თვით გარემო, ბუნება, სტიქია, რომლებთანაც ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ ძორალურად გამობრძედილ, ძლიერი ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანს შეუძლია.

ალ. ჯაფარიძეს კარგად ესმოდა მორალური ფაქტორის მნიშვნელობა მთებთან ბრძოლაში და თვითონაც მორალური სიმტკიცისა და ნებისყოფის საუკეთესო მაგალითი იყო.

საბჭოთა ადამიანის სიძლიერე მის მორალურ-იდეურ, პოლიტიკურ სიმტკიცეში, კომუნიზმის გამარჯვების ღრმა შეგნებაში მდგომარეობს. ეს არის წყარო, საიდანაც სათავეს იღებს საბჭოთა ადამიანის გმირობა და თავგანწირვა შრომისა და ბრძოლის ფრონტზე.

ალ. ჯაფარიძე ნამდვილი საბჭოთა პატრიოტი იყო. მთასვლური მიღწევები მისთვის საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ქვეყნის სიძლიერის გამოხატვისა და დიდების საქმე იყო.

1934 წელს უშბაზე ასვლის შემდეგ იგი წერდა:

„დავეწიოთ და გავუსწროთ!“ ეს ლოზუნგი თანაბრად აქტუალურია საბჭოთა ქვეყნის კულტურულ-საშეურნეო მშენებლობის ყველა დარგისათვის. ალპინიზმის დარგშიც, ისევე როგორც საერთოდ ყოველ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, ეს ლოზუნგი დაკვრითი წესით უნდა იქნეს განხორციელებული. ამისათვის ჩვენ გვჭირდება შრომისმოყვარე, სიცოცხლით სავსე ადამიანები, გამსჭვალული ენთუზიაზმითა და ინიციატივით. საბჭოთა საქართველოს თითოეული მოქალაქე გამსჭვალული უნდა იყოს შეჯიბრებისა და გამარჯვების განუსაზღვრელი სურვილით. დღეს ჩვენ ავიღეთ კავკასიონის ქედის უძნელესი მწვერვალი და მხარი გავუსწორეთ საუკეთესო ევროპელი ალპინისტების მიღწევებს; ხვალ ჩვენ უნდა დავიკავოთ ავანგარდული ადგილი და წამყვანი როლი შევასრულოთ, რომ ისინი მოგვეყვებოდნენ უკან“[1].

ასეთი იყო მისი მოღვაწეობის იდეური გამიზნულობა.

1934 წელს უშბაზე ასვლის გამო იგი წერდა:

„რაც შეეხება ასეთ მწვერვალზე ასვლისათვის საჭირო

---

[1] ალ. ჯაფარიძე. რჩეული ნაწერები, თბილისი, 1940 წ., გვ. 138.

ხელსაწყო-იარაღებს, უნდა ითქვას, რომ იგი არ იყო ყოველმხ-
რივ დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ჩვენ გვქონდა ერთი იარა-
ღი, რომელიც ჩვენი მოწყობილობის ნაკლოვანებათა კომპენ-
საციას წარმოადგენდა. ეს იყო მთელი ჩვენი კოლექტივის სუ-
ლიერი სიმტკიცე და ენთუზიაზმი. ეს იარაღი ხომ უმთავრესია
ყოველ ბრძოლაში, ყოველ საქმეში"[1].

1943 წელს ალ. ჯაფარიძემ დასვა საკითხი უშბა-შხელდის ტრავერსის ჩატარების შესახებ. ზოგიერთს დროულად არ მი-ეჩნდა გამძვინვარებული ბრძოლების დროს ასეთი ღონისძიე-ბის ჩატარება, მაგრამ ალ. ჯაფარიძე თვლიდა, რომ სწორედ მაშინ იყო საჭირო ალპინისტური რეკორდის დამყარება და ამით დემონსტრაცია იმისა, რომ საბჭოთა ქვეყანა სრული მოცულობით განაგრძობს თავის კულტურულ, სპორტულ ცხოვრებას. ზურგში კიდევ ბევრია რეზერვები, ხალხში დაუშ-რეტელია გამარჯვების ძალა.

საქმისადმი ღრმა პატრიოტული დამოკიდებულებიდან გა-მომდინარეობს იმ ალპინისტურ ღონისძიებათა განხორციელე-ბა, რომელიც ნათელს ფენს მთელ მის მთასვლურ მოღვა-წეობას. საბჭოთა ალპინიზმის ოსტატთა შორის მას განსაკუთ-რებული ადგილი ეჭირა — იგი მუდამ ახალ მწვერვალებსა და ახალ გზებს ეძებდა. ალპინიზმი მისთვის შემოქმედება იყო. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითი ალპინიზმის წარმომადგენელი იყო.

76 მწვერვალიდან[2], რომლებიც მან დაიპყრო თავისი ალ-პინისტური მოღვაწეობის 16 წლის მანძილზე, 22 მწვერვალზე პირველად შედგა ფეხი.

---

[1] ალ. ჯაფარიძე, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1940 წ., გვ. 144.

[2] აქ ლაპარაკია მწვერვალთა რაოდენობაზე, განმეორებითი ასვლებით კი მას 106 ასვლა აქვს ჩატარებული.

ამ მწვერვალთა შორის ვხვდებით უსახელო მწვერვალებს, რომლებსაც მან დაანათლა სახელები. ასეთია 6570 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალი პამირზე, კორეენევსკაიას პიკის მახლობლად; რუსთაველის, სიმონ ჯაფარიძისა და გამარჯვების მწვერვალი ხდის ხეობაში. კოტე მარჯანიშვილის, სულხან-საბა ორბელიანისა და ეგნატე ნინოშვილის მწვერვალები ცენტრალური კავკასიონის მთავარ ქედზე, უსახელო მწვერვალი წურუნგალსა და ფიტნარგიხს შორის, რომელზეც ალიოშა 1938 წელს ავიდა და რომელსაც მისი დაღუპვის შემდეგ მთავრობის დადგენილებით ალ. ჯაფარიძის პიკის სახელი მიეკუთვნა.

ცხობილ მწვერვალზე ასვლის დროსაც კი გაურბოდა იგი გათელილ სვლიგეზებს; ცდილობდა ახალი გზით მისდგომოდა მწვერვალს და ახალი გზით ასულიყო მასზე.

ალ. ჯაფარიძემ ახალი გზები დაადგინა 15 მწვერვალზე: მყინვარწვერზე, თეფლიზე, ჯიმარაზე, კიდეგანის მაღალზე, საცარის მაღალზე, შტავლერზე და სხვ.

„გავწმინდოთ მწვერვალები უცხოელთა ბარათებისაგან“,— ასეთი იყო 30-იანი წლების საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ლოზუნგი. ალ. ჯაფარიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მოწოდების განხორციელებაში. მან შეასრულა პირველი საბჭოთა ასვლები. სამხრეთ უშბიდან 1937 წელს აქ ნამყოფი უცხოელი ალპინისტების — ვერნენ ვეკერტის და ლორენ სალადინის, შავანადან — ობერმეტაინერის და ბაუერის, ჯიმარაიდან — ჰოტფრიდ მერცბახერის ბარათები ჩამოიტანა, რომელიც 54 წელი ინახებოდა მწვერვალზე და სხვ.

ახლის მუდმივი ძიება იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი არასოდეს გამოტოვებდა მწვერვალზე ასვლისას გადასვლის

ან ახალი მყინვარის ნახვის შემთხვევას, რა.ადვილი და უმ-ნიშვნელოც უნდა ყოფილიყო ეს მწვერვალი ან გადასვლა. ამ მხრივ იგი არ ეკუთვნოდა ალპინისტთა იმ რიცხვს, რომლებისთვისაც მწვერვალი მხოლოდ გარკვეული ობიექტია სპორტულ ანკეტაში შესატანად ან რომელიმე სპორტული თანრიგის, ნიშნისა და წოდების მისაღებად.

მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მწვერვალი პირველი კატეგორიის იყო, თუ სრულიად არ იყო კლასიფიცირებული. ყოველი მწვერვალი მისთვის იყო სამზერი, ახალი კუთხე, საიდანაც გაჰყურებდა მთებს, მრავალფეროვან ბუნებას და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი წერტილიდან დაენახა, შეესწავლა და შეეთვისებინა იგი.

მისთვის არ არსებობდა „დიდი" და „პატარა" ობიექტები, „დიდი" და „მცირე" ამოცანები. მთასვლურ ალპინისტურ ობიექტად იგი თვლიდა არა მარტო მწვერვალზე ასვლასა და უღელტეხილზე გადასვლას, არამედ მაღალმთიანეთის ბუნების ყოველი სიძნელის დაძლევასა და გადალახვას, იყო ეს ტურისტული სამაღალმთო სვლიგეზი, თუ მყინვარისა და ყინვარდნილის გავლით, კლდოვანი თხემის გადალახვითა და ძნელად სავალ ხეობაში გზის გაკვლევით უძნელესი და ურთულესი ასვლა-ტრავერსი. ამიტომ მის ალპინისტურ ანკეტაში, რომელიც თავისებურ მთასვლურ ავტობიოგრაფიას წარმოადგენს, წიგნებში, წერილებსა და ანგარიშებში ყოველთვის ვხვდებით არა მარტო მწვერვალების ნუსხას, არამედ გადასასვლელების, სამთო მარშრუტების, მის მიერ გავლილი ყინვარდნილებისა და სხვათა ჩამოთვლას.

ალპინისტის სპორტული შეფასების ობიექტურ კრიტერიუმს მის მიერ დაძლეულ მწვერვალთა და უღელტეხილთა

სიძნელე და რაოდენობა შეადგენს. მაგრამ, ცხადია, შეუძლებელია მთის ბუნების მრავალმხრიობა და სძნელეთა მრავალსახეობა მოვათავსოთ იმ ხუთი კატეგორიის შემადგენლობაში, რის საშუალებასაც იძლევა მწვერვალთა კლასიფიკაციის ოფიციალური ცხრილი.

ამიტომ ალ. ჯაფარიძე ალპინისტის მუშაობის შეფასების დროს ყურადღებას აქცევდა არა მარტო მწვერვალებისა და უღელტეხილების რაოდენობას, არამედ საერთოდ მთელ დროს, რომელიც გაატარა მთამსვლელმა მთაში, მის მიერ შესწავლილ მთიან რაიონებს, მის მიერ გავლილ მყინვარებსა და ყინვარდნილებს.

ყინვარდნილების გავლა ალ. ჯაფარიძეს ერთ-ერთ ურთულეს და ალპინისტის დახელოვნებისათვის დიდმნიშვნელოვან მთასვლურ ობიექტად მიაჩნდა. თვით მას სხვადასხვა დროს გავლილი ჰქონდა ჭალაათის, ჯანთუგანის, აილამის, ბაშ-ყარასა და ხალდეს ყინვარდნილები.

ყინვარდნილების გავლასთან ერთად იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა მყინვარებზე სიარულის ტექნიკის შესწავლასა და მათზე სვლის პრაქტიკულ გამოცდილებას.

ალ. ჯაფარიძეს თავიდან ბოლომდე გავლილი ჰქონდა 30-ზე მეტი, მათ შორის: ნაგების, ჭალაათის, გულის, ჯანთუგანის, ლელზირის, ასმაშის, ტვიბერის, ყვითლოდის, ბაშკარას, ჯანყუათის, ყორულდაშის, შხარას, ხალდეს, ლასხედარის, ზესხოს, აილამის, დიხ-კოტიუ-ბუღოი-სუს, ფიტნარგინის, მაჩხაფარის, ნარის, მიდაგრავინის, სუათისის, მანას, დენკარას, გერგეთის, აბანოს, დევდარაკის, ყიბიშის, ჭაუხისა და სხვა მყინვარი.

ალ. ჯაფარიძე დიდი დიაპაზონის მთამსვლელი იყო. ეს

მეღავნდება მისი სპორტული ინტერესების სხვადასხვაობაში. იგი ერთნაირი მონდომებით ხელმძღვანელობდა როგორც მაღალი სპორტული კლასის პერფორსულ ასვლებს, ასევე მასობრივ ასვლებს პირველი კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე, გასამხედროებულ ტურისტულ ლაშქრობებს, გამოქვაბულების გამოკვლევას და სხვ.

ფართოა ალ. ჯაფარიძის მთასვლური მოღვაწეობის გეოგრაფიული არე. მას ჩატარებული ჰქონდა ასვლები და კარგად იცნობდა მაღალმთიან რაიონებს — ზემო და ქვემო სვანეთს, აფხაზეთის სვანეთს (დალს), ქლუხორს, ჩრდილო და სამხრეთ ოსეთს, ყაბარდოსა და ზემო რაჭას, ხევსა და ხევსურეთს, აჭარისა და გურიის მთიან ნაწილს, დასავლეთსა და აღმოსავლეთ პამირს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალ. ჯაფარიძის მთასვლური შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სწრაფვა ახალი გზით, ახალ მწვერვალზე, ახალ მთიან რაიონებში ასვლისკენ. 1935 წელს მან მონაწილეობა მიიღო შუა აზიაში მოწყობილ ერთ-ერთ ექსპედიციაში. კორჟენევსკაიას პიკის ჩრდილო-დასავლეთით 3 კილომეტრის დაშორებით მდებარე უსახელო მწვერვალზე ასვლასთან დაკავშირებით იგი წერდა:

„ჩვენი ამოცანა მეტად სერიოზული იყო. ჯერ ერთი, თვით ასვლა 6570 მეტრის სიმაღლეზე ძალიან სერიოზულ და საინტერესო ამოცანას წარმოადგენდა, ძალიან საინტერესო იყო აგრეთვე გამოგვერკვია კორჟენევსკაიას პიკზე დასავლეთიდან ან სამხრეთ-დასავლეთიდან ასვლის შესაძლებლობა და, მესამეც, უაღრესად საინტერესო იყო საერთოდ ჩვენი ჯგუფის მიერ ამორჩეულ რაიონში გასვლა, რამდენადაც ჩვენამდე იქ ჯერ არავინ ყოფილა.

მაგრამ, ამასთან ერთად, უკანასკნელი გარემოება ხდიდა ჩვენს განზრახვას პრობლემად, რადგან წინასწარ არა მარტო არ შეიძლებოდა ჩვენი გზის ზუსტი მიმართულების არჩევა. არამედ საერთოდ არ შეიძლებოდა წინასწარ იმისი თქმა, იყო თუ არა შესაძლებელი მწვერვალთან მისვლა იმ მიმართულებით, რომლითაც ჩვენ მივდიოდით"[1].

და შემდეგ: „უსასრულოდ გახარებული ვიყავით ჩვენი მიღწევით. ოთხი დღის განმავლობაში ჩვენ შევასრულეთ პირველი ასვლა 6570 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე, რომელიც საბჭოთა მთამსვლელების მიერ დღემდე დაპყრობილ მწვერვალებში მეხუთეა სიმაღლით.

ამასთანავე, ავიღეთ იგი თითქმის შუა შემოდგომით, სრულიად გამოურკვეველი გზით. გარდა ამისა, ჩვენ აღმოვაჩინეთ სრულიად უცნობი და რუკაზე დაუტანელი საკმაოდ დიდი მყინვარი, რასაც ერთგვარი წვლილი შეაქვს პამირის შესწავლაში და, რაც მთავარია, დეტალურად გამოვიკვლიეთ მისასვლელები საბჭოთა კავშირის სიმაღლით მესამე და ერთადერთ, დღემდე აუღებელ მწვერვალისაკენ — კორჟენევსკაიას პიკისაკენ — ეს იყო ჩვენი სიხარულის მიზეზი"[2].

ალ. ჯაფარიძე მუდამ არაჩვეულებრივად შეუპოვარი იყო დასახული მიზნის განხორციელებაში და ერთხელ დასახული მიზანი მის საბოლოო განხორციელებამდე არასოდეს მიუტოვებია. ეს თვისება თან სდევდა მთელ მის ალპინისტურ მოღვაწეობას თეთნულდზე პირველივე ასვლიდან, როცა უშედეგ-

---

[1] ალ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „კორჟენევსკაიას პიკის გზა ნაპოვნია", ჟ. 1937 წ., № 4.

[2] ი ქ ვ ე.

გო ცდის შემდეგ უკან გამობრუნებული მარტო ადის მწვერ-
ვალზე.

ამ მხრივ დამახასიათებელია მყინვარწვერზე ახალი გზით ასვლის ცდები. 1931 წლის იანვარში ალ. ჯაფარიძე აღწევ-
მხოლოდ 4000 მეტრს. იმავე წლის მარტში კვლავ უხდება გა-
მობრუნება ამავე სიმაღლიდან, ხოლო იენისში მისი ასვლა
სრულიად ახალი გზით, აბანოს მყინვარის მხრიდან, სრული
გამარჯვებით გვირგვინდება.

დასახული ამოცანის განხორციელების პირველი მარცხი ალ. ჯაფარიძეს არასოდეს უცრუებს გულს ამოცანის საბო-
ლოო განხორციელებისათვის ბრძოლაში.

1934 წლის მაისში ალ. ჯაფარიძე სამჯერ უშედეგოდ ცდი-
ლობს შტავლერზე ასვლას და მხოლოდ მეოთხე ცდა მწვერ-
ვალზე ახალი გზით ასვლისა სრული გამარჯვებით მთავრდება.

1937 წელს, თეპლი-თაუდან (4250 მეტრი) გამობრუნებული, კვლავ უბრუნდება მას 1938 წლის ივლისში და წარმატე-
ბით ადის ახალი გზით.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ამონაწერში კარგად მეტყველ-
დება ალ. ჯაფარიძის მთასვლური მოღვაწეობის კიდევ ერთი
დამახასიათებელი მხარე, რომელიც გამომდინარეობს მი-
საერთო შეხედულებიდან ალპინიზმის მიზნებისა და ამოცან-
ების შესახებ. იგი წერს: „ჩვენ აღმოვაჩინეთ სრულიად უცნო-
ბი და რუკაზე დაუტანელი საკმაოდ დიდი მყინვარი, რასაც
ერთგვარი წვლილი შეაქვს პამირის შესწავლაში". ეს შეხე-
დულება ალპინისტურ ასვლებზე არა როგორც თვითმიზან-
ზე, არამედ როგორც ადამიანის საქმიანობის გარკვეულ გამო-
ყენებით დარგზე ალ. ჯაფარიძის ალპინისტური მოღვაწეობის
მეორე მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს.

ეს თვალსაზრისი შემთხვევითი არ არის საბჭოთა ალპინიზმისათვის, არამედ მეორე ორგანულ თვისებას წარმოადგენს. მისი სათავე ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეგვიძლია ვეძებოთ, როდესაც საქართველოს პროგრესულმა მოღვაწეებმა მიხეილ გარსევანიშვილმა, სპირიდონ სიმონოვიჩმა და სხვებმა 1879 წელს თბილისში საფუძველი ჩაუყარეს პირველ ალპურ კლუბს, რომლის ძირითად ამოცანად კავკასიონის მაღალმთიანეთის ყოველმხრივი შესწავლა დასახეს.

ალპინიზმის ეს თვისება მიიღეს, შეისწავლეს და საბჭოთა ალპინიზმის ორგანულ ნაწილად გახადეს პირველი თაობის საბჭოთა მთამსვლელებმა. საჭიროა გვახსოვდეს, რომ პირველი საბჭოთა ასვლები (მაგალითად, ალ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ასვლა მყინვარწვერზე 1929 წელს) სწორედ ფართო მეცნიერულ ამოცანებს ისახავდა.

ალ. ჯაფარიძემ გაიზიარა და განახორციელა საბჭოთა ალპინიზმის ეს იდეა არა მარტო თავისი სპეციალური ჰიდროენერგეტიკული გამოკვლევებისათვის: 1935 წელს ჩვენ ვხედავთ მას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეციალურ სატრიანგულაციო სამუშაოთა წარმოების დროს, შტავლერის ჯგუფის ხელმძღვანელად, იგი თავდადებულად მუშაობს სატრიანგულაციო პუნქტების აგებაზე. 1937 წელს იგი ეხმარება ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებას ასეთივე სამუშაოს ჩატარებაში ყაზბეგის რაიონში მწვერვალ შაპნაზე.

იგი არა მარტო საგანგებო დავალებათა შესრულებაში, არამედ მაღალი კლასის სპორტულ ღონისძიებათა განხორციელების დროსაც კი პოულობს დროსა და შესაძლებლობას,

რათა ეს ასვლა გამოიყენოს თუნდაც სულ მცირე მეცნიერული ამოცანის გადასაწყვეტად. ასე, მაგალითად, 1940 წელს წურუნგალ-შხარის ტრავერსის ჩატარების დროს, მიუხედავად დიდი ტვირთის ტარებისა, აღმოსავლეთ შხარის მწვერვალზე (5200 მეტრი ზღვის დონიდან) ააქვს მინიმალური და მაქსიმალური თერმომეტრები მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურის გასარკვევად.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ გიორგი ხიკოლაძის შემდეგ ისეთი მონდომებით არავინ მოჰკიდებია ასვლების დროს ფოტოგადაღებას, როგორც ალიოშა ჯაფარიძე; ყველა მისი ასვლა დოკუმენტირებულია მრავალრიცხოვანი ფოტოსურათით, მარტო წურუნგალ-შხარას ტრავერსის დროს მან გადაღო ექვსასზე მეტი კადრი. „ფედის“ აპარატი ალ. ჯაფარიძის მუდმივი თანამგზავრი იყო და მის მიერ გადაღებული რამდენიმე ათასი კადრი ძვირფას მემკვიდრეობას წარმოადგენს; უკანასკნელ წელს მან კინოაპარატიც შეიძინა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა მისი გამოყენება მაღალმთიანეთის პირობებში.

ზოგადგეოგრაფიული დაკვირვებების გარდა, ალ. ჯაფარიძე, როგორც აღვნიშნეთ, აწარმოებდა სპეციალურ ჰიდროტექნიკურ, გლაციოლოგიურ და სპელეოლოგიურ კვლევას, რაც აგრეთვე ხაზს უსვამს მის ინტერესთა მრავალმხრივობას. მაგრამ, პირველ რიგში, იგი იყო ნამდვილი ალპინისტი-სპორტსმენი, რომელსაც ამოძრავებდა მთამსვლელობის დიდი კულტურული, შემეცნებითი და გამოყენებითი მნიშვნელობის ღრმა შეგნება და დანიშნულება. იგი მთამსვლელად იყო დაბადებული და ალპინიზმის გარეშე მისი წარმოდგენა შეუძლებელია.

მან დატოვა დიდი მთასვლური მემკვიდრეობა, რომლის შესწავლა და გამოყენება ახალგაზრდა ქართველი მთამსვლელების ამოცანას შეადგენს.

მთასვლური მოღვაწეობის თექვსმეტი წლის განმავლობაში ალ. ჯაფარიძეს გავლილი აქვს 27 ზეკარი, განხორციელებული აქვს 106 ასვლა, ასულია 76 მწვერვალზე, მათგან მყინვარწვერზე — 4-ჯერ, თეთნულდზე, შტავლერზე, რუსთაველის პიკსა და ჯიმარაიზე — 3-ჯერ, სამხრეთ უშბაზე, შავანაზე, მაჩხაფარსა და ქარაჯინაზე — 2-ჯერ. სიძნელეთა კატეგორიის მიხედვით ამ ასვლებში პირველი კატეგორიის ასვლა იყო 24, მეორე კატეგორიის — 20, მესამე კატეგორიის — 26 და მეოთხე კატეგორიის 10. აღნიშნულ ასვლებს შორის არის პირველი საბჭოთა ასვლები კულაკ-თაუზე, ჯიმარაიზე, შავანაიზე, შაუ-ხოხზე, აგრეთვე გადილის, ბაშყარას, უღუყარას, აღმოსავლეთ და დასავლეთ შხარის, წურუნგალისა და ნამყვამის ტრავერსები.

შესრულებული აქვს საკავშირო და საერთაშორისო კლასის 6 მარშრუტი.

1934 წელს პირველი ასვლა სამხრეთ უშბაზე საეტაპო თარიღია საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში, რომლითაც დაიწყო საბჭოთა მთამსვლელობის ბრწყინვალე მიღწევათა უწყვეტი რიგი.

1935 წელს ასვლა კორჟენევსკაიას პიკის მახლობლად მდებარე 6570 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე, საბჭოთა მთამსვლელობის მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა.

1940 წელს შესრულებული ეგრეთ წოდებული „დიდი ტრავერსი“ უჩვეულო საერთაშორისო ალპინისტური რეკორდი იყო.

1940 წელსვე ჩატარებული პერფორსული გადასვლა ჯანთუგანიდან ყაშყატის მაღლობამდე მეხუთე კატეგორიის სიძნელის მიღწევათა რიგს მიეკუთვნება.

1943 წელს ჩატარებული ზამთრის პირველი ასვლა სამხრეთ უშბაზე (არაჩვეულებრივ მძიმე და სასტიკ პირობებში) დიდი მთასვლური გამარჯვება იყო, ხოლო 1945 წელს განზრახული და განუხორციელებელი ტრავერსის შესრულებული ნაწილიც კი — გულის მყინვარის ჩრდილოეთ უშბაზე ასვლა — მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა. უმაღლესი მწვერვალი, რომელიც მან დაიპყრო, იყო კორჟენევსკაიას პიკის მახლობლად მდებარე 6770 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალი.

ალ. ჯაფარიძე 5-ჯერ ავიდა 6000 მეტრზე ზევით (ლენინის პიკზე ასვლის ცდების დროს), 11-ჯერ — 5000 მეტრის ზევით. ამ თერთმეტ ასვლაში არის ევროპის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი (5630 მეტრი ზღვის დონიდან) და კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი და უძნელესი მწვერვალი დასავლეთი შხარა (5200 მეტრი ზღვის დონიდან).

ყველა ჩამოთვლილ ასვლაში, თუნდაც მეოთხე და მეხუთე კატეგორიის სვლიგეზებზე, ალ. ჯაფარიძეს-იშვიათად ვხედავთ მცირე ჯგუფის სათავეში. იგი არ იყო იმ დებულების მომხრე, რომ მასობრივი ალპინიზმი შესაძლებელია მხოლოდ პირველი კატეგორიის მწვერვალებზე.

ალ. ჯაფარიძე თვლიდა, რომ წარსული გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე ოცდაათიანი წლების დასასრულისათვის საბჭოთა მთამსვლელობას უკვე შეუძლია დასძლიოს მასობრივი ასვლები არა მარტო პირველი კატეგორიების მწვერვალებზე, არამედ მეორე და მესამე კატეგორიის

მწვერვალებზეც. საქართველოს ალპინისტებმა გაიზიარეს და განახორციელეს ეს აზრი. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა კადრების მომზადება იმ შესანიშნავი პერფორსული ასცლებისათვის, რომელთა უმაგალითო და შესანიშნავი ოსტატი იყო ალ. ჯაფარიძე.

1937—1938 წლები საქართველოს მასობრივი ალპინიზმის აღმავლობის წლები იყო. მასობრივი ალპინიადები ჩატარდა ზემო სვანეთში, ყაზბეგის რაიონსა და მთათუშეთში. ამ ალპინიადების დროს მასობრივი ასვლები ხდებოდა უკვე არა პირველი კატეგორიის მწვერვალებზე, როგორც აქამდე, არამედ ისეთ მწვერვალებზე, როგორიცაა თეთნულდი, ქომიტო, ქაბარჯინა და სხვ., ე. ი. მეორე და უფრო ძნელი კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე.

აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად მომზადდა და დახელოვნდა მთამსვლელთა საკმაოდ დიდი რიცხვი. უკვე საქართველოს მთასვლური მოძრაობის დღის წესრიგში დადგა სარეკორდო ასვლის საკითხი.

„ჩვენ არამცთუ უფლება გვქონდა გვეფიქრა დიდი სარეკორდო ასვლების შესახებ, რაც აუცილებელი იყო ქართველ ალპინისტთა ავტორიტეტის ამაღლებისათვის, არამედ მოვალენიც ვიყავით არ ჩამოვრჩენოდით სხვა მოძმე რესპუბლიკათა ალპინისტებს და ჩვენი წვლილი შეგვეტანა საბჭოთა ალპინისტების სარეკორდო მიღწევებში.

სარეკორდო ასვლებისათვის ყველაზე უფრო გვიზიდავდა ცენტრალური კავკასიონი, სახელდობრ — ბეზინგის კედელი და ამ უკანასკნელის მომიჯნავე, მის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედისა — მწვერვალ შხარიდან წურუნგალამდე... ეს ტრავერსი, გარდა საუკეთესო ორგანიზა-

ციისა და უძნელეს მწვერვალებზე ასვლის ზედმიწევნითი გამოცდილებისა, ჩვენგან მოითხოვდა უდიდეს ფიზიკურ და მორალურ სიმტკიცესა და გამძლეობას. მიუხედავად უძნელესი ასვლების საკმაო გამოცდილებისა, დიდი ტრავერსის ჩატარების საბოლოოდ გადაწყვეტამდე აუცილებელი იყო უძნელეს გზებზე საჭირო მოწყობილობასთან ერთად დაახლოებით 20 დღის საგზალის თან ტარების შესაძლებლობის გამორკვევა. ვიდრე ეს საკითხი არ გამოირკვეოდა სრული სიცხადით, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნდა დიდი ტრავერსის კონკრეტული გეგმის შედგენა და მის შესახებ საკითხის დასმა", — წერს ალ. ჯაფარიძე „ცენტრალური კავკასიონის ტრავერსის" მოკლე ანგარიშში.

მართლაც, ესოდენ დიდ მანძილზე სრული თვითუზრუნველყოფა ჯერ კიდევ ახალ ამბავს წარმოადგენდა ამ წლებში. მართალია ადამიანის ტვირთის ზიდვის ფიზიკური შესაძლებლობანი ცნობილი იყო, მაგრამ მრავალი პრაქტიკული საკითხის დაზუსტებას საჭიროებდა. კერძოდ, კვების პროდუქტების ასორტიმენტის, ულუფის რაოდენობისა და სხვა მრავალი მსგავსი საკითხი გარკვევას მოითხოვდა. ყოველივე ამის დაზუსტება, გარკვევა და შემოწმება მხოლოდ პრაქტიკულად შეიძლებოდა, რადგან მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება გვაძლევს საშუალებას ზედმიწევნითა და ზუსტად დავადგინოთ ტვირთზიდვის ნორმები, ულუფის რაოდენობა და სხვ. ტრავერსის იდეა ჯერ კიდევ 1937 წელს იქნა შემუშავებული. ამ საქმის განხორციელების პირველი ეტაპი, უფრო ადვილ ობიექტებზე, ზოგიერთი ტექნიკური და ტაქტიკური საკითხის გადაწყვეტა იყო.

ამგვარად, ცენტრალური კავკასიონის მთავარი ქედის ტრა-

ვერსის იდეის განხორციელებას ალ. ჯაფარიძე ჯერ კიდევ 1937 წელს შეუდგა. ამავე წლის ოქტომბრის ბოლოს ოთხი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც ალ. ჯაფარიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, ე. ფირგუფი და კ. ჯავრიშვილი შედიოდნენ, მთელ რიგ ასვლათა განხორციელების შემდეგ მიადგა შარი-ვცეკის გადასავალს მდ. ცხენისწყლის სათავეში. უღელტეხილზე, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ტრავერსი კავკასიონის მწვერვალების წვერიწვერ, ჯგუფს საშინელმა ქარბუქმა მოუსწრო, რის გამოც შეუძლებელი გახდა ტრავერსის შემდგომი გაგრძელება.

1938 წლის ოქტომბერში ხუთი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით კვლავ შარი-ვცეკის გადასავალზეა. ისევ ქარბუქი, ლოდინი. ქარბუქის შეწყვეტის შემდეგ ჯგუფი იწყებს სვლას დასავლეთისკენ უვალი მწვერვალების წვერიწვერ.

თხუთმეტი დღის განმავლობაში ჯგუფმა ქედ-ქედ გაიარა 25 კილომეტრი, აიღო 12 მწვერვალი ფასის მთითა და შარითაუთი დაწყებული წურუნგალამდე.

უსახელო მწვერვალებს დაერქვა კოტე მარჯანიშვილის, სულხან-საბა ორბელიანისა და ეგნატე ნინოშვილის სახელები. ჯგუფმა გაიარა უძნელესი აილამის ყინვარდნილი და მთელ სიგრძეზე დიხ-კოტიუ-ბუღოი-სუს მყინვარი.

ზემოხსენებულ ანგარიშში ალ. ჯაფარიძე წერს: „ჩვენ დავრწმუნდით საბოლოოდ, რომ 15—20 დღის სურსათის მარაგის თან ტარება, მიუხედავად ტრავერსის მძიმე პირობებისა, სავსებით შესაძლებელია, ამან მოგვცა საშუალება გადავვეწყვიტა დიდი ტრავერსის ჩატარება 1939 წელს“.

შედგა ტრავერსის მეტად საინტერესო გეგმა. მთელი ტრა-

ვერსი იყოფოდა სამ ნაწილად. პირველი ნაწილი — მწვერვალ-წურუნგალიდან ნამყვამამდე, მეორე ნაწილი — ნამყვამიდან რუსთაველის პიკამდე, მესამე ნაწილი — რუსთაველის პიკიდან გესტოლამდე.

„შესაბამისად გეგმისა, მოტრავერსენიც გაყოფილი იყვნეს სამ ჯგუფად. ტრავერსს იწყებდა პირველი ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით. ტრავერსის პირველი ნაწილის გავლის შემდეგ, მწვერვალ ნამყვამის ძირში მას ხვდებოდა მეორე ჯგუფი 3 კაცის შემადგენლობით. ეს ჯგუფი ცვლიდა პირველი ჯგუფიდან 3 კაცს, რომელნიც ჩამოდიოდნენ ძირს სოფ. ცანაძ და ამთავრებდნენ თავის მუშაობას. განახლებული ჯგუფი კი განაგრძობდა გზას ქედ-ქედ შხარაზე გადავლით რუსთაველის პიკამდე, სადაც მას ხვდებოდა ხალდეს მყინვარით ამოსული მესამე ჯგუფი, აგრეთვე 3 კაცის შემადგენლობით. ეს უკანასკნელნი ცვლიდნენ მეორე ჯგუფის სამ კაცს, რომელნიც ჩამოდიოდნენ ძირს სოფ. ხალდეში და ამთავრებდნენ მუშაობას, განახლებული ჯგუფი კი განაგრძობდა გზას ქედ-ქედ გესტოლამდე, სადაც თავდებოდა ტრავერსი“.

დიდი ტრავერსის ეს გეგმა ესტაფეტურ პრინციპზე იყო აგებული და მოითხოვდა სამივე ჯგუფის ზედმიწევნით ზუსტ მოქმედებას.

1939 წელს გეგმის განხილვისა და დამტკიცების გაჭიანურების, ხოლო შემდეგ უამინდობის გამო ტრავერსის ჩატარება ვერ მოხერხდა.

1940 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გეგმა დაამტკიცეს.

ბიუხედავად ამ ტრავერსის ყველა მონაწილის საკმაოდ დიდი მთასვლური გამოცდილებისა, ალ. ჯაფარიძემ საჭიროდ ჩათვალა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა მონაწილენი და მათ-

თან ჩაეტარებინა საწვრთნელი ბანაკში. ამ მიზნით პირველ სექტემბერს გადის, როგორც თვითონ უწოდებს, „მცირე ტრავერსის“ შესასრულებლად ლეღზირის რაიონში.

თორმეტი დღის განმავლობაში გაიარა კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალები. ჯანთუგანისა და ყაშ-ყატაშის უღელტეხილებს შუა მდებარე ცხრა მწვერვალი (მათ შორის: ბაშკარა, გადილი და ულუ-ყარა. აგრეთვე ჯანთუგანისა და ბაშყარას ყინვარდნილი).

„მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, — წერს ალ. ჯაფარიძე, — ჩვენ პირველად მოვახდინეთ კავკასიონის მთავარი ქედის ტრავერსი ჯანთუგანიდან ყაშ-ატაშამდე, ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რომლის დროსაც მოვახდინეთ მე-3 და მე-4 კატეგორიის სიძნელის გადასვლა (აღმოსავლეთი და დასავლეთი ლეღზირ-თაუ და „პტესის“ პიკი). გადავიარეთ ერთი მე-2 სიძნელის მაღლობი (ჯანთუგანი), გავიარეთ მთლიანად ლეღზირის, ბაშყარასა და ჯანყუათის მყინვარები, ადილსუს და მესტიაჭალის ხეობა.

მონაწილეებმა გაიარეს საუკეთესო გამოცდა და აკლიმატიზაცია. მესტიაში დაბრუნებისას ყველა იყო მშვენიერ სპორტულ ფორმასა და მზადყოფნაში შებმოდა ყოველგვარი სიძნელის მწვერვალს. ეჭვი არ გვეპარებოდა იმაში, რომ წარმატებით ჩავატარებდით „დიდ ტრავერსს“, რამდენადაც ეს ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული“.

ამგვარად, დიდი ტრავერსის ჩატარებას საფუძვლად დაუდო მრავალწლიანი წინასწარი საკვლევი და ექსპერიმენტული მუშაობა, ხოლო ტრავერსის ჩატარებას უშუალოდ წინ უსწრებდა სპორტული თვალსაზრისით საკმაოდ ძნელი ტრავერსი მონაწილეთა გასავარჯიშებლად. ტრავერსი დაიწყო 23 სექ-

ტემბერს მწვერვალ წურუნგალიდან. რომელზეც ძირითადი ჯგუფის გარდა დამხმარენიც ავიდნენ.

მწვერვალიდან დამხმარენი უკან გამობრუნდნენ. ხოლო ძირითადმა ჯგუფმა ალ. ჯაფარიძის, გაბრიელ ხერგიანის, ბექნუ ხერგიანისა და ლევან სუჯაშვილის შემადგენლობით განაგრძო გზა აილამის მწვერვალისაკენ.

მწვერვალი აღებულ იქნა 27 სექტემბერს, ხოლო 28 სექტემბერს აილამისა და ნამყვამის შუა მდებარე უნაგირზე ერთმანეთს შეხვდნენ მოტრავერსენი და ყორულდაშის მყინვარით ქვევიდან ამოსულნი: ალექსანდრა ჯაფარიძე, გოჯი ზურებიანი და ვახტანგ ქილიკაშვილი. ლევან სუჯაშვილი ხეობაში ჩავიდა, ხოლო განახლებულმა ჯგუფმა განაგრძო გზა, ავიდა ნამყვამზე და გადაიარა ორი უსახელო მწვერვალი. მსვლელობის დაჩქარების მიზნით, საჭირო გახდა ჯგუფის შემადგენლობიდან ერთი კაცის ქვევით დაშვება. პირველ ოქტომბერს ქვევიდან ჩააცილეს ვახტანგ ქირიკაშვილი და ჯგუფმა განაგრძო გზა აღმოსავლეთისაკენ, გაიარა შხარის მთელი ქედი, ავიდა მის უმაღლეს მწვერვალზე (სიმაღლე ზღვის დონიდან 5200 მ), რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლეს წერტილს წარმოადგენს, და ტრავერსის დაწყებიდან მე-17 დღეს (10 ოქტომბერს) უკვე სოფელ ხალდეში იყო.

ჩვენ არ შევუდგებით აღნიშნული ტრავერსის სიძნელეთა აღწერას, საკმარისია ითქვას, რომ ტრავერსის მონაწილეებმა 17 დღის განმავლობაში 30 კილოგრამიანი ზურგჩანთებით, ზღვის დონიდან საშუალოდ 4500 მეტრის სიმაღლეზე, მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში, დასძლიეს სახიფათოდ დაკიდებული ლავგარდანებით დაფარული, მეტეხი ქანებისაგან შემდგარი, თოვლ-ყინულით შეპოპილი ქედი.

1940 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ეწერდა: „საქართველოს ალპური კლუბის ბიერ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ცენტრალური კავკასიონის დიდი ტრავერსი საბჭოთა ალპინისტების კიდევ ერთ გამარჯვებას წარმოადგენს. 1940 წლის ზაფხულის არწყინვალე მიღწევებს საბჭოთა ალპინიზმი პირველ ადგილზე გამოჰყავს მსოფლიოში.

„...ეს შესანიშნავი ტრავერსი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საბჭოთა სპორტსმენები საბოლოოდ დაეუფლნენ მსოფლიო რეკორდებს“.

თვით ალ. ჯაფარიძემ ამ ლაშქრობის მნიშვნელობა ასე შეაფასა:

„...დამყარებულია ალპინისტური რეკორდი, რომლის მსგავსისათვის არავის მიუღწევია და რომელიც წარმოადგენს შემდეგ ცალკეულ რეკორდულ მოძენრეთა ერთობლიობას:

ა) გავლილია კავკასიონის მთავარი ქედი 80 კილომეტრამდე და ტრავერსირებულია 20-მდე მწვერვალი, რომელთა უმეტესობა მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის სიძნელისაა.

ბ) პირველად იქნა გავლილი კავკასიონის მთავარი ქედი ეწვერვალ წურუნგალიდან შხარამდე, პირველადაა აგრეთვე ტრავერსირებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კავკასიონის მთავარი ქედი ჯანთუგანიდან მწვერვალ ულუ-ყარამდე.

გ) პირველად იქნა ჩატარებული ასეთი დიდი ტრავერსი დამხმარე ბაზების წინასწარ მოუწყობლად და სურსათის მარაგის შეუვსებლად (ჯან-ტუგან-ულუ-ყარას ტრავერსის დროს

12 დღის განმავლობაში და წურუნგალ-შხარის ტრავერსის 17 დღის განმავლობაში გვიხდებოდა 25—30 კილოგრამიანი ჩანთების ტარება).

დ) წურუნგალ-შხარის ტრავერსი ჩატარებული იქნა ოქტომბერში, ცუდი დარების პირობებში, როდესაც დღე ძლიერ შემცირებულია და სიცივეები იმდენად გაძლიერებული, რომ სიარული შესაძლებელი იყო მხოლოდ დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ე) ჩვენი ექსპედიციის მონაწილეთა რიცხვი აღემატებოდა სარეკორდო ასვლების მონაწილეთა რიცხვს: ჯან-ტუ-გან-ულუ-ყარას ტრავერსში მონაწილეობდა 6 კაცი და ნამყვამ-შხარის ტრავერსში 5 კაცი.

ვ) ჩვენს ტრავერსში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა ალპინისტი ქალი. ასეთ ძნელ ალპინისტურ ღონისძიებაში ქალის მონაწილეობა პირველი შემთხვევაა მსოფლიოში...

ამ ლაშქრობაში მიღებული უდიდესი გამოცდილების შედეგად საქართველოს ალპინისტებს შეუძლიათ განაგრძონ და კიდევ უფრო გააღრმაონ მუშაობა ახალი საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტულ გამარჯვებათა მოსაპოვებლად"[1].

ამ ურთულესი და უძნელესი ლაშქრობის წარმატებით დამთავრების შემდეგ თავის მორიგ ამოცანად ალ. ჯაფარიძემ ახალი ტრავერსის ჩატარება დაისახა. ახლა მისი ყურადღება მიპყრობილია უშბის რაიონისაკენ. უშბისადმი ინტერესი თან სდევს ალ. ჯაფარიძის მთელ სპორტულ ბიოგრაფიას. 1930 წელს იგი პირველად ეწვია სვანეთის მთებს, ჩაატარა პირველი ასვლები თეთნულდზე და მოასდინა უშბის პირველი დაზვერვა.

---

[1] ალ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1948 წ., გვ. 252—254.

1934 წელს ალ. ჯაფარიძე ახორციელებს პირველ საბჭოთა ასვლას სამხრეთ უშბაზე; ცხრა წლის შემდეგ ისევ უბრუნდება უშბას, ახლა უკვე როგორც პერფორსული ასვლების ნაცადი ოსტატი, რომლის გამოცდილება გამდიდრებულია რამდენიმე ბრწყინვალედ ჩატარებული ტრავერსით. ამჯერად მას აინტერესებს უშბის ორივე მწვერვალისა და მისი მომიჯნავე შხელდის შვიდივე მწვერვალის ფორსირება ერთი ჯგუფის მიერ. ამ ურთულესი ღონისძიების ჩატარებას ალ. ჯაფარიძე 1943 წელს შეუდგა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო გასვლა დაგვიანდა. ზამთრის უძნელეს პირობებში შვიდი დღის განმავლობაში სამხრეთ უშბაზე ყოფნის შემდეგ ჯგუფი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო.

1945 წელს ალ. ჯაფარიძე კვლავ ემზადება უშბა-შხელდის ტრავერსის ჩასატარებლად. ყოველმხრივ ამზადებს ამ ტრავერსს მისი სიძნელისა და სირთულის სრული შეგნებით; აღგენს განმარტებით ბარათს „უშბა-შხელდის სარეკორდო ტრავერსის წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის საკითხისათვის". ბარათში, პირველ ყოვლისა, კიდევ ერთხელ აფასებს ტრავერსის მონაწილეთა[1] შესაძლებლობასა და გამოცდილებას. აქ იგი ჩატარებულ ასვლებს იხსენებს და მიდის დასკვნამდე, რომ ტრავერსის სამივე მონაწილე სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას. ეს დოკუმენტი მეტად საყურადღებოა ალ. ჯაფარიძის მთელი მთასვლური მოღვაწეობის შეფასებისათვის.

როგორც ცნობილია, დასახული ტრავერსი ვერ იქნა განხორციელებული სრულიად გარკვეული და მოტრავერსე ჯგუფისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ჩრდილოეთ

[1] ქ. ონიანი, ნ. მუხინი და ალ. ჯაფარიძე.

უშბიდან გამობრუნებული ჯგუფი დაიღუპა გულის მყინვარზე.

აღნიშნული ტრავერსის განხორციელებისათვის მზადება, მთელი მთასვლური საქმიანობის განმავლობაში დაუშრეტელი ინტერესი უშბის პრობლემისადმი, რომელსაც ალ. ჯაფარიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამდიდრებდა და ავითარებდა, დამახასიათებელ და მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს მის ცხოვრებაში.

ალ. ჯაფარიძის ოსტატობისა და მთასელური ხელოვნების მესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მისი მთასვლური შემოქმედების ბუნების გაგებისა და შეფასებისათვის, არაუნდ საბჭოთა ალპინიზმის შემდგომი განვითარებისა და გამიზვნისათვისაც.

ალ. ჯაფარიძის ოსტატობის შესწავლისას ჩვენ, პირველ ყოვლისა, გვაინტერესებს ის წყარო, რომლიდანაც მომდინარეობდა მისი ოსტატობა. უეჭველია, რომ იგი შეგნებულად, თანმიმდევრულად მიჰყვებოდა ალპინიზმის იმ ხაზს, რომელიც XIX საუკუნის ქართველ გამყოლ-მეგზურებიდან გადაეცა პირველი თაობის საბჭოთა ქართველ მთამსვლელებს და მემკვიდრეობით გადმოვიდა მეორე თაობაზეც.

ალ. ჯაფარიძეს საშუალება ჰქონდა უშუალოდ გადმოეღო ძველ ქართველ მთამსვლელთა გამოცდილება, ასეც მოიქცა.

1930 წელს მისი პირველი თანამგზავრები იყვნენ: იაგორა კაზალიკაშვილი, ალმაცქირ კვიციანი, იოსებ კიბოლანი და ადსილ ავალიანი, 1931—1933 წლებში — ნიკო ქირიკაშვილი, გოჯი ზურებიანი და გიო ნიგურიანი. იაგორა კაზალიკაშვილი მისი მუდმივი თანამგზავრი იყო. ალ. ჯაფარიძემ სწორედ მათგან შეითვისა და ისწავლა საუკუნეების მანძილზე გამოცდი-

ლებით შემოწმებული ათასგვარი, ხშირად შეუმჩნეველი და ალუნუსხავი ხერხი მთასვლისა, უებრო ალღო მთიელისა და ბონადირისა, მთების ცოდნა და სიყვარული.

ქართველ მთიელთა შორის სვანები და მოხევეები გამოირჩევიან მთებში სვლის ოსტატობით. ყაზბეგელი მთამსვლელები თოვლში სიარულის ოსტატები არიან, ზემო სვანებს კარგად ეხერხებათ როგორც კლდეზე, ისე თოვლსა და ყინულში სვლა, თუშები კლდეზე და განსაკუთრებით მეტეხ კლდეებზე სვლის მესაიდუმლენი არიან. სწორედ მთასვლური ტექნიკის ეს ხალხური საწყისი ალ. ჯაფარიძის მთასვლური ოსტატობის ძირითადი წყარო იყო.

იგი ხშირად აღტაცებით იხსენიებდა იაგორა კაზალიკაშვილის მთებისადმი სიყვარულსა და გზის არჩევის უებრო ალღოს.

1930 წლის ივლისში, თეთნულდზე ასვლის პირველი ცდისას ალ. ჯაფარიძე იაგორა კაზალიკაშვილთან და ალექსანდრე ჯაფარიძესთან ერთად 3500 მეტრის სიმაღლეზე შლის ბანაკს. ცენტრალური კავკასიონის მკაცრი ბუნების გარემოცვაში პირველად მოხვედრილი და ათასი შთაბეჭდილებებით დამძიმებული დიდხანს ვერ იძინებს. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ნაშუადამევს ამოვიდნენ სვანები — ჯერ ადსილ და რომანოზ ავალიანები, შემდეგ გოჯი ზურებიანი.

„კალმის დიდ ოსტატს გაუჭირდება იმ შთაბეჭდილების აღწერა, — წერს ალ. ჯაფარიძე, — რომელიც მათმა გამოჩენამ მოახდინა ჩვენზე. ჭეშმარიტად რკინის ნებისყოფა უნდა ჰქონოდა ამ ხალხს, რომ ამ უდაბურ ადგილას, უკუნეთ ღამეში, ხრამებში, კლდეებზე, ნაპრალებში გადასვლით მოეკვნოთ ჩვენი კარავი. ეს მხოლოდ სვანს შეუძლია“.

მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ინგლისური და ავსტრიული ალპინისტური სკოლების მიერ შექმნილი უახლესი ევროპული ტექნიკა. მაგრამ ალ. ჯაფარიძე, ისევე როგორც სხვა საუკეთესო საბჭოთა მთამსვლელები, იზიარებდა და იყენებდა ამ ტექნიკის საშუალებებს გარკვეული კრიტიკით და უკუაგდებდა წმინდა ტექნიციზმის ელემენტებს, ყველა იმ ილეთს, რომლებიც უფრო აკრობატულ მიზნებს ემსახურება, ვიდრე წარმოადგენს მთის სიძნელეთა დაძლევის რაციონალურად გამიზნულ საშუალებას. როგორც ცნობილია, ევროპული ტექნიციზმით გატაცება დამახასიათებელია 30-იანი წლების საბჭოთა ალპინიზმისათვის. ალ. ჯაფარიძემ დროულად აუღო ალღო ამ შეცდომებს და კრიტიკული მიდგომისა და შეფასების შემდეგ თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენა ევროპული ალპინისტური სკოლის საუკეთესო და რაციონალური ხერხები. პირადად, საკუთარ პრაქტიკაში იგი თავისებურად იყენებდა ალპინისტურ ხერხებს: ცდილობდა მინიმალური ხერხებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას.

გარკვეულ, ხშირად სახმარ ხერხთა არსენალი ალ. ჯაფარიძეს შედარებით მცირე ჰქონდა, რადგან იგი თვლიდა, რომ მარტივი და შესრულების ავტომატურობამდე დაყვანილი ხერხის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, განსაკუთრებით უინელეს მეტეოროლოგიურ პირობებში, იძულებითი უკანდახევისა და ჩამოსვლის დროს, ვიდრე რთული და ტექნიკურად ძნელად შესასრულებელი ხერხისა (მაგ., „ზალცუგი“).

ალ. ჯაფარიძე ალპინისტის აღზრდისა და დახელოვნების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ალპინისტური ტექნიკის ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად თვლიდა მთამსვლელის პირად გა-

ბოცდილებას და ამ გამოცდილების შედეგად გამომუშავებულ პირად თვისებებს; დიდ როლს აკუთვნებდა მონაწილეთა პირად ინიციატივას, მათ თვითმოქმედებასა და მოსაზრებულობას. ასვლების პრაქტიკაში მას ახასიათებდა: ჯგუფის ყველა წევრის იხდივიდუალურ თვისებათა გამოყენება სათანადო სამუშაოს შესრულებისადმი მიდრეკილების მიხედვით (თოვლის კვალვა, კლდეზე ასვლა, ყინულის ჭრა), ყველა მონაწილის გამოცდა მეწინავის როლში და ა. შ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მოძრაობის დროს თვითონ იშვიათად მიდიოდა წინ — ამ როლს სხვას ანდობდა. ეს იყო ერთგვარი პედაგოგიური ხერხი. იგი მხოლოდ ზოგად გეზს აძლევდა და თუ მეწინავე სწორად და პირობებთან შეფარდებით გამართლებულად წარმართავდა სვლიგეზს, წვრილმანი შესწორებებითა და შენიშვნებით არ აბეზრებდა თავს.

ალ. ჯაფარიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა დამოუკიდებელი მოძრაობის ჩვევების გამომუშავებას, აგრეთვე ასვლის ყველა მონაწილის დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობასა და გამოცდილებას.

ამ ძხრივ ალ. ჯაფარიძე არ იზიარებდა ალპინიზმში არსებულ იმ მიმართულებას, რომელიც მიუტევებელ ცოდვად თვლის დასახული მარშრუტიდან რაიმე გადახვევას და პედანტური შეზღუდულობით გარკვეულ პირობებში მხოლოდ „დაწესებული“ ხერხების გამოყენებას. იგი ალპინისტური შემოქმედების შეუზღუდავი განვითარების მომხრე იყო.

აი, როგორ განსაზღვრავს ალ. ჯაფარიძე ხელმძღვანელისა და ასვლის მონაწილეთა როლს: „ტრავერსის მონაწილეთა და პირადად ჯგუფის ხელმძღვანელის სინიდისს, გამოცდილება-

სა და გამჭრიახობას უნდა მიენდოს სხვადასხვაგვარი რთული და გაუთვალისწინებელი ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტა. რომელიც შეიძლება წამოიჭრას ტრავერსის დროს, იმ მიმართებით, რომ ყოველი ნაბიჯი იყოს მოზომილი, ერთხელ მიჩნეული უდავოდ ჯგუფის ყველა მონაწილის მიერ და არ იქნეს შეწყნარებული ანგარიშგაუწეველი და რაიმე საფუძველს მოკლებული საეგებისო (რისკიანი) მოქმედება"[1].

თვით ალ. ჯაფარიძე გაბედული და რისკიანი მთამსვლელი იყო. მთაში ხშირად ზღვარი უაზრო თავგანწირვასა და გააზრებულ რისკს შორის იმდენად მცირეა, რომ მისი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია.

იგი სწორედ ამ ზღვარის გამოძებნის დიდი ოსტატი იყო.

მთამსვლელის მოქმედებას ხშირად თან სდევს შეცდომები. მათ, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ალ. ჯაფარიძის პრაქტიკაშიც, მას არასდროს მიუჩქმალავს ისინი. მისი აზრით, ერთი მთამსვლელის შეცდომა მაგალითი უნდა გახდეს სხვა მთამსვლელთათვის, რომლებმაც მათი საფუძვლიანი ანალიზითა და შესწავლით უნდა აიცდინონ მსგავსი შეცდომა თავიანთ პრაქტიკაში.

ანალიზს უკეთებს რა ასვლის დროს ფეხის თითების წაყინვის მიზეზებს, ალ. ჯაფარიძე წერს: „ჩემმა გაკვეთილმა არ უნდა ჩაიაროს ფუჭად ამხანაგებისათვის. სახიფათო გზით ასვლის და ჩამოსვლის სიძნელეებთან დაკავშირებულ საკითხებით გატაცებულმა მე ვერ შევნიშნე მოყინვის ის ნიშნები, რომლისთვისაც უნდა მიმექცია ყურადღება. მე მომატყუა ჩემმა თვითდაიმედებამ და, აი, ორი შეცდომა გახდა მიზეზი

---

[1] ალ. ჯაფარიძე. რჩეული ნაწერები, თბილისი, 1940 წ., გვ. 401.

მოყიჩვისა, რომელიც ბევრად აუფასურებს ჩვენს მიღწევას, რომლითაც ასე ვამაყობდით მე და ამხ. გუსაკი რამდენიმე წუთის წინ"[1].

პირადი გამოცდილებით, დახელოვნების გზით, საკუთარ და სხვის შეცდომებზე სწავლით ივი ზრდიდა და წვრთნიდა ახალ კადრებს.

ალ. ჯაფარიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კავკასიონის მარშრუტით საამმართველოს „მაშველი სამსახურის" მუშაკების გაწაფვასა და დაოსტატებას, რომელთაც იგი ხელმძღვანელობდა 1938—1941 წლებში, რადგან მთაში სვლის უხიფათობა და დახმარების დროული აღმოჩენა მას მთამსვლელობის შემდგომი განვითარებისა და ფართო საზოგადოებაში ავტორიტეტის განმტკიცების საწინდრად მიაჩნდა.

ალ. ჯაფარიძე არ იყო ალპინისტის მოქმედების ზაფხულითა და შემოდგომით შემოფარგვლის მომხრე; იგი თვლიდა, რომ მთამსვლელს ასვლა უნდა შეეძლოს წელიწადის ყველა თვეში. მართალია, მის მიერ მოწყობილი 106 ასვლიდან ნახევარზე მეტი აგვისტოსა და სექტემბერშია ჩატარებული (სახელდობრ, აგვისტოში — 30 და სექტემბერში — 38), მაგრამ მან წელიწადის სხვა დროში ასვლების მდიდარი გამოცდილებაც დაგვიტოვა. ალ. ჯაფარიძეს ჩატარებული აქვს ასვლები: იანვარში — 1, მარტში — 1, მაისში — 4, ივნისში — 3, ივლისში — 6, ოქტომბერში — 12 და დეკემბერში — 10.

ასვლის ტაქტიკურ საშუალებათა და თვითმოძრაობის ტაქტიკის თვალსაზრისით ალ. ჯაფარიძეს ახასიათებს მრავალფეროვნება და ორიგინალობა.

---

[1] ალ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, „კორჟენევსკაიას პიკის გზა ნაპოვნია", ჟ. № 4, 1937 წ.

თანამედროვე ალპინიზმის ტაქტიკაში არსებობს მწვერვალის დაძლევის სამი ტაქტიკური სქემა, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა პირობებში ასვლისას:

1. სწრაფი ასვლის სქემა, რომელიც გამოიყენება მესამე კატეგორიის მწვერვალებზე ასვლისას.

2. კომბინირებული ასვლის სქემა, საშტურმო ბანაკის ზეატანით;

3. ნელი, ხანგრძლივი შემოწყობისა და ბანაკის თანდათან აზევების სქემა, რასაც მთამაღალ ასვლებისათვის ხმარობენ.

ალ. ჯაფარიძე კარგად ფლობდა ზემოჩამოთვლილ სამივე ხერხს. მართლაც, მის ალპინისტურ პრაქტიკაში შეიძლება ამ სამივე სქემის გამოყენების მაგალითების მრავლად მოყვანა.

ალ. ჯაფარიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტრავერსების ტაქტიკის გამომუშავებაში. პერფორსულ ასვლათა (ტრავერსების) ტაქტიკაში არსებობს ასვლათა ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც გამოირჩევიან ჯგუფის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეთოდებით.

ერთ შემთხვევაში ჯგუფს ხანგრძლივი ტრავერსის დროს მიაქვს ყველაფერი, რაც მას სჭირდება: კვებისა და საჭურველის, სახარჯო და სამარქაფო მარაგი, მედიკამენტები, მაკავშირებელი საშუალებანი.

მეორე შემთხვევაში ჯგუფი თვითონ ან სხვა ჯგუფის დახმარებით წინასწარ ამზადებს დამხმარე ბაზებს და ასვლას რამდენიმე ეტაპად აწარმოებს.

თუმცა ალ. ჯაფარიძის პრაქტიკაში იყო ამ უკანასკნელი სქემის გამოყენების ტიპიური მაგალითები (უშბა-შხელდის ტრავერსის ორგანიზაციის სქემა, რომელიც ითვალისწინებდა უშბის პლატოზე დამხმარე ბაზის შექმნას), მაგრამ იგი თა-

ვის პრაქტიკაში უმთავრესად პირველი სქემის მომხრე იყო. ალ. ჯაფარიძემ დაამუშავა მისი თეორია, 1937 და 1939 წლებში ტრავერსების დროს ჩაატარა ცდები აღნიშნული სქემის დასანერგად და საბოლოოდ განახორციელა წურუნგალ-აილამანამყვამის, შხარასა და კავკასიონის მთავარი ქედის ჯანტუგანიდან კაშკატამდე ფორსირების დროს. ეს უკანასკნელი ტრავერსები ორთოდოქსული ტრავერსების კლასიკური მაგალითებია და საბჭოთა მთამსვლელობის პრაქტიკაში მათი დასაბუთება და დამკვიდრება ალ. ჯაფარიძის დამსახურებაა.

ძნელ ასვლათა თვით მოძრაობის ორგანიზაციისა და ტაქტიკის საკითხში იგი არ იზიარებდა მცირე ჯგუფებისა და „ორეულებად" მოძრაობის წესს, „შედარებით დიდი ჯგუფებისა" და „სამეულებად" ორგანიზაციის მომხრე იყო.

1943 წელს სამხრეთ უშბაზე ასვლისას ექვსი კაცი მონაწილეობდა: დიდ ტრავერსში პირველ ეტაპზე — ექვსი, ხოლო მეორე ეტაპზე — ხუთი კაცი. მცირე ტრავერსში კი შვიდი კაცი, ხოლო მესამე კატეგორიის მწვერვალებზე მას გაბედულად მიჰყავდა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ასე, მაგალითად, შავანაზე ერთდროულად 11 კაცი ავიდა, ჯიმარაიზე — 64 და ა. შ.

ალპინისტურ ტაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს უკანდახევის საკითხის გადაწყვეტას. მართალია, ალ. ჯაფარიძეს აბასიათებს ასვლების მისწრაფებული და აგრესიული ტაქტიკა, მაგრამ მის პრაქტიკაში ახალი გზების ძიების პროცესში ხშირად ვხვდებით უკანდახევის შემთხვევებსაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანდახევა ყოველთვის იყო ტაქტიკური გააზრებული და აუცილებლობით გამოწვეული ნაბიჯი, რომლის გადადგმაც საჭიროა შემდეგში უეჭველი და ნაღდი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ალ. ჯაფარიძეს არასოდეს მიუტოვებია გამიზნული მწვერვალი, რომელზედაც ასვლა უცდია. იგი მეორედ და მესამედ შესდგომია ამ მწვერვალს და საბოლოოდ ყოველთვის გაუმარჯვნია. ამ თვისებას შეიძლება გავადევნოთ თვალი მთელი მისი მთასვლური შემოქმედების მანძილზე, კერძოდ, თეპლი, უშბა და დიდი ტრავერსი ამის ნათელ მაგალითებს წარმოადგენენ.

ასვლათა განხორციელების ტაქტიკაში მას ახასიათებდა ასვლის აგრესიული სტილი, შეუდრეკელი, შეუჩერებელი წინსწრაფვა მწვერვალის მისაღწევად. უბედური შემთხვევა ან რაიმე დაბრკოლება მას ვერ შეაჩერებდა. ერთი მოქნევით, როგორც ამბობენ, „ერთი ამოსუნთქვით" აღება მწვერვალისა და შემდეგ ნელი, მოფიქრებული უკანდახევა გამომდინარეობს თვით ასვლის ფსიქოლოგიიდან: ასვლისას წინსწრაფვისა და ემოციური მომენტის გამოყენება, მონაწილის მთელ ძალთა მოკრება და დაძაბვა, გამარჯვებისათვის დაგეზვა, ჩამოსვლისას ყურადღების კონცენტრაცია უხიფათობის უზრუნველსაყოფად, მორალურ ძალთა შემოკრება და დაცვის ტექნიკის მთელი არსენალის მოშველიება.

თვითონ მან უბადლოდ იცოდა მთელი თავისი მორალური და ფიზიკური ძალების მობილიზაცია გამარჯვების მისაღწევად და ამასვე მოითხოვდა სხვებისგანაც.

ალ. ჯაფარიძე დაუდეგარი ენერგიის პატრონი იყო. ერთი წლის განმავლობაში მის მიერ ჩატარებულ ასვლათა რიცხვი სარეკორდოა. ასე, მაგალითად, 1938 წელს იგი ავიდა 17 მწვერვალზე, 1940 წელს — 22-ზე და ა. შ. საშუალოდ კი 6—7 მწვერვალზე ადიოდა წელიწადში.

თექვსმეტი წლის განმავლობაში ალ. ჯაფარიძე დაუხარებ-

ლად ემსახურა მთამსვლელობის დანერგვისა და განვითარების საქმეს, გამოამჟღავნა მისი ზოგადკულტურული ეღერადობა და საერთაშორისო კლასის სარეკორდო ასვლებით სახელი გაუთქვა ქაროველ მთამსვლელებსა და ქართულ ალპინიზმს.

ალ. ჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მთასვლური სპორტის განვითარებაში.

მის მიერ დანერგილი სიყვარული ალპინიზმისადმი კიდევ ბევრს შეაყვარებს მთებთან შერკინებას, გააბედვინებს და შეაძლებინებს მათ დაძლევას.

მთები, წლები, ადამიანები

ჟართველი საბჭოთა მთამსვლელების წინამორბედნი

ალპინიზმი — სპორტული მთასვლა, იწყება იქ, სადაც თავდება ბილიკები.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, მთებში მდებარეობს და მისი მოსახლეობის ადგილსაცხოვრისი უშუალოდ ესაზღვრება მაღალ მთიანეთს, სადაც ცხოვრება მხოლოდ დროებით, სეზონურად ანდა ეპიზოდურად მიმდინარეობს.

ცხოვრების პერიოდულობის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა შეიძლება სამ არედ გავყოთ: მუდმივსაცხოვრისი (ბარი, ხეობები და მთა, დაახლოებით 2000 მეტრის სიმაღლემდე, თუმცა ცალკეული სოფლები უფრო მაღლაც მდებარეობენ — 2400 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან); სეზონური საცხოვრისი (მთა, სადაც ადამიანს სამეურნეო საქმიანობის გამო უხდება ზაფხულის გატარება, ვინაიდან ეს არე სათიბ-საძოვრებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მისი ზედა საზღვარი თანხვდება ალპური მცენარეულობის ზედა საზღვარს, ე. ი. 3500 მეტრს) და ადამიანის ეპიზოდური მოქმედების არედ (მაღალი მთა — კლდეების, ნაშალებისა და თოვლ-ყინულის სამყარო, სადაც ადამიანს მხოლოდ ეპიზოდურად რამდენიმე დღითა თუ საათით უხდება ასვლა სანადიროდ, ანდა გადასეერავს ამ არეს მოგზაურობისა და კვლევის დროს).

მთასვლის, მთამსვლელის მოქმედების არე უკანასკნელი ორი ზონაა — სეზონური საცხოვრისი და ეპიზოდური მოქმედების არე. უკანასკნელის დასაძლევად და სამოქმედოდაა გამომუშავებული მთასვლის ყველა წეს-კანონი.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთასვლის წესების და მთამსვლური ცოდნის გამომუშავებას, იმითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზემოჩამოთვლილ სამ არე-ზონას შორის დღევანდელი საქართველოს ტერიტორია შემდეგნაირად ნაწილდება: მუდმივსაცხოვრისი (0-დან — 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან) მოიცავს მთელი ტერიტორიის 80%-ს: სეზონურ საცხოვრის არეს (2001-დან — 3500 მეტრამდე) და ეპიზოდური მოქმედების არეს (3500 მეტრის ზემოთ ზღვის დონიდან) 20% უკავია. თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ მუდმივსაცხოვრისი ზონის დიდ ნაწილს მეტად რთული რელიეფი და სიმაღლეთა დიდი სხვაობა აქვს, ცხადი გახდება, რომ საქართველოს ტერიტორიის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი (არანაკლები 30%-ისა) მთასვლის სარბიელს წარმოადგენს.

ამგვარად, როგორც ზღვისპირეთის მცხოვრებთათვის ზღვაოსნობას, უდაბნოსპირისა და უდაბნოს მცხოვრებთათვის უდაბნოში მოქმედებას, ასევე მთისა და მთისპირეთის მცხოვრებთათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მთასვლას.

თუ მრავალ საუკუნეთა მანძილზე მთასვლა საჭირო იყო საყოფაცხოვრებო, სამხედრო, სამეურნეო საქმიანობისათვის, XVIII საუკუნის დასასრულს იგი სპორტად გადაიქცა. ალპინიზმის დასაბამად 1786 წელი ითვლება, როდესაც სოფლის ექიმი მიშელ პაკარი და შამუნიელი გლეხი ჟაკ ბალმა ავიდნენ ევროპის უმაღლეს მწვერვალ — მონბლანზე, 4810 მეტრით რო-

ძაა აწვდილი ზღვის დონიდან. ამ საქმისათვის ისინი წააქეზა ცნობილმა შვეიცარიელმა გეოლოგმა და ფიზიკოსმა ჰორას დე სოსიურმა, რომელიც მაღალმთიანეთის შესწავლაზე ოცნებობდა; თვით დე სოსიურმა მხოლოდ 1787 წელს შეძლო მწვერვალზე ასვლა.

კავკასიონი გაცილებით გვიან გახდა ალპინიზმის სარბიელი.

კავკასიონის ბუმბერაზი მთაგრეხილი, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე 1500 კილომეტრის მანძილზე 160—180 კილომეტრის სიგანის ზოლადაა გადაჭიმული — მსოფლიო ალპინიზმის განვითარებაში მეორე საფეხურს წარმოადგენს (პირველი ალპის მთები იყო, ხოლო მესამე — ჰიმალაის მთიანეთი).

ასეულობით თოვლ-ყინულიანი მწვერვალია აღმართული ამ თავარსა და გვერდით ქედებზე. ამ მწვერვალთაგან თხუთმეტი სიმაღლით აღემატება ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანს (4810 მეტრი ზღვის დონიდან), ხოლო ექვსი მწვერვალი ხუთი ათას მეტრზე მაღალია: იალბუზი — ევროპის უმაღლესი მწვერვალი — 5633 მეტრი, შხარა — საქართველოს უმაღლესი მწვერვალი — 5058 მეტრი, დიხ-თაუ — 5203 მეტრი, ჯანღა — 5051 მეტრი და მყინვარწვერი — 5047 მეტრი.

კლდოვანი, თოვლიანი და ყინულოვანი მწვერვალების ფერდობები მეტად დაქანებულია, ალაგ-ალაგ აღმართულია მიუვალი შვეული კლდეები, ყინვარდნილები, მეტეხი ფიქალები, კლდისა და ყინულის ნაპრალები დარაჯად უდგანან მწვერვალებს. ცვალებადი დარი კიდევ უფრო ამძაფრებს სიძნელეებს. მწვერვალამდე მისასვლელად საჭიროა ღრმა ხეობებისა და ძნელადსავალი ზეკარების გადავლა — ასეთია კავკასიონი, რომელიც მთამსვლელობის ჭეშმარიტი სკოლა და დიდ სპორ-

ტულ გამარჯვებათა სარბიელი გახდა მრავალი ათასი ალპინისტისათვის.

თუმცა პირველი ასვლები გასული საუკუნის 30-იან წლებს ეკუთვნის (ემანუელის ასვლა იალბუზზე — 1829 წელს), მაგრამ ევროპელი ალპინისტები, რომლებიც ალპებში გაიწაფნენ, საკმაოდ გაიმაგრეს ზურგი და ახლა ახალ რაიონებს ეძებდნენ თავიანთ ძალთა გამოსაცდელად, მხოლოდ 60-იან წლებში გამოჩნდნენ კავკასიონზე.

დიდი ხნის განმავლობაში პირველ ასვლებად კავკასიონზე ითვლებოდა: 1868 წელს ცნობილი ინგლისელი მთამსვლელის დუგლას ფრეშფილდის ასვლა იალბუზსა და მყინვარწვერზე. ფრეშფილდმა ევროპისათვის აღმოაჩინა კავკასიონის მაღალმთიანეთი და მის კვალს ათეულობით ინგლისელი, გერმანელი, იტალიელი ალპინისტი მიჰყვა. ამ მთამსვლელთა დღიურებსა და მოგზაურობათა აღწერებში, ხანდახან უნებლიეთ, ხან კი განზრახ, არ არიან ნახსენები ის „ადგილობრივი მკვიდრნი", რომელნიც ახლდნენ მათ და ხშირად ასვლის ბედ-იღბალი მათ ცოდნასა და გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული. მთის მცოდნე ადამიანები — მეგზურები, ცხადია, მრავალი იყო ყველა კავკასიელ ხალხთა შორის. ამ მეგზურებმა თავისი საქმიანობის შესაბამისად (მონადირეობა, ვაჭრობა, დიპლომატია), ან ბუნებრივი მიდრეკილების გამო ზედმიწევნით იცოდნენ არა მარტო თავისი ქვეყნისა და ხეობის ყველა გზა და ბილიკი, ზეკარი და უღელტეხილი, არამედ მეზობელი ქვეყნებიც. მეგზურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეხიჭებოდა ისეთი რთული რელიეფისა და მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობის მქონე ქვეყანაში, როგორიცაა კავკასია. სწორედ ამიტომ ჰპოვა აქ მეგზურობამ ფართო განვითარება.

დღესაც შეხვდებით მთაში მოხუცს, რომელსაც ყველა იცნობს, როგორც მეზობელ მხარეთა და ხეობათა უბადლო მცოდნეს. ასეთია, მაგალითად, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ალვანელი გიგლა იჭირაული, რომელიც 1891—92 წლებში ახლდა ჰოტფრიდ მერცბახერს, მან შესანიშნავად იცის მთელი აღმოსავლეთ კავკასიონი ხევიდან დაწყებული ანდის ყოისუს შესართავამდე, მრავალჯერ გადაუვლია ყველა ზეკარი. ცნობილია არა მარტო მთათუშეთში, არამედ დიდოეთსა და სხვა მეზობელ მხარეებში.

ევროპელი მთამსვლელები ხშირად იყენებდნენ ასეთ მეგზურებს გამყოლებად და მზიდავებად. გამყოლობა პროფესიად გადაიქცა. ერთ-ერთი პირველი გამყოლთაგანი კავკასიაში იყო ფოთელი ბახვა ფიფია. იგი ოთხჯერ ახლდა პალგრევსს, შემდეგ დუგლას ფრეშფილდს და გროვსს. ახლა მეტად დაკვირვებით გვიხდება სახელმოხვეჭილ მთამსვლელთა მოგონებების წაკითხვა, რომ ამოვიკითხოთ და „აღმოვაჩინოთ" იმ უსახელო მთამსვლელთა სახელები, რომელნიც თან ახლდნენ ევროპელ ალპინისტებს. მოხევეთა შორის გამოირჩეოდნენ: ალექსი ზაგაშვილი (ცდოელი), როსტომ წიკლაური (გველეთელი), მიხეილ წიკლაური (ბალთელი), სოლომონ კობაიძე (გველეთელი), კოტე ფიცხელაური (სტეფანწმინდელი), უფრო გვიან — გახა წიკლაური და იაგორა კაზალიკაშვილი. სვანეთში ცნობილი იყვნენ: მურათბი კიბოლანი (მაზერელი) და მიტო არღვლიანი (ცხომარელი); რაჭაში — გიო და ალექსი ლობჟანიძეები (ღებელები). ამ მთამსვლელთა უმეტესი ნაწილი პროფესიული გამყოლი გახდა: მურათბი კიბოლანი ვენის ალპური კლუბის გამყოლად ჩაირიცხა. 1901 წელს დაარსე-

ბულმა რუსეთის სამთო საზოვადოებამ აღრიცხა კავკასიელი გამყოლები და მათ გამყოლის წიგნაკები დაურიგა.

ალპინიზმის განვითარება კავკასიონზე XIX საუკუნის განმავლობაში მთლიანად სამეგზურო ალპინიზმის ხაზით წარიმართა.

საბჭოთა ალპინიზმის დასაბამი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მეგზურ-გამყოლთა სახელებთან, რომელთაც საუკეთესო ტრადიციები გადასცეს ახალგაზრდა საბჭოთა ალპინიზმს.

ამ ორმოციოდე წლის წინათ, როდესაც საბჭოთა ალპინიზმის პიონერები გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის მეთაურობით ჩავიდნენ ხევში მყინვარწვერის დასალაშქრად, აქ მათ რამდენიმე გამოცდილი მოხევე და ქისტი გამყოლი დახვდათ.

საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში დამკვიდრდა გახა წიკლაურისა და იაგორა კაზალიკაშვილის სახელები. მაგრამ გახასაც და იაგორასაც ჰყავდათ წინამორბედნი, რომელთაგანაც მათ ისწავლეს მთასვლის ხელოვნება. ამჯერად ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანის სახელი, რომელიც შემოინახა მთამსვლელობის მატიანემ. ეს მატიანე მეტად არასრულია, რადგან მრავალრიცხოვან უცხოელთა დღიურებსა და მოგზაურობათა აღწერილობებში ძნელად შეხვდებით გამყოლებს, ან სხვა თანმხლებთა გვარსა თუ სახელს.

კავკასიაში ჯერ კიდევ ძველი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მეგზურთა ინსტიტუტი არსებობდა. მეგზური — გამოცდილი მთამსვლელი და მეზობელ მხარეთა მცოდნე, — მონადირე ან მწყემსია. მეგზური შეიძლება გაჰყვეს მოგზაურებს, დესპანებს, ვაჭრებს, სახელმწიფო მოღვაწეებს სა-

ჰიროების შემთხვევაში. დღესაც არიან მათში შერჩეული ისეთი გამოცდილი მეგზურები, რომლებმაც კარგად იციან მთა და მეზობელი მთის მხარეები, მაგრამ მეგზურობა პროფესიად არ გაუხდიათ. სულ სხვაა გამყოლობა. ეს უკვე პროფესიაა. გამყოლი ქირით მომუშავე ადამიანია.

საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ინგლისელი მოგზაურის გროვეს წიგნში „ცივი კავკასიონი". იგი ხშირად იხსენებს თავის გამყოლს პავლე (ბახვა) ფიფიას, რომელიც მას 1872 წლის მოგზურობის დროს ახლდა. ადრე პავლე მონაწილეობდა პალგრევისა და ფრეშფილდის ექსპედიციებში. ორივე ახასიათებს ფიფიას როგორც ცნობილ მეგზურს, ამასთანავე ფრანგულის, რუსულის, ოსმალურისა და მრავალი კავკასიური ენის მცოდნეს. ჩვენ წინ დგება სახე გამყოლისა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ცენტრალური კავკასიონის როგორც ჩრდილოეთი, ისე სამხრეთი ხეობები, იგი რამდენჯერმე გადადის ექსპედიციასთან ერთად კავკასიონის მთავარ ქედს, გადაჰკვეთს გვერდით ქედებს და, საერთოდ, უზრუნველყოფს მოელი ექსპედიციის წარმატებას.

შესანიშნავი გამყოლი იყო გველეთელი ქისტი ცოგოლი ბეზურთანოვი, რომლის შთამომავლებმა — იანი, ახია და მუსა ბეზურთანოვებმა ათეულობით უცხოელი აიყვანეს კავკასიონის მწვერვალებზე. საინტერესოა ცნობილი ალპინისტის ა. ფიშერის ერთი ცნობა იანი ბეზურთანოვის შესახებ. 1904 წელს იანი ახლდა ფიშერს მწვერვალ შინოზე. ასვლის დროს ფიშერი არ დათანხმებია იანის გზის არჩევაში და წასულა არა იმ გზით, რომელიც გამყოლმა ურჩია, არამედ საკუთარი არჩეული მარშრუტით. იანიც თავის არჩეულ გზას გაჰყოლია. ერთხანს ფიშერს გაადვილებია სიარული და დაწინაურებუ-

ლა კიდეც, მაგრამ შემდეგში... აი, რას იგონებს: „მე მასზე გაცილებით მაღლა ვიდექი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცოდი, რომ რა წამს იანი ავა იოლად სავალ თოვლიან თხემზე, მაშინვე არაჩვეულებრივი სისწრაფით დაიწყებს ასვლას და, ამიტომ არც ერთი წუთი არ უნდა დამეკარგა; ქარაფები სულ უფრო და უფრო ნაკლები იყო, მერე სულაც გაჰქრა და სანამ მე მიხდებოდა ციცაბო ყინულოვან ფერდობზე საფეხურების ჭრა, იანი უკვე ავიდა თხემზე და ისე მსუბუქად მიდიოდა, ისე ძალდაუტანებლად, როგორც არა მგონია, რომელიმე მთამსვლელს შეძლებოდა, მით უმეტეს, ასეთი ძნელი კულუარის გავლის შემდეგ“. ეს მოგონება მეტად საინტერესოა სწორედ გამყოლთა როლის დასახასიათებლად უცხოელთა ასვლებში. მართლაც, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ცნობილი გამყოლის, ცხომრელი (სვანეთი) მიტო არყულიანის მონაწილეობა ისეთ რთულ მწვერვალზე ასვლაში, როგორიც ჯანღაა, ამოწურულიყო „მზიდავის“ როლით.

ქრონიკაში ნათქვამია, რომ „უცხოელები: გელბლინგი, რეიხერტი, შულცე და ფეზერი ჯანღის (5051 მ) ყველა მწვერვალზე პირველად გადავიდნენ და უმაღლეს მწვერვალზე ავიდნენ „მზიდავ“ მიტო არყულიანთან ერთად. ისინი გავიდნენ 1903 წლის აგვისტოს 7-ს ბანაკიდან, ხალდეს ხეობაში. ზედა ბანაკი 3500 მეტრის სიმაღლეზე გაშალეს... მეორე დღეს დასავლეთის გზიდან კლდოვანი ქედით ავიდნენ მწვერვალის ძირამდე და აქ ქარბუქში მოუხდათ ღამისთევა. დაბოლოს, 6 საათის სიარულის შემდეგ ავიდნენ მწვერვალზე. ასვლას მოუნდნენ 60 საათი. მეგზურებმა 7 დღე-ღამე მთაში გაატარეს“.

1923 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებულ პირველ

საბჭოთა ასვლებში საუკეთესო ყაზბეგელი გამყოლები იღებდნენ მონაწილეობას. გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციის უფროს გამყოლად იყო იაგორა კაზალიკაშვილი, გამყოლებად — ლევან ქუშაშვილი და აბზი ბეზურთანოვი. ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციას ახლდნენ: გახა წიკლაური, არშაკ ზაგაშვილი და სხვანი.

შემდგომში მოხევეთა და სვანთაგან მრავალი შესანიშნავი, სახელმოხვეჭილი მთამსვლელი გამოვიდა, მაგრამ ისინი უკვე ჩვენი ქართული ექსპედიციის სრულუფლებიანი მონაწილეები იყვნენ და არა გამყოლები, საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმმა დაჰგმო გამყოლობა, ვინაიდან ყველა მთამსვლელმა თვით უნდა იცოდეს ასვლების რაიონი და სვლაგეზიც.

საყურადღებოა, რომ ვერც XX საუკუნის დასაწყისში შეძლო მეფის რუსეთის ალპინისტურმა მოძრაობამ თავის დაღწევა გამყოლობისაგან და, უგამყოლო ალპინიზმი იმ დროს ჩვენში თითქმის უცნობი იყო. ბედნიერ გამონაკლისს მხოლოდ ერთეულები შეადგენდნენ; ასეთი იყო გიორგი ქავთარაძე, რომელიც 1891 წელს ავიდა უილფათაზე, ასეთები იყვნენ ქართველი მთამსვლელები, რომელთაც რამდენიმე უგამყოლო ასვლა ეკუთვნით ევროპაში: ერეკლე ლუკაშვილი 1904 წელს ავიდა უგამყოლოდ დეზერჰორნზე, ხოლო ბესარიონ მეტრეველი რამდენჯერმე ავიდა იტალიის ალპებში.

გახა წიკლაურმა, საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, სულ ხუთიოდე წელიწადი იმოღვაწა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ალპინიზმის ისტორიაში. მან გადმოსცა საბჭოთა მთამსვლელებს საუკუნეებით შემუშავებული მთასვლური ტრადიციები. დღეს მრავალი მთასვლური წეს-ჩვეულება ჩვენთვის

ჩვეულებრივი და ოდითგანვე არსებული გეჩვენება, მაგრამ საბჭოთა მთამსვლელების პიონერების — სოსო ასლანიშვილის, ს. ჯაფარძის, დევი მიქელაძის დღიურებსა და ასვლათა აღწერას რომ დავუკვირდეთ, ნათლად დავინახავთ, თუ როგორ თანმიმდევრულად ნერგავდა გახა ჩვენს მთამსვლელებში მთასვლურ წესებს.

„გახა წიკლაური, ქართულად ჩაცმული, დარბაისელი, გამჭრიახი და მხიარული კაცი, პირველი დანახვისთანავე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. „შენი გორი, შენი სახელი?“ — გვეკითხებოდა გახა და გვეცნაურებოდა. როდესაც პროფესორ დიდებულიძეს გაეცნო, მისი სახელი, გვარი და ვინაობა გაიგო, ნასიამოვნებმა უთხრა: „შენ პროფესორი ხარ ქართველების უნივერსიტეტისა, მეც პროფესორი ვარ მყინვარწვერისაო“. უმალ დავმეგობრდით, უცბათ დავუახლოვდით ერთმანეთს. გახა წიკლაურის მამა, ხუტუნა წიკლაური, ცდოელი, ყოფილა, ხოლო დედა, მაიკო, სტეფანწმინდელი, ქუშაშვილის ქალი... როგორც გახა გადმოგვცემს, მისი მამა, ხუტუნა, ლაღუმის მსხვერპლი შექმნილა, დევდორაყში გზა რომ გაჰყავდათ“, გვიამბობს ი. ასლანიშვილი. თანამედროვეთა მოგონებებიდან წარმოგვიდგება ჭკვიანი, გამჭრიახი მთამსვლელი, რომელიც უბრალო გამყოლი კი არ იყო, არამედ შესანიშნავი პედაგოგი, რომელსაც თავისი საქმის მნიშვნელობა ღრმად ჰქონდა შეგნებული. გახა პირველ საბჭოთა ასვლებში მონაწილეობდა და თავის დიდ გამოცდილებას გადასცემდა ჩვენს მთამსვლელებს, მანამდე იგი მრავალჯერ ასულა მყინვარწვერზე უცხოელ და რუს მთამსვლელებთან ერთად, სახელი გაითქვა როგორც ფრთხილმა და მამაცმა გამყოლმა. 1923 წელს იგი ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედი-

ციის მთავარი გამყოლია, რომელმაც, გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა აღ-პინიზმს.

1926 წელს, ერთ-ერთი ასვლის აღწერისას, სიმონ ჯაფარიძე წერდა: „წინ მიგვიძღოდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავარი გამყოლი, გამოცდილი და საზრიანი გახა წიკლაური, რომელსაც დღეს მე-18-ჯერ უნდა მიეღწია მყინვარწვერისათვის. ჯერ ბართქორთის კლდისაკენ თხემ', მივყვებოდით. ამ გზას მისი პირველი აღმომჩენის, გახა წიკლაურის პატივსაცემად 1923 წლიდან გახას კლდოვანი ბილიკი ჰქვია“.

1928 წლის ექსპედიციის მონაწილე ჟურნალისტი ვანო წულუკიძე იგონებს:

„მივაბიჯებთ ფრთხილად, წინმავალი გახა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე წვეტიანი ჯოხით სინჯავს ზედაპირს — ეშინია, არ წავაწყდეთ თოვლით დაფარულ ნაპრალს. ხანდახან ჯოხის ოდნავი შეხებით გაიფანტება თოვლი და გახას წინ ხახას დააღებს უფსკრულიდან ლურჯად გამომზირალი ნაპრალი. თუ ვიწროა იგი, გახა გვერდს გადახტება, თუ არა გვერდს შეუვლის“.

გახა ყოველთვის წინმავალი და მაგალითის მაჩვენებელი იყო ახალგაზრდა ქართველი მთამსვლელებისათვის, მან ასწავლა მათ საფეხურების ჭრა, რაც ყინულზე სვლის ტექნიკის საფუძველია. გახა მთის ბუნების შესანიშნავი მცოდნე, აძინდის გამომცნობი და თოვლ-ყინულის სამყაროს მესაიდუმლე იყო. ყოველივე ამასთან ერთად, მათ თავისი ცოდნა და გამოცდილება არავისთვის დაუშურებია.

გახა, როგორც მოხევეთა უმეტესობა, კარგი მთქმელი,

მეტად გულღია ხასიათის პატრონი და იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული იყო.

ვანო წულუკიძე იგონებს ერთ მეტად საგულისხმო ეპიზოდს 1928 წლის ექსპედიციიდან (ეს გახას უკანასკნელი ექსპედიცია იყო). მწვერვალიდან დაბრუნებისას, უკვე დევდორაყის მყინვარის გადმოვლის შემდეგ, ალპინისტებმა ტბასთან შეისვენეს. „ცივი წყალი გვიღვიძებს მადას, მაგარმ სად არის საჭმელი, პურის ნახმი, რომელსაც მადადაკარგულნი მყინვარზე ვყრიდით.

რა სიამოვნებით შევექცეოდით ახლა, სად არის ჩვენი გალატები? ამოოხვრით კითხულობს დათა.

— აქა, ჩემ ჯიბეჩი, — მოულოდნელად მოისმა გახას პასუხი.

თურმე ჩვენს გახას გალატები, პურის ნახმები, რომელთაც ჩვენ უთადარიგოდ ვაბნევდით, ჩუმად მოუგროვებია და ჯიბეში შეუნახავს.

— გახამ ადრიდან იცოდის თქვენი წახდენილი ამბავი. ვიცოდი, იქ პურს გადააგდებდით, აქ ბარჩი მოგინდებოდის. აწინა მე მაქვე, თქვენ არა!

გულკეთილმა გახამ გაუმასპინძლებელი არ დაგვტოვა, თითო ნაჭერი ყველას ჩამოგვირიგა“.

გახა დიდი მოქალაქე და პატრიოტი იყო. დევი მიქელაძე იალბუზის ექსპედიციის დღიურებში წერს:

„ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, როდესაც გამომელვიძა და გავიგონე, რომ გიორგი ნიკოლაძე გახას ეკითხებოდა: — „როგორ გგონია არ წავიდეთ?“ გახა გავიდა კარვიდან, გაჩედა იალბუზს, შემდეგ ცა მოათვალიერა და წასვლა გადაწყვიტეს.

აი, მესმის გახას ძახილი: „ჩქარა ადექით, უნდა წავიდეთ“. იგი შემოვიდა კარავში და კარგი ამინდი გვახარა. ძალიან მიკვირდა და თანაც მიხაროდა, რომ გუშინდელი ავდრის შემდეგ გიორგისა და გახას იმედი ასე გამართლდა.

ბნელსა და ჩამოწოლილ კარავშიც კი ეტყობოდა გახას, რომ სახე უბრწყინავდა, იგი თითქოს ხელჩართული ბრძოლისათვის ემზადებოდა. თან მღელვარება ემჩნეოდა, რადგან ამოდენა ხალხის ბედ-იღბალი, თვით ამ დიდი საქმის შესრულება დღეს სავსებით მის ხელთ იყო.

„რაც უნდა მომივიდეს, დღეს უსათუოდ უნდა ავიდე! დაბრუნება არ შეიძლების, ღმერთმანი, უნდა ავიდე. უნდა ვასახელო საქართველო“, — ამბობდა გახა.

ჭაღარა, მაგრამ კაჟივით მაგარი მოხევის ამ სიტყვებში ისეთი მტკიცე, ჯიუტი და ქედმოუხრელი გადაწყვეტილება ისმოდა, მისი შესრულების ისეთი რწმენა გამოსჭვიოდა, რომ ეჭვი არ იყო, იგი მწვერვალს უსათუოდ მიაღწევდა, გამჭრიახი გონების პატრონი გახა კარგად ხედავდა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა იდო თავს. მაგრამ ოდნავადაც არ წუხდა, პირიქით, უხაროდა კიდეც, რომ ამ დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულება სწორედ მას ხვდა წილად. იგი ამბობდა: „ძალიან დიდი საქმე უნდა გავაკეთოთ. მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი. მყინვარწვერზე თვალახვეულიც აგიძღვებით, აქ კი სულ სხვაა, მაგრამ ისე აგიყვანთ, რომ არც ერთი არ ჩამორჩეს“.

გახა მართლაც გახდა იმ „დიდი საქმის“ მონაწილე, რომელსაც საბჭოთა ალპინიზმი ჰქვია და სავსებით მართებულად მის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება.

საქართველოს და, საერთოდ, საბჭოთა კავშირის მთასვლური მოძრაობის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იაგორა კაზალიკაშვილს. 1923 წლიდან, როდესაც იგი პირველი საბჭოთა ასვლის მონაწილე გახდა მყინვარწვერზე და არა მარტო მონაწილე, არამედ მისი მეგზური; სიკვდილამდე (1935 წელს გარდაიცვალა) იაგორა ქართველ მთამსვლელთა მრავალი ექსპედიციის უცვლელი მონაწილე იყო. მიუხედავად იმისა, რომ მყინვარწვერზე პირველი საბჭოთა ასვლის დროს იაგორა უკვე 41 წლის იყო და საკმაოდ დუხჭირი ცხოვრებაც ჰქონდა გამოვლილი (დევდარაკის მაღაროებში მუშაობა, მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ფრონტზე ბრძოლა), მაინც ახალგაზრდული ენთუზიაზმით ეხმაურებოდა ყოველ ახალ ალპინისტურ საქმესა და უშუალოდ მონაწილეობდა უძნელეს ასვლებში. 1930 წელს, იგი მონაწილეობდა სიმონ ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ასვლაში — თეთნულდზე. ამის გამო ალიოშა ჯაფარიძე წერდა:

„...მიუხედავად მრავალი სამსახურებრივი და ოჯახური ხასიათის დაბრკოლებისა, იაგორა ჩამოვიდა ყაზბეგიდან თბილისში ჯგუფთან შესაერთებლად. მან გაასალკლდევა ჯგუფის რწმენა და იმედი დასახული მიზნის მიღწევისა. თვითმსვლელობის დროს, როგორც თეთნულდზე, ისე უშბაზე, იაგორა იჩენდა მაღალმთიანი ბუნებისადმი საუკეთესო და იშვიათ დაინტერესებას. სიფხიზლესა და გამოცდილებას... კარგი მთამსვლელისათვის საჭირო თვისებების გარდა, რითაც ყველასათვის ცნობილია იაგორა, მას ახასიათებს იშვიათი კეთილშობილება და ბუნებრივი კულტურული სიმაღლე. თავისი ადამიანური თვისებების წყალობით იაგორა არა მარტო მათში იწვევს ღრმა მეგობრულ გრძნობას, ვისთანაც ის თანამგზავ-

რობს, არამედ მათშიაც, ვისაც ის ხვდება თავისი მოგზაურობის დროს...“

იაგორას ალპინისტური მოღვაწეობა დაიწყო 1907 წელს, როდესაც იგი პირველად ავიდა მყინვარწვერზე. მას აქეთ მრავალჯერ ახლდა უცხოელ და რუს მთამსვლელებს მყინვარწვერზე. მონაწილეობდა აგრეთვე მყინვარწვერის ცნობილი მკვლევარის ანდრეი დუხოვსკის გეოლოგიურ და გლაციოლოგიურ კვლევა-ძიებაში და ყაზბეგის ყველა მყინვარი მოიარა. ამ წლებმა დიდი გამოცდილება შესძინეს და, როდესაც გიორგი ნიკოლაძემ განიზრახა მყინვარწვერზე ასვლა, ცხადია, პირველი საბჭოთა ექსპედიციის მეგზურობა იაგორას ხვდა წილად. ამგვარად, იაგორა კაზალიკაშვილი და მისი უფროსი თანამედროვე გახა წიკლაური საბჭოთა მთამსვლელების პირველ მასწავლებლებად შეიძლება ჩაითვალონ.

იაგორას უმოგზაურია მრავალ ქართველ მთამსვლელთან ერთად. იგი განუყრელი თანამგზავრი იყო სიმონ ჯაფარიძისა, მონაწილეობდა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების უშბაზე პირველ საბჭოთა ასვლაში. იოსებ ასლანიშვილთან ერთად მოიარა: მთიანი რაჭა და აფხაზეთი, სვანეთი. უვლია: შოთა მიქელაძესთან, კაკო მართან, დავით. ფურცელაძესთან, ლევან მარუაშვილთან ერთად. ყველა ამ მთამსვლელის მოგონებებში ჩვენ წინაშე დგება მეტად საინტერესო და მიმზიდველი სახე ადამიანისა, რომლის მთელი სიცოცხლე მთებსა და მთამსვლელობას მიეძღვნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იაგორას მონაწილეობა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან. გიო ნიგურიანთან ერთად უშბაზე ასვლა საეტაპო იყო საბჭოთა ალპინიზმის განვითარებაში. ალ. ჯაფარიძე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა

52 წლის იაგორას, თუმცა ამსვლელთა ოთხეულიდან ძნელია გამოყო თუ ვის მიუძღვის მეტი დამსახურება წარმატებაში. ალ. ჯაფარიძე წერს: „დავიწყეთ ასვლა ყველაზე უფრო ციცაბო და სახიფათო ყინულის კედელზე. საარაკო იყო აქ იაგორა, უნდა გენახათ, როგორი გატაცებით დაიწყო მან საფეხურების ჭრა და გაეშურა წინ იმ რწმენით, რომ მწვერვალი უკვე ჩვენს ხელთ იყო. საერთოდ, გვაოცებს ამ კაცის ბუნება, მისი ზნეობრივი და ფიზიკური სიმდიდრე". თვითონ იაგორა მეტად შთამაგონებლად და გულწრფელად აღწერს უშბაზე ასვლას. თავის პოემაში იგი უმთავრესად თავისი ამხანაგების ვაჟკაცობას უმღერის:

„გამედგრდა ნიგურიანი,
ფერი დაედვა მგლისანი,
გამეხდა ჯაფარეული
გული ჰქონია ქვისანი.
არც მე ვარ გამოუცდელი.
გული ვიცანი მტრისანი.
ასე ავედით ფიქარზე,
როგორც რომ ჯიხვი კლდისანი.
შემოვადექით უშბასა
ყველა ფეხ წრიაპიანი,
არ უვარდება ვაჟკაცებს
ქალი ქართველი, თმიანი.
მივდივართ, გვიფრიალებდა
ჩოხის კალთებსა ნიავი.
ავედით, კიდეც ვიკვეხით
ჩვენი რომ გითხრათ სიავი".

იაგორას მთასვლურ „ნადავლს" მყინვარწვერზე სხვადასხვა გზით და სხვადასხვა გარემოებაში 32-ჯერ ასვლა შეადგენდა. იგი ასე აჯამებდა თავის მთასვლურ მოღვაწეობას:

„რვასა მთაზე ვარ ასული,
რვასა მთაზედა რებული:
ბარუხ, ლაკობა, ერწახეი,
იალბუზ სახელდებული,
ოსეთში ადაი-ხოხი
შიგ ‘შუა მთა’ში დებული,
ყინვარწვერი და თეთნულდი,
ერთაც უშბაი ქებული“.

შეიძლება ითქვას, რომ 30-იანი წლების დასაწყისში იგი ყველაზე გამოცდილი საბჭოთა მთამსვლელი იყო. ალ. ჯაფარიძე წერდა: „იაგორა უკვე ოც წელზე მეტია დაინტერესებულია მაღალი მთებით და ეწევა მთასვლურ მოღვაწეობას. ასვლათა რაოდენობის მხრივ მას უდავოდ პირველი ადგილი ეკუთვნის საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა შორის“.

დიდი მოქალაქეობრივი შეგნებისა და მაღალი ბუნების მოხევე საბჭოთა ალპინისტური მოძრაობის ერთ-ერთი დაბწყები და მოწინავე გახდა. დღესაც, როგორც მოწოდება, გაისმის მისი „ალპინისტური მარშის“ ხალისიანი სიტყვები:

„აბიჯეთ ალპინისტებო,
მთა ველით ყინულიანი“.

ქართველი საბჭოთა მთამსვლელები

საქართველოს მთასვლურ მატიანეში გასული ორმოცი წლის განმავლობაში ასობით მწვერვალი და ათასობით ალპინისტის გვარია შეტანილი. საქართველოს ალპინიზმის სრული მატიანის შედგენა-გამოცემა უახლოესი დროის საქმეა. ჩვენი

ვალია დავიწყებას არ მივცეთ ამ დიდი საქმის მსხვერპლნი, რომელთაც თავისი დაუღალავი შრომით დაუმკვიდრეს ქართველ მთამსვლელებს მოწინავე, საუკეთესო ალპინისტების სახელი...

საბჭოთა ალპინიზმის დასაბამი მჭიდროდაა დაკავშირებული გიორგი ნიკოლაძის სახელთან. 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერზე ასვლა პირველი ასვლა იყო საბჭოთა ადამიანებისა საშობლო ქვეყნის ერთ-ერთ შესანიშნავ და მიმზიდველ მწვერვალზე. ამ ასვლას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, ხოლო თვით ასვლა იმგვარად ჩატარდა, რომ მისი პრინციპები საფუძვლად დაედო მთელ საბჭოთა ალპინისტურ მოძრაობას. ეს პრინციპებია: ასვლის ყოველმხრივი, საფუძვლიანი მომზადება — მწვერვალის შესახებ არსებული მასალების შესწავლა, ასვლის დროისა და გზის შერჩევა, ამსვლელთა ჯგუფის შერჩევა, ხანგრძლივი წვრთნა და ტექნიკური მომზადება, ასვლის მასობრიობა, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა და სხვა მრავალი.

თვით გიორგი ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა შესწავლილი ალპინიზმის ტექნიკა და ტაქტიკა. მას გამყოლად ისეთი გამოცდილი მთამსვლელი ახლდა, როგორიც იაგორა კაზალიკაშვილი იყო. ყოველივე ამან უზრუნველყო პირველი საბჭოთა ასვლის გამარჯვება.

1923 წლის 28 აგვისტო. დღის 3 საათი და 30 წუთი. გიორგი ნიკოლაძე და მისი 17 თანამგზავრი დგანან მყინვარწვერზე.

„მაშ, მიზანი მიღწეულია. „მიუხედავად მრავალი დამპყრობლებისა“, როგორც ასმათმა წინადღეს შევარდნის ბუდეში აღნიშნა, აღსრულდა მრავალი წლის ოცნება! მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა!

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შეშლილებივით ვაშას ვიძახდით, ვყვიროდით, ვიცინოდით, მე იაგორას მივვარდი და გადავკოცნე... როგორ აგვეწერა ადამიანის სულის მდგომარეობა მიუღწეველი მწვერვალის მიღწევის დროს. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერისა და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს. ჩვენ კი ბევრი რამ გვაქვს საამაყო: მწვერვალზე 18 ვართ... მაგრამ უმთავრეს სიამაყეს ჩვენი დები წარმოადგენენ. ამდენი ქალი ჯერ იქ არასდროს ასულა. ჩვენები ხუთნი არიან. ნათლად დამტკიცდა, თუ ტანვარჯიშულ განვითარებას რა მნიშვნელობა ჰქონდა". ასე წერდა მყინვარწვერზე პირველი საბჭოთა ასვლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი გიორგი ნიკოლაძე.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ამ საქმეს სათავეში გიორგი ნიკოლაძე ჩაუდგა. ექსპედიციის დღეებში გიორგის 35 წელი შეუსრულდა. იგი უკვე ცნობილი იყო როგორც ინჟინერ-მეტალურგი, მეცნიერი, მათემატიკოსი და მრავალმხრივი სპორტსმენი. ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში მან თავის მამასთან, სახელოვან საზოგადო მოღვაწესთან, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში. 1901 წელს 13 წლის გიორგი ადის შვეიცარიის ალპების მწვერვალ „ტეტ დე ჟეანზე" (ბუმბერაზის თავზე).

1906 წლიდან გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ქიმიური განყოფილების სტუდენტია: 1913 წლიდან მუშაობს დონბასში მეტალურგად, ხოლო თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე სახელოვანი ქართველი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე იწვევს მას უნივერსიტეტში და ამ ხნიდან მოყოლებული გიორგი ძირითადად

მათემატიკის დარგში მუშაობს. სტუდენტობისა და დონბასში მუშაობის წლებში გიორგიმ სპორტული მოღვაწეობა უმთავრესად ტანვარჯიშს მიუძღვნა. 1912 წელს მონაწილეობდა მსოფლიო ტანმოვარჯიშეთა პირველობაში და საპატიო წოდებაც დაიმსახურა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიორგიმ დიდი მუშაობა გასწია ტანვარჯიშის ორგანიზაციის საქმეში, ხოლო ცოტა მოგვიანებით შეუდგა დიდი ხნის ოცნების — კავკასიონის მწვერვალებზე ასვლის ორგანიზაციას.

გიორგი ნიკოლაძის მიერ ჩატარებულ ასვლებში მყინვარწვერზე 18 კაცი ავიდა, იალბუზზე — 19. აქედან ჩაისახა საბჭოთა ალპინიზმის მეორე მეტად დამახასიათებელი ნიშანთვისება — მასობრიობა. 1928 წლის სექტემბერში სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ადის უკვე 41 კაცი, ხოლო შემდეგში მწვერვალებზე ამსვლელთა რიცხვი უკვე არა ათეულებს, არამედ ასეულებს ითვლის.

1924 წელს გიორგი წერდა: „ჩვენი სურვილი იყო ის, რომ ექსპედიციას ჩვენში მთასვლის შემოღებისა და მგზავროსნობის ანუ ტურიზმის ფართო გავრცელების საძირკველი ჩაეყარა. მე მსურს, რომ ამ ჩვენი ასვლის ამბავმა რამდენიმეს მაინც გაუღვიეოს სურვილის ის დაუშრეტელი ცეცხლი, რომელიც მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, მას მყინვარის ან სხვა რომელიმე მაღალი მთის მწვერვალზე აიყვანს. ასეთებს მივმართავ და ვუსურვებ, რომ ჩვენსავით გამბედაობა გამოიჩინონ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი სიფხიზლე და წინდახედულობაც“.

გიორგი ნიკოლაძის ამ მოწოდებას ამაოდ არ ჩაუვლია. მის მიერ აღზრდილმა ახალგაზრდა მთამსვლელებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ალპინიზმის დანერგვას. 1925 წელს იალბუზზე

ასვლის ერთ-ერთი მონაწილე სიმონ ჯაფარიძე კი საბჭოთა ალპინიზმის ახალი საფეხურის მაღალი სპორტული კლასის მწვერვალთა ათვისების მოთავე გასდა.

1923 წლის აგვისტო-სექტემბერში მოეწყო კიდევ ერთი ექსპედიცია მყინვარწვერზე. მისი ჩატარების დრო თითქმის დაემთხვა გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციას. როდესაც გამარჯვებული ამსვლელები მყინვარწვერიდან ჩამოვიდნენ, ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიცია მწვერვალისაკენ მიემართებოდა. ამ ექსპედიციის ორმა მონაწილემ: ალექსანდრე ჯაფარიძემ და იოსებ ასლანიშვილმა შემდეგში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს მთასვლურ მოძრაობაში. მყინვარწვერზე პირველ საბჭოთა ასვლებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ყველაზე მეტად უცხოელებს, მათ შორის ისეთ ცნობილ ალპინისტსაც, როგორიც მყინვარწვერის პირველი ევროპელი ამსვლელი დუგლას ფრეშფელდი იყო, აკვირვებდა, რომ გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მწვერვალზე ხუთი ქალი ავიდა — მარო ბეჟანიშვილი, ელისო ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე, ხოლო ალ. დიდებულიძის ექსპედიციიდან ალექსანდრა ჯაფარიძე.

გიორგი ნიკოლაძის დამსახურება ალპინიზმის განვითარებაში განსაკუთრებით დიდია იმითაც, რომ წლების განმავლობაში იგი ეწეოდა ალპინიზმის პროპაგანდას. თვით სიტყვა მთამსვლელობა, მთასვლა ხომ გიორგის ეკუთვნის. 1926 წელს ევროპაში მივლინების დროს გიორგი კითხულობდა მოხსენებებს ევროპის გეოგრაფიულ საზოგადოებებში, ათავსებდა წერილებს ჟურნალებში. საბჭოთა ალპინიზმის შემდგომი განვითარება წარიმართა გიორგი ნიკოლაძისა და

მის თანამებრძოლთა შემუშავებული გეგმით. გიორგი ნიკოლაძის სახელი განუყოფელია საბჭოთა ალპინიზმისაგან. დღეს ჩვენი ხალხი მადლიერების გრძნობით იგონებს ამ შესანიშნავ მეცნიერს, უბადლო სპორტსმენსა და დიდ პატრიოტს, რომელმაც არ დაიშურა თავისი ნიჭი, მონდომება და თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ნაწილი მოანდომა მთასვლის დანერგვას ჩვენს ქვეყანაში.

ამ ასვლებმა და მომდევნო ხუთი წლის ექსპედიციებმა იალბუზზე (გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით), მყინვარწვერზე (სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით) საბოლოოდ დაამკვიდრა ალპინიზმი საქართველოში.

1929 წლიდან ქართველი მთამსვლელები თანმიმდევრულად იწყებენ სპორტული კლასის ამაღლებას. ალპინიზმი სპორტია და ამიტომ, როგორც ყოველ სპორტს, მასაც თან სდევს შეჯიბრება, მაგრამ არა უშუალო შეჯიბრება, არამედ შეჯიბრება სიძნელეთა დაძლევაში. ჩვენში მწვერვალები სიძნელის მიხედვით დაყოფილია ხუთ კატეგორიად (ათ ქვეკატეგორიად), მწვერვალის სიძნელეს ძნელად გასასვლელი მონაკვეთების სიგრძე, ყინულოვანი და კლდოვანი სავალის სირთულე და მწვერვალის სიმაღლე განსაზღვრავს (მყინვარწვერი სიძნელის I კატეგორიას ეკუთვნის, თეთნულდი — II, ჯიმარა — III, რუსთაველის პიკი — IV, უშბა — V), ხშირად ერთი მწვერვალის სხვადასხვა გზა სხვადასხვა კატეგორიისაა.

1923—1925 წლების ასვლები I კატეგორიის მწვერვალებზე ტარდებოდა (მყინვარწვერი, იალბუზი); ტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობის ათვისებამ, საჭურველის გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა უფრო ძნელი მწვერვალების დალაშქვრა, თანაც მთამსვლელთა რიგებს ახალი ენთუზიასტები შე-

მოემატნენ. 1926—1933 წლებში მოეწყო ასვლები: თეთნულდზე (ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეები), ლალვერზე (დევი მიქელაძე), უილფათაზე (სოსო ასლანიშვილი), გესტოლაზე (შოთა მიქელაძე, დავით წერეთელი), ნამყვამზე (სანდრო გვალია), მყინვარწვერზე — შოთა მიქელაძის გზით (ივანე მარი, დავით წერეთელი, ნიკო ქირიკაშვილი).

საქართველოს ალპინიზმის ისტორიის მეორე ათწლედის დასაწყისი აღსანიშნავია კავკასიონის ერთ-ერთ ულამაზეს და თანაც უძნელეს მწვერვალზე — უშბაზე ასვლით. ეს ასვლა იმითაც არის შესანიშნავი, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმში მაღალი კლასის ასვლებს.

უმაღლესი სპორტული კლასის ალპინიზმის დამწყებნი სიმონ ჯაფარიძე და შოთა მიქელაძე იყვნენ, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არ დასცალდათ სრულად გამოევლინათ თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი. სიმონი თეთნულდზე ასვლის დროს დაიღუპა, შოთა — მყინვარწვერზე უძნელესი გზით ასვლის მსხვერპლი გახდა.

სწორედ ამ დროს ალპინიზმის სარბიელზე გამოვიდა ალექსანდრე, ანუ, როგორც მას ყველა ეძახდა, ალიოშა ჯაფარიძე. დაწყებული თეთნულდზე პირველი ასვლიდან (1929 წელს), დამთავრებული უკანასკნელი, მისთვის საბედისწერო, უშბაზე ასვლამდე (1945 წელს) ალიოშა ჯაფარიძე დაუღალავად ებრძოდა კავკასიონისა და პამირის მწვერვალებს; მრავალი საქმის დამწყები და მოთავე იყო იგი. ალიოშამ ასზე მეტი უძნელესი, სარეკორდო ასვლა შეასრულა, რითაც ალპინიზმის ისტორიაში შესანიშნავი მთამსვლელისა და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სახელი დაიმკვიდრა.

ქართველ საბჭოთა მთამსვლელთა პირველი თაობა: გიორგი ნიკოლაძე, შოთა და დევი მიქელაძეები, სიმონ ჯაფარიძე, სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე და სხვები საბჭოთა ალპინისტური მოძრაობის მოთავენი იყვნენ.

1929—1931 წლებში საქართველოს მთასვლურ მოძრაობაში ებმებიან ახალი ძალები. ასპარეზზე გამოდის მთამსვლელთა მეორე თაობა: კაკო მარი, დავით წერეთელი, სანდრო გვალია, დავით ფურცელაძე, ლევან მარუაშვილი, გოჯი ზურებიანი, გიო ნიგურიანი, მელენტი სანებლიძე, ნიკო ქორიკაშვილი, ვასო ხაიკაშვილი, ალმაცქირ კვიციანი და მრავალი სხვა. ალპინიზმის ისტორიის ამ პერიოდის დაგვირგვინებაა უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლა.

1934 წლის 31 აგვისტოს ხანგრძლივი მზადების შემდეგ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გ. ნიგურიანი და ი. კაზალიკაშვილი ავიდნენ სამხრეთ უშბის მწვერვალზე, ამ ასვლის გამო ალიოშა ჯაფარიძე წერდა: „ჩვენ სიხარულს აათასკეცებს შეგრძნება იმისა, რომ უშბაზე ასვლით, ისე როგორც კომუნიზმის პიკზე, ლენინის პიკზე, ხან-თენგრიზე და სხვა მწვერვალებზე — პამირზე, ალტაიზე, ტიანშანზე და სხვაგან, საბჭოთა ალპინიზმმა განახორციელა, ალპინისტური მოძრაობის დარგში, პირველი ნაწილი დიადი ლოზუნგისა: „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომ ეს ლოზუნგი უახლოეს მომავალში განხორციელებული იქნეს მეორე ნაწილშიც და რომ ჩვენ, უშბაზე პირველი საბჭოთა ასვლის ორგანიზატორებმა, შევძელით ამ საქმეში ჩვენი ძალ-ღონის შესაფერისი წვლილის შეტანა.“ უშბაზე ასვლა ქართველი და, საერთოდ, საბჭოთა ალპინისტების პირველი მაღალი კლასის სპორტული გამარჯვება იყო.

ალიოშა ჯაფარიძის შემდგომი მოღვაწეობა ალპინიზმის დარგში ახლის ძიების, ახალ წამოწყებათა გზით წარიმართა. 1934—1945 წლებში ჩვენი მთამსვლელების თითქმის ყველა გამარჯვება მჭიდროდაა დაკავშირებული ალიოშა ჯაფარიძის სახელთან. 1934 წელს უშბაზე ასვლა დიდ სპორტულ გამარჯვებათა დასაწყისია, ხოლო 1935 წელს პამირში კორჟენევსკაიას პიკის მახლობლად მდებარე 6570 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე ასვლა საბჭოთა მთამსვლელთა მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენდა. ალ. ჯაფარიძე და დ. წერეთელი იყვნენ სიმაღლოვანი ასვლების საბჭოთა პირველდამწყებთა შორის.

ალ. ჯაფარიძე დამწყები და მოთავე იყო სპორტული ალპინიზმის ერთ-ერთი ურთულესი სახეობის მწვერვალთა წვერიწვერ გადავლის, ე. წ. ტრავერსირებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მრავალი მწვერვალის ტრავერსი, რომელიც 1940 წელს მოეწყო. ამ ტრავერსს წინ უსწრებდა 1937 და 1938 წლებში ჩატარებული ცდები ცენტრალური კავკასიონის ტრავერსირებისა. 15 დღის განმავლობაში ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ივანე გალუსტოვი, ლევან გოთუა და კოტე ჯავრიშვილი, ქედ-ქედ გადაიარა 25 კილომეტრი, აიღო 12 მწვერვალი ფასის მთიდან წურუნგალამდე. 1940 წელს ალიოშა ჯაფარიძემ განახორციელა უმაგალითო და სარეკორდო ტრავერსი, რომლის დროსაც მთამსვლელები 17 დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ 4500 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდნენ. მათ გაიარეს მთავარი ქედის 80 კილომეტრი და გადალახეს 20-მდე მწვერვალი, რომელთაგანაც 10 უძნელეს კატეგორიას ეკუთვნის. ამ ტრავერსში მონაწილეობა

მიიღეს ალექსანდრა ჯაფარიძემ, გ. ხერგიანმა, გ. ზურებიანმა, ბ. ხერგიანმა, ლ. სუჯაშვილმა, ა. კვიციანმა.

ამ გამარჯვების შემდეგ, 1943 წელს, ალიოშამ მიზნად დაისახა ერთი ჯგუფით უშბისა და მისი მომიჯნავე შხელდის შვიდივე მწვერვალის ფორსირება, მაგრამ ამჯერად ზამთარმა მოუსწრო და 7 დღის განმაკლობაში სამხრეთ უშბაზე უძნელეს პირობებში ყოფნის შემდეგ ჯგუფი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო.

1945 წელს ალ. ჯაფარიძე კვლავ გაემართა ამ ტრავერსის შესასრულებლად. როგორც ცნობილია, დასახული ტრავერსი ვერ განხორციელდა უამინდობის გამო. ჩრდილოეთ უ'შბიდან გამობრუნებული ალ. ჯაფარიძე, ქ. ონიანი და ნ. მუხინი დაიღუპნენ გულის მყინვარზე.

1935 წლიდან იწყება ალპინიზმის აღმავლობის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი, რომელსაც თან სდევს შემდგომი სპორტული დახელოვნება, ახალი ძალების შემატება და მასობრივი ალპინიზმის ახალ საორგანიზაციო ფორმათა გამონახვა (ალპინიადები). ალპინიადების ჩატარებამ ალპინიზმი მრავალთათვის მისაწვდომი გახადა და უფრო მეტად დაუახლოვა სამხედრო-გამოყენებით მიზნებს. მასობრივი ლაშქრობა-ალპინიადები ჩატარდა დაწყებული აფხაზეთის მწვერვალებიდან დამთავრებული — მთათუშეთის მწვერვალებამდე.

გასული წლების განმავლობაში მთამსვლელები ეუფლებოდნენ მთასვლურ ტექნიკას და მოიარეს საქართველოს კავკასიონის ყველა ძირითადი მხარე (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა, ოსეთი, მთიულეთი, ხევი, ხევსურეთი, მთათუშეთი), ამით საფუძველი ჩაეყარა საზოგადოების ფართო წრეებში გეოგ-

რაფიული ცოდნის გაღრმავებას, საქართველოს ბუნების უკეთ გაცნობასა და შესწავლას.

არც სპორტული კლასის ამაღლება იყო მივიწყებული. 1937—1940 წლების განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ასვლა ჩატარდა; მათ შორის აღსანიშნავია ალ. ჯაფარიძის ჯგუფის ასვლა: ჯიმარაზე, შავანაზე, ტეპლიზე, ი. მარისა და ქელეშბი ონიანის ჯგუფისა — სონგუტიზე. მაგრამ განსაკუთრებული პრინციპული მნიშვნელობა ორ ასვლას ჰქონდა — ეს იყო 1937 წელს უშბის აღმოსავლეთის კედლის დაძლევა, რაც ტექნიკურად რთული კლასის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს (გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი) და საქართველოს მთამსვლელთა პირველი სერიოზული ტრავერსი (მწვერვალთა წვერიწვერ გადავლა) ფასის მთიდან წურუნგალამდე (წურუნგალასა და ფიტნარგინს შორის მდებარე „შავი .უცნობის" ჩართვით, რომელსაც შემდეგში ალ. ჯაფარიძის მწვერვალი ეწოდა). 25 კილომეტრის მანძილზე გაიარეს 13 მწვერვალი (ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეები, ივანე გალუსტოვი, ლევან გოთუა, კოტე ჯავრიშვილი). ამ პერიოდის მთასვლური ისტორია დაგვირგვინდა შესანიშნავი მიღწევით — კავკასიონის ცენტრალური ნაწილის 80 კილომეტრიანი ტრავერსით, რომლის განმავლობაში დაძლეულ იქნა 20-მდე მწვერვალი, მათ შორის წურუნგალი — 4.222 მეტრი, აილამა — 4.545 მეტრი, ნამყვამი — 4.283 მეტრი და შხარა — 5.058 მეტრი (ალექსანდრა და ალექსანდრე ჯაფარიძეები, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანები, გოჯი ზურებიანი).

ძნელია იმის ჩამოთვლა თუ რა და როგორ პირობებში გააკეთეს საბჭოთა და, მათ შორის, ქართველმა მთამსვლელებ-

მა სამამულო ომის დროს კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში. ამ ბრძოლებში წარმატების ემბლემაა ის, რომ „სსრკ ალპინისტის“ ნიშანზე აღბეჭდილმა ორთავა იალბუზმა სპორტული ნიშნიდან გადაინაცვლა საბრძოლო მედალზე „კავკასიის დაცვისათვის“. ეს მედალი ყველა საბჭოთა ალპინისტის დამსახურების მანიშნებელია. ომი ჯერ დამთავრებული არ იყო, როდესაც საბჭოთა ალპინისტები კვლავ შეუდგნენ ალპინისტურ მიღწევათა კლასის აღდგენას. 1943 წლიდან კვლავ იწყება მწვერვალების შტურმი. ალ. ჯაფარიძის და ქ. ონიანის მიერ დაწყებული საქმე — კავკასიონის ორი ურთულესი მწვერვალის — უშბისა და შხელდის ერთობლივი ტრავერსი — 1949 წელს ივანე მარმა, ბექნუ ხერგიანმა, გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა სახელოვნად დააგვირგვინეს.

შეუძლებელია ყველა იმ ასვლათა ჩამოთვლაც კი, რომელიც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ჩაატარეს; შეუძლებელია ყველა იმ მთამსვლელის მოხსენიებაც კი, რომელთაც მრავალი შესანიშნავი სპორტული მიღწევით ისახელეს თავი.

თუ აქამდე ქართველმა მთამსვლელებმა თანამედროვე ალპინიზმის ორ სახეობაში ისახელეს თავი — ძნელად ასასვლელი კედლების დაძლევითა და მაღალი კლასის ტრავერსების შესრულებით, ახლა მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა — საკუთარი სიტყვის თქმა მაღალმთის ალპინიზმში.

სიმაღლოვან ასვლებს არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს საბჭოთა კავშირში, მით უმეტეს, საქართველოში, კავკასიონზე ხომ 5633 მეტრზე მაღალი მწვერვალი არ მოგვეპოვება. ასეთი მწვერვალები საბჭოთა კავშირის ფარგლებში მხოლოდ პა-

მირსა და ტიან-შანზეა. ქართველ მთამსვლელთა პირველი მოგზაურობანი პამირზე 1932 წელს იწყება (ლევან მარუაშვილი მონაწილეობდა პამირის ექსპედიციაში); 1935 წელს დავით წერეთელი ხელმძღვანელობდა საბჭოთა არმიის მეთაურების ასვლას მწვერვალ „სავოზე“ (ავიდა დასავლეთ კორუნდსა (6010) და სხვა მწვერვალებზე); 1936 წელს დ. წერეთელმა და ალ. ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღეს ლენინის პიკის შტურმში (6500 მეტრამდე), ხოლო ალ. ჯაფარიძე რუს მთამსვლელ ნ. გუსაკთან ერთად ავიდა კორჟენევსკაიას მწვერვალის ახლოს მდებარე 6570 მეტრის სიმაღლის მწვერვალზე.

ოდესღაც აზიის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლა ინგლისელ მთამსვლელთა „კუთვნილება“ იყო, ამ მთების გზა და კვალი მათ „საიდუმლოებას“ შეადგენდა. პატრიოტის პიკზე (პამირი, 6450 მ) მიმავალი ინგლისელი მთამსვლელი მალკოლამ სლიზერი წერს: „ჩვენ გადავწყვიტეთ ამ მწვერვალზე ასვლა საბჭოთა ტაქტიკის გამოყენებით, უფრო უხიფათო „ქართული“ მარშრუტით... გაგვაფრთხილეს, რომ მერე იწყება ასვლის ყველაზე ძნელი ნაწილი: ათასმეტრიანი „ქართული“ ღარი თოვლითა და ყინულით დაღარული უმუხთლესი ფერდობი...“

პირველი ქართველი მთამსვლელები პამირს ჯერ კიდევ 1934 წელს ეწვივნენ, როდესაც სამხედრო მთამსვლელთა ჯგუფთან ერთად დავით წერეთელი ავიდა მწვერვალ დასავლეთ კორუნდზე (6010 მ), იმიერ ალაის ქედზე კი მიაღწია 7060 მეტრის სიმაღლეს. 1936 წელს ალ. ჯაფარიძემ ნ. გუსაკთან ერთად დაიპყრო მწვერვალი „6570“ (კორჟენევსკის პიკის მეზობლად), რომელსაც შემდეგში ალ. ჯაფარიძის სახელი ეწოდა.

გავიდა 20 წელი და პამირისაკენ პირველი ქართული ექსპედიცია გაემგზავრა. 1954 წელს იწყება ქართველ მთამსვლელთა სიმაღლოვანი ასვლების მატიანე. პირველივე ექსპედიციამ პამირის ერთ-ერთ უსახელო დაპყრობილ მწვერვალს (პიკი „6300“ შახდარას ქედზე) ქართული და, საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის გიორგი ნიკოლაძის სახელი — „გიორგი ნიკოლაძის პიკი“ უწოდა.

აქედან დაწყებული საბჭოთა ალპინიზმის მატიანეში თითქმის ყოველ წელს იწერება მრავლისმეტყველი სტრიქონები.

...1954 წელი — ნიკოლაძის პიკი (6300 მ), თეთნულდზე დაღუპულთა პიკი (6078), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიკი (6120), კარლ მარქსის პიკი (6726), ფრიდრის ენგელსის პიკი (6510) — საქართველოს ალპური - კლუბის ექსპედიცია — მ. გვარლიანი, ა. ნემსიწვერიძე, ს. გუგავა, გ. გულბანი, კ. კუზმინი, ლ. და ზ. ახვლედიანები, გ. ყალაბეგიშვილი, ჯ. გუგავა, ჯ. მეძმარიაშვილი, ს. ცაიშვილი...

...1955 წელი — პიკი „6853“, პრავდის პიკი (6400 მ), საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი (7495), — მ. გვარლიანი, ი. კახიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. და ზ. ახვლედიანები, დ. ობოლაძე, მ. ხერგიანი, ჯ. და ს. გუგავები...

...1956 წელი — მოსკოვის პიკი (6782 მ) — დ. ობოლაძე, ლ. და ზ. ახვლედიანები, ჯ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, რ. რაზმაძე.

მოსიმაღლეთა შორის სულ ახალ-ახალი სახელები ჩნდება. ქართული სიმაღლოვანი ალპინიზმის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს ო. გიგინეიშვილსა და ა. ივანიშვილს ახალ-ახალი ძალები შეჰყავთ პამირის მწვერვალებისათვის ბრძოლაში.

თუ პირველი ასვლების ხელმძღვანელები უფროსი თაობის ალპინისტები იყვნენ — მ. გვარლიანი, ა. ნემსიწვერიძე, დ. ობოლაძე, ახლა უკვე იერიშების მეთაურები: ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი და სხვა ახალგაზრდა მთამსვლელები ხდებიან...

...1957 წელი — ღარმოს პიკი — შ. მირიანაშვილი, ო. ბერაძე, გ. თიკანაძე, დარვაზის ქედის ტრავერსი — ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. და ზ. ახვლედიანები, გ. აბაშიძე, ი. გაბლიანი, თ. კუხიანიძე, რ. რაზმაძე, ი. ხერგიანი, ჭ. ჩართოლანი, ო. ხაზარაძე.

1958 წელი — ლენინის პიკი — ჯ. მეძმარიაშვილი, გ. აბაშიძე, ლ. და ზ. ახვლედიანები, თ. კუხიანიძე, ი. ყავლაშვილი, გ. გვარლიანი, გ. მაჭარაშვილი, შ. მირიანაშვილი, ნ. ნადირაშვილი, რ. და ო. ხაზარაძეები, შ. ჩართოლანი.

თბილისის 1500 წლისთავის პიკი — ა. ძიძიგური, ა. ახვლედიანი, ლ. ღლონტი, დ. დანგაძე, გ. დევიძე, დ. დიდებულიძე, ო. კაპანაძე, ვ. მიხაილოვი, დ. ობოლაძე, ვ. თევდორაძე, მ. ცერცვაძე. ჩვენ განგებ ამოვიწერეთ პამირის მწვერვალებისათვის მებრძოლთა ეს გვარები, რათა დაგვენახვებინა მკითხველისთვის, თუ როგორ ემატებოდა სიმაღლოვან ასვლათა მონაწილეებს ახალი სახელები, როგორ მატულობდა მათი რიცხვი და დაპყრობილ მწვერვალთა სიძნელე.

1959 წელს დაიწყო ბრძოლა საბჭოთა კავშირის სიმაღლით მეორე მწვერვალის — „გამარჯვების" დასაპყრობად. ეს ბრძოლა 1961 წელს გამარჯვებით დაგვირგვინდა. ჯ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, ი. გაბლიანი და კ. კუზმინი ავიდნენ ამ უძნელეს მწვერვალზე. გამარჯვება ძვირად დაუჯდათ ქართველ მთამსვლელებს — ჩამოსვლის დროს დაიღუპნენ ჩვენი შესანიშნავი

მოსიმაღლეები — ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე და ილია გაბლიანი.

1960 წელს პამირზე ზულუმ-არტის ქედის იერიში „მარათონული“ ტრავერსით დამთავრდა. ლენინის პიკზე კი 18 მთამსვლელი ავიდა.

1962 წელს ქართველი მთამსვლელები კვლავ პამირზე არიან. მოსიმაღლეთა ჯგუფის ასვლები პამირის მწვერვალებზე ყოველთვის ახალი გზებით ან სრულიად ახალ, ჯერ აუსვლელ მწვერვალებზე ტარდებოდა. ახლა საყოველთაოდ ცნობილია კომუნიზმის პიკის „ქართველ მთამსვლელთა გზა“ (1955 წლის ასვლების შემდეგ).

საბჭოთა კავშირის „შვიდათასიანთა“ ოთხი მწვერვალიდან ქართველები წამყვანი არიან სამზე (კომუნიზმის, გამარჯვებისა და ლენინის პიკები), მათგან, ლენინის პიკზე 32 კაცია ასული, ხოლო ხუთმა მთამსვლელმა (ი. კახიანი, ჯ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, ლ. და ზ. ახვლედიანები) ორ-ორჯერ მოინახულეს ეს მწვერვალი.

არც კავკასიონი დავიწყებიათ ამ წლებში ქართველ მთამსვლელებს... დაპყრობილია ათეულობით მწვერვალი, ათასობით ახალგაზრდა ეზიარა მაღალმთიანი სპორტის საიდუმლოებას... საბჭოთა სპორტის მატიანეში მრავალგზის ჩაიწერა იმ ქართველ მთამსვლელთა სახელები, რომელთაც გაიმარჯვეს საკავშირო კონკურსებში და ოქროს, ვერცხლისა თუ ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ. ამჟამად მეხუთე, უმაღლესი კატეგორიის მწვერვალებზე ასვლა, უძნელესი კედლების დაძლევა, ურთულესი ტრავერსების ჩატარება ჩვეულებრივი აბზავია და ყოველი ალპინისტური სეზონისათვის აუცილებელიც.

კავკასიონისა და პამირის გეოგრაფიულ რუკებზე ჩვენი სახელოვანი მწერლებისა და მოღვაწეების სახელობის მწვერვალების — შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ბორის ძნელაძის გვარების გვერდით ვხედებით გიორგი ნიკოლაძის, სიმონ ჯაფარიძის, ალ. ჯაფარიძის, გიორგი ქავთარაძის გვარებს...

ქართველი მთამსვლელები კავკასიონისათვის ბრძოლაში

კავკასია, კავკასიონის მწვერვალები დიდიხანია იპყრობდა უცხოელთა ყურადღებას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ერთეულები, ხოლო უფრო გვიან ათეულობით ეწვეოდნენ ხოლმე კავკასიონის მწვერვალებს გერმანელი, იტალიელი, უნგრელი ტურისტები, ალპინისტები, მწვერვალთა „დამპყრობნი“.

ისინი „იპყრობდნენ“ მწვერვალებს, გზადაგზა გულდასმით სწავლობდნენ მთაგრეხილებსა და უღელტეხილებს, წერდნენ წიგნებს კავკასიის მშვენიერებათა და სიმდიდრეთა შესახებ და ამ წიგნებთან ერთად გულმოდგინედ და ზუსტად შედგენილ რუკებსა და აღწერილობებს გადასცემდნენ სათანადო გენერალურ შტაბებს.

საბჭოთა ალპინიზმის ოცი წელი არა მარტო კავკასიონის შესწავლისა და დაუფლებისათვის ბრძოლის ოცი წელია, არამედ უცხოელ „დამპყრობებთან“ ბრძოლის ოცი წელიცაა.

„გავწმინდოთ კავკასიონის მწვერვალები უცხოელთა ბარათებისაგან!“ — ასეთი იყო საბჭოთა მთამსვლელების ლოზუნგი. ეს არ იყო მარტო სპორტული ამოცანა — ავსულიყავით ყვე-

ლა იმ მწვერვალზე, სადაც ოდესმე ასულან სახელმოხვეჭილი „მაღალმთიანეთის ვეფხვები“ — არამედ ღრმა პატრიოტული მისწრაფებაც, რომელიც უღიდესს სიყვარულს გამოხატავდა სამშობლოსადმი.

ჩვენ გვინდოდა წაგვეშალა ყოველი ნიშანიც კი იმისა, რომ ოდესმე, ჩვენზე ადრე ვიღაცას დაუდგამს ფეხი ჩვენს სამშობლო მიწაზე, რომ ვიღაცას ჩვენზე ადრე უხილავს ჩვენი მთების მშვენება და სიდიადე.

ამრიგად, ბრძოლა „უცხოელ დამპყრობებთან“ ქართველმა მთამსვლელებმა გაცილებით ადრე დაიწყეს, ვიდრე გერმანელი დამპყრობლები განიზრახავდნენ ჩვენი სამშობლოს დაპყრობას.

შერცბახერის, შუსტერის, დეშის, ობერშტაინერისა და სხვათა ბარათები ახლა საქართველოს ალპური კლუბის მუზეუმში ინახება, როგორც ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არძიის მიერ დიდი სამამულო ომის დროს მოპოვებული დავლის წინამორბედი საპატიო „ნადავლი“.

ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა გერმანელ დამპყრობლებთან, რომელიც საბჭოთა მთამსვლელების გამარჯვებით დამთავრდა.

1942 წელს, როდესაც გააფრთებული ფაშისტური ურდოების ბღვრიე ტალღა კავკასიონის თეთრთოვლა მწვერვალებსა და ყინულოვან უღელტეხილებს მოუახლოვდა, მისასვლელებთან ქედივით ურყევად გადაუდგნენ მათ კავკასიონის დამცველი რაზმები.

1942 წლის აგვისტოსა და სექტემბრის ბრძოლებში კავკასიონის მისადგომებთან და მთებში მრავალმა მებრძოლმა

და შეთაურმა ისახელა თავი. მათ შორის ბევრი იყო მთამსვლელი, მთაში გაწაფული და მთის ბუნების მესაიდუმლე.

ომამდე ისინი წლობით დადიოდნენ მთაში, სწავლობდნენ მთებს, მთის სასტიკ ბუნებასთან ბრძოლაში იწრთობოდნენ. მწვერვალთა დაპყრობა მათ მომავალ ბრძოლებში მტრის დამარცხებას ასწავლიდა.

განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს მთიანი რაიონების ახალგაზრდობისა და თბილისის, ქუთაისის, გორისა და სხვა ქალაქების სტუდენტთა სამთო მომზადებაში ალპინიადებმა. ალპინიადები მოეწყო საქართველოს ყველა მთიან რაიონში — მთათუშეთში, მთიულეთში, ხევში, სამხრეთ ოსეთში, ზემო რაჭაში, ზემო და ქვემო სვანეთსა და აფხაზეთში.

ამ პერიოდში ქართველმა მთამსვლელებმა მოიარეს მთელი კავკასიონი, განსაკუთრებით სამხრეთი კალთის მთიანი რაიონები მთათუშეთიდან აფხაზეთამდე, გავიდნენ ჩრდილოეთ კალთებზე და გადალახეს კავკასიონის მაღალი უღელტეხილი. ზაფხულის მოგზაურობებთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა ზამთრის სამთო-სათხილამურო ლაშქრობებს.

იმ წლებში მთამსვლელთა შორის გავრცელდა ლოზუნგი: „ვინც არ დაიბნევა თოვლიან მთებში, ის არც ომში შედრკება". ამ მხრივ ქართველი მთამსვლელები სავსებით მომზადებულნი შეხვდნენ მეორე მსოფლიო ომს „არ შედრკენ ომში" და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჯერ კავკასიის დაცვის, ხოლო შემდეგ კარპატებში ბრძოლაში.

ქართველი მთამსვლელები სათავეში ჩაუდგნენ სამსედრო ნაწილების სამთო-საბრძოლო მომზადებას. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში მანამდე ასეთი მასშტაბით ალპინისტული

მომზადება არასდროს ჩატარებულა: შეიქმნა სპეციალური სხვადასხვა საფეხურისა და პროფილის საინსტრუქტორო სკოლები, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან შემოიკრიბეს საუკეთესო ალპინისტები. ისინი გვერდში ამოუდგნენ ქართველ მთამსვლელებს და მათთან ერთად შრომობდნენ და იბრძოდნენ ყველგან, სადაც კი საჭირო იყო მთამსვლელის ცოდნა და გამოცდილება.

ქართველ მთამსვლელთა რიგებში იყვნენ ისეთი შესანიშნავი ინსტრუქტორები, ათასობით მთამსვლელი ჯარისკაცი, აღმზრდელები, როგორიც იყვნენ: შალვა ასათიანი, დიმიტრი ჯაფარიძე, ჯანსუღ იაშვილი, გიორგი სულაქველიძე, ვლადიმერ ახობაძე და სხვები.

ჯერ კიდევ ომამდე 1941 წლის აპრილსა და მაისში თბილისის უნივერსიტეტის კომკავშირელთა თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი შესანიშნავ მოძრაობას — გასამხედროებულ ალპინისტურ-კომკავშირული დანაყოფების შექმნას უმაღლეს სასწავლებლებსა და წარმოებებში. ეს იყო გამოხატულება საბჭოთა მთამსვლელების ომისათვის მზადყოფნისა.

1941 წელს, დიდი სამამულო ომის ბრძოლების პირველი წლის დაძაბულ დღეებში, არც ერთი წუთით არ შეწყვეტილა საქართველოს მთამსვლელთა მუშაობა. 1941 წლის ზაფხულში, ისევე როგორც გასულ წლებში, კავკასიონის ხეობებსა და უღელტეხილებზე მიმდინარეობდა სამთო ვარჯიში, იქედებოდა და იწრთობოდა ახალი კადრები.

1941 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ონის, ამბროლაურის, თელავისა და დუშეთის რაიონის წვევამდელმა ახალგაზრდობამ გაიარა საფუძვლიანი სამთო მომზადება. ლევან გოთუას მეთაურობით მათ გადალახეს უღელტეხილები, ავიდ-

ნენ მწვერვალ ჭუთხაროზე, სანდრო გვალია მიუძღოდა მათ მთათუშეთის ბილიკებზე — პატარა ქაჩუსა და გველის მთის მწვერვალებისაკენ.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც წლების განმავლობაში მიღებული ცოდნა, გამოცდილება ბრძოლაში უნდა შემოწმებულიყო. მტერი მოუახლოვდა კავკასიონს და შეესია მისი ჩრდილოეთის კალთის ხეობებს.

სამშობლომ თოფქვეშ დააყენა მთელი ქვეყანა.

გამარჯვების სურვილმა, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულმა და მოვალეობის გრძნობამ შეაძლებინა ის, რაც თითქოს მათ შესაძლებლობას აღემატებოდა.

სექტემბერში შეიქმნა სამთო რაზმები, რომელთა გაწაფვასა და შემდეგ მთაში გასვლას მთამსვლელები ხელმძღვანელობდნენ.

თოფთან ერთად მათ წერაყინი და თოკი მიჰქონდათ მთაში. ეს უვნებელი და მშვიდობიანი ხელსაწყო საბრძოლო იარაღად გადაიქცა, მთამსვლელები კი მებრძოლებად.

ქელეშბი ონიანი სტახანოველი ზეინკალი იყო, სანდრო გვალია — სპორტის ოსტატი, ილია დიღმელიშვილი — მათემატიკის მასწავლებელი, ლევან ელიავა — ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი, ნიკო ხიმშიაშვილი — გეოლოგი, არჩილ მაჭავარიანი— იურისტი, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები — სოფლის მუშაკები, შოთა რევიშვილი—ლიტერატურის მცოდნე, შალვა ასათიანი — ფიზკულტურის მუშაკი, გივი მელია — ეკონომისტი, ხოლო შაქრო მაისურაძე — ძველი ქართული კერამიკის საიდუმლოების მკვლევარი.

მათ უყვარდათ თავისი საქმე და თავისი სამშობლო ქვეყანა, კავკასიის მთები, ქართველი ხალხი, მისი გმირული წარ-

სული და მოძავალი. სწავლობდნენ წარსულს, ‘ძრომობდნენ მომავლის საკეთილდღეოდ.

მაგრამ დადგა განსაცდელის ჟამი და ისინი სათავეში ჩაუდგნენ სამთო რაზმებს, უმაგალითო გმირობით და თავგანწირვით იბრძოდნენ საყვარელი მთების დასაცავად.

პოდპოლკოვნიკმა გიორგი ნარიმანიძემ სახელი გაითქვა, როგორც დახელოვნებულმა მზვერავმა და მამაცმა მებრძოლმა. ათასეული, რომელსაც იგი მეთაურობდა მრავალჯერ გასულა მტრის ზურგში კავკასიონის უღელტეხილებითა და უვალი ბილიკებით.

სამთო რაზმის ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი უფროსი ლეიტენანტი შალვა ასათიანი რვა თვეს იბრძოდა კავკასიის მთებში. ებრძოდა მტერს, ებრძოდა ზამთრის სასტიკ ბუნებას. ქარბუქსა და ნამქერში მიჰყავდა მას დასაზვერავად რაზმი მაშინ, როცა აღრენილ და გაცოფებულ ქარბუქთან მხოლოდ მისი ცოდნა და ნებისყოფა თუ ‘შეძლებდა შებრძოლებას.

დასავლეთ კავკასიონის თოვლეთში იკვალებოდა ბილიკები — სურსათი არასდროს მოჰკლებია მოწინავე ხაზს და არც ერთი დაჭრილი არ დარჩა დროულად გამოუყვანელი. ყოველივე ამას ხელმძღვანელობდა უფროსი ლეიტენანტი ‘შალვა ასათიანი.

28-ჯერ გაიარა მან თოვლიანი უღელტეხილები: ადანგე, ხიმსა, ნაური, გვაშხვთა, დოუ და სხვა მრავალი.

სვანმა მთამსვლელებმა პარტიზანული რაზმი შექმნეს. მიუვალი უღელტეხილები მათთვის ნაცნობი კარ-მიდამო იყო. ისინი მოულოდნელად და გაბედულად ესხმოდნენ მტერს ყინვაში, თოვლსა და ქარბუქში. მიდიოდნენ დაზვერვაზე

ბტრის ზურგში და მოჰქონდათ მნიშვნელოვანი ცნობები მტრის შესახებ.

ზემო სვანეთის მთამსვლელები და მეთხილამურეები, რომელებიც მშვიდობიან წლებში თეთნულდსა, სვეტლარსა, ასმაშზე და სხვა მწვერვალებზე ასვლისას და უღელტეხილებზე სათხილამურო ლაშქრობებში იწრთობოდნენ — აქტიურად მოქმედებდნენ და ეხმარებოდნენ საბჭოთა არმიას.

უფ. ლეიტენანტ სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით ფრონტისპირა რაიონებში, ზემო სვანეთში მიმდინარეობდა სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორთა მზადება, ათასზე მეტი კაცი მოამზადეს შემდეგში ამ ინსტრუქტორებმა.

სანდრო გვალიამ კავკასიონის დაცვის პირველი დღიდანვე თავისი მთასვლური, სათხილამურო გამოცდილება და სვანეთის უღელტეხილების ცოდნა საბჭოთა არმიის ნაწილებს გაუზიარა.

მისი მოღვაწეობა ამ ხანებში მრავალმხრივი იყო; კავკასიონის ქედის ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო რაიონში უხდებოდა დაზვერვა, დაცვითი ნაგებობების მშენებლობის კონსულტაცია და ახალი კადრების მომზადება.

1942 წლის სექტემბერ-ოქტომბერში უშბის ძირას და გულბას კლდეებზე გვალია ხელმძღვანელობდა მეთაურების სამთო მომზადების კურსებს, შეადგინა მთავარი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის გზა-ბილიკებისა და უღელტეხილების რუკა, საუღელტეხილო გარნიზონებისთვის აწყობდა და დგამდა სპეციალურ დასაშლელ სახლებს. მთამსვლელ-მეთხილამურეთა ჯგუფს, რომელსაც საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი უფროსი ლეიტენანტი სანდრო გვალია მეთაურობდა, უნდა შეესრულებინა რთული საბრძოლო დავალება კავკასიო-

ნის ქედის ნაკლებდასახლებულ, ზამთარში უვალ ადგილებში.

ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატი ლ. ფანჯიკიძე, მეთხილამურე ნ. მიქაბერიძე და სხვები გაკვეთა ასეულ კილომეტრიანი თოვლის გზა და სასახელოდ შეასრულა საბრძოლო დავალება.

1942 წლის ივნისიდან სანდრო გვალია ხელმძღვანელობს სამთო და სამთო-სათხილამურო მომზადების ინსპექციას გამანადგურებელ ბატალიონთა შტაბში. იგი ამზადებს საინსტრუქტორო კადრებს, იღებს მონაწილეობას აღმოსავლეთ კავკასიონის უღელტეხილებზე ზამთრის პირობებში საჭურვლისა და იარაღის გადატანაში და სხვა.

სამთო ომის უძნელეს პირობებში იბრძოდნენ სამთო რაზმების უფროსი ინსტრუქტორები უმცრ. ლეიტენანტი ზ. მაისურაძე, ლეიტენანტები: დიმიტრი ჯაფარიძე, შოთა რევიშვილი, ვლად. ახობაძე, ვახტანგ ბაბუნაშვილი, მერაბ გეგეჭკორი, ერვ. ცატუროვი. უფროსი ლეიტენანტები: ლევან ელიავა, პეტრე მარჩენკო და იოსებ არუთინოვი.

სამთო-სათხილამურო ათასეულის ოფიცერთა შორის იყვნენ მთამსვლელები — უმცროსი ლეიტენანტები: გივი მელია, ნიკო ხიმშიაშვილი, მიხეილ ერისთავი.

მათი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა სამთო რაზმების მზადება, მათვე მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში კავკასიონის მისადგომებთან და ჩრდილოეთ კავკასიონის ხეობებში.

გმირობა და თავგანწირვა გამოიჩინეს მოხევე ალპინისტებმა, სახელგანთქმული მეგზურისა და მთამვსლელის იაგორა კაზალიკაშვილის სამმა ვაჟმა-მთამსვლელმა: სტეფანე, ალექსი და ისიდორე კაზალიკაშვილებმა.

მრავალი სასახელო და ღირსშესანიშნავი საქმეებითაა აღსავსე კავკასიონის დაცვის ეპოპეა.

არა მარტო სამთო რაზმების რიგებში, არამედ ჯარის სხვა სახეობების დანაყოფებშიც იბრძოდნენ მთამსვლელები.

თუ უმცროსი ლეიტენანტი გიორგი სულაქველიძე, ლეიტენანტები: შოთა რევიშვილი, ვლადიმერ ახობაძე, კოკოშვილი, კაპიტანი გრიგოლ რამიშვილი თავის ცოდნასა და გამოცდილებას, როგორც მთასვლის ინსტრუქტორები, ახმარდნენ საერთო საქმეს, არტილერისტები — ლეიტენანტები: დიმიტრი ობოლაძე, არჩილ კვეზერელი, კოტე ასტახიშვილი, არჩილ ღუდუშაური და კაპიტანი იოსებ გოგიტიძე მანევრითა და ცეცხლით ხელს უწყობდნენ მათ.

თელაველი ალპინისტი კაპიტანი არჩილ თვალიაშვილი ომამდე საქ. ალკკ თელავის რაიკომის პირველი მდივანი იყო, ფრონტზე კი ნაღმსატყორცნი ბატარეის კომისარი და შემდეგ გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ პასუხისმგებელი მდივანია.

ერთ-ერთი ქართული შენაერთი თერგის ნაპირებზე ებრძოდა მტერს. ამ შენაერთის ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე ღებულობდა მონაწილეობას ბრძოლებში არჩილ თვალიაშვილი. მრავალჯერ გამოადგა მას თუშეთის კლდეებსა და თოვლიან მწვერვალებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

იანვრის თოვაში, სიცივესა და ნამქერში არჩილ თვალიაშვილის დანაყოფმა საპასუხისმგებლო დავალება მიიღო. დანაყოფი უნდა გადასულიყო გაყინულ ლიმანებზე, ჭაობებზე და მტრისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრა. მეთევზეთა პატარა სოფელი კალაბატკა დიდხანს დაამახსოვრდებათ ამ გმი-

რული რეიდის მონაწილეთ. ალპინისტური ალღო — თოვლისა და ყინულის ცოდნა იყო საჭირო, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ადამიანს შეძლებოდა გააფთრებულ სტიქიასთან შებრძოლება.

არჩილ თვალიაშვილმა სასახელოდ შეასრულა ეს დავალება.

არ ყოფილა ჯარის სახეობა, რომელშიც ქართველ მთამსვლელებს არ ჰყოლოდათ თავისი წარმომადგენელი: გრიგოლ გიორგობიანი ქიმიურ დანაყოფს ხელმძღვანელობდა, ცაცა ღლონტი, ბორის ანთელიძე თავიანთი სადასტაქრო ხელოვნებით დაჭრილებს ეხმარებოდნენ, მაიორი ლეო ჭელიძე დანაყოფის საბრძოლო მომზადებას ხელმძღვანელობდა, ლეიტენანტი ლევან მარუაშვილი — უღელტეხილთა აღწერას და სამხედრო-გეოგრაფიულ აღწერილობათა შედგენის საქმეს. ლევან არზუმანოვი კინო აპარატით ხელში მისდევდა ჯარს. მის მიერ გადაღებულ ქრონიკებში აღიბეჭდა კავკასიისათვის ბრძოლის შესანიშნავი ეპიზოდები.

ყუბანის ჭაობებში დასტაქრად მუშაობდა ექიმი თამარ გოთუა. მთამსვლელობამ ასწავლა მას გამბედაობა, გააკაჟა და გამოუმუშავა ხასიათის სიმტკიცე. ამ თვისებებმა შეაძლებინეს მას ცეცხლქვეშ ოპერაციების გაკეთება და დღე-ღამის განმავლობაში საოპერაციო მაგიდასთან დგომა. მან გადალახა კარპატები და უნგრეთში იბრძოდა, თამარ გოთუა სამგზის ორდენოსანია — სამშობლომ დააფასა მისი ღვაწლი და შრომისუნარიანობა.

სადღაც, სამამულო ომის უსასრულო ფრონტის რომელიღაც უბანზე, იბრძოდნენ მამაცი მთამსვლელები: აპირან შალამბერიძე და ტარიელ ელიაშვილი, მათ ირგვლივ გაშლილი ველი იყო, მაგრამ სამშობლო მთებთან დაბრუნების წყურვი-

ლი უნერგავდა მათ ბრძოლის უნარს, მტრის განდევნისა და დათრგუნვის სურვილს. ისინი იქაც კავკასიონისათვის იბრძოდნენ.

ორი ათასზე მეტი მთამსვლელი მისცა ფრონტსა და სამშობლოს საქართველომ. ორი ათასზე მეტი მთებში ნაცადი ვაჟკაცი წავიდა ფრონტზე მტერთან საბრძოლველად. იქ. ფრონტზე, გააფთრებით ებრძოდნენ ისინი მტერს.

სამამულო ომის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ „ალპინიზმი აღმოჩნდა სპორტის ის იშვიათი სახეობა, რომელიც სამამულო ომში, ბრძოლის ველზე, წარმოდგა თავისი სახით, თავისი ფორმითა და თავისი სახელწოდებით“ (ალიოშა ჯაფარიძე). ქართველმა მთამსვლელებმა ამ ომში მონაწილეობით აღადგინეს ქართველ მეგზურთა ის უძველესი პატრიოტული ტრადიციები, როდესაც მთის მცნობნი და ეტიკები წინ მიუძღოდნენ მთაში მებრძოლ რაზმებს, გზას უკვლევდნენ მათ და მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას სამშობლოსთვის ბრძოლის საქმეს ახმარდნენ.

როდესაც გერმანელ ურდოთა მღვრიე ტალღა უკუიქცა კავკასიონიდან, უღელტეხილებსა და ჩრდილოეთ კავკასიონის ხეობებში მიწყდა უკანასკნელი ბრძოლების ხმაური და უჩვეულო სიმშვიდე დამკვიდრდა, მთამსვლელები ნელ-ნელა ჩამოიკრიფნენ მთებიდან, დაიწყო სპორტული ალპინიზმის აღდგენა.

...ყინვიან დილას თსუთმეტიოდე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი შეკიდებოდა თოვლიან აღმართს.

აი, თერთმეტთა თავშესაფარი...

აქ, სულ რამდენიმე დღის წინათ, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა.

ჯგუფი ნელ-ნელა მიიწევდა წინ. მათ შორის იყვნენ: გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გოგი სულაქველიძე. გერმანელთა კავკასიონიდან განდევნის აღსანიშნავად გადაწყვიტეს, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე ასვლა.

რამდენიმე დღის წინათ აქ გერმანელები იყვნენ.

ბექნუ ხერგიანმა პირველმა დაავლო ხელი მწვერვალის უბიწო თოვლში უდიერად დასობილ ურჩხულის ნიშნიან დროშას და მოხსნა. ეს იყო არა მარტო დროშის მოხსნის აქტი, — არა მარტო სპორტული ასვლა, ბექნუ ხერგიანი ბევრჯერ სხვა დროსაც ყოფილა აქ. ამ ასვლამ შეაჯამა მთამსვლელთა კავკასიონის დაცვაში მონაწილეობა და, ევროპის უმაღლესი მწვერვალიდან მტრის დროშის მოხსნამ სამუდამოდ დაამკვიდრა საბჭოთა მთამსვლელების სახელი და გამარჯვება.

არა მარტო ბრძოლებში მონაწილეობით ისახელეს თავი მთამსვლელებმა, ზურგში დაიწყეს ძნელი და სასახელო საქმე — ახალი კადრების აღზრდა; ამ საქმიანობას ისინი დღესაც განაგრძობენ. საყოველთაო სამხედრო მომზადების სამთო-მსროლელთა დანაყოფებში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა, მზადდებოდა კადრები ფრონტისათვის. ალპინიზმის ინსტრუქტორებმა: ნატა ცნობილაძემ, გიორგი ბაქრაძემ, ოთარ ყუფარაძემ, ნინო ოსიტაშვილმა, ლევან გოთუამ, ოთარ გიგინეიშვილმა, გენო რაიზერმა, დენეზა გოზალიშვილმა და სხვებმა ათასობით სამთო მსროლელებს შეასწავლეს მთაში სიარულის და მოქმედების ტექნიკა.

კავკასიონის უძნელეს მწვერვალებზე ალპინისტ პოდპოლკოვნიკ სპირიდონ გელაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა მუშაობამ უზრუნველყო ფრონტი ზუსტი კარტოგრა-

ფიული მასალით. ამ საქმეში ს. გელაშვილს ეხმარებოდა საქართველოს მთამსვლელთა ორი ჯგუფი — სპორტის ოსტატის დავით წერეთლისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფებმა, რომლებშიც შედიოდნენ: ქელეშბი ონიანი, გენო რაიზერი, ოთარ გიგინეიშვილი, ს. ხუციშვილი, ლ. სუჯაშვილი, სიმონ შვაცაბაია, დიდი დახმარება გაუწიეს პოდპოლკოვნიკ სპირიდონ გელაშვილის მებრძოლებს.

მთიანი რაიონების მეტეოროლოგიურ და კლიმატურ თავისებურებათა შესანიშნავი ცოდნა საშუალებას აძლევდა ამიერკავკასიის ფრონტის ჰიდრომეტსამმართველოს უფროს სპეციალისტს, სპორტის ოსტატს ალექსანდრა ჯაფარიძეს, წარმატებით შეესრულებინა სარდლობის დავალებანი ავიაციისათვის ამინდის პროგნოზის მიცემის საქმეში.

მხცოვანმა ქართველმა მთამსვლელმა ინჟინერმა, საქართველოს სამთო გზების ენთუზიასტმა ირაკლი ლუკაშვილმა, ომის პერიოდში დიდი მუშაობა გასწია კავკასიონის მთავარი უღელტეხილების აღწერის საქმეში.

საქართველოს მთამსვლელობის ერთ-ერთი პიონერთაგანი დოც. იოსებ ასლანიშვილი თავის დასტაქრულ გამოცდილებასა და ცოდნას მებრძოლთა განკურნებას ანდომებდა.

თავისი ცოდნითა და შრომით წითელი არმიის სასახელო ოფიცრის სახელი მოიხვეჭეს: ლეიტენანტმა დავით ფურცელაძემ, კაპიტანმა ი. მარმა, ინჟინერ-კაპიტანმა დავით წერეთელმა, ინჟინერ-კაპიტანმა რ. ჩხეიძემ, ლეიტენანტმა ალექსი ივანიშვილმა, კოტე ასტახიშვილმა, გერმან გავაშელმა და სხვა მრავალმა.

ბრძოლებიდან დაბრუნებულნი შეუერთდნენ მათ, ამო-

უდგნენ მხარში და ომში მიღებულ გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებენ ახალგაზრდა მთამსვლელებს.

კავკასიონისათვის ბრძოლებში ბევრი ახალი მთამსვლელი აღიზარდა. დღეს ისინი ამზადებენ რეზერვებს საბჭოთა არმიისათვის — არმიას სჭირდება სამთო საქმის მცოდნე ოფიცრები და სერჟანტები. ლეიტენანტები: ლეჟავა, მიქაბერიძე, ფალავა, ხუციშვილი, სერჟანტები: ჩხეიძე, ბაბაკიშვილი, შენგელია, გონგლაძე და სხვა მრავალი სამთო საქმის ნამდვილი ოსტატები და დახელოვნებული ინსტრუქტორები არიან. ისინი დიდი მონდომებითა და საქმის სიყვარულით ხელმძღვანელობენ სამთო კადრების მომზადების საქმეს.

მათ მიერ მომზადებული მებრძოლები და ოფიცრები კარპატებში, ნორვეგიასა და უნგრეთში იბრძოდნენ — შორეულ და უცნობ მთებში ისინი საქართველოს მთების კეთილდღეობისათვის იბრძოდნენ.

გვარდიის ეფრეიტორი აკაკი გეწაძე უკრაინის მეორე ფრონტიდან ასე გადმოგვცემდა თავის განცდებს:

„საყვარელი მთები აქედან შორს დამრჩა,
მაგრამ მათი სახე ყველგან მელანდება,
ოხ, რა ლამაზია მათი მწვანე ფარჩა
და რა უტკბესია დღეს ეს მოგონება.

ვერ წაგვართვა მტერმა მათი სიყვარული,
რადგან მათ პატრონობს მტკიცე, გმირი ხალხი.
ვერ დაშხამა გველმა მათი სიხარული
და ვერ დააფარა გლოვა-ტანჯვის თალხი.

დღეს უცხო მთებს ვუცქერ და, როცა მათ გავლევ,
კვლავ თქვენ გესტუმრებით, ჩემო საყვარლებო,
თქვენს ლამაზ უბეში სადღეგრძელოს დავლევ,
თქვენს ტკბილ სადღეგრძელოს, მშობლიურო მთებო!“

და ეს სიტყვები შეიცავენ განცდას ყველა ქართველ მთამძვლელებისა, რომლებიც სასახელოდ იბრძოდნენ ფრონტზე და შრომობდნენ ზურგში ერთი მიზნისათვის — გამარჯვებისა და დიად საბჭოთა საშშობლოს ბედნიერებისათვის.

კავკასიელი გამყოლები

როდესაც კავკასიონის მწვერვალთა დაპყრობისა და, საერთოდ, კავკასიონის მთასვლური ათვისების ისტორიკოსი გადახედავს რევოლუციამდელ წლებს, მწვერვალების დამპყრობთა და კავკასიონის მთამსვლელთა შორის იგი იშვიათად თუ შეხვდება ქართველებს და კავკასიის ხალხთა — ოსების, ყაბარდოელებისა და სხვათა გვარებს იმ მთამსვლელთა შორის. რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს კავკასიონის მთასვლური შესწავლას და პირველი გზები გაჰკვეთეს მწვერვალებსა და უღელტეხილებზე.

დაახლოებით ამდაგვარივე გარემოებას შევხვდებით კავკასიონის გეოლოგიურ, ჰიდროგრაფიულ და, საერთოდ, გეოგრაფიული შესწავლის დარგშიც. თუმცა დაკვირვებულ მკვლევარს ადვილად შეუძლია ამოიკითხოს კავკასიონის შესწავლის ისტორიაში ადგილობრივ მკვიდრთა გვარები და მათ მიერ კავკასიონის კვლევაში შეტანილი წვლილის შეფასებისას დარწმუნდეს, რომ ეს წვლილი არც თუ ისე მცირე და უმნიშვნელოა, როგორც ცდილობდნენ ამის წარმოდგენას იმ ოფიციალური და ჩინოვნიკური მეცნიერების წარმომადგენლები, რომელთა მეცნიერული ინტერესები მეფისნაცვლის კანცელარიიდან ნაკარნახევ პროგრამის ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

წვლილი, რომელიც შეიტანეს XIX საუკუნის ქართველმა

მკვლევარებმა კავკასიონის შესწავლაში, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მკვლევართა შორის იყვნენ ისეთი მეცნიერ-გეოლოგები, როგორიცაა გიორგი წულუკიძე და ტომით ჩერნოგორელი გაქართველებული — სპირიდონ სიმონოვიჩი, ჰიდროტექნიკოსი მიხეილ გარსევანიშვილი და სხვა მრავალი — და მით უფრო დასანანია, როდესაც დღესაც ხშირად უგულვებელყოფილია ღვაწლი ისეთი მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების განმკარგულებელი საჰ-ჭოს წევრი დიმიტრი ყიფიანი, ამავე საზოგადოების ნამდვილი წევრი დანიელ ჭონქაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ლომიძე და სხვა მრავალი...

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს კავკასიონის ალპინისტური შესწავლის ერთი პერიოდი, სახელდობრ XIX საუკუნე და ამ პერიოდთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გ ა მ ყ ო ლ ო ბ ა ეწოდება.

ამ მოვლენის შესწავლის დროს ჩვენ ვხვდებით სრულიად ისეთივე გარემოებასა და დამოკიდებულებას, როგორიც კავკასიონის მკვლევართა მიმართ აღვნიშნეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს გარემოება უფრო გამწვავებულია, რადგანაც თუ ცალკეული ნიჭიერი მკვლევარის სახელის ამოკითხვა შეგვიძლია მათ მიერ დატოვებულ მრავალრიცხოვან შრომებში, XIX საუკუნის კავკასიელ მთამსვლელთა სახელები დღეს თითქმის სრულიად უცნობია, რადგან მათ ხშირად წერა-კითხვაც არ იცოდნეს, ხოლო ის ევროპელი ალპინისტები, რომელთაც ისინი ახლდნენ, საჭიროდაც არ თვლიდნენ მათ მოხსენიებას.

დღეს კავკასიონის მთასვლური ათვისების ისტორიის კვლევის დროს, ცხადი ხდება, რომ ის გამყოლები, თანმხლებლები,

ტვირთმზიდავები და მსახურები, რომელთა საქმიანობის გაგება სიძნელეებთანაა დაკავშირებული, არ იყვნენ ევროპელ ალპინისტთა მითითებების მხოლოდ ბრმა შემსრულებლები. ჩვენთვის ცხადია, რომ ევროპულმა ვაჭრობამ კავკასიის ნიადაგზე არსებულ ტრადიციათა საფუძველზე ახალი მიმართულება მიიღო.

საკითხის გასარკვევად მოვიყვანთ ამ პერიოდის ალპინიზმის ისტორიის ზოგიერთ ფაქტს.

ევროპული ალპინიზმის დასაბამ თარიღად 1785 წელია მიჩნეული, როდესაც შამუნიელი გლეხი ჟაკ ბალმა პირველი ავიდა ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე.

ამ მოძრაობამ მრავალს გაუღვიძა ინტერესი მთებისადმი — ნუ დაგვავიწყდება, რომ XIX საუკუნის დასაწყისში არა თუ ფართო საზოგადოებას, არამედ მეცნიერებსაც ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიონის მაღალმთიანეთის შესახებ. ასე, მაგალითად, ქ. ჯონსტონის „გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ი ტ ყ ვ ა რ შ ი“, რომელიც 1860 წელს გამოიცა, წერია, რომ მყინვარების არსებობა კავკასიაში არ არის დადასტურებული. ჰ. ჰეიმ 1880 წელს წერდა, რომ თოვლსა და ყინულს კავკასიონზე სულ 120 კვ. კმ უჭირავს და აქედან ნახევარი იალბუზზე მოდისო. 1882 წელს ცნობილი გეოლოგი ი. ვ. მუშკეტოვი კი წერდა, რომ „კავკასიის მყინვარებს ყველას ერთად აღებულს ნაკლები ფართობი უჭირავს, ვიდრე მარტო ერთი მასივის — მონბლანის მყინვარებსო“. მონბლანის მყინვარებს 282 კვ. კილომეტრი უჭირავს, ხოლო დღეს ჩვენ ვიცით, რომ კავკასიონის მყინვარების ფართობი 1800 კვ. კილომეტრია.

მაღალმთიანეთის შესწავლასა და ახალი ხანის დაწყებაშია იმ თარიღის მნიშვნელობა, რომლიდანაც იწყება „ევროპული ალპინიზმის“ განვითარება, თუ შეიძლება ასე ეუწოდოთ იმ მოძრაობას, განსხვავებულად იმ მთამსვლელობისა, რომელიც არსებობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში მთიანი ქვეყნების მცხოვრებთა შორის.

ცხადია, რომ თანამედროვე მთამსვლელების ის წინამორბედნი, რომლებიც თავის პრაქტიკულ საქმიანობაში, ბრძოლასა და შრომაში იყენებდნენ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულ მოძრაობის სრულიად გარკვეულ ხერხებსა და მთაში სვლის წესებს, არ თვლიდნენ მას რაიმე განსაკუთრებულ დარგად, თუმცა უძველესი დროიდან ცნობილია ზოგიერთ ტომთა მთაში ბრძოლისა და მოძრაობის ხელოვნება და ოსტატობა.

ასე, მაგალითად, დიონისიოს პარიეგეტი კავკასიის ერთ-ერთ მკვიდრთა ტომის — კანდუსიების შესახებ, რომელთაც ზოგი მეცნიერი ქართველთა ერთ-ერთ წინაპრად თვლის, ამბობს: „იქ ცხოვრობენ კანდუსიები, რომელთა ქვეყანა მთიანია; ისინი ძალიან მოხერხებულად დაცოცავენ მთებზე, კარგად სტყორცნიან შუბს და კლდოვან ადგილებში წარმატებით შეუძლიათ იბრძოლონ ქვეითად ცხენოსნების წინააღმდეგ“[1].

ცნობილია ჰანიბალისა და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები, და ასე შორსაც რომ არ წავიდეთ, ნადირ შახის ლაშქრობები დელიში, რომელშიც ახალგაზრდა ერეკლე მეორე იღებდა მონაწილეობას და, სადაც მან პირველად ხაიბერის

---

[1] იხ. Ган — Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. Тифлис, 1889, стр. 142-43 (დიონისი პარიეგეტის კომენტარები ევსტაფისა).

ულელტეხილის აღების დროს შემოვლითი ოპერაციების ხელმძღვანელობაში სამთო ომის წარმოების შესანიშნავი ოსტატობით გამოიჩინა თავი.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ მთაში მოქმედების, მთაში ბრძოლის, მთაში მოძრაობის ხელოვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ათასი წლების განმავლობაში გამომუშავებული ალღო და მთაში მოქმედების ჩვევები დღესაც მეღავნდება იმ საკვირველ ოსტატობაში, რომელსაც იჩენენ მთიელი ტომები მთაში მოძრაობის დროს. მაგრამ ეს ცალკე საკითხია — იგი მოითხოვს საგანგებო შესწავლასა და გაშუქებას. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ის გამოხმაურება, რომელიც პოვა ევროპაში აღმოცენებულმა მოძრაობამ ჩვენს ქვეყანაში.

ცნობები პირველი ასვლების შესახებ კავკასიაში XIX საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის და დაკავშირებულია იმ კვლევით და საძიებო მუშაობასთან, რომელსაც რუსეთის მთავრობის დავალებით აწარმოებდნენ ჯერ ცალკეული პირები, ხოლო შემდეგ მთელი დაწესებულებანი.

კავკასიის რეგულარული კვლევის დაწყებამდე შეიქმნა გეოლოგიური კომიტეტი. მთელი დატვირთვით შეუდგა მუშაობას სამხედრო-ტოპოგრაფიული სამმართველო. ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ დაზვერვის პერიოდი.

იგი დაიწყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 60—70-იან წლებში, როდესაც კავკასიაში იმოგზაურეს რუსეთის აკადემიის აკადემიკოსებმა: სამუილ გოტლიბ-გეორგ გმელინმა (უმცროსმა), გიულდენშტედტმა, პალასმა, სოკოლოვმა, ზუევმა, რაჩკოვმა და სხვებმა.

ნ. რომანოვმა კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსის ბარონ გ. როზენის დავალებით შეადგინა ამ მოგზაურობათა აღწერილობა — საერთო სათაურით «Из путешественных заметок академиков, обозревавших край по повелению Екатерины II в 1770, 1771 и 1772 годах». თვით ამ სათაურში ნათლად ჩანს ამ მოგზაურობათა მიზანი — ძხარის მიმოხილვა, მის სიმდიდერთა გამორკვევა და დაზვერვა.

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს „საქართველოს გუბერნიად“ გამოცხადების შესახებ. რუსეთთან შეერთებასთან ერთად იწყება საქართველოს რეგულარული კვლევა. მთავარმმართებლის სამმართველოსთან და სამხედრო უწყებასთან შეიქმნა საგანგებო დაწესებულებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კავკასიონის ყოველმხრივ გამოკვლევას, მის სიმდიდრეთა გამოვლენას, ბუნების შესწავლასა და, უპირველესად ყოვლისა, მის ტოპოგრაფიულ აგეგმვას.

სწორედ ამ დაწესებულებებთან არის დაკავშირებული პირველი ასვლები კავკასიის მწვერვალებზე.

ფრიად საყურადღებოა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია იალბუზზე, რომელიც მოაწყო კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალმა ემანუელმა 1829 წელს.

„განათლებული გენერალი, — წერს იმ დროის სამხედრო ისტორიკოსი[1], — თუმცა არ იყო პროფესიით მეცნიერი, მაგრამ თავისი დროის გამოჩენილი მეცენატი იყო და ამავე დროს ისახავდა სხვა სამეცნიერო მიზნებსაც — მას უნდოდა თვით იალბუზის დაპყრობა, შეესწავლა ეს საკვირველი სამყარო და

---

[1] «Утверждение русского владычества на Кавказе», т. 5, стр. 137-154.

მისი ბუნება და მისი ბუნებრივი სიმდიდრეები მეცნიერების საკუთრებად გადაექცია“.

საყურადღებოა, რომ გენერალი ემანუელი იალბუზზე ასვლით ისახავდა მეცნიერულ და გამოყენებით მიზნებს და „არ იყო ხალხი, რომელთაც თავისი გამოკვლევებითა და აღმოჩენებით შეეძლოთ გაემდიდრებინათ მეცნიერება, არ იყვნენ მეცნიერი სპეციალისტები, უამათოდ კი იალბუზზე ასვლა იქნებოდა გმირობა, გაკვირვების ღირსი, მაგრამ გმირობა უმიზნო და უშედეგო“. აქიტომ გენერალმა ემანუელმა მოიწვია მეცნიერები — ემილიუს ლენცი, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ კოცებუსთან ერთად იმოგზაურა დედამიწის გარშემო, კარლ მეიერი, ადოლფ კუპფერი, ედუარდ მენეტრიე, სამთო ინჟინერი ვონსოვიჩი, უნგრელი მოგზაური დე-ბესი და კურორტ-მინერალური წყლების არქიტექტორი ბერნადაკი.

ამ მოგზაურობის დაწვრილებითი აღწერილობა მოყვანილია მეცნიერებათა აკადემიის 1829 წლის ანგარიშებში, ხოლო უნგრელმა მოგზაურმა შეადგინა ფრიად საყურადღებო მემუარები. ექსპედიცია მწვერვალზე ასასვლელად სრული შემადგენლობით გაემართა, მაგრამ მწვერვალს მხოლოდ ერთმა მიაღწია — ყაბარდოელმა გამყოლმა ხილარ ხაშიმოვმა.

საგანგებო მემორიალურ წარწერაში, რომელიც ემანუელმა ამოაკვეთინა კლდეზე — უკანასკნელი ბანაკის ადგილას (სხვათაშორის, იგი დღემდე არ არის აღმოჩენილი) ეწერა:

„სრულიად რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I მეფობაში აქ ბანაკად იდგა 1829 წლის ივლისის 8-დან 11-მდე ჯარების სარდალი კავკასიის ხაზზე კავალერიის გენერალი გიორგი ემანუელი. მასთან ერთად იყვნენ: მისი შვილი გიორგი — 14 წლის, რუსეთის მთავრობისაგან მოვლინებული აკადემიკოსე-

ბი – კუპფერი, ლენცი, მენეტრიე, მეიერი, სამთო კორპუსის მოხელე ვანსოვიჩი, მინერალური წყლების არქიტექტორი იოსებ ბერნადაკი და უნგრელი მოგზაური ივანე ღე ბესი.

აკადემიკოსებმა და ბერნადაკიმ მიატოვეს ზღვის დონიდან 8000 ფუტის სიმაღლეზე მდებარე ბანაკი და ავიდნენ 8-10 რიცხვში იალბუზზე 15.700 ფუტის სიმაღლეზე, ხოლო 17.050 ფუტის სიმაღლის მწვერვალს მისას მიაღწია მხოლოდ ყაბარდოელმა ხილარმა. დაე, ამ უბრალო ქვამ გადასცეს მთამომძებლობას სახელები იმათი ვინც პირველებმა გაკვალეს გზა იალბუზის მისაღწევად, რომელიც აქამდე მიუღწეველად ითვლებოდა".

მაგრამ ეს არ იყო ცალკეული ასვლა.

იალბუზის მწვერვალზე ასვლა არ იყო ცალკეული მოვლენა გეოგრაფიულ აღმოჩენათა დარგში კავკასიაში გრაფ პასკევიჩის მმართველობის დროს. იმ დროს, როდესაც ემანუელის თანამგზავრი აკადემიკოსები ბრუნდებოდნენ პეტერბურგს, პეტერბურღიდან კავკასიისაკენ გამოემგზავრა, განთქმული თავისი სამეცნიერო შრომებითა და მგზავრობით, დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი ფრიდრიხ პაროტი იმ მიზნით, რომ ასულიყო არარატის მწვერვალზე.

1852 წელს კავკასიის რამდენიმე მწვერვალზე ადის ვენერალი ხადზკო.

გაცილებით გვიან, 60-იან წლებში, კავკასიაში ჩნდებიან პირველი ევროპელი მოგზაურები. ალპებში ზურგმოპაკრებულნი და გაწვრთნილნი, ეძებენ ახალ რაიონებს თავისი ძალების გამოსაცდელად.

ამ მოგზაურთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ინგლისის ალპური კლუბის წევრი, ხოლო შემდგომში მისი პრეზიდენტი დუგლას ფრეშფილდი და მისი თანამგზავრები ე. მური და კ. კ. ტუკერი.

1868 წელს ფრეშფილდი ადის იალბუზზე და მყინვარწვერზე; ეს ასვლები დიდი ხნის განმავლობაში პირველ ასვლებად ითვლებოდა. იალბუზზე ამ თარიღამდე ოცდაცხრამეტი წლით ადრე, როგორც ვნახეთ, ავიდა ყაბარდოელი ხილარ ხაშიმოვი. რაც შეეხება მყინვარწვერს, მართალია ჩვენ არ მოგვეპოვება გარკვეული ისტორიულად დადასტურებული საბუთი იმისა, რომ ფრეშფილდამდე ვინმეს მიეღწიოს მწვერვალამდე, თუმცა მრავალნი და მათ შორის ფრიდრიხ პაროტი, ექიმი კოლეხატი და სხვები უშედეგოდ ცდილობდნენ მწვერვალზე ასვლას, მაგრამ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოხსენებულია იოსებ მოხევე, რომელმაც „სურვილითა ღვთისათა მოახდინა ასვლა ყაზბეგის მწვერვალზე, რომელზედაც არ შემდგარა ადამიანის ფეხი და ნახა იქ აბრამიის კარავი... რომლის ნახევიც მიართვა მეფე ერეკლეს“. — ფრიად საყურადღებოა და დაკვირვებულ გამოკვლევას მოითხოვს. შესაძლებელია, უცნობი იოსებ მოხევე ჟაკ ბალმას წინამორბედიც აღმოჩნდეს.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, დუგლას ფრეშფილდმა განთქმულ შვეიცარიელ გამყოლ ფრანსუა დეფუასუსისთან ერთად თან გაიყოლა ოთხი ადგილობრივი მკვიდრი მცხოვრები, მათ შორის ცოგოლა ბეზუურთანოვი, რომლის შვილები შემდეგში მყინვარწვერის ცნობილი გამყოლები გახდნენ. ფრეშფილდმა 1887 და 1889 წელსაც მოინახულა კავკასია. დაწერა წიგნი — „კავკასიის გამოკვლევა“ (1894). სავსებით სამართლიანია ალპინიზმის ერთ-ერთი ისტორიკოსის აზრი, რომ „ფრეშფილდ-

მა... მონაწილეობა მიიღო კავკასიის აღმოჩენაში"[1]. მართლაც ფრეშფილდმა ევროპისთვის აღმოაჩინა მაღალმთიანი კავკასიონი და მისი აღმოჩენის შემდეგ მრავალი მთამსვლელი გამოეშურა კავკასიონისაკენ. ჩვენ არ შევუდგებით ყველა მათ ჩამოთვლას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ისეთი ცნობილი და განთქმული მთამსვლელები, როგორებიც იყვნენ ინგლისელები: კლინტონ დენტი, დონკინი, მემერი, ხალდერი, ვალეი, რიკმერსი, როლესტონი, ლონგსტაფი; იტალიელები — ვიტორიო სელა, ე. გალო, რონკეტი, კოლომბო; ავსტრიელები და გერმანელები — მერცბახერი, პურტჩელური, გელბლინგი, შულცე, შუსტერი; უნგრელი — მორის დეში და სხვა მრავალჯერ ეწვიმრნენ კავკასიონს; მათგან კლინტონ დენტმა ოთხჯერ იმოგზაურა კავკასიაში, ჰოტფრად მერცბახერმა — ორჯერ, მორის დეშიმ — შვიდჯერ; მათ გამოაქვეყნეს მრავალი წერილი, წიგნი და ისეთი საფუძვლიანი გამოკვლევები, როგორც ფრეშფილდის, მერცბახერისა და დეშის შრომებია.

ამ მთამსვლელთა მოხსენების დროს უნდა გავიხსენოთ ის „ადგილობრივი მკვიდრნიც", რომელთა სახელი მთამსვლელთა დღიურებში ზოგჯერ უნებლიედ, ზოგჯერ კი განზრახ არ არის მოხსენიებული, რადგან განთქმულ ევროპელ მთამსვლელებს პირველი ამსვლელის სახელის გაზიარება, ვინმე ადგილობრივ მცხოვრებთან, სათაკილოდ მიაჩნდათ.

თუ როგორ ექცეოდნენ ცნობილი ევროპელი მთამსვლელები ადგილობრივ მკვიდრთ კარგად ჩანს დუგლას ფრეშფილდის მყინვარწვერზე ასვლის ჰატარა ეპიზოდიდან: ფრეშფილდი დაბანაკდა 3353 მეტრის სიმაღლეზე და ღამის 3 საათზე

---

[1] А. Фон-Мек — Некролог Франсуа Девуасу. Ежегодник Русского Горного Общества. 1905 г.

გასწია მწვერვალისაკენ. იგი წერს, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ღამე უკვალოდ გაქრნენო. მაგრამ დევდორაკის მყინვარის ცნობილი მკვლევარი ხატისიანი იმოწმებს ცოგალა ბეზურთანოვს, რომელიც ამტკიცებდა, რომ, პირიქით, ინგლისელებმა დატოვეს ისინი და გასწიეს მწვერვალისაკენ მარტო, რათა არ გაეზიარებინათ მწვერვალის დაპყრობა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსაკვლევი და დასადგენი. საჭიროა გამოვავლინოთ და სამარადიანად დავუმკვიდროთ სათანადო ადგილი ალპინიზმის ისტორიაში ყველა გამყოლსა და ტვირთმზიდავს, რომელთა გამბედაობა, მთების საუკეთესო ცოდნა და ალღო ხშირად წყვეტდა მწვერვალზე ასვლის ბედ-იღბალს.

ევროპელ ალპინისტებს თან ახლდნენ ცნობილი შვეიცარიელი, ტიროლელი და იტალიელი გამყოლები. ევროპული ალპინიზმის განვითარების პირველი ათეული წლები, ე. წ. „ალპინიზმის ადრინდელი ისტორია“ ხასიათდება გამყოლების მასობრივი გამოყენებით, რომლის სამშობლოდაც შვეიცარიაა მიჩნეული. მართლაც, ამ პერიოდში ასეულმა მთამსვლელმა მიაშურა შვეიცარიას და ადგილობრივ მკვიდრთა შორის გამოიყო მთელი ჯგუფი ადამიანებისა, რომელთაც გამყოლობა პროფესიად გაიხადეს. ეს იყო მათი ერთადერთი ძირითადი საარსებო წყარო. ბ ე რ ნ ი ს ო ბ ე რ ლ ა ნ დ შ ი ჩამოყალიბდა გამყოლების მთელი ცეხი, რომელთაც ჰქონდათ თავისი წესები და ორგანიზაცია. მართლაც, ობერლანდელმა და შამუნიელმა გამოჩენილმა გამყოლებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ალპინიზმის განვითარების ისტორიაში. ულრიხ ალმერის, მა-

რი ტურნიეს. ფრანსუს დეფუასუს, ულრიხ დაჟენერისა და სხვა გამყოლების სახელები მჭიდროდაა დაკავშირებული ალპების, კავკასიონისა და ანდების პირველ ევროპელ მკვლევართა სახელებთან; მაგრამ ძირითადად გამყოლები იყვნენ მსახურები, დამხმარე მუშები, რომელნიც არა მარტო ეხმარებოდნენ მთამსვლელს სიარულისას, არამედ უკვლევდნენ და უჭრიდნენ გზას, უწყობდნენ მას ღამის სათევს, ამზადებდნენ საჭმელს, ზიდავდნენ ტვირთს და მსახურის ყველა მოვალეობას ასრულებდნენ.

XIX საუკუნის 40—50-იანი წლებიდან გამყოლობა უფრო სამთო ტურიზმია და დაბალი კლასის მწვერვალებზე ამსვლელთა მომსახურებას ეწევა. ევროპაში მთავრდება „ალპინიზმის ადრინდელი ისტორია“ და იწყება უგამყოლო, სპორტული ალპინიზმის პერიოდი, რომელსაც 1845 წელს ინგლისელმა მთამსვლელმა ჯასტოს უელსმა დაუდო საფუძველი ვეტერჰონსზე პირველი უგამყოლო ასვლით. მაგრამ შვეიცარიის გარეთ მოგზაურობათა დროს ევროპელი მთამსვლელები ყოველთვის ცნობილ გამყოლებს მიმართავდნენ.

ცნობილ ევროპელ ალპინისტებს, რომლებმაც XIX საუკუნის განმავლობაში კავკასია მოინახულეს, ყოველთვის თან ახლდნენ გამყოლები.

დ. ფრეშფილდი მოგზაურობდა ფრანსუა დეფუასუს თანხლებით. ჰ. მერცბახერს თან ახლდნენ ტიროლელი გამყოლები — ჰანს კენერი და იოჰან უნტერვეგერი. კოკინს ყველა ასვლაში გზას უკვლევდა ულრიხ ალმერი, გროვემ თან წაიყვანა პეტრე კნუბელი და ა. შ.

მაგრამ ევროპელი გამყოლები რამდენადაც გამოცდილნი და დახელოვნებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ მთასვლაში,

მაინც ვერ გაიკვლევდნენ გზას უცნობ მთებსა და გარემოში, რომ ადგილობრივი მთების და გზების, ხალხისა და ამინდის მცოდნე ადამიანები არ დახმარებოდნენ. მართლაც, ყველა ევროპელი მთამსვლელის ექსპედიციებში ჩვენ ვხედავთ ადგილობრივ მკვიდრთ, მეგზურებს, რომელთა ძირითად ფუნქციას გზის ჩვენება და გაკვლევა წარმოადგენდა. ამგვარად, მათი დანიშნულება პირველ ხანებში სრულიად განირჩევა გამყოლთა დანიშნულებისაგან. ადგილობრივი მკვიდრი მ ე გ ზ უ რ ი ს, რომელმაც იცის თავისი ხეობა, რაიონი, ამავე დროს მონადირეცაა, რომელიც მეზობელ ტომთა მიწებსაც კარგად იცნობს, მათი ენებიც კარგად იცის და შეუძლია მეგზურს მეზობელი ტომის ხეობაში გაჰყვეს.

მ ე გ ზ უ რ ო ბ ა — თავისი წარმოშობით უძველესი დროიდან მომდინარეობს. ყველა ტომთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობის მიხედვით (მონადირე, მეზღვაური, დიპლომატი და სხვა), ან ბუნებრივი მიდრეკილების გამო სამოგზაუროდ ხშირად დადიოდნენ მეზობელ ქვეყნებში, ზედმიწევნით იცოდნენ არა მარტო თავისი ქვეყნისა და ხეობის ყველა გზა და მისავალი, ბილიკი თუ უცნობი ზეკარი, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც კარგად იცნობდნენ. მეგზურობა ყველა ქვეყნებში არსებობდა. მაგალითად, რუსეთში, ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ე. წ. Землепроходцы. სხვათა შორის დალი ასე ხსნის ამ სიტყვას: «Землепроходец — бывалый путешественник, путник по призванию или всюду бывавший и много видевший», ხოლო землепроходство ეს არის — «поездки по чужим краям» და მიდრეკილება ამ მოგზაურობისადმი («страсть к этому»).

„ზემლეპროხოდცების“ წყალობით გამოკვლეულ იქნა, მაგალითად, შორეული აღმოსავლეთი, რომლის შესწავლა მჭიდ-

როდაა ღაკავშირებული „ზემლეპროხოდცების“ — ვასილი პოიარკოვის, ეროფეი ხაბაროვის, სემიონ დეჟნიოვის. მიხეილ სტადუხინისა და სხვათა სახელებთან. შორეული მოგზაურობებისადმი მიღრეკილებას ხშირად გაჰყავდა ადამიანი შორეული ქვეყნიდან და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, მაგალითად, რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში.

მეგზურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი რთული რელიეფის, მრავალფეროვანი ეთნიკური შემადგენლობის ჩთიან ქვეყანაში, როგორიცაა კავკასია და ამიტომ მეგზურობამ ფართო განვითარება სწორედ აქ ჰპოვა. ღღესაც შეეხვდებით მთაში მოხუცს, რომელსაც ყველა იცნობს, როგორც მეზობელ მხარეთა და ხეობათა უბადლო მცოდნეს, ასეთია მაგალითად, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებული ომალოელი გიორგი იმერაული, რომელიც 1882 წელს ახლდა ძერცბეხერს; შესანიშნავად იცის მთელი აღმოსავლეთ კავკასიონი ხევიდან დაწყებული ანდის-ყოისუს შესართავამდე, მრავალჯერ აქვს გადავლილი ყველა უღელტეხილი და ცნობილია არა მარტო თუშეთში, არამედ დიდოეთსა და სხვა მეზობელ მხარეებში.

ცხადია, რომ მეგზურობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო საქმეშიც. სამხედრო ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ფაქტები, როდესაც გამოცდილი მეგზურები სხვა ქვეყნებში წარუგზავნიათ გზების გასაცნობად და შესასწავლად. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ამ გამოცდილ და დახელოვნებულ მეგზურთა საუკუნეობრივი გამოცდილების საფუძველზე გამომუშავდა მთების, მთაში ამინდის ცვალებადობის და მისი წინასწარ გამოცნობის, მთაში გზის გაკვლევისა და ხშირად შეუმჩნეველ-

ლი ნიშნების მიხედვით იმის ამოცნობა, რაც გამოუცდელ ადამიანს ხშირად რაღაც მისნობად მიაჩნია.

მაგრამ მეგზურები არ იყვნენ პროფესიონალები და ეს მეგზურობა არ წარმოადგენდა მათ შემოსავალ წყაროს. მეგზურობისათვის გასამრჯელოს მიღება — ეს უკვე ახალი საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის — კაპიტალისტური ურთიერთობის შედეგია.

ევროპელ მთამსვლელთა დაინტერესება კავკასიონით იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან და ეს წლები უნდა ჩაითვალოს კავკასიონის გამყოლობის ისტორიის დასაბამ წლებად. მანამდე მეგზურობა არ იყო პროფესია, მეგზურობა შეიძლებოდა ბეგარით, დავალებით, თხოვნით. ჯერ კიდევ XVI საუკუნისა და XVII-XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და რუსეთს შორის გაცხოველებული დიპლომატური ურთიერთობის პერიოდში ქართველ და რუს დიპლომატებს ხშირად უხდებოდათ კავკასიონის ქედის გადავლა. პროფესორ მ. ა. პოლიეკტოვს თავის საფუძვლიან გამოკვლევაში «Экономические и политические разведки Московского государства в XVII в. на Кавказе» დაწვრილებით აქვს განხილული დიპლომატიურ მისიათა მოგზაურობა კავკასიაში. ცხადია, ამ მისიებს ყოველთვის თან ახლდნენ გამოცდილი მეგზურები, რომელთაც გადმოჰყავდათ დიპლომატები კავკასიონის თოვლიან ულელტეხილებზე.

ჩვენ არ მოგვეპოვება დაწვრილებითი ცნობები ამ მეგზურ-

თა შესახებ. პირველი ცნობა ქირით მეგზურობის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის.

1802 წელს ალექსანდრე იაგორის ძე სოკოლოვის მოგზაურობის დროს, რომლის აღწერილობა თვით სოკოლოვმა შეადგინა, რამდენჯერმე არიან ნახსენები გამყოლები. ექსპედიცია ოსეთიდან საქართველოში (ღები-ვცეკის გადავლით) გადმოჰყავს ოს მამასახლისს ალი კანტემირს და მის ამხანაგებს. ალი კანტემირი ამ საქმისათვის სოკოლოვისაგან იღებს გასამრჯელოს.

უფრო გვიანდელი ცნობები 1829 წელს ეკუთვნის, როდესაც ხილარ ხაშიმოვმა პირველად დალაშქრა იალბუზი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ხილარის ასვლა იალბუზზე არ შეიძლება ნაკარნახევი ყოფილიყო მხოლოდ გამყოლის ინტერესებით. ეს იყო ნამდვილი სპორტული ასვლა ადამიანისა, რომელსაც უყვარს ეს საქმე.

მეგზურობა და გამყოლობა ჩვენ აშკარად განსხვავებული ფორმებად მიგვაჩნია და პერიოდი, რომელსაც ვეხებით — ჯერ XIX საუკუნის დასაწყისი და შემდეგ 60-იანი წლები, როდესაც ევროპელი ალპინისტები ფართო ფრონტით უტევენ კავკასიის მწვერვალებს, — მიგვაჩნია მეგზურობის სახეცვლის, გამყოლებად გარდაქმნის პერიოდად. მეგზურს ქირაობენ და იგი უკვე არა მარტო მეგზურია, არამედ მსახური და ტვირთმზიდავიც. კავკასიაში ალპინისტთა მეგზურობის ეპიზოდურობის გამო ეს პროცესი არ შეიძლებოდა ისეთი ღრმა ყოფილიყო, როგორც შვეიცარიაში.

კავკასიურმა გამყოლობამ შეინარჩუნა მეგზურობის საუკეთესო თვისებებიც. ეს ორი ტიპი — მეგზური და გამყოლი

პარალელურად არსებობდნენ. მათ შორის არსებული განსხვავების ნათელსაყოფად დავახასიათოთ ორივე ტიპის წარმომადგენელი.

ერთ-ერთი პირველი გამყოლთაგანი კავკასიაში იყო ფოთელი პავლე, ანუ ბახვა ფიფია, რომელიც პალგრეესს ახლდა ჯერ კიდევ კავკასიაში მოგზაურობის დროს. 1868 წელს იმოგზაურა დუგლას ფრეშფილდთან ერთად და სადღაც გაქრა. როდესაც 1874 წელს ინგლისური ალპური კლუბის ექსპედიცია გროვის მეთაურობით გამოემგზავრა ლონდონიდან, გროვმა წინასწარ შეუთვალა ინგლისის ვიცეკონსულს ფოთში ბ-ნ გარდინერს მოენახა პავლე ფიფია. გროვი თავის წიგნში „ცივი კავკასია“ წერს: „ფრეშფილდთან მოგზაურობის შემდეგ იგი (პავლე ფიფია) გაქრა და თუმცა ბ-ნმა გარდინერმა, ვიცეკონსულმა ქ. ფოთში შეგვატყობინა, რომ იგი სადღაც ფოთის მიდამოებშია, მაინც ლონდონიდან გამოსვლის დროს ჩვენ არ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ვნახავდით ამ საჭირო ადამიანს. ფოთში ჩამოსვლისას ჩვენ გავიგეთ, რომ ბ-ნი გარდინერის თავაზიანობისა და ხანგრძლივი ცდების შედეგად პავლე ნაპოვნია და განაცხადა სრული მზადყოფნა და სურვილი ჩვენი თანხლებისა“. პავლე (ბახვა) ფიფია ახლდა გროვს მთელი მისი მოგზაურობის განმავლობაში — ქუთაისიდან — ნაქერალის უღელტეხილით ონში, ღების გადასავალით — ჩერეკში და შემდეგ ბეზინგით — ჩეგემში. აქედან — იალბუზზე. შემდეგ უჩქელანით — ყარაჩაში და ნახარის უღელტეხილით — კოდორის სათავეებში და კოდორის ხეობით — სოხუმში.

გროვი წერს, რომ ამ ქვეყანაში არ არიან ისეთი გამოცდილი გამყოლები და თარჯიმნები, რომელთაც ევროპულ მოგზაურთათვის შეეძლოთ ამ მოვალეობის შესრულება. არიან

ადამიანები. რომელთაც შეეთვისეს რამდენიმე კავკასიური ენა და კარგად ლაპარაკობენ რუსულად. მაგრამ ჩვენ გვჭირდებოდა თარჯიმანი, რომელსაც ეცოდინებოდა ფრანგული, გერმანული ან იტალიური ენა. სწორედ ასეთი იყო ერთადერთი მთელს ქვეყანაში (გროვი კავკასიას ეულისხმობს) მეგრელი პაველ (ბახვა) ფიფია. იგი თან ახლდა პალგრევს და ფრეშფილდს მათი მოგზაურობის დროს. პაველ (ბახვა) ფიფია, რომელსაც მე შემდეგში უბრალოდ პაველს ვუწოდებ, ლაპარაკობდა ქართულ ენასა და მის კილოკავებზე, რუსულად, ოსმალურად და ფრანგულად.

გროვი ასე ახასიათებს პ. ფიფიას: „ზედმეტ გამეორებათა თავიდან ასაცილებლად, მისი ღირსებების შესახებ ერთხელ და საბოლოოდ უნდა განვაცხადო, რომ იგი მოუსყიდველი პატიოსნების ადამიანია და განსაკუთრებული შრომისმოყვარე. იგი სრულიად სწირავს თავს მათ ინტერესებს, ვისაც ემსახურება. გარდა ენების ცოდნისა, მან შესანიშნავად იცის საშმლის მომზადებაც და მთელი მოგზაურობის დროს შესანიშნავად გვკვებავდა სრულიად მარტივი საშუალებებით“. გროვი ხშირად ახსენებს თავის თხზულებაში პაველს და ჩვენ წინაშე იხატება პორტრეტი გამყოლისა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური კავკასიონის მომიჯნავე ნაწილი, და სამხრეთით კოდორისა და რიონის ჩეობები. იგი უბადლო გამყოლია ულელტეხილებზე — გადადის ექსპედიციასთან ერთად ღებისა და ნახარის ულელტეხილით კავკასიონის მთავარ ქედზე, გადაკვეთს მთელ რიგ გვერდით ქედებს და სხვ.

გამყოლის მეორე სახე შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ პორტრეტის მიხედვით, რომელსაც გვიხატავენ ლუგლას ფრეშ-

ფილდი და გროვი. ეს არის ურუსბიელი ახია სიტაევი, რომელიც 1868 წელს ახლდა ფრეშფილდს იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე და სათვალის უქონლობის გამო კინაღამ დაბრმავდა.

1874 წელს იგი ახლდა გროვს თაუ-სულტრაზე და მურსიალბუზის დასავლეთ მწვერვალზე.

აი, როგორ ახასიათებს მას გროვი: „სოფელ ურუსბიევოს ამ შესანიშნავმა მონადირემ, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთესად გაიცნო ირგვლივ მდებარე ხეობები და მთები, იმის შესახებ თუ რა მდებარეობს თოვლის ხაზს ზემოთ, მისი ცნობები უმნიშვნელოა, რაც საერთოდ ახასიათებს კავკასიელებს, რადგან ისინი იშვიათად გადავლენ თოვლის ხაზს გარდა იძ შემთხვევებისა, როდესაც უხდებათ უღელტეხილებზე გადასვლა“.

ჩამოთვლის რა მთაში მონადირის თვისებებს, გროვი სხვათა შორის აღნიშნავს, რომ იგი უნდა იცნობდეს მთებს და იცოდეს სწრაფი მოძრაობა.

„ახიას აქვს ყველა ეს თვისება. მან შესანიშნავად იცოდა მიდამო, მალე ჩვენ დავრწმუნდით მის არაჩვეულებრივად სწრაფად გადაადგილების უნარში, რაშიც ფრეშფილდი ჯერ კიდევ 1800 წელს დარწმუნდა.

გამხდარი, მკვრივი და ღონიერი, როგორც ჩანს, თავისუფლად ადიოდა მთების კალთებზე მაშინ, როდესაც ეს გზა იმდენად ძნელი იყო, რომ საეჭვოა ჩვეულებრივ ადამიანს შეძლებოდა მისი მიყოლა. საჭიროების შემთხვევაში ნაბიჯის შეუნელებლად მას შეეძლო საკმაოდ დიდი მანძილის გავლა“.

თაუ-სულტრაზე ასვლის დროს იგი ჩამორჩა ექსპედიციას ერთი დღით, მაგრამ თავისუფლად დაეწია ამსვლელებს.

„ეს ერთლაც ძაგარი, თანაბარი საბიჯი აქვს, რომელიც იშვიათად გვხვდება საუკეთესო მთიელებშიც-კი“.

გროვის მიერ მოცემული ეს დახასიათება საკსებით გვიხატავს ახია სოტაევის მთასელურ თვისებებს.

უფრო აშკარა გახდა განსხვავება მეგზურობასა და გამყოლობას შორის 80-იან წლებიდან საუკუნის დასასრულამდე, როდესაც ცალკეული რაიონები და მწვერვალები ხშირი ასვლების ასპარეზად გადაიქცა. ასეთი რაიონი იყო, მაგალითად, ყაზბეგის რაიონი, სადაც 1868 წელს ცოგოლა ბეზურთანოვი პირველად ახლდა ფრეშფილდს, ხოლო ამას აქეთ ბეზურთანოვების გვარში ათეული გამყოლი გამოვიდა.

უნდა აღვნიშნოთ გამყოლების ერთი დამახასიათებელი თვისება — დასპეციალება ერთ გარკვეულ რაიონში და გარკვეულ მწვერვალზე. იშვიათია, მაგალითად, რომ ხევის გამყოლთაგან ვინმეს მყინვარწვერის გარდა სხვა მწვერვალის გზა სცოდნოდა.

მაგალითად, ქუთაისელი მასწავლებელი კალინინი, რომელიც 1915 წლის აგვისტოში ავიდა მყინვარწვერზე, აგვიწერს ეპიზოდს, — რომლიდანაც ირკვევა, რომ გახა წიკლაურს იმ დროს მხოლოდ მყინვარწვერის გზა სცოდნია და გადაჭრით უთქვამს უარი ჯიმარაიზე გაყოლაზე.

სულ სხვაგვარია დიაპაზონი იმ გამყოლ-მეგზურებისა, რომელნიც მოშორებულნი არიან მთასვლურ გზაჯვარედინებს: სვანეთში, რომლის მწვერვალებს დროდადრო ეწვეოდნენ ხოლმე უცხოელი მთამსვლელები, ცნობილი იყვნენ: მურათბი კიბოლანი (მაზერი) და მიტო არღულიანი (ცხომარი). მურათბი კიბოლანი ახლდა, მაგალითად, 1895 წელს ვილი რიკმერსის ექსპედიციას უშბაზე (ექსპედიციამ მხოლოდ 4700 მეტრს,

მიაღწია), ხოლო სხვა ექსპედიციებს ფიკერის, შულცეს და სხვებს ახლდა ჭირიწდაზე, ცალგმილზე. გულბაზე, თოთნაზე და სხვ.

კავკასიონის ყველა რაიონში იყვნენ გამყოლები, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს მთასვლურ მოძრაობაში. უცხოელი ალპური კლუბების წევრები ეცნობიან მათ. მურათბი კიბოლანი მიიღეს ვენის ალპური კლუბის გამყოლად, ხოლო 1901 წელს დაარსებულმა რუსეთის სამთო საზოგადოებამ აღრიცხვაზე აიყვანა გამყოლები. ამ აქტით საბოლოოდ გაფორმდა კავკასიელ გამყოლთა გაპროფესიონალება.

საინტერესოა, რომ ალპინიზმის განვითარება კავკასიაში XIX საუკუნის განმავლობაში მთლიანად გამყოლური ალპინიზმის ხაზით წარიმართა. ვერც XX საუკუნის დასაწყისში შეძლო თავის დაღწევა იმდროინდელი რუსეთის ალპინისტურ-ძა მოძრაობამ გამყოლობისაგან. გამონაკლისს მხოლოდ ერთეულები შეადგენენ — ასეთები იყვნენ: გიორგი ქავთარაძე, ორმელიც 1891 წელს ავიდა უილპატაზე, ერეკლე ლუკაშვილი, ორმელიც 1904 წელს ავიდა დეშერჰორსზე, ბესარიონ მეტრეველი — იტალიის ალპების მწვერვალებზე და სხვ.

საბჭოთა ალპინიზმის დასაბამი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მეგზურ-გამყოლთა სახელებთან, რომელთაც შეძლეს მეგზურობის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება და გადმოცემა ახალგაზრდა საბჭოთა ალპინიზმისათვის — 1923 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებულ პირველ საბჭოთა ასვლებში საუკეთესო ყაზბეგელი გამყოლები იღებდნენ მონაწილეობას. გიორგი ნიკოლაძის ექპედიციის უფროს გამყოლად იყო

იაგორა კაზალიკაშვილი, გამყოლებად— ლევან ქუშაშვილი ტ-აბზი ბეზურთანოვი, ხოლო ალექსანდრე დიდებულიძის ექსპედიციას უფროს გამყოლად გახა წიკლაური, არშაკ ზავაშვილი და სხვანი ახლდნენ. საინტერესოა, რომ უფრო ადრე, იულისში გახა წიკლაური ახლდა საქართველოს პროფკავშირების ექსპედიციას, რომელმაც ქარბუქის გამო მწვერვალამდე ვერ მიაღწია.

იაგორა კაზალიკაშვილი რევოლუციამდე მხოლოდ მყინვარწვერზე ადიოდა — ოცდაათამდე ასვლა ჰქონდა შესრულებული. საბჭოთა ალპინისტებთან ერთად ავიდა მრავალ მწვერვალზე, მათ შორის ადაი-ხოხზე, თეთნულდსა და უშბაზე.

ამ საუკეთესო გამყოლთა მეშვეობით, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ თაობიდან თაობაში გარდამავალი ცოდნა და მთის სიყვარული, ქართველმა მთამსვლელებმა მიიღეს საუკეთესო მემკვიდრეობა წარსული საუკუნეების ქართველ-მეგზურთაგან, შემდეგში კიდევ უფრო გაამდიდრეს იგი თანამედროვე ალპინისტური ტექნიკითა და საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ალპინისტურ მოძრაობას. მათთან ერთად საბჭოთა მთამსვლელების რიგებში იდგნენ და დგანან კავკასიონის მთიელ ტომთა შვილები, რომელნიც უკვე არა როგორც გამყოლები, არამედ საბჭოთა სპორტული მოძრაობის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა სპორტის განვითარებაში.

საბჭოთა მთამსვლელები — ამავე დროს მეგზურებიც არიან. ისინი სწავლობენ მთას, მთიან რაიონებს, მათ ბუნებრივ პირობებს, მათ აინტერესებთ არა მარტო მწვერვალზე ასვლა.

არამედ რაიონის შესწავლა და ათვისება, მისი ყოველი კუსჭეულის გზების გაკვლევა.

სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა ალპინიზმის დიდი სამეცნიერო და გამოყენებითი, სამხედრო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

პირველი ალპური კლუბი კავკასიაში

ალპინისტური მოძრაობა, ალპინიზმი — ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის დასასრულს.

ალპინიზმის დასაბამად, მისი წარმოშობის თარიღად ითვლება 1785 წლის 8 აგვისტო, როდესაც სოფლის ექიმმა მიშელ პაკარმა და შვეიცარიელმა გლეხმა, სოფელ შამუნიდან, ჟაკ ბალმამ მოახდინეს პირველი ასვლა ევროპის უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4810 ძეტრი ზღვის დონიდან). ამ საქმისათვის ისინი წააქეზა ცნობილმა შვეიცარიელმა გეოლოგმა და ფიზიკოსმა ჰორაციუს დე სოსიურმა, რომელიც პირველად 1760 წელს ჩამოვიდა შამუნის ხეობაში და მუშაობა მაღალმთიანეთის შესწავლაზე დაიწყო.

დე სოსიურამდე ალპური თოვლეთის სამყარო სრულიად უცნობი იყო ევროპის მეცნიერთათვის. დე სოსიურმა მიზნად დაისახა ასულიყო მონბლანზე, რომელიც მანამ მიუწვდომლად ითვლებოდა, მაგრამ ყველა მისი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა.

1775 წელს რამდენიმე შამუნელმა გლეხმა სცადა ასულიყო მონბლანზე მეზობელი მწვერვალის ლა-კოტის მხრიდან; ეს ცდა რამდენჯერმე განმეორდა.

1785 წლის 17 სექტემბერს დე სოსიური თხუთმეტი გამყოლის თანხლებით, რომელთაც მიჰქონდათ სამეცნიერო ხელსაწყოები, საჭურველი, პროდუქტები და შეშა, დაიძრა შამუ-

წიდან მონბლანისაკენ, მაგრამ ახლად მოსულმა თოვლმა კვლავ შეუშალა ხელი.

დე სოსიურმა ადგილობრივ მკვიდრთ გაუღვიძა მწვერვალის დაპყრობის სურვილი. მათ შორის იყო ახალგაზრდა ჟაკ ბალმა, რომელიც საკუთარი სურვილით შეუერთდა დე სოსიურის გამყოლებს. მათ მიაღწიეს ქედს, რომელიც აერთებს მწვერვალ გუტეს მონბლასთან, მაგრამ გზის განგრძობა ვერ გაბედეს, რადგან ქედის ორივე მხარეს ორი ათასმეტრიანი უფსკრული იყო. გამყოლები უკან დაბრუნდნენ, ჟაკ ბალმა არ გაჰყვა მათ.

მწვერვალზე ასვლის სურვილით შეპყრობილმა, მარტომ გადაიარა ეს სახიფათო ქედი — ამჯერად ვერც მან მიაღწია მწვერვალს. ღამე მონბლანის პლატოზე, 3000 მეტრის სიმაღლეზე გაათია, გათენებისას კვლავ შეუდგა გზის ძებნას და აღმოაჩინა კიდეც. გზა აღარ განაგრძო, დაბრუნდა სოფელ შამუნში და ადგილობრივ სოფლის ექიმ მიშელ პაკართან ერთად გაუდგა გზას მწვერვალისაკენ. 1786 წლის 8 აგვისტოს სოფელ შამუნის მცხოვრებლებმა დაინახეს დურბინდებით მონბლანის მწვერვალზე ადამიანი.

1787 წლის აგვისტოში ეს ასვლა უკვე სამეცნიერო მიზნით გაიმეორა თვით დე სოსიურმა.

ამგვარად, ამ ორი ადამიანის, ჟაკ ბალმასა და დე სოსიურის, სახელებთანაა დაკავშირებული ალპინიზმის დასაბამი ევროპაში.

დე სოსიურის ამ გამარჯვებამ და მისმა გამოკვლევებმა სულ მალე ფართო პოპულარობა მოუპოვეს ალპინიზმს.

მთელი ევროპა ლაპარაკობდა ამ გაბედულ ნაბიჯზე და დე სოსიურს მალე მრავალი მიმბაძველი და მიმდევარი გაუჩნდა.

მაგრამ განსაკუთრებით გამრავლდა ასვლები XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მაგალითად, ხუთი წლის განმავლობაში 1852-დან 1857 წლამდე მხოლოდ მონბლანზე ჩატარებული იყო 64 ასვლა.

მთამსვლელების მიერ დაპყრობილი მწვერვალთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

პირველი ასვლა, მრავალ უშედეგო ასვლის შემდეგ, მოეწყო იუნგფრაუზე 1811 წელს, 1863 წელს მწვერვალზე ავიდა პირველი ქალი, ხოლო 1905 წელს იუნგფრაუზეს მწვერვალისაკენ გაიყვანეს სამთო რკინიგზა, რომელსაც აპყავს ტურისტები 4270 მეტრის სიმაღლეზე.

შვეიკარიის უძნელესი მწვერვალი მატერჰორნი, რომლის სალი კლდეები 4505 მეტრის სიმაღლეზე აღმართულან, აღამიანს მიუღწევლად მიაჩნდა. მრავალი მთამსვლელი, მათ შორის ისეთები, როგორებიც იყვნენ ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი ტინდალი, განთქმული ალპინისტი უიმპერი და სხვები, ბევრჯერ ეცადნენ ასვლას, მაგრამ მწვერვალზე მხოლოდ 1865 წლის 14 ივლისს ავიდა უიმპერი. ალპინიზმს ფართო გასაქანი მიეცა. შვეიცარიის მწვერვალები აღარ აკმაყოფილებდნენ მთამსვლელებს. მათი მოქმედების არე თანდათან ფართოვდებოდა. ისინი მოისწრაფიან კავკასიონის, სამხრეთ ამერიკის კორდილიერების ანდებში. აფრიკის, ჰიმალაისა და ყარა-ყორუმის მწვერვალებისაკენ.

ალპინიზმის გეოგრაფიული არის გაფართოებასთან ერთად ფართოვდება და ღრმავდება ის ამოცანები, რომელთა განხორციელებასაც მიზნად ისახავენ მთამსვლელები. აღსანიშნავია, რომ არსებობის პირველივე წლებიდან ალპინიზმში თავს იჩენს ორი პრინციპულად განსხვავებული მიმართულება: პირველი,

მეცნიერული მიზნით—მაღალმთიანეთის ბუნების შეგნებული შესწავლა, მეორე, წმინდა სპორტული—რეკორდული მისწრაფებებით.

პირველის წარმომადგენლები — თვით ალპინიზმის მამაძთავარი დე სოსიური, მისი მრავალრიცხოვანი მიმდევარნი, ინგლისელი მეცნიერი, გლაციოლოგიის შემქმნელი ტინდალი, განთქმული ჰუმბოლდი, ლონგსტაფი და სხვები — ცდილობენ გააფართოონ გამოკვლევები მაღალმთიანეთის შესახებ და ამით ახალი ფაქტები შესძინონ მეცნიერებას.

მეორენი — როგორც, მაგალითად, ლესტი სტიფენი — მიზნად ისახავენ მხოლოდ ძნელი მწვერვალების რაც შეიძლება მეტი რიცხვის დაგროვებას და უჩვეულო რეკორდების დაყარებას.

ორივე ამ მიმართულებას, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის შემეცნებითი მნიშვნელობა, რომელიც აქვს პირველ მიმართულებას, ცხადია, გაცილებით მეტ შინაარსსა და მნიშვნელობას ანიჭებს მას.

ჩვენ არ შეგვიძლია 1786 წელი დავსახოთ იმ თარიღად, როდესაც ადამიანმა მთაში სიარული — მთასვლა დაიწყო. ეს თარიღი მხოლოდ ალპინიზმის, როგორც გარკვეული სპორტული და მეცნიერული მოძრაობის, ჩამოყალიბების აღმნიშვნელია.

ალპინიზმმა მრავალს გაუღვიძა ინტერესი მთებისადმი. ადამიანები, რომლებიც მთაში არ ცხოვრობენ და უშუალოდ არ განიცდიან მის ავ-კარგს, ეხლოდ მაშინ გაიხსენებენ მას, როდესაც თვით მთა შეიჭრება მათ ცხოვრებაში და მათ პრაქტიკულ საქმიანობასა და სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება.

კავკასიის ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ინტელიგენციის განსაკუთრებული ყურადღება თოვლ-ყინულის სამეფომ მიიზიდა საქართველოს სამხედრო გზის მუშაობასთან დაკავშირებით. დევდარაკის მყინვარის პერიოდული ჩამოზვავება დიდი ხნით კეტავდა ხოლმე სამხედრო გზაზე მიმოსვლას. ეს კატასტროფული ზვავები ძველთაგანვე იყო ცნობილი. ჯერ კიდევ 1776 წელს ერეკლეს კართან მყოფი ექიმი იაკობ რეინეგსი თავის თხზულებაში აღწერს ერთ-ერთ ასეთ ზვავს; ზვავი პერიოდულად მეორდებოდა 1808, 1817, 1833 და შემდგომ წლებში — საქართველოს სამხედრო გზის გაფართოებასა და მასზე სატრანსპორტო მიმოსვლის დამყარების შემდეგ. ზვავი განსაკუთრებით სახიფათო გახდა, რადგან საქართველოს სამხედრო გზა კავკასიის რუსეთის ცენტრებთან დამაკავშირებელ ერთადერთ და უმოკლეს გზას წარმოადგენდა. თუ რამდენად საზიანო იყო ეს ზვავი იქიდან ჩანს, რომ 1832 წელს ჩამოზვავებულმა თოვლის მასამ, რომელიც 1.600.000 კუბ. საჟენის მოცულობისა იყო, 300 ფუტის სიმაღლისა და 1017 საჟენის სიგრძის ხეობა ამოავსო და მოძრაობა ორი წლით შეწყვიტა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა ამ მოვლენის შესასწავლად ინჟინრებთან ერთად ცნობილი მეცნიერებიც მიეწვლინებინა.

ამგვარად, დევდორაკის კატასტროფულმა ჩამოზვავებამ ბიძგი მისცა მაღალმთიანეთის კვლევის განვითარების საქმეს

აკადემიკოსმა გერმან აბიხმა, ხატისიანმა, სტატკოვსკიმ. დუნკელველინგმა მთელი რიგი ლიტერატურა შეჰქმნეს ამ ზვავის შესახებ:

აღსანიშნავია, რომ პირველმა ქართველმა გეოლოგმა გრიგოლ წულუკიძემ დაგვიტოვა ამ მოვლენის საფუძ-

ლიანი გამოკვლევა თავის თხზულებაში „ლევდორაკი' ხეობის გეოლოგიური აღწერილობა, მისის მყინვარებითა და მყინვარეული ზვავების მიზეზების შესახებ“.

ამგვარად, თოვლ-ყინულის სამეფო თვით შეიჭრა ადამიანის ცხოვრებაში და საჭირო გახდა ამ უცნობ ძალთა შესწავლა და გამოკვლევა.

იმდროინდელ, ე. ი. XIX საუკუნის 50-იან და შემდგომ წლების, როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში მრავალად ვხვდებით ცნობებს მაღალმთიანეთის ბუნების სხვადასხვა მოვლენების შესახებ, ხოლო უფრო გვიან, 70-იანი წლებიდან ევროპელ მოგზაურთა მოგზაურობის აღწერილობებსაც.

საბუნებისმეტყველო ცოდნის განვითარების ისტორია საქართველოში ამჟამად სრულიად შეუსწავლელია, მაგრამ ცალკეული ფაქტები მოწმობენ იმ დიდ ინტერესს, რომელსაც იჩენდა ქართული საზოგადოება თავის სამშობლო მთებისა და მაღალმთიანეთის ბუნების შესწავლისადმი. საქართველოს მთის ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად პრესაში თანდათან ჩნდება წერილები მაღალმთიანეთის ბუნების შესახებ.

მაგალითად, 1871 წელს სასოფლო გაზეთში (№ 8) მოთავსებულია დ. დადუანის კორესპონდენცია „კოხი (სეტყვა) სვანეთში“; 1893 წლის „კვალში“ (№ 43) ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი ათავსებს წერილს „გლეტჩერი-მყინვარი — გაყინული თოვლზვავი“. საერთოდ, გიორგი წერეთლის კალამს ეკუთვნის თარგმნილი და ორიგინალური წერილები, იგი საბუნებისმეტყველო ცოდნის ერთ-ერთი უაქტიურესი აგიტატორია — მისი მოღვაწეობის ეს მხარე დღემდე სრულიად შეუსწავლელია.

საქართველოსა და კავკასიის იმდროინდელ ცენტრში —

თბილისში, საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული ცოდნით დაინტერესებულმა პირებმა დააარსეს რამდენიმე საზოგადოება — „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება", „ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოება", „რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება". ამ საზოგადოებათა გარშემო თავს იყრიან კავკასიის ბუნების შესწავლით დაინტერესებული პირები; ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენს კავკასიის მაღალმთიანეთის შესწავლისადმი. მათ შორის იყო გზების ინჟინერი ინჟინერ-პოლკოვნიკი ბორის ივანეს ძე სტატკოვსკი, რომელიც მუშაობდა გზების სამმართველოში და კავკასიაში ოცდაათი წლის ცხოვრების განმავლობაში კარგად შეისწავლა მთელი ეს მხარე. იგი კარგად იცნობდა როგორც სამხრეთ მთიანეთს, ისე კავკასიონის მთავარ ქედსაც — მრავალჯერ გადაულახავს ჯვრის, ქვენამთის, როკის, მაგის, ჯომაგის და სხვა უღელტეხილები. განსაკუთრებით ახლოს მოუხდა კავკასიონის მაღალმთიანეთის გაცნობა, როდესაც დაევალა წინასწარი კვლევის ჩატარება და პროექტის შედგენა თბილისის როსტოვ-ვლადიკავკაზის შესაერთებელი რკინიგზის გასაყვანად.

1878 წლის 20, 21 და 29 მარტს ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოების საჯარო კრებებზე ბ. სტატკოვსკიმ წაიკითხა ლექციების ციკლი საერთო სათაურით „კავკასიის კლიმატოლოგიის ამოცანები". ეს ლექციები ამავე წლის მაისში გამოსცა ცალკე წიგნად. საყურადღებოა, რომ წიგნის სატიტულო და უკანასკნელ გვერდზე აღნიშნულია: „თანხა, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს ამ წიგნის

გაყიდვისაგან, დანიშნულია კავკასიის ალპური კლუბის ფონდის სასარგებლოდ“.

წიგნი შეიცავს 286 გვერდს და ხუთი ნაწილისაგან შედგება. პირველში მოყვანილია ზოგადი მოსაზრებანი, კავკასიისა და შვეიცარიის ჰავის შედარება.

მეორე ნაწილი ეხება თოვლის ხაზის სიმაღლის განსაზღვრას, მესამე — მყინვარებს, მეოთხე და მეხუთე კი პრაქტიკულ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის პირველი სამი ნაწილი აგებულია უმთავრესად მეცნიერ-მთამსვლელების მიერ მიღებულ დაკვირვებებსა და ფაქტებზე, დაწყებული დე სოსიურის, ჰუბბოლდტის და შლაგინტვეინის გამოკვლევებიდან, გათავებული აკადემიკოს აბიხის, პაროტის, სანიკოვის დაკვირვებით.

ავტორი მრავალ დებულებას ასაბუთებს მთამსვლელთა მიერ მთაზე ასვლის დროს წარმოებული დაკვირვებების საფუძველზე.

მაგალითისათვის იგი იმოწმებს ი. ი. ხოდზკოსმის მიერ 1850 წელს არარატზე ასვლის დროს მიღებული მეტეოროლოგიური ცნობებით, გ. ი. რადესა და გ. ი. სივერსს. 1871 წელს არარატზე ასვლისას მიღებული დაკვირვებებით — ჩარნოტას, კოჩის, რომლებიც 1858 წელს ავიდნენ დემავენდზე და ა. შ.

იმ დროს არსებულ მონაცემთა საფუძვლიანი მიმოხილვის შემდეგ სტატკოვსკი გადადის კავკასიის კლიმატოლოგიური შესწავლის საკითხზე. კავკასიის ჰავის შესწავლა მას უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. იგი აყენებს საკითხს ადამიანის ცხოვრებაზე მეტეოროლოგიური ელემენტების გავლენის შესახებ და საჭიროდ თვლის მეტეოროლოგიურ სადგურთა ფართო ქსელის შექმნას. ამასთანავე, მისი აზრით,

ამ სადგურებს მომსახურეობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა მკვიდრმა მცხოვრებლებმა „მაგრამ საკითხავია საიდან უფრო გაჩნდებიან ეს კეთილისმყოფელნი, რომელნიც შეადგენენ ყველა მთების თოვლის ხაზის, მყინვარების მდგომარეობას. შეადგენენ მათ დაწვრილებით სიას და შემდეგ განაგრძობენ მყინვართა დახელოვნების მდგომარეობის ყოველწლიურ დაკვირვებას და სხვა“.

სტატკოვსკის მოაქვს ცნობები ევროპის ალპური კლუბების შესახებ და მიდის დასკვნამდე, რომ ალპური კლუბების წევრთა საერთო რიცხვი 25 000 კაცამდე აღწევს და დასძენს:

„ამ მოკლე ნუსხიდან ჩანს, რამდენად არიან დასავლეთში დაინტერესებულნი თავისი მთების შესწავლით. ჩვენთან კი მათ მიმართ თითქოს სრული გულცივობაა. მაგრამ არა—აქაური ახალი თაობა, განათლებული, ენერგიული, მოქმედი... სულაც არ არის გულცივად განწყობილი თავის მთებისადმი. რუსი საზოგადოებაც იწყებს მთებით დაინტერესებას. საუბედუროდ, გზების მოუწყობლობის გამო, იგი (ე. ი. რუსი საზოგადოება) უფრო გაცნობილია დასავლეთ ევროპის მთებს, ვიდრე კავკასიონს. ახლა, ვლადიკავკაზის რკინიგზის მოწყობასთან დაკავშირებით, როდესაც კავკასიაში ჩამოსვლა გაადვილდა, იგი დაიწყებს მის გაცნობას, ჩვენ გვექნება ჩვენი ალპური კლუბები, იქნება საქმიანობის განაწილება ცალკეულ წევრთა შორის და საქმე მოგვარდება. ჩვენ გვექნება წევრთა საერთო კრებები, ჩვენი ცენტრალური ბიურო, სადაც დაცული იქნება წევრთა ყველა შრომები და საიდანაც მივიღებთ ყველა ინსტრუქციებს, ცნობებსა და ხელსაწყოებს მომავალი გამოკვლევებისათვის. ყველა ტურისტს, ჩამოსულს რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან, კავკასიის ამა თუ იმ ნაწილის ნახვის

სურვილის პირველ გამოცხადებასთან ერთად მიეცემათ ყოველივე საჭირო და აუცილებელი ცნობა მათი მოგზაურობისათვის.

მაგრამ, ამავე დროს, მათ გამოეცხადებათ იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც გვაქვს კავკასიის ამა თუ იმ ნაწილის შესწავლაში და რომელთა შევსებაც სასურველია. ამთაში მოგზაურობა — თუნდაც სრულიად უმიზნოდ — ძალიან მიმზიდველია, მაგრამ თუ ამას დაემატება გარკვეული სამეცნიერო მიზანი, სასარგებლო ამ ქვეყნისათვის, რომელსაც ასეთი დიდი მომავალი მოელის, — გამოჩნდება ათასობით წევრი, თანამშრომელი, რომელნიც მოინდომებენ შეიტანონ თავისი წვლილი მეცნიერებისა და ქვეყნის სასარგებლოდ".

ამ სიტყვებში უკვე მოცემულია პროგრამა მომავალი ალპური კლუბის მუშაობისა, არა „უმიზნოდ მოგზაურობა", როგორც ამბობს სტატკოვსკი, არამედ გარკვეული სამეცნიერო მიზნით აღჭურვილი ალპინიზმი. სტატკოვსკი შემდეგშიც ანვითარებს ამ აზრს და კრიტიკულად უდგება დასავლეთ ევროპის ალპური კლუბების წმინდა სპორტულ მისწრაფებებს.

„ჩვენთან, კავკასიაში, — წერს იგი, — თანდათანობით დაიწყეს გამოჩენა დასავლეთის ალპური კლუბების წევრებმა თავისი განთქმული გამყოლებით: ერთი ექსპედიცია იყო კავკასიაში 1868 წელს, მეორე — 1874 წელს. დასავლეთ კლუბისტების გასაკვირვებლად, ამ ექსპედიციებმა ჩაუტარეს მათ ალპების მეფის — მონბლანისათვის საშინელი ახალი ამბავი, რომ ევროპის პირველობის გვირგვინი უნდა ეკუთვნოდეს არა მას, არამედ — იალბუზს, რადგან იალბუზი მდებარეობს კავკასიონის ქედის წყალგამყოფის ჩრდილოეთისაკენ და, მაშასადამე, ევროპაშია და არა აზიაში. პარიზის ალპური კლუბის ამ

საკითხის მომხსენებელი ამასთანავე უმატებს, რომ იგი არ თვლის თავის თავს საკმაოდ კომპეტენტურად ამ საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ როგორ გაუტყდებათ გული დასავლეთელ კლუბისტებს. როდესაც გაიგებენ, რომ ალბუზის გარდა არის კიდევ მონბლანზე მაღალი რამდენიმე მწვერვალი, რომელთაგან არც ერთი წვეთი წყლისა არ ჩაედინება სამხრეთისაკენ. არამედ ყველა ჩრდილოეთისაკენ. ესენი არიან ყომთან-თაუ — 5219 მეტრის სიმაღლისა, დიხ-თაუ — 5160 და ყაზბეგი — 5039 მეტრი, მაშინ, როდესაც მონბლანის სიმაღლე — 4812 მეტრია. გასაგებია, რომ დასავლეთელ კლუბისტებში გამოჩნდება მრავალი მსურველი, რომ მოინახულოს ეს ევროპის მწვერვალთა მეფენი. უნდა გავტყდე, რომ ალპური კლუბების შრომები, ზოგიერთი ანგარიშების გამონაკლისით სამეცნიერო მიზნების უგულველყოფის გამო ძალიან მცირე ინტერესს შეიცავენ.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია არაჩვეულებრივ სიძნელეთა დაძლევის სურვილი, სიცოცხლის საფრთხესთან დაკავშირებული ასვლა სიმაღლეზე და რა მიზნით? იმისათვის, რომ დავტკბეთ სანახაობით და შემდეგ ყველას მოვუყვეთ, რომ ვიყავით ამა და ამ სიძნელეზე. სულ სხვაა, როდესაც არის რაიმე გარკვეული სამეცნიერო მიზანი. მაშინ გასაგებია, რომ დაეხარჯება ენერგია თუნდაც ყველაზე ზარმაც და უმოცრაო ადამიანს და შეიძლება სასიამოვნოს და სასარგებლოს შეერთება. გარდა იმისა, რომ სამეცნიერო საკითხის გადაწყვეტა საინტერესოა თვით მისთვის, მისი სახელი დამსახურებულად შეტანილი იქნება ქრონიკებში და მრავალჯერ იქნება გამეორებული სხვადასხვა მეცნიერთა შრომებში, რომელთაც მან

მისცა სასარგებლო ცნობები და რომელთაც ისინი ეყრდნობიან“.

ასეთი არის სტატკოვსკის პრინციპული თვალსაზრისი. იგი აკრიტიკებს ფრეშფილდის წიგნს, იალბუზზე და ყაზბეგზე ასვლების შესახებ და თვლის მას არამეცნიერულად, მოჰყავს მაგალითები, როდესაც ასვლამ სრულიად უშედეგოდ ჩაიარა მეცნიერებისათვის და ამთავრებს მოწოდებით:

„მე ვიმედოვნებ რომ, როდესაც ეს ჩემი შრომა ცნობილი გახდება მეცნიერთა შორის, ალპური კლუბებისათვის გამოჩნდება მოღვაწეობა უფრო სასარგებლო და სანაქებო, ვიდრე ხედებისა და ასვლის დროს დაძლეულ სიძნელეთა აღწერა“.

წიგნის დასასრულს სტატკოვსკი კვლავ უბრუნდება კავკასიის ჰავის შესწავლის პრაქტიკულ ამოცანებს და წერს, რომ „ყველა ამ მოქმედებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღოს ადგილობრივი მოსახლეობის განათლებულმა კლასმა. ამ უკანასკნელი მიზნის მისაღწევად შემომაქვს წინადადება დავაარსოთ კავკასიის ალპური კლუბი, მაგრამ დასავლეთის ალპური კლუბებისაგან რამდენადმე განსხვავებული მიზნებით.

მთის სანახაობათა მოყვარულ ტურისტებისაგან დამოუკიდებლად ვისურვებდი, რომ კლუბი მოწყობილი იქნეს უფრო საერთო-სასარგებლო საფუძველზე. ეს საფუძველი ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ თბილისში უკვე არსებულ ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოებაში, იგი შეადგენს კლუბის ბირთვს და სხივები მისგან გავრცელდებიან მთელს კავკასიაში. ამ ცენტრში დამუშავდებოდა ყველა სამეცნიერო საკითხი, მოქმედების პროგრამები და მისკენ მოედინებოდა ყველა განცხადებანი იმათგან, ვინც ისურვებს საზოგადოებრივ საქმეს, მუშაობას. ყველასთვის, ვისაც აქვს სულ მცირე თა-

ეისუფალი დროც, სპეციალისტთა და არასპეციალისტისათვის. მეცნიერისა და წერა-კითხვის მცირემცოდნესათვის გამოჩნდება საქმე. მის მატერიალურ და სულიერ შესაძლებლობათა მიხედვით — ოღონდ იყოს სურვილი. ეს სურვილი კი დაებადება მრავალს".

ასეთია სტატკოვსკის პრინციპული კონცეპცია. დასასრულ, მას მოჰყავს მომავალი კლუბის წევრობის მატერიალური პირობები. ამ ვრცელ ამონაწერებში, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ, საინტერესოა ის კრიტიკული მიდგომა დასავლურ ალპურ კლუბებისადმი, რომელსაც იჩენს ავტორი.

იგი სავსებით გამართლებულია.

იმ დროს ევროპაში მთასვლური მოძრაობა თავის აღმავალ ძინების პირველ პერიოდს განიცდიდა. პირველი ალპური კლუბი ევროპაში შეიქნა ლონდონში 1857 წელს.

1862 წელს დაარსდა ავსტრიის ალპური კლუბი, 1869 წელს შვეიცარიის ალპური კლუბი, 1865 წელს — ტურინში, რომელიც შემდგომ გარდაიქმნა იტალიის ალპურ კლუბად. 1860, 1870 და 80-იან წლებში ევროპის ყველა ქვეყანაში და ამერიკასა და აზიაშიც არსდება ალპური კლუბები. მისი წევრთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა.

ყველა ამ კლუბებიდან თავისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამიზნულობით განსხვავდებოდა შვეიცარიის ალპური კლუბი, რომელმაც მთამსელელობის საქმე ეროვნულ საქმედ აქცია.

შვეიცარიის ალპური კლუბი სათავეში ჩაუდგა მაღალმთიანეთისა და განსაკუთრებით მყინვართა რეგულარულ შესწავლას და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია. კლუბმა დიდი მუშაობა ჩაატარა მთამსვლელთა მომსახურეობის მიზნით —

სამთო ქოხების, საფარების, სასტუმროების მშენებლობის, გამყოლთა კადრების აღზრდის, მაშველი სამსახურის შექმნის ხაზით. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ შვეიცარია მთელ ევროპის მთასვლურ სტადიონად გადაიქცა, ხოლო დანარჩენ კლუბებს არ ჰქონდათ საკუთარ ქვეყნებში მთამსვლური ობიექტები. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა არ აღგვეხიშნა ის დიდი სამეცნიერო წვლილი, რომელიც ლონდონის ალპური კლუბის წევრებმა შეიტანეს მთელი მსოფლიოს მაღალმთიანეთის შესწავლაში.

სტატკოვსკის მოწოდებამ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა[1]. „კავკაზის“ 1879 წლის 8 თებერვლის ნომერში, სათაურით „ადგილობრივი ამბები“, ვკითხულობთ:

კავკასიის ალპური კლუბის მოქმედების დასაწყისი

„იმ დროს, როდესაც ყველა მთიან ქვეყანას, მხოლოდ, ვგონებთ, ესპანეთის გამონაკლისით, აქვთ თავისი ალპური კლუბები, რომლებიც უკვე 25.000 წევრს ითვლიან, ჩვენთან, კავკასიაში, მისი ბუნების შესწავლა დღემდე ტარდებოდა ცალკეული სპეციალისტების, ბუნებისმეტყველთა და მემთხვევით ძოგზაურთა მიერ, რომლებიც არ იყვნენ ჯგუფებად გაერთიანებულნი და, რომელნიც იკვლევდნენ მხოლოდ ვიწრო მეცნიერულ მხარეს, რომელიმე საკითხისას მათ მიერ არჩეული მიმართულებით.

გასულ წელს ჩამოყალიბდა წინადადება, რომ ჩვენთანაც დაარსებულიყო ალპური კლუბი — 3 მანეთიანი ერთდროული

---

[1] გაზ. „კავკაზი“, 1879 წ. თებერვლის 8, № 30.

გადასახადით წევრად შესვლისას და, გარდა ამისა, ყოველწლიური გადასახადით — 3 მანეთის რაოდენობით.

ასეთი მცირე გადასახადი დანიშნულია, რომ არ დავამძიმოთ კავკასიის ბუნების მოყვარულნი იმ ანგარიშით, რომ მოვიზიდოთ მსურველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

გასცხადება კლუბის დაარსების შესახებ და მისი წესდება გამოცხადებული იყო და დაიგზავნა მთელ კავკასიაში გასული წლის ზაფხულში. მრავალი ადგილებიდან უკვე მიღებულია გასცხადებანი და ფულადი გადასახადი, ასე რომ, მიმდინარე წელს ჩვენს კლუბს უკვე შეუძლია თავისი მოქმედების დაწყება.

ოთხშაბათს, 14 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, სოფლის მეურნეობის საზოგადოების დარბაზში, ბარიატინსკის ქუჩაზე დანიშნულია წევრთა პირველი კრება — კლუბის თავმჯდომარის, მდივნის, ხაზინადარისა და საბჭოს წევრთა ასარჩევად. შეუძლიათ დაესწრონ აგრეთვე უცხო პირებიც“.

ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ 16 თებერვლის ნომერში „კავკაზი“[1] ათავსებს უკვე ამ პირველი კრების ანგარიშს მოგვყავს იგი მთლიანად.

ადგილობრივი ამბები

„ოთხშაბათს, 14 თებერვალს, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ბინაზე შედგა კავკასიის ალპური კლუბის დამფუძნებელთა და წევრებად ჩაწერილთა პირველი კრება. შეიკრიბა სულ 17 კაცი.

---

[1] გაზ. „კავკაზის“, 1879 წ. თებერვლის 16, № 36.

ბ. ი. სტატკოვსიმ, აღნიშნა მნიშვნელობა ისეთი დაწესებულებებისა, როგორიცაა ალპური კლუბები, მათი გავრცელება ევროპაში, აღნიშნა აგრეთვე, რომ არსებობს სურვილი კავკასიის ალპურ კლუბს მიეცეს უფრო მეცნიერული ხასიათი, ვიდრე ეს ჩვეულებრივაა შემოღებული და შემდეგ წინადადება შემოიტანა დანიშნული არჩევნები — (კლუბის თავმჯდომარის, მდივნის, ხაზინადრისა და საბჭოს წევრებისა) გადაიდოს მომავალი კრებისათვის, როდესაც უფრო გარკვეულად გამოირკვევა ის ხარისხი თანაგრძნობისა, რომელსაც იწვევს ჩვენს საზოგადოებაში ახლადშობილი კლუბი.

ბ-ნ სტატკოვსკის აზრით, მიმდინარე კრებაზე კარგი იქნებოდა გადაწყვეტა საკითხისა — ალპური კლუბის „ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოებასთან“ შეერთების შესახებ, ხოლო შემდეგ ორივე ამათი შეერთების შესახებ „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების“ კავკასიის განყოფილებასთან, განსაკუთრებული განყოფილების ან სექციის სახით. ასეთი შეერთების წინადადება გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ კლუბისათვის, ისევე როგორც ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოებისათვის, შეუდარებლად ხელსაყრელი და მიზანშეწონილია არსებობა გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, განსაკუთრებული განყოფილების სახით.

ზოგიერთმა კრებაზე დამსწრეთაგანმა გამოთქვეს შემდეგი: ბ-ნმა პენჩინსკიმ, რომ კავკასიის ალპური კლუბი ჯერ არ დაბადებულა, არ ჩამოყალიბებულა და არ განსაზღვრულა მისი ძალები და ამიტომ ახლავე ლაპარაკი მისი შეერთების შესახებ სხვა საზოგადოებებთან ნაადრევია.

ბ-ნმა შტეინმანმა, რომ წინადადება შეერთების და

შერწყმის შესახებ წარმოიშვა იმ სურვილით, რომ არ მოუთხარ-
ოთ ძირი იმ საზოგადოებებს, რომელთანაც კლუბს აქვს
ერთგვაროვანი ამოცანები და ჰყავს ერთი და იგივე წევრები,
მაგრამ ამასთანავე ასეთი შეერთების პირობები გამომუშავე-
ბული უნდა იყოს არა საერთო კრების, არამედ კლუბის საბ-
ჭოს მიერ.

ბ-ნმა გარსევანიშვილმა — რომ ვინაიდან თბილისის საზო-
გადოებათა უმეტესობა ატარებს მოხეტიალე ცხოვრებას, ვი-
ნაიდან არა აქვთ საკუთარი ბინა, საკუთარი მოწყობილობა,
სასარგებლო იქნებოდა, რომ ალპური კლუბი და საზოგადოე-
ბები — ბუნებისმეტყველების მოყვარულთა, არქეოლოგიისა
და გეოგრაფიული საზოგადოება — გაერთიანებულიყო ერთ
საზოგადოებად.

ერთი სიტყვით, გამოთქმული იყო რამდენიმე წინადადება,
რომელთაც საბოლოოდ არ მოგვცეს არაფერი, გარდა ერთი
შეგნებისა, რომ მრავალი საზოგადოება თბილისში იქმნება
სრულიად ხელოვნურად, პირველივე დღეს რწმუნდებიან, რომ
ისინი მკვდრადშობილნი არიან და მათი სამწუხარო არსებობა
განისაზღვრება მხოლოდ 2-3 პირის ენერგიით, რომელთაც
ერთ მშვენიერ დღეს შეუძლიათ დაიღალონ მათ მიერ ყო-
ველმხრივ შეხვედრილ გულცივობისაგან, გადგნენ განზე და,
მაშინ, ამგვარი საზოგადოების არავითარი კვალიც არ დარჩება.
მაგალითად, ბევრია: ყოფილი კავკასიის მუსიკალური საზო-
გადოება, იურიდიული საზოგადოება და სხვა".

ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს ის, რომ კრებას დაესწრო
მხოლოდ 17 კაცი. ცხადია, ეს ბევრი არ არის, მაგრამ, ამავე
დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ 1876 წელს დაარსებული
კლდოვანი მთების ალპური კლუბი 5 წევრისაგან შედგებოდა,

ვენის კლუბი — 6 კაცისაგან. პირენეების საზოგადოება „რამონი“ — აგრეთვე 6 წევრს ითვლიდა.

მეორე, რაც ჩვენს ყურადღებას იქცევს, არის მიხეილ გარსევანიშვილის მიერ გამოთქმული აზრი თბილისის საზოგადოებრივ დაწესებულებათა საბუღალტრო არსებობის შესახებ. მართლაც, მთავრობის ყურადღებას და მატერიალურ დახმარებას მოკლებულნი — ეს საზოგადოებები ხსოლოდ ცალკეულ ენთუზიასტთა ენერგიის წყალობით არსებობდნენ. ეს ენთუზიასტები ცდილობდნენ გაერღვიათ ის კედელი გულგრილობისა, რომელიც გარს ერტყა ყოველ ახალ წამოწყებას, ახალ საქმეს.

კავკასიის ალპური კლუბის დამფუძნებლებიც არ შეუშინდნენ სიძნელეებს და რამდენიმე დღის შემდეგ „კავკაზის“ 24 თებერვლის ნომერში, ვკითხულობთ:

„კავკასიის ბუნებისმეტყველების მოყვარულთა საზოგადოების მორიგ სხდომაზე, ოთხშაბათს, 21 თებერვალს განხილული იქნა საკითხი ამ საზოგადოების შეერთების შესახებ კავკასიის ალპურ კლუბთან. ასეთი შეერთების უმთავრესი საფუძვლები განსაზღვრული იქნა და შემდეგ კრება შეუდგა ამ ორ შეერთებულ დაწესებულებათა საერთო წესდების შედგენას.

მომავალი საზოგადოების წესდების შავად შედგენის შემდეგ ბ-ნმა ლიხაჩევმა წაიკითხა თავისი ცნობა „წყლის აუზის შესახებ ვარძიაში, ახალციხის მთებში“.

კავკასიის ბუნებისმოყვარულთა საზოგადოებისა და კავკასიის ალპური კლუბის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ბ. ი. სტატკოვსკი, მდივნად ბოტანიკოსი იაკობ მედვედევი, ხოლო საბჭოს წევრებად მ. ი. გარსევანიშვილი და ს. ი. სიმონოვიჩი.

მოკლედ შევჩერდეთ უკანასკნელ ორ პიროვნებაზე.

მიხეილ ნიკოლოზის ძე გარსევანიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 40-იანი წლების თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — იგი წევრი და აქტიური მონაწილე იყო თითქმის ყველა აქ არსებული საზოგადოებებისა და განსაკუთრებით კი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა. 1890 წ. სამსახურის პირობების გამო იგი საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა და 1891 წლის იანვარში არჩეული იქნა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების საბჭოს წევრად (ამ თანამდებობას ასრულებდა 1895 წლამდე).

სპირიდონ იაგორის ძე სიმონოვიჩი, წარმოშობით ჩერნოგორელი, ადგილობრივი მკვიდრი. იგი შვილიშვილი იყო ქალაქ თბილისის სამხედრო გუბერნატორის თევდორე ფილიპეს ძე სიმონოვიჩისა, რომელიც 1801 წელს ჩამოვიდა კავკასიაში და სამუდამოდ დარჩა იქ. მან ცოლად შეირთო აზნაურ ურქმაძის ქალი. მათმა შვილმა იაგორ სიმონოვიჩმა — მეფის ნაცვლის კანცელარიის მოხელემ, შეირთო კალოუბნელის ქალი — სოფიო და, ამგვარად, სპირიდონ სიმონოვიჩის დედაც და ბებიაც ქართველები იყვნენ. თვით სპირიდონი, სავსებით გაქართველებული იყო. სპირიდონ სიმონოვიჩმა ფართო ევროპული განათლება მიიღო და 1870 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელი მოჰკიდა საქართველოს გეოლოგიურ კვლევას. იგი სრულიად სამართლიანად ითვლება კავკასიის გეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ცნობები კავკასიის ალპური კლუბის სხვა წევრთა შესახებ, მაგრამ აქედანაც ჩანს, რომ კლუბის წევრებად გახდნენ სწორედ ის ადამიანები, რომელთაც სტატკოვსკი მოუწოდებდა.

კლუბმა გაშალა თავისი მუშაობა უმთავრესად მაღალმთიანეთის შესწავლის ხაზით.

1879—1880 წლებში გამოვიდა „ბუნებისმეტყველების მოყვარულთა კავკასიის საზოგადოებისა და ალპური კლუბის მოამბის“ ორი წიგნი. ორივე წიგნი შეიცავს უმთავრესად ბოტანიკურ და ზოოლოგიური ხასიათის წერილებს. მაგალითად, ი. ვასილევის წერილი — „შავი ზღვის ოლქის ხეების მთავარი ჯიშების ვერტიკალური და ჰორიზონტული მიმართულებით გავრცელების შესახებ“, ი. მედვედევის „კავკასიური ქვეალპური ნეკერჩხალი“, ვ. ლაცარიუსის — „ცნობა კავკასიური ზებრის შესახებ“ და სხვა.

ამასთან ერთად, მოთავსებულია რამდენიმე წერილი კლუბის მიერ ჩატარებული ექსპედიციების შესახებ, მაგალითად: „მგზავრობა საბა-წმინდის ყინულოვანი ორმოების სანახავად, სოფელ ცხინვალის მახლობლად“ ან „მგზავრობა გაზის წყაროს სანახავად — სოფელ ქვემო ხეცეში“ და სხვა.

გეოლოგიური წერილებიდან აღსანიშნავია ბ. სტატკოვსკის წერილი „კავკასიის ხევების გამოტანის კონუსების შესახებ“.

1880 წელს კლუბის მოამბის გამოცემა შეწყდა. კლუბი ხშირად მართავდა მოხსენებებს.

გაზეთ „კავკაზში“ 1879—1880 წლების ნომრებში შეხვდებით ცნობებს კლუბში ჩატარებული მოხსენებების შესახებ.

ასე, მაგალითად, 1880 წლის იანვარში გაზეთი წერს: „მორიგ კრებაზე მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებანი: ბ-ნ მედვედევისა — „ამიერკავკასიის ზოგიერთი მცენარის გავრცელების უკიდურესი ხაზების შესახებ“. ბ-ნ სოროკინისა—„ქვანახშირის საბადოს შესახებ მდ. ბზიბზე სოხუმის ოლქში“ და ბ-ნ სიმონოვიჩისა — „სოფელ ქორთას, ხირხონისისა და სხვა-

თა მიდამოების კირქვებისა და მერგელების გეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ". უკანასკნელი მოხსენების შესახებ გაზეთი დასძენს, რომ „ბ-ნ სიმონოვიჩის ცნობა — კირქვებისა და მერგელების გეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ განირჩეოდა წმინდა სპეციალური ინტერესითო".

1881 წლის დასასრულისათვის პრესაში ვეღარ ვპოულობთ ცნობებს კავკასიის ალპური კლუბის მოქმედების შესახებ.

როგორც ჩანს, აღსრულდა გაზეთ „კავკაზის" წინასწარმეტყველება, რომ მრავალი საზოგადოების არსებობა „განისაზღვრებოდა მხოლოდ 2-3 პირის ენერგიით, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაიღალონ მათ მიერ ყოველმხრივ შეხვედრილი გულცივობისაგან, გადგნენ განზე და, მაშინ ამგვარი საზოგადოებების არავითარი კვალიც კი არ დარჩებაო".

ასე დამთავრდა კავკასიის ალპური კლუბის ხანმოკლე არსებობა, მაგრამ მან გარკვეული კვალი დატოვა.

1890 წელს ოდესაში არსდება ყირიმის სამთო კლუბი, რომელიც შემდგომში ყირიმ-კავკასიის კლუბად გადაკეთდა. ამ კლუბის თავმჯდომარემ სერგეი ელოვაისკიმ კარგად დააყენა საქმე — კლუბი უშვებდა ყოველთვიურ ბიულეტენებს, მეგზურებს და სხვ.

1901 წელს პიატიგორსკში დაარსდა „კავკასიის სამთო საზოგადოება".

1901 წელსვე დაარსდა „რუსეთის სამთო საზოგადოება", რომელმაც რევოლუციამდე იარსება.

საზოგადოებამ ვერ შეძლო ფართო აქტივის შემოკრება. მნიშვნელოვანი ექსპედიციების ჩატარება.

1909 წლის ზაფხულში ვლადიკავკაზის პოლიტექნიკურ საზოგადოებასთან დაარსდა ა. ი. დუხოვსკოის ინიციატივით,

„ვლადიკავკაზის სამთო კლუბი“. კლუბის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური წევრი იყო სერგეი მირონის ძე კიროვი. რომელიც მირონოვის გვარით მუშაობდა ვლადიკავკაზის გაზეთ „ტერეკში“.

1910 წელს იგი ავიდა მყინვარწვერზე, 1911 წ. — იალბუზზე და 1912 წელს დიხ-თაუზე ასვლის ცდაში მიიღო მონაწილეობა.

ასეთია რევოლუციამდელ რუსეთში მთამსვლელთა გაერთიანების შექმნის ცდების ამომწურავი ნუსხა. ეს არ იყო მასების ფართო ინტერესებზე დაყრდნობილი გაერთიანებანი.

დღეს, როდესაც ალპინიზმმა საერთაშორისო აღიარება მოვა და ყოველწლიურად მრავალი ათასი ახალგაზრდა ისეენებს და იწრთობა მთებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთამსვლელები მსოფლიო ალპინისტურ სარბიელზე გამოვიდნენ და სულ ახალ-ახალი მწვერვალების დაპყრობით ასახელებენ სამშობლოს, უნდა გავიხსენოთ ისინიც, ვინც რამდენიმე ათეული წლის წინათ ცდილობდა შეექმნა კავკასიის ალპური კლუბი და თავისი წვლილი შეეტანა ალპინიზმის განვითარებაში.

შინაარსი

ყელის ზეგანი	5
მეტეოსადგურში	11
აღმოსავლეთ კავკასიონის თოვლეთში	16
ნაკვალევი თოვლზე	29
მთის რაინდი	78
მთები, წლები, ადამიანები	117
კავკასიელი გამყოლები	164
პირველი ალპური კლუბი კავკასიაში	187

რედაქტორი ნუკრი ასათიანი
მხატვარი ტიტე შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი რომან მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნინო აფხაზავა
კორექტორი ლეილა არჩვაძე
გამომშვები გიული ბენიძე

გადაეცა წარმოებას 6/VI 69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI 70 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9.27.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.46.
უე 01733, ტირაჟი 3000. შეკვ. № 7556.

ფასი 33 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.